მაგრამ ამჟამათ მისდამი სიყვარული დახავსებულია. გულით არ ჯერ არ გეთებულს მადლი არ დაზდევს. დრო მიღის წუთისოფელის ბორბალი ბრუნავს, ღმერთის დამადლებით სულიერნი მოდიან ამ ქვეყანაზე და წუთისოფელი მიცვალებულებს კვლავ საიქიოს აბარებს, მიღიან და ზოგს კეთილი გულით იმდვენი გაუკეთებია რომ მისი კვალი სიცოცხლით განვლილი, მარადიულობაშია გადასული და ლაქის მიუკარებლათ ბრწყინავს წუთისოფლის გულში, ზოგმა ისე განვლო ვრცელი გზა სიცოცხლისა, რომ არამც თუ დარჩენია კვალი რამეტს გასახსენებლად, არამედ წაიღო მადლი ცისა და მინისა, რომელიც მან იგემა შეირგო. შეირგო იმაზე ითქმება ვისაც სიკეთით უვლია დედამინაზე და ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი წასულა ვინ იცის რამდენმა ულირსმა მუქითახორამ გადაიარა დედამინის გულმკრდზე და არამც თუ სიკეთი. წუთისოფელს სიავე დაუტოვა თავისი ავი ზრახვებით, როგორც არის უცნობი მოხუცი ბებია და თუ შეიძლება რომ ასე ითქვას ცისანას მეგობარი ქალიშვილი ლონდა, ნამდვილათ ასეთმა პირებმა იმოქმედეს და დრომაც მათი სასარგებლოთ იმუშავა და თანდათანობით გიორგის ოჯახს სიმზიარულე, სიხალისე, აკლდებოდა. მყუდროება ჩამოვარდა, გაუფერულდა ცისანას გულში გიორგისადმი სიყვარულიმა იკლო და მისი ადგილი თანდათანობით ნაღველმა დაიკავა. კეთილთა საქმით გაბრწყინებულ წუთისოფელს მათი საქმინა ლაქად დაუყვენ თუმცა ეს ღმერთის ამბავია, შეიძლება ითქვას წუთისოფელში ასეთი ბოროტი სულები არ უნდა არსებობდნენ რადგან ერთ დღეს გიორგი სამსახურიდან ადრე დაბრუნდა და წამოსცლისას ეკლესიში შეიარა, სანთელი დაანთო. ილოცა და გული დავერებული რო გამოვიდა ერთი კარებში მათხოვრათ მდგარ ციგნის გოგოს ჯიბებში ფული ჩაუდო და გზა სახლისკენ განაგრძო. მაგრამ ციგნის გოგო უკან გამოედევნა არ მისცა გასაქანი დაუნებით უტბნებოდა მე მინდა რომ შენ გიმკითხავო გიორგიმ თავი რომ ვეღარ დააღწია ძალაუნებურათ დანებდა. მე ვიცი, რომ შენ გიორგი გქვია. შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ, ალალი გული გაქვს, დაქორნინებული ხარ, ის გოგოც კარგი გულის გოგოა. მაგრამ იმასთან ბევრი ენები თამაშობს და შენ უნდა გაფთხილდე. ეგ ჭკვიანი გოგო არ დაკარგო ციგნის გოგოს გიორგიმ ფული კიდე აძლია. მაგრამ არ გამოართვა გიორგი სახლში მივიდა გულჩათხობილი და ამას ისიც დაემატა, რომ “ბუსუსი” ცისანა შინ არ დაუხვდა, ცოტახან ეზოში იმოძრავა, მის ლოდინში ხან რა გააკეთა და ხან რა, მაგრამ ცისანა რომ აღარ გამოჩნდა, მერე შევიდა სახლში და დარტს დანებდა, თავი მისცა, და უნდა ითქვას რომ გიორგის მოთმინებით მოლოდინის დროს ორჯერ თუ სამჯერ გადააჭარბა, გიორგი გულში თავისთვის გაიფიქრებდა ხოლმე ციგნის გოგომ მე რადაც მებოლიალა. მე სიმართლეთ რატომ უნდა მიიტინო იმან რა იცის ჩემი ოჯახის საშინაო საქმისა. რა ქნას გიორგი საცოდავი გულს იმაგრებდა. ხშირად ჩაიღაპარაკებდა არა,

არა. ჩემი ბუსუსი მე არ მიღალატებს, იცის, რომ მე ძალიან მიყვარს და მასაც უყვარვარ, მაგრამ ერთი კი უნდა ითქვას ჩვენში ჯერ ისევ ბავშური გატაცება უფრო არის, ამიტომ უფრო მოვლა უნდა მეტი უყრადღების მიქცევაა საჭირო მე ეჭვიანი არა ვარ, მაგრამ იმ ციგნის გოგომ საფიქრალი არ გამიჩინა? რა ვიცი იქნებ საჭიროც არის, რომ ვიყო ეჭვიანი, გიორგი ამ ფიქრებში იყო ბუსუსიმ რომ შემოალო კარები არ ეგონა თუ ახლა ასე ადრე გიორგი შინ დაუხვდებოდა და ამ ფიქრებით მოსულს სახეზე მოულოდნელობის ფერმა გადაჰქრა, სახე წითლათ გახურებული თონესავით უელავდა, მსხვილი შავი გოგრაბალის მარცვლებივთ თვალებში მხედველობის სინონიმები ანთებული სანთლებივთ ელავდნენ. მხოლოდ გულმკერდი ჰქონდა როგორც დილით ყოვლათ წმინდა მოკრიალებულ ცაზე მთვარის ნათება. თითქოს წამიერათ იყვნენ ენა დაბმულები და მხოლოდ ისე დუმდნენ მარტო ერთმანეთ პირისპირ უცქერდნენ. ბოლოს გიორგიმ ძლიერ ამოიდგა ენა.

სად ბრძანდებოდი ჩემი ბუსუსი? – ბუსუსი გამოუცდელი იყო და სხვა რომ ვერაფერი ვერ მოახერხა ისევ სიმართლე ამჯობინა, თუმცა ამ სიმართლეში ტყუილიც ბევრი ერია.

- აქ მეზობელთან ვიყავ.
- ვინ არის გენაცვალე შენი მეზობელი?
- სად ცხოვრობს?
- აი აქედან მისი სახლი ჩანს. მივიდა და ფანჯრიდან ხელის გაშვერით მიუთითა.

– მერე ის ქუჩა ხო ჩვენი ქუჩის პარალერულია, ქვევიდან მოუარე თუ აქედან ეზოებზე გადახვედი? გიორგი მიხვდა რომელ გოგოზეც იყო ლაპრაკი და უბრალოთ დაინტერესდა კიდეც, ბუსუსიმ მტყუანივით ჩაიცინა და თქვა.

– არა დედაჩემთან მივდიოდი და წინ შემომხვდა მთხოვა, მეხვენა ჩემთან წამოიდიო და მეც ხათრი არ გაუტეხე, არ ვაწყენინე.

- ჩვენი ერთმანეთთან წყენინებას იმას რომ ანყენინო არ ჯობია?
- არა მე ამხანაგთან მისვლას არ დაგიშლი თუ შენ ჩვენი ურთიერთ სიყვარულს გულში წმინდად შეინახავ. იქნებ სჯობდა ანგელოზო რომ შენ თავათ წამოეყვანა სახლში და ყავით შენ თავათ გამასპინძლებოდი გათხოვილია ის გოგო?

– არა.

- მითუმეტეს ის გასათხოვარია. შენ კი გათხოვილი, შენ პატრიონი გყავს, მეტი მოგეთხოვება, ბუსუსიმ თავი დამნაშავეთ ჩათვალა და მორცხვათ ჩაიცინა მის ხელს ჯერ კიდევ ეტყობოდა რომ საბედისნერო წაბიჯი არ ჰქონდა გადადგმული. მაგრამ იქ იმ ბოროტულ ენებს აყოლილ ცისანას მარცხიანი სიყვარული ისე თამამად ჰქონდა გამჯდარი რომ აი რა შეეკითხა.

- ამხანაგთან წასვლას ხომ ვერ დამიშლი?

- არა მე არ დაგიშლი, მაგრამ გათხოვილ გოგოსთვის არ არის დამატი აქა-იქ სიარული. ბუსუსიმ მორცხვათ ჩაიცინა და თქვა კარგი, ეს ერთი მაპატიე?
- ნაპატიები არა ხარ. ხო არ გეჩხუბები. მიდი ახლა ვაღშამი ვჭამოთ თუ გაქვს გამზადებული გააცხელე. ბუსუსიმ კერძი გააცხელა პური ჭამეს შემდეგ ტელეგადაცემას უყურეს. მერე გამლილ ლოგინმა მიიწვია და შეარიგათ. ხუმრობამ-მოფერებამ და სიყვარულმა ბოლოს ორივე ტკბილ ძილში ნაიყვანა. მეორე დღეს გიორგის დასვენების დღე პქონდა, შაბათ-კვირას ჩვეულებრივ ისვენებდა, ბაზარში ნავიდნენ ივაჭრეს ერთი-კვირის პროდუქტი მოიმარაგეს. შინ მოსულებმა ფოსტა გახსნეს და გაზეთებთან ერთად ნერილიც იყო, გელეჩასმიერ გამოგზავნილი, გახსნა ბუსუსიმ და კითხულობს, სალამი ძმაო სულზე უტკბესო გიორგი, არ დაივინყო რომ, ჩვენ ორივენი ობოლები ვართ, წუთისოფლისგან გარიყულები. ამავე დროს მოკითხვას უძღვნი შენ საყვარელ მეუღლეს ბუსუსის. სულით და გულით მინდა რომ თქვენ მაინც იყვნეთ კარგათ ჩემდა იმედათ, მე ერთი მარცხი განვიცადე ძმაო გიორგი და გთხოვ თუ შეგიძლიან დახმარება რომ გამინიო, დაახლოებით ორმოციათასი მანეთით, ვიცი ახალი ოჯახი გაქვს შენ თავათ გიჭირს, მაგრამ როგორმე უნდა მიშველო თუ არა და დაღუპულია ჩემი საქმე მეტს ვერაფერს გაიგებთ ჩემგან ალბათ ოდესმე შევცვდებით და მაშინ მოგიყვები. გიორგის ერთი გულიდან არ ამოსდის ის ერთი საფიქრალი მარჩიელმა რომ გაუჩინა თუმცა ხანდახან იტყვის ხოლმე მარჩიელს დაეჯერება რამეო, თუმცა ისიც იცის რომ ბუსუსიმ ფეხი აიდგა და ესეც არ სიამოვნებს, მე ადრეც ვთქვი-მოგახსენეთ, გიორგი ეჭვიანი ბიჭი არ არისმეთქი, მაგრამ აი ახლა ეჭვი ძალაუნებურათ გაუჩინდა. გიორგის გულს საფიქრელად ახალა ეს მეორე დაემატა ერთი კი თქვა ორმოციათასი მანეთი სად ვიშოვო, მაგრამ აგერ ახლა ბუსუსიმ შეახსენა.

- გიორგი ჩვენ აუცილებლათ უნდა დავეხმაროთ ამირანას.

- მითხარი ბუსუსი საიდან შევძლოთ ორმოციათასი მანეთის შეგროვება.

- შენი მოცემული როლი თუ გენანება, დედაჩემის ნაჩუქარი ბრილიანტის ბეჭედი დავაგირაოთ. თუ არ ეყოფა ისრაელიდან რო გამოგვატანეს ზოგიერთი მატერიაც დაუმატოთ. ამირანი თუ ძმათ მიგილია გაჭირვებიდან უნდა დავიხსნათ-გავანთავისუფლოთ

- ბუსუსი შენი გულკეთილობა მე მსიამონობს კარგი ხარ გიორგიმ შეაქმ გადაეხვია აკოცა და დაამატა ცისანა არ გენყინოს გუშინ-დელი ჩემი სახლში ნაადრევად მოსვლით და შენი შინ არ ყოფნით უკმაყოფილება რომ, გამოვხატე. ეჭვიანი არ ვიყავ და ახლა გამოჩინდა. კიდევ გიმეორებ თუ შენი კეთილშობილებით ჩვენი სიყვარული ბოლომდინ წმინდათ შეინახე მაშინ ორივე ბედნიერები ვიქნებით და

ჩვენ ბედნიერებას ავი თვალით ვერავინ შეხედავს. მართლაც ბუზუ  
სი წინადადებამ გასჭრა ბეჭედი დააგირავეს ფული ზოგიც ისესხეს  
გიორგიმ ბუსუსი დედამისთან დატოვა და თავათ ფოთში მეგობრის  
სანახავად წავიდა.

მატარებელი მიქრის და მიპყვება ასობით ადამიანის სიცოცხლე,  
გულები წმინდა. წმინდა, რომელიც მოკეთისთვის უკან არ დაიხევს  
და მზად არის დასახმარებლათ. არ აქვს მნიშვნელობა გაჭირვებაში  
მყოფი ძმა იქნება თუ ძმაკაცი მთავარია ის რომ ზოგჯერ ხელ-  
ში უვარდებათ ბოროტ სულებს კეთილმყოფელი და იღუპება სი-  
მართლისთვის. თუმცა ბოროტს რა გამოლევს, რომლებიც ხელს  
უშლიან ქვეყნის კეთილდღეობას, გიორგი ერთერთი კეთილთაგანია,  
რომელიც ძმაკაცის კეთილდღეობის ზრუნვა სისხლის ფასათაც რო  
დაუჯდეს თავს არ შეირცხვენს იგი მზად არის თავი სამსხვერპლოზე  
დადოს ვაი რომ წუთისოფელში კეთილის გულს ბოროტებაც თან  
დაზდევს რომ აცდუნოს სიავის გზაზე დააყენოს მატარებელი მგზა-  
ვრებით სავსეა და სამწუხაროა, რომ კეთილნი და ბოროტნი ერთად  
მგზავრობენ. რატომ უნდა იყოს ასე, როცა რომ მათშორის აზრთა  
სხვადა სხვაობა არის, ერთი ბოროტებას ებრძვიან და სიკეთე სი-  
ყვარულისკენ მიისწრაფიან. მეორენი კი ცდილობენ დათრგუნონ  
კეთილშობილნი და ჩაითრიონ თავიანთ წრეში, რათა გაამრავლონ  
წუთისოფელში თავისი მსგავსნი. მატარებელი ჩავიდა ფოთში ჩაიტა-  
ნა სიხარულიც და ბოროტებაც, მატარებელი დაიცალა მგზავრებით,  
მისახმარებლად დახვდნენ კეთილნი და ბოროტნიც. გიორგი მეგო-  
ბრის ამირანს სახლში ნერილში მოყვანილი მისამართით მიაკითხა,  
მაგრამ სახლის კარები დაკეტილი დაუხვდა, იფიქრა დიდხანს, მარ-  
ტობაში მყოფი გიორგიმ და სხვა საშუალება რომ ვერ გამონახა,  
უხერხულობა უკუ აგდო და ბოდიშის მოხდით მეზობელს მიაკითხა  
და შეეკითხა თქვენი მეზობელი ამირანის შესახებ ხომ არაფერი  
იცით? ან თქვენთვის გასაღები ხომ არ დაუტოვებია, მეზობელმა  
ტებილად გასცა პასუხი, მაგრამ მოკლედ. არა შვილო, ერთი კვირაა  
ამირანის სახლის კარი არ გაღებულა, ასე უმასპინძლოდ არის და-  
ტოვებული. გიორგი პორტში შევიდა და ბიძა მისი იკითხა, უპასუხეს  
რომ ბიძამისი შორეულ ნაოსნობაშია წასულიო. შებათის დღე ლონ-  
და საშინაო საქმეებში იყო გართული, მაგრამ გულისყური მაინც  
იქით ჰქონდა მიპყრობილი, სადაც ხეთა და ბუსუსი ნიძლავზე კარტს  
თამაშობდნენ. მეორე სართულის მყუდრო მოთავსებულ ადგილზე  
ნიძლავი თრივესთვის სახიფათოს ნარმოადგენდა. განსაკუთრებით  
ბუსუსისათვის. რომლის ქმარი ფოთშია წასული მეგობრის დასახ-  
მარებლად-უბსაკრულიდან გამოსაყვანად და მეგობარი კი შინ არ  
დაუხვდა. ვერსად მიაკვლია მისი კორდინატებს და სახლშიც ვერ და-  
ბრუნებულა. დაბრუნებაზე თავს იკავებს, ხანდისხან ლვართქაფივით

მოვარდნილი ფიქრი გულს ჩაეჭიდება ხოლმე იქნება უანდარშებს აყვანილიც ჰყავთ და ვინ იცის რა განსაცდელშია იქნებ შია, წყურია, ან გამოსატეხი ხერხემლით მოთელილია, წყალს ითხოვს და არავინ არის მიმწვდელი, გიორგი თუ გამოვიდა პირველი უსაშველობიდან ახლა მეორეში გადავარდება-ხოლმე ბუსუსზე ეჭვიანობას და ვაი რომ ურემი სანამ გადაბრუნდება სიმართლეს თვალები უხუჭია და აი ახლა განგებ თუ უვნებლივით ბუსუსი ნიძლავი წააგო. და ხეთამ ხელები რო ჩაშტიდა უადგილო ადგილას და დააცხრა ბაგეზე ერთი-ორჯერ კი და-იძახა მომქემარე ლონდა, მაგრამ სად არის ლონდა განგებ იმანაც ხელი შეუნყო და ხეთამაც ბუსუს სანამ მთლად არ გადარია აღარ მოეშვა, მერე ვნება დამცხრალი ცოტა გონზე რო მოვიდა იტირა, მაგრამ შერ-ცხვენილს პატიოსნებას დვითისშობელიც ვეღარ აღუდგენს.

- საღამოა, მზე დასალიერში მიისწრაფის თითქოს სხივები უკან რჩებიან, დარჩენა უნდათ. მაგრამ რა ქნან მზის გულს ხო ვერ მო-სწყდებიან. გიორგი ორი სხვადასხვა მიმართულების ფიქრებშია გახ-ვეული, მისჩერებია ზღვას, მის ტალღებს, თუ როგორ აგორდება-ხოლმე და თითქოს სხვის მუქარაში მყოფი უკან დახევის პროცესში ნამსხვრევებად როგორ იქცევა დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მოშეიძ-ულმა გიორგიმ გადაწყვიტა სასადილოში შესვლა მოითხოვა ხარჩი საღლანება, ერთი ლიმონათი. მიუვდა მაგიდას და გემრიელად შეექცეო-და. ამ დროს ბუფეტში მომუშავე მიუახლოვდა გიორგის და შეეკითხა.

- თქვენ რატომდაც არ მეცნობით. ალბათ აქაური არ ბრძანდებით?

- თქვენ რა სასადილოში ვინც შემოდის ყველას იცნოფთ?

- ნამდვილად ყველას.

- მე რატომ არ მიცნობ? გამოდის რომ შენ პურისჭამას მიშლი ხო?

- როგორ გეკადრებათ პური ჭამე. ჭამას ვინ დაგიშლის, მაგრამ მინდა რომ გაგიცნო.

- კი ბატონო, თუ ხელს გაძლევს ჩემი გაცნობა. გავიცნოთ ერთი მეორეს ჩამოართვეს ხელი და გვარი სახელიც აუწყეს.

- საიდან ბრძანდებით?

- თბილისიდან.

- აქ მუშაობა ხომ არ გინდათ დაინტერ?

- არა,

- მაშ რისთვის ჩამოსულხართ? თუ გავიცანით დავმეგობრდეთ, კიდეც ერთი მეორის საიდუმლოებაც უნდა ვიცოდეთ.

- რახან ასეთი ცნობისმოყვარე პყოფილხარ, გეტყვი მე აქ ერთი თბილისიდან გადმოსული ძმა კაცი მყავს, თუ არ ვცდები აქ გემზე მუშაობს.

- გიორგი, გემი რა სახელწოდებისაა?

- არ ვიცი, ვერ გეტყვი გემის სახელწოდებას, ძმა კაცის გვარსა და სახელს კი ამირან მუნიანელი.

## ძირითადი

— ასე მითხარ შე დალოცვილო. ამირანს ვინ არ იცნობს გელეჩა ხო? მაგას ძალიან ცუდი საქმე დაემართა, კაცი შემოაკვდა ტურისტი, მოგზაური.

— მერე რა მოხდა. თუ იცი რამე მითხარი. გიორგის თვალები გაუნათდა.

— რა გითხრა გიორგი, გელეჩა რომ ყოვლათ პატიოსანი და შრომის მოყვარე ეაცია, ეს ყველამ იცის, გემის ბოცმანათ მუშაობდა და პორტის ყველა თანამშრომლის ერთგულებას იმსახურებდა.

— საინტერესოა, ამირანს ეს ამბავი როგორ მოუხდა, დამნაშავესთან ვაშვაცობით თუ შემთხვევითობით.

— არ ვიცი გიორგი, ჩემგან მეტს ვერაფერს გაიგებ. მე მიგასწავლი მიღი ზარბაზანა იქითხე. პორტის გარე ზედამხედველია და იმას შეეკითხე ისინი გელეჩას უფრო კარგათ იცნობენ. უთხარი ძმაკაცი ვარ მისი-თქო. კარგი იქნება თუ ნერილი წამოლებული გაქვს ისიც ანახვე და ის ყველაფერს გეტყვის. თუ გული შეგტკივა იმ შენ ძმაკაცზე და დასახმარებლათ ფულის რაიმე სახსრები გაგაჩნია გთხოვ იმ ხალასი გულის ვაჟვაცს დაეხმარე. ამაგს არ დაგვიინყებს. თუ განთავისუფლდა იგი შეეცდება ერთი ათად გადაგიხადოს. არ დაგავიინყებს რომ ქართველები ვართ და წუთისოფელში სიცოცხლე ჩვენივე სამშობლოში ძვრიად გვიღირს. თუმცა დღეს დაგვიინებულია, შენ ახლა იმას ვერ ნახავ. ლამის გასათენებული თუ არა გაქვს მე აქ ახლოს ვცხოვრობ ამაღამ ჩემთან დაისვენე და დილაზე საუზიმის შემდეგ ნახავ.

— არა ელია სასტუმროში ნავალ და იქ გავათენებ.

— გიორგი რატო სასტუმროში და არა ჩემს სახლში? ჩემგან ხო არაფერ გეწყინა? ჩემ თავს მე ვალდებულად ვთვლი რომ გაგიმასპინძლდე ჯერ ერთი ქართველები ვართ. ქართველი დიდად განსხვავებულია ყველა სხვა ერისგან რუსთაველის ვეფხვისტყაოსნის იდეით, ვართ აღზრდილები. ქართველ კაცისთვის დიდი საგანძურია ჩვენ რომ ვიცით, სტუმარი ღვთისააო. და მეორე ის რომ, გელეჩა ჩემი ძმაკაცია შენ კიდევ მისი ძმაკაცი ხარ, ერთი და იგივია. ამაში არაფერი განსხვავება არ არის.

— შინ დაბრუნებულმა ბუსუსიმ ჯერ თავის საკუთარ სახლში გამოიტირა თავისი თავი და მერე დაბრუნდა მშობლებთან. ის ლამე სულ ხეთასთან გატარებული სასიამოვნო წუთების გახსენებით ფიქრებში გაატარა, ხანდისხან გიყივით იყო, როდესაც წამოუვლიდა პირველი სიყვარულის ტალღა და გულში უმაღვე შიშის გრძნობას უნერგავდა. ერთხელ ვნებებ დამცხრალმა ცისანამ ისიც კი თქვა მე იქ იმათთან ფეხს აღარ გავადგამო, მაგრამ რომ გათენდა და დილით საუზმე მიირთვა მერე დედას უთხრა ნავალ მე ჩემ სახლს მივხედამო. მართლაც ასე გააკეთა. ცოტახანს სახლში მიტრიალ-მოტრიალდა რამდენიმე ნაჭერი გამოცვლილი ჩასაცმელი გარეცხა



და მერე ნამოწვა, დასვენებას მისცა თავი. თითქოს ცოტა ჩათვლიში გადავარდა კიდეც, და რო გამოიღვიძა კვლავ აგორებულ ფიქრებში გადავარდა და წინა დღით განცდილი სიყვარულის უინმა ნამოუარა. ახალმა ვწებებმა პირველი სიყვარული ცისანამ გულში ლამის მთლად ჩაე-ლა, და ახალ სიყვარულისკენ მიისწრაფოდა. თუმცა იმ ლამეს არც გიორგი იყო მოსვენებული. მოუსვენარი ფიქრებმა გაიტაცა და თუ ჩაიძინებოდა სიზმარშიც უსიამონობას ანყდებოდა. იგი თითქოს ორ ზღვას შუა უფსერულზე იდგა და მის ჩასაყლაპად ორივე მხრიდან ზღვის გამძაფრებული ტალღები მისკენ მიისწრაფებოდნენ. დილ-ით ადრე ამდგარმა გიორგიმ პირი დაიბანა პირსანმენდით შეიმშ-რალა და მერე მასპინძელს გამოსამშვიდობებლად ეახლა, მაგრამ მასპინძლის დაუინებით თხოვნას გიორგი წინ ვერ აღუდგა და ელიამ სანამ არ აზაკუსკა არ გაუშვა. მერე კი თავად მიიყვანა ზარბაზანას-თან, გააცნო და უთხრა ეს კაცი, გელეჩის ძმაკაცია, თბილისიდან ჩამოსული მისი კეთილდღეობისათვის ზრუნავს და შენ კარგად იცი გელეჩის მეგობრისითვის რა კაციც არის და მისი მეგობარიც დღეს ჩემი სტუმარია ესე იგი ეს იმაზე მეტი თუ არა, არც ნაკლები გუ-ლის კაცია და თუ რაიმე შესაძლებლობა გაგაჩნია უნდა მოეხმარო. გიორგის არ დამშვიდობებია, მხოლოდ უთხრა ისე არ ნახვიდე რომ არ მნახო, დანარჩენ ჩემგან დავალებით ეს კაცი მოგხედავს ყურ-ადლებას მოგაგქცევს. დაცილებისას ელიამ კიდევ შეახსენა საქმის ვითარება როგორ იქნება გამაგებინე:

— ახლა მე რა გითხრა გიორგი, თავათ გელეჩიმ რაც მითხრა იმაზე მეტს მე ვერ გეტყვი, აქედან ერთი კვირის გასული იყო ის გემი რომელზედაც გელეჩია ბოცმანათ მუშაობდა და თევზის რენ-ვას ანარმობდნენ იტალიის საზღვაო პორტის მისადგომებთან დას-ვენების დღეებში ჩვენი გემიდან ექვსი კაცი გადასულან იტალიის ერთერთ პატარა საზღვაო საკურორტო ქალაქში და იქ სანაპირო ბულვარიდის ბაღში შესულან პურის საჭმელად და იქვე მაგათი სუ-ფრის მახლობლად მაგიდასთან ჭაბუკ გადაცდენილი ქალი და კაცი ისინიც პურს ჭამდნენ. გიორგი რაღა გესწავლება ქართველი კაცის თავისგამოდება, ჯენტლემენობა, მათვის გაუგზავნიათ კონიაკი იმათაც რო შეხედეს ამ ჩვენ ქართველებს ეროვნული ეშნით სვავდ-ნენ და თან მღეროდნენ მათაც მხარი აუბეს ცლიდნენ პირამდი კო-ნიაკით გალიციულიცებულ ჭიქებს ორივეს გამოუცლიათ ეს ერთი 600 გრამიანი შუბა კონიაკი და დამთვრალან და ქმარს მერე გახსენებია ქველი ამ ქალის მიერ ჩადენილი ცოდვები და ცოლქმარს მოსვლიათ ჩჩუბი არ ვიცი ის ნვერიანი დანა თავათ ქმარს ქონდა ჯიბეში თუ სასადილოსი იყო სუფრაზე საიდან გაჩნდა. ქმარმა დაავლო ხელი და უნდა რომ თავის ცოლს დაარტყას, შენიშნა გელეჩიმ და უმაღვე იქ გაჩნდა. ქმარს შემართული კლავზე ხელი რომ ვერ უტაცა სახეში

ერთი სილა გაარტყა, ჩემ მტერს მოხვდა გელეჩას მკლავი, ხო იცი რა ლონიერია. გარტყმისთანავე კაცი დავარდა თავის შემართულ დანაზე მკერდით დაეგო დაჭრილი მოათავსეს სავადმყოფოში და ორ დღის შემდეგ გარდაიცვალა.

— საინტერესოა რა ჰქონდა დაზიანებული?

— ფილტვის მხარეს გაუვლია და გულში ორი სანტიმეტრით იყო შესული

— საიდან იყვნენ ჩამოსულები?

— შოტლანდიიდან.

— რა თქვა გელეჩამ, ჩივის ცოლი?

— არ ვიცი, ახლა იმიტომ არის შოტლანდიაში წასული.

— მე მგონი დახვრეტას არ მისცემენ? შეეკითხა გიორგი,

— დახვრეტას არა, მაგრამ ციხეს ვერ გადაურჩება. ახლა ჩვენ არ ვიცით იტალიის კანონები რას ითვალისწინებს. დაბრუნდა იქიდან გიორგი და მივიდა ბუფეტში ელიასთან. უამბო ყველაფერი და ისიც უთხრა, რომ ზარბაზანას მხრიდან კმაყოფილი დარჩა ამ ცნობებით. ფული ორმოციათასი მანეთი გადასაცემად ელიას დაუტოვა და თავად თბილიში დაბრუნდა. შინ მივიდა ნახა რომ სახლი დაკეტილია. გახსნა არ უცდია პირდაპირ გაბრუნდა, იფიქრა ცისანა ალბათ თავის მშობლებთან იქნებაო. მივიდა დიდი სიხარულით, მაგრამ არც იქ არ დაუხვდა. სიყვარულის, სიხარული, შეცვალა, ავმა იქიქრებმა.

— დედა ბუსუსი სად არის? მიმართა გიორგიმ სიდედრს.

— შენთან სახლში წამოვიდა, ასე თქვა იქ ვიქნებიო შეილო.

— მე პირველად იქ მივედი და რომ არ დამიხვდა მერე აქ წამოვედი.

— შეიძლება ბაზარში წავიდა სასყიდლებზე. ორი საათით შეყოვნდა და ბუსუსი რომ არ მოვიდა გიორგი მერე წავიდა თავის სახლში, მაგრამ კვლავ დაკეტილი დაუხვდა, წავიდა იქიდან ეკლესიაში და კეთილშობილმა გიორგიმ სანთლები დაანთო და მუხლის მოყრით ეხვეწებოდა ღმერთო მე ჩემი ბუსუსი უცოდველი დამიბრუნეო. დაბრუნდა ისევ სიდედრთან და ორი დღის წინ ბუსუსიმ ნათქვამი საიდუმლოება გაანდო დედამისთან, ამ დროს ავთოც მოვიდა მამა ცისანასი და გიორგიმ მას უთხრა ხეთი საათია აგერველოდები და ბუსუსი არსად არა ჩანსო. მაშინ ორივე დედაც და მამაც წავიდნენ სიძის მითითებულ მეზობელთან. ნახეს რომ ბუსუსი იქ იყო. მაგრამ ცისანამ მშობლებს გიორგისთან დაბრუნებაზე უარი უთხრა მე გიორგი არ მიყვარს მე იმას ხეთა მირჩევნიან აგერ აქ თავს უკეთესად ვგრძნობ მშობლებმა ცისანა ძლიერს თხოვნით შინ წამოიყვანეს, მაგრამ შერიგება რომ არ მოხერხდა სიმარმა სიძეს უთხრა შეილო გოგო მე პატიოსანი ჩაგაბარე და შენ ვერ მოუარეო აგერ ცალკე ოთახში შედით და ილაპარაკეთ იქნებ შერიგდეთ და თუ ვერ შერიგდით მე კაცი ვარ და ქვეყანაზე თავლაფ დასხმული არ გავივლი ან

ჩემი ხელით სული უნდა ამოვხადო ან არა და აქ ჩემ ეზო-ყურეში და გელარ გაივლის დედამისი ზის გამოკეტილ ოთახში და ტირილით თავს იკლავს. გიორგი დაბრუნდა თავის გამოკეტილ სახლში გახსნა კარები შევიდა მაგიდაზე ნახა ბუსუსის მიერ დატოვილი წერილი. აიღო და კითხულობს შეიძობით გიორგი მე შენ მიყვარდა და მი-ყვარხარ კვლავაც ძალიან იმიტომ რომ კარგი კაცი ხარ, იმიტომ რომ თანამედროვე ცივილიზირებული წუთისოფელში ღმერთის მიერ რაც არის ადამიანური სიცოცხლეში, ცხოვრებაში, ეს ყველაფერი შენმია. კარგი ხარ მეძნელება შენი დატოვება, მაგრამ თურმე კარგებს ამ ქვეყნად მტერი ბევრი ჰყოლია, მეცოდები, მაგრამ რას იზამ ბედს უნდა დამორჩილდე. შენ შეიძლება მაპატიო კიდეც ეს ერთი შეც-დომა, მაგრამ მე არ მძალულ წმინდაზე წმინდანს მე პირშავმა თვა-ლებში გიცეირო. ჩემი ბრალია მე მივენდე სხვას. მაგრამ იმ სხვამ მე არ დამინდო და რაკი შევცდი და ეშმაკი შევისვი მხრებზე სიცოცხლის მთელი გზა ასე უნდა ვატარო. მშეიძობით, მაპატიო, რომ ბედნიერება მწუხარებით შეგიცვალე. ერთს კი გეტყვი კარგი იქნებოდა მეც თან წაგეყვანე. არ იფიქრო რომ თავიდან ცოდვას ვიხსნიდე არა, მაგრამ ამ საბედისნერო თამაშს ავცდებოდი. გიორგიმ დაასრულა წერილის წაკითხვა დაჯდა და ქალივით ცხარე ცრემლით ტირილი დაიწყო. ამ დროს კარების ზარი ანკრიალდა ადგა გიორგიმ ცრემლები მოინმინდა და კარები მერე გახსნა ფოსტალიონმა ტელეგრამა მოუტანა, გოგა იტყობინება ტელეგრამას ნინასნარ გიგზავნი რომ მოემზადეთ და მოსაწვევის მიღებისთანავე შენ და შენი მეუღლე სასწრაფოდ ჩამოხ-ვიდეთ ისრაელში. ჩვენ დაგვხვდებით ტელავივის პაეროვაგზალზე მოსაწვევის გამოგზავნის მესამე დღეს. გიორგის ჯერ ისედაც გაბზა-რული გულს ტელეგრამის მიღების გამო ბზარები უფრო მოემატა რადგან ძმად შეზრდილი გოგა ჩასვლას მეუღლეთი ითხოვს. დიდი ყოფილი სემდეგ წავიდა სამსახურში განცხადება დაწერა და შვებ-ულება აიღო გიორგიმ ვიზის მიღებისთანავე მეუღლით შერცხვენილი ისრაელში ცალად გაფრინდა. მეორე დღეს დილით გოგა და გიორ-გი თოთხმეტ დღიანი საგზურით ტელავივიდან ნიუორქს გაფრინდ-ნენ. ერთ დღეს სამსახურიდან წაადრევათ დაბრუნებულმა გაბომ და მალქამ ერთად ისადილეს და დანაყრებულნი ისვნებდნენ თავიანთ საძინებელ ოთახში მალქამ წამოიწყო.

— საწყალი ჩვენი გაზდილი შვილობილი გიორგი როგორ დაგვეჩავრა ბედი არ წყალობს თუ რაშია საქმე გაბო იქნებ შენ ახსნა.

— რა უნდა ვთქვა მალქა, ღმერთია მონამე, რომ ჩვენი გიორგი საკუთარი შვილისგან არ გაგვინსხვავებია.

— კიო, მართალია არ გაგვისხვავებია, მაგრამ მე აზრი დამებადა ბიჭი ხომ არ ტყუის?

— რას ამბობ ქალო. გაბომ ცოტა ხმამალლა უთხრა.

— აბა რომ ორიდან არც ერთი არ დაფეხმდიმდა?

— კიდევ შენსას იმეორებ, ქალი არა ხარ? ეგ ამბავი ჩემზე უკეთესად შენ უნდა იცოდე, რომ ზოგი ქალი გვიან ფეხმდიმდება. რა თქმა უნდა ბიჭიეც არი, მაგრამ ქალის ჯამთელობაზე დიდათ არის დამოკიდებული.

— რა ვიცი დაგვეჩაგრა კი და ღმერთო ნუ შეგვცოდავ კეთილად შეარგვ ჩვენი ამაგი. ისე ცოტა ამაყი კი არის.

— მალეა მაგაში გეთანხმები ქართველია და ამაყი უნდა იყოს, მაგათი გენი ასეთია, მაგრამ ამ სიამაყესთან ერთად გიორგის უდიდესი კეთილშობილებაც რომ დაზდევს, ნამეტანავად ქალების მიმართ, რაინდია, ჯენტლემენია. მხოლოდ კარგი გაგებით.

— მე მინდა რომ, ჩემი ამაგი სრულყოფილად დაფასდეს და როგორც ჩემი გოგასგან ველოდები, ისე გიორგის შვილიც გაგორებული იყოს ჩემ კალათაში. გაბო შენგან მსმენია, გაბოს ბიჭი რო შეეძინა რაფიელმა მთელი თავისი ამხანაგებით ხუთი დღე გვაქეიფაო.

— არა. მე მითხრა ბედი არა მაქვს და ქალების ცოდვას აღარ დავიდებო. გაბო შენ განმიმარტე რას ნიშნავს ეს.

— რო ჩამოვლენ ამ საკითხზე ჩემ ბიჭა ვკითხამ და გიორგისაც მოველაპარაკები.

— გოგა და გიორგი ამერიკიდან რომ დაბრუნდნენ ტელავიოს ჰაერო ვაგზალზე გაბო მანქანით დახვდათ და ორივე სახლში რომ მიიყვანა უმაღლეს სუფრა გააწყვეს და უნდა ითქვას, რომ ეს საგანგებო პურის ჭამა იყო. მალეა და გაბო ცალცალკე ეკითხებოდნენ, თუ მათზე მოგზაურობამ რა შთაბეჭდილება დატოვა. გიორგიმ თქვა, როგორც ასეთი მოგზაურობა კარგია, მონონებაზე თუ მკითხავთ, ცხოვრების დონე მაღალია, ნაგებობები გრანდიოზულია, მაგრამ მიგ ცივი და მოუკარებელი გულებია, უნდა ითქვას, რომ სადაც ეროვნული სული არ ტრიალებს ცივი ქალებია, ამათგან საქართველო სულ სხვა არის, ერთი სიტყვით, რაც არის, მე ჩემი საქართველო ყველას მირჩევნია.

— მართალი ხარ გიორგი. ქართველი კაცი ხარ და გულიც ქართული გაქვს. მამისგან სიამაყე მოგდგავს, მაგრამ შენი გულკეთილობას ვერ დარჩიდილავს.

— ეს არ არის გასაკვირი გაბო ძია, შვილი ან დედას უნდა გავდეს ან მამას და ჩემი ბედის უკულმართობა ვის დავაბრალო. ცოლი ვერ დავიმკვიდრე, სამშობლოს ჩემი გვარის შვილები რომ არ დაუუტოვო. სამშობლოს ჭირში და ლენიში მხარში რომ არ ამოსდგომოდნენ დღეს საქართველო არ იქნებოდა.

— შენ ძმა რა გულ გატეხილი ლაპარაკობ ოთხმოცი წლისა ხომ არა ხარ? გოგამ წყრომით მიაძახა.

— გიორგი, გოგა სწორეს გეუბნება, ნინ გასაკლელი მთელი სიცოცხლე გაქვს და შენი სიცოცხლე კიდევ სიცვარულმა უნდა დაატკბოს.



— მართალი ხარ ზილფა, მაგრამ ღმერთი რომ არ მწყალობს? ვინდებული შედებითი

— შენი მოქმედებით ღმერთს ისე უნდა დაუყენო საქმე რომ შენ-სკენ პირი იბრუნოს.

— ესე რომ ისევ მე გამოვედი მტყუანი ხო.

— მაშ ღმერთს ხომ არ გავამტყუნებთ.

— ისრაელიდან დაბრუნებული გიორგი, თუმცა შეებულებაში იყო მაგრამ მაინც გაისეირნა სამსახურისკენ. შევიდა წარმოების დირექტორთან, მოკითხა უამბო ზოგირამ შთაბეჭდილება ამერიკაში მოგზაურობაზე, შემდეგ დირექტორმა უთხრა.

— გიორგი, ბანკის მართველის თანამდებობის კანდიდატურაზე კონკურსია გამოცხადებული დრო კი კონკურსამდე თვენახევარია დარჩენილი. შენ რო შეიტანო საბუთები და სცადო იქნება გაგიმართლოს. გიორგიმ უიმედოთ ჩაილიმილა და მერე გასცა პასუხი.

— მე მაგის ბედი ვინ მომცა? სად მაქვს მე მაგთვენი გამოცდილება.

— რაც მთავარია უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი წარჩინებით გაქვს დამთავრებული და ეს კი დიდრამეს ნიშნავს.

— არა, მე მაგის ბედი არ მაქვს.

— მე გითხარი და შენ თუ ბედსა ცდი კარგი იქნება შეიძლება გაგიმართლოს ხო იცი ნათევამია „ცდა ბედის მონახევრიაო“. თუ გაგიმართლა დაგამაღარიჩებთ და თუ არ გაგიმართლა, საყვედლურს მაინც არავინ გეტყვის. ისრაელიდან დაბრუნებული გიორგი მეორე დღეს ეკლესიაში შევიდა სანთლები დაანთო და ლოცვა აღაულინა. სამშობლოს ღვთაებრივი ენით მოთელი სასულიერო სახარება სულ აამდერა და ბედი კი არა. ლამის ხევნნა მუდარით ღმერთი ძირს ჩამოილო, ლოცვის შემდეგ მამაოს მოუტრიალდა, ხელის ზურგზე აკოცა და მერე ხალხს დაუწყო თვალიერება. ეკლესია მრევლით სავსე იყო და მათშორის უმეტესი ახალგაზრდობა. კანდელს, სანთელზე სანთელი ემატებოდა და ქრისტეს საკურთხეველთან კი ქალთა ანგელოზებს, ანგელოზები ენაცვლებოდნენ. გიორგის მინავლული გული მათმა სილამაზემ კვლავ აანთო და ვნებებმა ქალთან ალერსი მოაწყურა. შემოსასვლელ კარებში შენიშნა ბუსუსი და ხეთა ქმარი მისი და მული ლონდა. ბუსუსი ახალ კაბაში გამოწყობილს, ყელზე ძვირფასი მძიე რამდენიმე სექციათ შემოხვეული მკლავზე უძირფასესი ბრასლენტი და საათი ეკეთა. სახით თუ ტან-ფეხით შემკბილ ანგელოზს გავდა ლონდა ცისანაზე უფრო მდიდრული მეტი მშვენიერებით გამოიჩინიდა გიორგიმ თვალი შეავლო ხეთას და მერე გულამლვრეული გარეთ გავიდა გიორგის მღიმარე სახე შესამჩნევად მოემრუშა. ეს ამბავი ცნობის მოყვარე ეკლესის მსახურ ქალსაც არ გამოეპარა გიორგის მიუახლოვდა და უთხრა.

— მეცოდები შეილო, ძალიან მეცოდები. მაგ უნამუსომ ცოლი

როგორ წაგართვა, ან გოგოს თვალები არ ჰქონდა? როგორ გაგცე-  
ალა დედა-შვილობას გეფიცები გულახდილათ მითხარ ხელი ხომ არ  
დააკელი, ისე კი უნდა გითხრა ეგ მამაძალი როგორი თვალიანია.

— არა დეიდა, ჩემი მომდურავი არასოდეს ყოფილა. მაგრამ ენით  
არის გადარეული, ღმერთმა ბედნიერად ამყოფოს.

— ვახ შვილო, რა კეთილი ხარ, როგორ გაგამნარა და მაინც ბედ-  
ნიერებას უსურვებ.

— მაშ რა ვქნა დეიდა უბედური ჩემი თავიც მეყოფა და არ ჯობია,  
რომ ჩემ გულს სადარდებლათ სხვისი უბედურებაც არ დაემატოს

— ფუჭ შევარცხინე მაგისი ქალობა. რა კარგი ბიჭი ყოფილხარ.  
სხვა ასე არ იმსჯელებს, არაუშავრა გული არ გაიტეხო შვილო გოგო  
გიძოვო ისეთი, რომ, შენ თავს დანატროდე, გიორგიმ ჩაილიმილა.

— აბა შენ იცი ღმერთმა არ მომიშალოს დეიდა შენი იმედი.

— გიორგი სოფლელი გოგო რო იყოს რას იტყვი?

— წყალნაღებული ნუ იქნება დეიდა და დანარჩენი მე ვიცი.

— ხვალ მნახე შვილო!

— აქ შევხვდეთ დეიდა.

— სანამდის პირში სული გვიდგას დროს უნდა მივყვეთ,  
სიცოცხლე გვაქვს და ნუთისოფელს ვერ გავექცევით,  
ქართველიბი ვართ სამშობლოში სულ ერთად ვიყვნეთ  
ცოდვას ნუ ვიზავთ, ყველას შემხედვარე ზევით ღმერთია.

— მოიცა შვილო, ერთი კიდევ უნდა გითხრა, შენ რო ცოლი  
წაგართვა იმისი და რომ შენ შეირთო.

— არა დეიდა, არ მინდა, ჯერ ერთი რო არ წამომყვება და მეო-  
რეც ის რომ ლხინი იქნება თუ ჭირი სუფრა გაშლილი ერთად ხო  
გვექნება პურის ჭამა, მერე მე შერცხვენილი იმათთან ძღავჯდე?

— შენ კი არა იმათ უნდა რცხვენოდეთ.

— მე ჩემი აზროვნება ასე მკარნახობს. იმათ რაც უნდათ ის ქნან.

— კარგი შვილო, კარგი ნუ გამიბრაზდები. მე ისე გითხარი კარგი  
გოგოა-მეტქი.

— კარგი გოგო რო არის დიდი ხანია ვიცი, ადრე უფრო კარგი იყო  
სანამ ან უსინდისობას ჩაიდენდნენ. გიორგიმ თქვა და დასცილდა  
დედაბერის. წავიდა თავისი გაციებულ ბინაში. ტახტზე მწოლიარე  
გიორგი სიავის ფიქრებში გაეხვია. დიდხან დუმდა, აგონდებოდა სი-  
ყვარულით განვლილი ბედნიერი დღეები. იმ დღისით მზისით როცა  
რომ ცა დედამინაზე ყოველივე სულიერისთვის სიკეთეს აფრქვევს.  
რა თქმ., უნდა გიორგისთვის უსიხარულოა დღეც და ღამეც. მისთ-  
ვის უფრო უძილო-სევდიანი იქნება. ზოგი მის ადგილზე ცოლის  
წართმევას არაფრად მიიჩნევდა, ზოგიც შეიძლება ბოროტების კარ-  
ზე იარაღით მისულიყო და საქმე მკვლელობამდინ მიეყვანა. ამას კი  
გიორგი არ იზამს, არ იზამს იმიტომ რომ შეგნებულია. კარგიც იცის

და ავიც. დროს შერჩევა უნდა.

— გათხოდა ღამე და მაწუხარებული, სევდიანი, ფიქრით სავსე. შედარებით სხვა განვლილი ღამეებთან. მზემ დილიდანვე მაქსიმუმი ძალა გამოავლინა. გიორგი იმ ბრწყინვალე დღით მოხიბლულია სამსახურიდან რომ დაპრუნდა გაიფიქრა, ასე ნაადრევად შინ მისულმა მარტოობით რა უნდა გავაკეთო, სჯობია ეკლესიაში შევიდე სანთელი დავანთო ასე დროსაც მოვკლამ და გულსაც გადავაყოლებ. და რაც მთავარია ღმერთიც მაღლობელი დამრჩება გიორგი გზად მიმავალი გოგოებს წამოენია და გაძედულად გადაულაპარაკა.

— ქალიშვილები თქვენ ეკლესიაში მობრძანდებით?

— დიახ იქ მოვბრძანდებით — შეათვალიერა გიორგიმ, თუმცა ორივე ერთიმეორებზე უკეთესი იყვნენ, შეხედულებით რომელიც უფრო თვალში მოსახვედრი იყო გიორგის უფრო მისკენ ჰქონდა გულისყური მიპყრობილი.

— თქვენ ალბათ სანთლებს დაანთებთ და ღმერთს უნდა შესთხოვთ რომ კარგი ბედი შეგახვედროთ ხომ?

— არა ჩვენ უშუალოდ ღმერთის წინაშე მოვალენი ვართ, შევიაროთ სურვილისამებრ სანთელები დაუნთოთ და ვილოცოთ. ჩვენი კეთილდღეობისათვის.

— ესე იგი ღმერთიდან შველას ითხოვთ?

— რა თქმა უნდა. მისგან კეთილ მოწყალებას მოველით, მეორემ დაამატა.

— თქვენ ღმერთთან ბედის მაძიებლათ ხომ არ მიბძანდებით? აბაროტი გაუკეთა პირველმა.

— გაჩერდი გოგო, ამას ახლა ორი შვილი ეყოლება. გიორგის ეს სიტყვები გულში მახვილათ მოხვდა. თუმცა მათ შესამჩნევად არაფრი გამოუმჯდავნებია. ასეთი საუბრით მივიდნენ ეკლესიაში და ლია კარებში ლოცვით შევიდნენ. გიორგიმ სანთლების დანთება დაწყობო გვერდიდან ნაცნობი დედაკაცის ხმა შემოესმა. მიხედა და თვალინი გაუჩინარდა ეკლესის მსახური შუამავალი.

— შვილო გიორგი, აგერ კედლისმხარეზე გოგო რო დგას. ის არის შენ რო გითხარი შეათვალიერე. მე მგონი ვერ დაინუნებ, მე შეგნიშნეთ მგონი იმათთან ერთად მოხვედით, იქნებ გაიცანი კიდეც.

— არა დეიდა სახელი არ ვიცი, როგორც უცნობებს ისე გვეკონდა საუბარი.

— თვალათ რომელი მოგეწონა?

— ორივე კარგები არიან მაგრამ უფრო შენი შერჩეული სჯობია დეიდა,

— ხო შვილო, მე მშობლებს ველაპარაკე.

— დეიდა, გონი ისე შემაქე მაგის მშობლებს რომ არ დავენახო იქნება ის აჯობებს.

- არა შვილო გიორგი, შეგაქე რა თქმა უნდა, გარეგნულად თავად დაგინახეს. მაგრამ ასე უცებ შენი შინაგანი ბუნებას როგორ გაიგებენ. რა სულის პატრონი ხარ გულახდილათ უნდა გითხრა დღეისთვის დავისირდი ბიჭს მოვიყვან და მოვალთქო. მშობლებმა ასე თქვეს შვილო მთავარია ბიჭი მოგვეწონოს დანარჩენში გეთანხმებით. მე მეონი თანხმობა უნდა მოხდეს თუ ისევ ბედმა არ გიმუხთლა.

- ახლა რომ მზად არა ვარ დეიდა?

- ხელს რა გიშლის შვილო?

- ხო უნდა მოვემზადო. რომ მეც იმათი თვალში სათვალთვალო იყო. ხომ იცი ისედაც ბედი არ მწყალობს.

- არა შვილო, ღმერთს ნუ აწყენინებ, მთავარია შენ უფალთან მართალი იყო. ის მოწყალებას არ დაგიკარგავს, ბედს რაც შეეხება იგი შენ უნდა გამოძებნო. ღმერთმა სული იმიტომ ჩაგიდგა, რომ სულს სული უნდა მიუმატო. საიქიოში რომ ნახვალ, იქ ღმერთის წინაშე სიკეთითა და სიმართლით უნდა ნარსდგე. მე კი ცველაფერს ვიღონებ, რომ შენი უიმედობის გზაზე დამდგარის გული შემოვაბრუნო და კეთილი გზაზე დავაყენო. შვილო მე გირჩევ კარგი გოგოა და დავეშუროთ. დღეს თუ არა ხვალ შეიძლება გვიანი იყოს. კარგს რამდენადაც მოყვარე ჰყავს, მტერიც მეტი ჰყავს.

- კარგი დეიდა თანახმა ვარ ნავიდეთ. ამ დროს მზე დიდი დღის გასავლელი გზის უმაღლეს ნერტილზე იყო და წუთისოფლის ყველა კუნძულს ნათლათ ხედავდა. ზარები რეკავდნენ ერთი-მეორეს შენაცვლებით ეკლესიისკენ ხალხს მოუხმობდნენ და ხალხიც შეუყოვნებლივ მიიჩიქაროდა. რათა ანთებულ სანთელზე ლოცვა-კურთხევით ღმერთის წინაშე სიმართლე და ბედნიერება მოეპოვებინათ. ეკლესია სავსე იყო მრევლით და იქ ერთ მხარეზე საეკლესიო ანსამბლი საგალობელ სიმღერებს ასრულებდნენ ღვდელი მამაო, შუაზე ჩამდგარი ხალხს რიგ-რიგობით აზიარებდა.

- ჩემი მძახალო აგერ ბიჭი მოგიყვანეთ თქვენ რომ ასე დიდათ იყავით სასიძოს ნახვით დაინტერესებული, გულით მდიდარი ბიჭია. შესახედათ მშვენიერი, კოჭლი არ არის და არც ბრუციანი. ორივე ერთი მეორეს შესაფერისები არიან და ღმერთმა ბედნიერათ ამყოფოთ, სიკეთით გაევლოთ წუთისოფელის ცხოვრების ვრცელი გზა და ღვთისმშობელმა მიაგებოთ წყვილ-წყვილი შვილი, საქართველოს საკეთილდღეოდ, ქალნი ლამაზნი, თამარისულნი ვაჟნი ლომგულნი დავითისანი, ღმერთი იყოს მათი მფარველი, ამინ. დეიდამ პირვევარი დაინწერა და თქვა თუ ნებას დამრთავთ გიორგის და მარიამს ორივეს ჩემი ლოცვა-კურთხევით ვაზიარებ. ქალიშვილის მშობლებმა ცივი უარით გამოხატეს თავიანთი შთაბეჭდილება.

- არა გენაცვალე, გოგოს ვერ არ გავათხოვებთ

- რატომ ამბობთ უარს, ბიჭი არ მოგეწონათ?

- არა ბიჭს არ ვიწუნებთ.
- მაშ რა არის მიზეზი, ჩვენ ხომ შევთანხმდით. თუ ბიჭი მოგენონებოდათ თქვენს ქალიშვილს მაშინ მიათხოვებდით.
- კი გვინდოდა გოგოს გათხოვება, მაგრამ გადავიტიქრეთ აღარ ვათხოვებთ.
- რატომ გადაიტიქრეთ, მიზეზი რა არის? ახლა ქალიშვილის მამამ დაინყო.
- მიზეზი ის არის, რომ ბავშვს სწავლის გაგრძელება უნდა. გიორგი ადგა და თქვა
  - ესე იგი თქვენ ამბობთ რომ თქვენ ქალიშვილს არ გაათხოვებთ
  - ამ უამად არა და მერე სხვა მთხოვნელი თუ გამოჩნდება გა-ვათხოვებთ
  - მაშ რას ვიზამთ,
  - დეიდა წავიდეთ,
  - მოიცა შვილო ნუ ჩქარობ. გიორგი თუ გასვლა გინდა გადი გარეთ იქ მომიცადე. ქალბატონო მარგალიტა გიორგისთან რა-ტომ გამანბილეთ, ძლიერს დავითანხმე და წამოვიყვანე. ადრე რო ვილაპარაკეთ დიდად აღფრთოვანებული იყავით, ახლა რა მოგივი-დათ, რა დაგემართათ? ბიჭი თუ არ მოგენონა ის ხო გარეთ გავიდა, აქ არ არის და მიზეზი მე მითხარით. რატომ არ გინდათ რო გაათხო-ვოთ თუ ისეთი მიზეზი აქვს რომ არ შეიძლება მაგის გათხოვება მასეთი გოგო არც ჩვენ გვინდა.
  - არა მძახალო მიზეზი რაც გითხარით ის არის,
  - თუ მაგის მეტი მიზეზი არ არის გოგო რომ დავითანხმოთ?
  - ხნიერი ქალი ბრძანდებით და უკადრისი სიტყვა როგორ გაკადროთ, ხომ გითხარით რომ გოგოს ჯერ არ გავათხოვებთ-მეთქი. გულმოსულმა დეიდამ დამშვიდობების მაგიერ ერთი კი უთხრა. თქვენი სიმართლით ბძანდებოდეთონ და გამოვიდა კარში.
  - შვილო გიორგი, გული ნუ მოგივა, მე მაგათან შართალი ვარ. არ უნდათ რომ შვილი გააბედნიერონ დაცინვისა და მხრების მერყე-ობით თქვა მაგათ გონიათ ხვალ და ზეგ სხვებიც მიუვლენ გოგოს სათხოვნელად.
  - ასე რატომ ამბობ დეიდა, კარგი გოგოა და მთხოვნელი არ დაელევა.
  - არა შვილო, აჯამები არიან, მაგათ არ იციან. რომ ერთ ბიჭზე შვიდი გოგო მოდის და ახლა მგონი კიდევ უფრო საქართველოში მეტი გოგო იძადება. გიორგიმ და მოხსუცმა დეიდამ ჩამოათავეს კიბე და გზაზე გამოვიდნენ და წინ შეეხებათ სახში მარტოდ მიმავალი ის გოგო, რომლის სათხოვნელათაც შინ მისულნი იყვნენ. მოხუცებული დეიდა მიეგება და შეეკითხა.
  - ეკლესიიდან ახლა მოდიხარ შვილო?

— ხომ დეიდა, თქვა და ბავშვია ჩაიცინა, მის გალიმებით გიორგი გიმაც გაიღიმა, მოხიბლა ქალიშვილმა სახეზე შეხამებულმა ლიმილმა და ლიმილით ქალმონატრებულ გიორგის გული გაუცოცხლდა. ხანძი შესულმა დეიდამ გოგო დაიმარტოხელავა და მოურიდებლად შეეკითხა.

— შვილო ერთი კარგი საქმრო რომ აგიჩინო ხომ გათხოვდები?

— დეიდა მაგას კითხვა უნდა ქალი გათხოვებისაა და ბიჭი დაქორწინებისა. ლმერთმა დაიფაროს ერთიც და მეორეც უძიროდ უოჯახოდ დაბერებიდან. თუ ჩემი ბედნიერება გინდა დეიდა მითხარი შენი შვილია თუ სხვა ვინმე გადამთიელი.

— არა შვილო აქ თბილიში ცხოვრობს. თუ თანახმა იქნები ახლავე გაგაცნობ შვილო გიორგი მოდი გაიცანი, ეს ქალიშვილი და დანარჩენი იცით თუ გააღვივებთ სიყვარულს ლმერთმა ხელი მოგიმართოთ. მე კი ჩემი გზით წავალ. შვილო. გიორგიმ გოგო შეათვარიელა. იცნო და ჩაცინვით უთხრა.

— ჩვენ ხომ ერთად შევხვდით თუ გახსოვს ნინა პარასკებს ეკლესიაში რომ მივდიოდით.

— კი მართალი ბრძანდებით.

— მერე ვერ თქვით მაშინვე, რომ დასაქორწინებელი იყავ.

— რა მოხდა მარიამ ექვსი დღით დავაგვიანეთ. არაფერია მაგას ლმერთი გვაპატიებს და თუ ნებას დამრთავ მაშინდელ სათქმელს ახლა გეტყვი.

— რა გაქვს გიორგი სათქმელი? ასე რომ ჩქარობ? შენი სალაპარაკო თემა რა არის?

— თუ მიიღებ ამ მოწოდებას ჩემი თემაა სიყვარული.

— გიორგი როგორ არ მივიღებ თქვა და ჩაიხითხითა ჩვენ ხომ სიყვარულისთვის ვართ დაბადებულნი. გიორგის მოენონა მისი თამამი საუბარი, მაგრამ ამდენი უბედობით დარჩენილი ეჭვი გულში მაინც ჰქონდა მარტოთ დარჩენილი მარიამის, ანგელოზივით ლამაზი გოგოა გაშლილი სურნელოვანი ვარდივით და ყოველივე მისი მღიმარე ბაგიდან ამოვარდნილი სიტყვები გიორგის გულში სამეჯლისო ვარდის ფოთლებივით ცვიოდა. ჭირ-ვარამით ჩაკლულ გიორგის გული გამოაცოცხლა, მარიამის ექნება, სინაზემ, მისმა სითამამემ, მისმა სიტყვა-პასუხმა გიორგი მოხიბლა და უმალვე სიყვარულის ახსნა დამტკიცებაზე გადავიდა.

— გეხვენები მარიამ ცოლობაზე უარს ნუ მეტყვი. მხოლოდ სიყვარულზე თანხმობა გადაარჩენს სიკედილის გზაზე დამდგარ ჩემ გულს.

— მაიცა. ბიჭო გიორგი ჯერ შენ კარგად არ მიცნობ და როგორ უცებ აფეთქდი?

— გიცნობ მარიამ, გიცნობ გულწრფელი სიყვარულისთვის გოგოს გასაცნობად ერთი საათი დროც საქმარისია, თუ სასიძო საზრისია

წუთისოფელში ჩვენი ტკბილი ცხოვრებით ვივლით წმინდა სიცოცხლის გრძელი შარაზე ერთი დღის გაცნობა ვფიქრობ მოქარებულიც არის, ისეთი ხალხის გულისთვის, როგორიც ჩვენ ორივეს გვაქვს.

– არა, გიორგი მშობლების გარეშე ვერ დაგაიმედებ.

– მაშინ მომკალი და ეგ არი. მარიამმა გაიღიმა და კვლავ სიცილით უპასუხა.

– არა გიორგი ეშმაკს მხარზე ვერ შევისვავ. ბოლოს გიორგის ტკბილმა ენამ მარიამი მაიც დაითანხმა, თითქოს და ჯადოს დამთვანავი ავგაროზი ბროლის ყელზე ჩამოჰკიდა და გული მისი ისე დაიმორჩილა ბოლოს გიორგიმ თავისი ფილოსოფიაც წამოინყო.

– წუთისოფელი რო სიყვარულისაა ეს ვიცი, შეხვედრისთანავე თქვენც დამიმონმეთ. მადლიანი დედამინასთან, რომ ადამიანები საერთო სიყვარულით არიან დაკავშირებული ესეც ვიცით, თვით ბუნება რომელიც სიცოცხლეს ესწრაფის და მინასთან არის დაკავშირებული ესეც ცნობილია. გამოდის რომ დედამინაა ყოველივე სიცოცხლის არსებითი მკებავია, ეს ყველაფერი კი ღმერთის გამგებლობაშია, ყველივე მისი ძალითაა წუთისოფელი გარემოსილი. ადამიანი ტკბება, ფასდება შრომითა და გარჯით, მისი სული იკვებება ცისა და დედამინის ხელთ-შეუქმნელი ილუზიებით. მშვენიერებით ზოგჯერ ცა იშვიათი ფერებს გვიჩვენებს და სხვადასხვა დროს გულის მომაჯადობებელ საოცრებას ქმნის, რანაირი მხატვარიც გინდა და იყოს ბუნებასთან ყველა უძლურია, ღამე რომელიც ადამიანის მოსასვენებლად არის მიჩნეული. მთვარისა თუ ვარსკელავებით ისეა განათებული დედამინის ზედაპირი რომ მისი მყუდროება ბევრი რამის მთქმელია, ადამიანის გონება თუ ჩასწერება და ღრმად შეიტრება მის საიდუმლოებაში. აღიქვამს მის მშვენიერებას გულს ჩანებებს და მერე მიხვდება მის სათქმელს, ბუნება მთელი გულია დედამინისა სიცოცხლის გამგრძელებელი სულიერად დამაწყნარებელი.

– ნათქვამია “რაც მტრობას დაუნგრევია სიყვარულს უშენებია” ამ იდიით უცხოვრია ჩვენს ნინაპრებს და ჩვენც იმათ ნაკვალევს უნდა მივყეთ. ეს ცხადია რომ წუთისოფელში სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე და სიყვარული ჩაგრავს სიძულევილს. ბუნების მოვლენით, თუ ადამთა ხელით დანგრევა დაწვა ანიოკება, გადათელვა, ეს ყველაფერი სიყვარულის უკუპირებულია. მაგრამ ორივე ბოროტება და სიყვარული წუთისოფელში ერთი-მეორის შესაფასებლად საჭიროა. ადამიანი ბუნების ნაღვანს ნაკლები ყურადღებას აქცევს, კარგათ არ ცნობს ბუნების ღირსებას. თუმცა წუთისოფელში მოქმედი ბოროტი სულები არ დაიღევა. ადამთა ხელით ნამოქმედარს ისე ანგრევენ დაუშვათ ქალაქებს. სოფლებს ისე შეუბრალებლად რომ ერთ თვალს არ დაახამხამებენ და ვერ მიმხვდარან ჩემო ანგელოზო რომ სიყვარულს სილამაზეს მოვლა და გაფრთხილება უნდა. არ ვიც-

ით როდის დაუბრუნდება ხალხი სამართლიანობას, რომ მიცემულია განვითარების და კულტურული მდგრადი განვითარების მიზანის მიხედვით. ხალხის რწმენა-იმედი მოუშავეს და დაუსრულებელი სიცრუით გააველურეს. დღევანდელი ეითარება მგონი თანდათანობით ფერს იცვლის და თუ ქართულმა მზემ თავისი ამომავალი წერტილი იპოვა და საქართველოს ხვალინდელ იმედებს მზემ წითელი სხივები მოჰყინა. მაშინ სამშობლოს წარმართველი ძალა ილიას გზით ივლის და სანთელ-საკერძოს ხალხს სანუკვარ მიზნისკენ უფალიც გაუძლვება. დაამთავრა გიორგიმ თავისი გამოსვლა მარიამმა ჩაიცინა და ირონიით უპასუხა

– ეგ ჩვენ არ გვეხება

– არა, მარიამ სამშობლო ჩვენი გულის ტკივილიც არის, ჩვენ მას უნდა ვუთანაგრძოთ, რომ მან მოგვცეს შევება გულისა.

– ახლა წავალ გიორგი დაგვიანდა ვიცი დედა და მამა ამ დაგვიანებას არ მაპატიებენ, კარგი, მაგრამ გიორგი თქვენ რომ ახლა სიკეთეზე ბოროტებაზე სიმართლეზე თუ სიცრუეზე ამხელა ფილოსოფია წამიკითხე ამას რომ არ გადაუხვიონ და მეც გულუბრყვილობა გამოვიჩინო და მშობლების შეკითხვაზე ვუპასუხო გიორგისთან ერთად ვიყავი-მეთქი მაშინ რა მომელის?

– მარიამ, ჩვენი ჯვარის დაწერაზე შენი მშობლები თანახმანი იქნებიან?

– რაც მთავარია ჩვენ ხომ თანახმანი ვართ ურთიერთ სიყვარულზე.

– დაუშვათ მარიამ შენი მშობლები არ არიან ჩვენი ქორწინების თანახმანი?

– ეგ შენი საქმე არ არის გიორგი. მაგას მე უნდა ვდარდობდე.

– მარიამ დედას გაუმხილე ჩვენი ურთიერთ სიყვარულის ამბავი და იქნება დაითანხმო დედაშვილობაში ასეთი რამე ხდება, მერე დედაშვენი მამაშენს გადაიბირებს და აენყობა ჩვენი ამბავი. ამ იმედით დასცილდნენ ერთი მეორეს გიორგი და მარიამი. შინ დაპრუნებულმა გიორგიმ გახსნა საფოსტო ყუთი ამოიღო წერილი და კითხულობს.

– ბატონო გიორგი, მიიღე ჩემი გულწრფელი სალაში. როგორ ბრძანდებით სიკეთე და სიყვარული, ბეჭდინერება არ მოაკლოს შენს ოჯახს. ბატონი გელეჩა სირიაში გაასამართლეს მიუსაჯეს ათი წელი. ეს ცნობები ბიძამისის მხრიდან გავიგე. მშვიდობით, გიორგი კარგად იყავ და თუ შენ გელეჩას სანახავად წასვლას მოისურვებ შემოიარეჩემთან, მნახე აუცილებლად, შენი პატივმცემელი ელია.

– წელინადის დღეები გარბიან და წუთისოფელი ადგილზე რჩება, იგი სტუმრა დ მოსულსაც ითვლის და წამსვლელსაც, ოცდარვა აგვისტოა დღე მიძინებისა ყოვლად წმინდა ღვთიშობლისა და ეკლესიაში მიმავალი თუ მომავალი მრევლს ფეხს ვერ აუქცევდი მათ შორის გამონაკლისი არც გიორგი იყო. იგი მხიარულად შევიდა ეკლესიაში ალავლინა თავისი პირადი ბედნიერებისთვის ლოცვანი,



დეიდას გიორგი შეუმჩნეველი არ გამორჩა, ცნობისმოყვარე ქალმაყუელა საქმე გადადო და გიორგისთან მივიდა.

— შვილო გიორგი, როგორ მოშველდი იმ გოგოსთან? მისი მშობლები ტყუილში როგორ ხელათ დავიჭირეთ ის გოგოც რა ბედზე შეგვიხვდა. რომ ამბობენ გოგოს გათხოვება არ უნდაო სწავლა უნდა გააგრძელოს. მაგისი სწავლა გათხოებაა. შვილების გამოზრდა, თუ ჩაიხედე მისი გულში როგორ მოგეწონა?

— კარგი გოგოა, მაგრამ თამამია.

— ალალი გოგოა წმინდა სულის ქალიშვილი და სითამამეს ის აძლევს. მაგის გულისთვის ბედი არ დაჰკარგო შვილო. მაში ის არის გოგო, რომელიც გაჩუმებულია თავპირი ჩამოსტირის და გული კიდევ ბოროტებით აქვს სავსე.

— არა დეიდა მაგისი გულისთვის კი არ დავიწუნე. პირიქით მაგის სითამამემ, სინაზემ, გულახდილობამ დაიპყრო ჩემი გული, მასში მე ჩემდამი ერთგულება ვიპოვე.

— არ მოერიდო შვილო, ოჯახის კარგი გოგოა. კარგი მშობლების ჩამომავალი, ეგ აუგათ არ მიიღო. ჩვენ რომ გაპლუტებული ცივი უარით გამოგვისტუმრეს. იგნი რომ ჩვენთან მართლები არ იყვნენ და ღმერთმა ჩვენსკენ პირი იბრუნა და ბედმაც აღარ დააყოვნა ის ანგელოზი ქალიშვილი წინ შეგვახვედრა. ახლა სიტყვა მითხარი როგორ მოშველდით.

— არ ვიცი დეიდა. ჩვენ ორივემ ერთმანეთ გული ვანდეთ და გოგოს მშობლები კი ჩვენს მიმართ უნდობლები არიან.

— მშობლებს ნუ უყურებ შვილო, გოგოს მოსწონხარ და მოგნონს წაავლე ხელი და მიიყვანე. ცოტახან დაეგმდურებიან და მერე შეგრიგდებიან. შვილს ხომ არ გადააგდებენ. წუთისოფელში პირველნი თქვენ ხომ არ იქნებით ასეთი მრავალი მოიძებნება.

— დეიდა არავინ არ მყავს მე და სამსახურში რო წავალ გოგო გამოკეტილ ოთახში რომ დაგტოვო მარტოობაში მყოფს კარგი აზრებთან ერთად ავიც ადვილად ეხმიანება. მე მინდა რომ დედასთან მისასვლელი გზა ჰქონდეს რომ გულში არ დაუტრიალდეს, დაუმძალდეს ეს ავი ზმანებანი.

— შვილო გიორგი, კიდევ გაფრთხილებ, გოგო თანახმაა წაავლე ხელი და მიიყვანე. ის შენი გულის სიმდიდრეა და დაეშურე არ დაჰკარგო. კარგს ყველა დაეძებს და მოთხოვნელიც ბევრი ჰყავს.

— მეორე დღეს გიორგი მივლინებით დასავლეთ საქართველოში გააგზავნეს ათი დღე დაცყო მივლინებაში და რომ დაბრუნდა პირდაპირ ეკლესის მიაკითხა. დეიდა იქ წახა და პირდაპირ დაუფარავად დეიდამ უთხრა. სად ხარ შვილო, შენ ასე უნდა დაიკარგო, შენი ბრალისა შვილო შენ ბედს შენვე უბნევ გზას, ამ ათ დღეში იმ გოგოს ერთხელ მაინც ვერ მიაკითხე? არ ვიყავი დეიდა აქ, მივლინებაში

გამაგზავნეს და ათი დღე იქ დავყავი.

- წასვლის დროს შეგეძლო გენახა და გეთქვა შენი მდგომარეობა. გოგო ჩქარაც იზდება და კარგებს უფრო მეტი მთხოვნელებიც ყავს.

- არაუშავს დეიდა ბოდიშს მოვუხდი.

- რაღას მოუხდი შვილო ბოდიშს. გაგითხოვდა, ერთ დღეს დანიშნეს და მესამე დღეს წაიყვანეს. ეს უთხრა თუ არა, გოორგი კინაღამ მუხლებში ჩაიკეცა. დაჯდა იქვე მახლობლათ და თავი ჩაღუნა ხმით არ უტირია თუ არა თავი რომ ასინა ცრემლების ტბები ედგა თვალებში.

- როდის გათხოვდა?

- ოთხი დღეა შვილო. მე რამდენჯერ გითხარ მოავლე მაგ გოგოს ხელი და მიიყვანე სახლში-მეთქი. კარგი ბაზარი აქვს და არავინ მოგტაცოსთქო. მაგრამ არ დამიჯერე. გოორგი იმდენად მიეცა ფიქრს რომ დიდხან თავი მაღლა აღარ აუწევია. დიდხანს დუმდა, ბოლოს ამოიხსრა ხელის გული მეორე ხელის გულს დაარტყა და დამწუხრებულმა თქვა.

- რა ვქნა, დეიდა ბედი არა მაქვს რამის თავი მოვიკლა,

- თავის მოკელა ადვილია შვილო. მთავარია სიცოცხლის მოპოვება და მერე მისი შენარჩუნება. სიკედილი ბოლოს თავისითაც მოვა, მთავარია შენს სიკეთეზე იფიქრე, გულზე აგებული სხეული მძორია. იგი მიწისაა, მთავარი სულია. ლმერთთან მიმავალს წინ სიმართლე უნდა მიუძღვოდეს.

- არა, მე თავი უნდა მოვიყელა, გოორგიმ კვლავ გაიმეორა.

- გაჩერდი შვილო, ტყუილად გელაპარაკე ღმერთის ნუ სცოდავ.

- ერთმა მიღალატა, მეორემ, მესამე რა არის ეს?

- არ შეუშინდე შვილო, ბოლო კეთილია. გოგოს გათხოვება ეჩქარება და წინ ნაკლებად იყურება. აბა გოგო დამისახელე ისეთი, რომელსაც გათხოვება არ უნდედეს. ბიჭი კი რამდენიც გნებავს იმდვენია რომელსაც დაქორწინება არ უნდა.

- მაშ რა ვქნა დეიდა. მე ჩემი თავმოყვარეობა ხო მაქვს? წლები მიღის და მე ხომ არ ვპატარავდები.

- ბიჭი ხარ, გოგო ხომ არა ხარ, წლებზე რატომ სწუხარ?

- ეს დეიდა გაცვეთილი გული მაქვს და შიში მიპყრობს.

- ფიქრს ნუ აპყვები შვილო, რა დროს შენი გულის გაცვეთაა. მაცალე ახალი კარგი ჯეორანივით გოგო ვნახე აქ ეკლესიაში შემდის ხოლმე და იმას გაგაცნობ. იქნებ მართლაც შენი ბედი აღმოჩნდეს. იცი რა არის? დაქრილ თვალსა და გულს რომ გაგიმთლიანებს, ცხოვრების გზაზე დაგაყენებს და დაჩაგრულ სულს აგიმაღლებს.

- ეპ დეიდა შენი დაპირებებმაც ვერ გამოიღო შედეგი.

- რატომ მეუგნები შვილო. მე წმინდანი ღვთის მოყვასი ქალი ვარ და სიყალბეს ვერ ვიტან.

- თქვენ რა თქვით დეიდა, მარიამის მშობლებთან ისე გაქე რომ

ცამდე აგიყვანეო, მარტოდ თქვენი დანახვა უნდათ მერე დანიშნულებული განაცხადოთ.

— შვილო მაგაშიც მართალი ვარ, მაგრამ ვიღაცის წანკლიანი ენაა ჩარეცული თუ არა, იმ გოგოს ხო შეგახვედრე. გოგოც დაგთანხმდა მეტი რა გინდოდა, შე დალოცვილო მიგეყვანა სახლში და დღეს მაგაზე ფიქრი მოთავებული გექნებოდა.

— მშობლების უნებართვოთ, როგორ მიმეყვანა, დეიდა მერე დაინცებდნენ ჩივილს და მე კიდე სასამართლოების თავი არა მაქვს.

— გოგო თანახმა იყო, მიგეყვანა, ცოლათ დაგესვა სახლში და მერე ვის ჰქონდა უფლება წაერთმია. დედა თუ თავისი შვილის გაუბერდულებას ისურვებდა. წაეყვანა შენ სასჯელს კი არ მოგცემდნენ.

— მიყვანილი გოგო რო წაერთმივნათ ეგეც ჩემთვის დიდი შეურანყოფა იქნებოდა, მარიამის ცოდნც ზურგზე დამანცვებოდა.

— ასეთი საცოდავი რომ ხარ შვილო, მე იმიტომ ჩავერიე შენს საქმეში, რომ უიმედობიდან გამოგიყვანო, წუთისოფელზე გამნარებული კაცი მინდა ბედნიერების გზაზე დაგაყენო. ნებას თუ მომცემ წავალ იმ გოგოს მშობლებს მოველაპარაკები. გოგო დაუსწრებელზე სწავლობს ამ უამათ სკოლის ბიძლიოთეკაში მუშაობს, ხუთი საათზე აქ შემოივლის. მოდი გიორგი გაგაცნობ ვიცი დანუნებით ვერ დაინუნებ ეს გოგო იმაზე უკეთესია. შეიძლება ოჯახით იმათზე წაკლები იყოს. მაგრამ მაგას მე მგონი შენთვის დიდი მნიშვნელობა არ ექნება.

— არა დეიდა, ხომ გიოხარი მე სიმდიდრეზე არა მაქვს ლაპარაკი მთავარი გოგო უნდა იყოს, რომ თავისი სინდის გაუფრთხილდეს და ოჯახს მოუაროს. ჩევნ სიყვარულს ურთიერთ პატივისცემა ალამაზებდეს.

— მართალი ხარ შვილო, ეს ერთი ბოლო ვარიანტიც ვცადოთ თუ გაგვიმართლა კარგია, თუ არა, ეშმაკის ნებას უნდა დამორჩილდე, ან ჯადო გედება ოჯახში ის უნდა მოიცილო და ლოცვა-კურთხევით ეშმაკი უნდა დააბა და ლმერთი უნდა დაიახლოვო.

დრო უნებლიერ გადის. წუთისოფელში სიავეც არის და სიკეთეც. სიყვარულის საპირისპირო კი ბოროტებაა. ეკლესიაში შემოსულ გიორგის ლმერთის მორჩილმა ქალმა თვალი შეასწრო, მივიდა ახლოს და საყვედურით გული აუგო.

— სადაბარ შვილო რად დამეკარე ჩემგან ხო არაფერი გენწინა?

— არა, დეიდა სხვაგან წასული ვიყავი.

— რა მოხდა, კიდევ სხვა რაიმე უბედურება ხომ არ ტრიალებს შენ თავზე? თქვი შვილო წუ დამიმალავ კარგად იცი, რომ სიკეთე მინდა მე შენთვის.

— რა გიოხარა დეიდა, ხომ იცი ამ უხეურო წუთისოფელში უსამართლობა ტრიალებს. და თუ მოინადინეს კაცის სიგლახე მიზეზს უსაფუძლოდ მოგიძებიან. ერთი ჩემსავით უთვისტომო ამხანაგი მყავს და სამი თვეა რაც დაიჭირეს წერილი მომივიდა სირიიდან მწერს, რომ

ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვარ და თუ შესძლებ ჩამოდი და მნახეო.

— მერე შვილო არ ნახედი?

— ნავედი. სხვა გზა არ იყო დეიდა უნდა ნავსულიყავი. გზაზე კი ძალიან დავიტანჯე თუ რაიმე დანაზოგი მქონდა ალალი იყოს მას შევალიე.

— გულს ნუ გაიტებ შვილო მადლი გიქნია და ღმერთი არ გაგნირავს. თუმცა ჯერ ვერ მოუცლია შენთვის.

— რა მოხდა დეიდა. მე კიდევ გულის გატეხვა მინდა?

— რა ვქნა, რა ვიღონო შვილო. შენი კეთილი ანგელოზი ალბათ ავი ეშმაკებისგან შებოჭილია. ველაპარაკე გოგოს მშობლებს მითხრეს ბიჭი მოიყვანე ვნახოთ ველაპარაკოთ თუ მოვცენონა ჩვენ თანახმანი ვიქწებითო. მერე მინდოდა შენი ნახვა სახლი ვიპოვე კითხვა კითხვით მაგრამ დაკეტილი იყო.

— ხო კაი, ახლა ხო აქ ვარ, როდის ნავიდეთ?

— ახლა რა გითხრა შვილო, ვიღაცა გვიშლის ხელს გუშინ შემოვიდა დედა მისი თავის გოგოთი და თავათ არაფერი მითხრა. მერე თავი ისევ მე შევახსენე. მერე იმ ქალმა მე ცალკე გამიყვანა და მითხრა. გოგოს მე ისეთ ბიჭს ვერ გავატან რომელსაც კაცობა არ აქვსო.

— ვეითხე საიდან გაიგე მაგას ვინ გეტყვის ეგ ხო ბიჭის დამცირებაა თქო. მიპასუხა მოვიდა სახლში სპეციალურად ერთი ლამაზი კარგი გოგო და იმან მომახსენაო. შენ თუ მიხვდები შვილო ასეთი გოგო ვინ უნდა იყოს?

— კარგი, კარგი დეიდა გაუგებარი არაფერი დარჩება.

— რაგიყო შვილო მე შენი ბედნიერება მინდოდა, მაგრამ ეტყობა მტრები უკან დაგყვებიან.

— ერთ დღეს უბანში ხმა გავარდა გიორგი ელიათგორელი პატიმრობაში აუყვანითო. მართალია თუ ტყუილი, ეს ყურმოკრული ჭორი, ხალხმა ასეთი შინაარსით აიტაცა. თითქოს გიორგი გოგოსთან სექსუალობის დროს დაუჭერიათ და ვინც გიორგის იცნობდა და მისი ხასიათებიდან გამომდინარე ყველას ეცოდებოდა და ამბობდნენ, აფხაზე რა კარგი ბიჭია და ბედი არ წყალობს. მაგრამ საკითხავია ეს ღმერთივით უცოდველი ბიჭი რამ მიიყვანა იმ ზომამდი. რომ სუსტი არსების ნინაალმდევ ძალადობაზე გადავიდა. ვინც გიორგის არ იცნობდა და ჭორად მივიდა მის ყურამდი იგი მხოლოდ ამ ჩადენილ საქმიდან გამომდინარე მის საქციელს გარყვნილობას ან-ერდა ასეთი სჯა-ბაასი იყო ეკლესიაში მისული მლოცველთა შორის ერთერთს როდესაც პირიდან შემდეგი შინაარსის სიტყვა აღმოხდა. მაგითანას გაუსამართლებლივ შუბლში ტყვია უნდა. ამ სიტყვებმა გზა მიიკვლია ეკლესის მოსამასახურე გიორგის გულშემატკივარი ქალის ყურამდე, შემდეგ უსაფუძლო სიტყვებმა ეს ქალი ჭოროკინების დამბადებელთა იმ ჯგუფამდე მივიდა საიდანაც ასეთი გულ-

შეუწყნარებელი ღვარძლიანი სიტყვები ულერდა.

- რა თქვით ქალბატონო სრულიად უმნიკლო ბიჭზე? იმ ქალმა უკან არ დაიხია პასუხი კვლავ იგივე მოტივით გასცა კვლავ შეურანყოფილი სიტყვებით.

- რა თქვი? თუ ძან გაინტერესებს გატყვი გინდა ჩემი იყოს გინდაც სხვისი ასეთი საქმის ჩამდენი უნდა დაიხვრიტოს.

- რატომ ამბობ ქალბატონო, შენ ხომ არ იცნობ გიორგის?

- მე არ ვიცნობ და არც მინდა მაგის და მაგისთანების გაცნობა, და შენ თუ განყობს ქალბატონო შენი იყოს ვინ გედავება.

- ბედი შენი უნამუსოვ. აქ ეს ეკლესიამ შემკრა, თუ არა შენი წარსულს საქვეყნო დახლზე გამოვიდი, არ იცი რა იდეალური ხასიათის და რა ბედ დაჩაგრული ბიჭია.

- მითუმეტეს თუ კარგი ბუნების ბიჭია. მაშ ეს ველურობა რამ ჩადენინა, რატომ მოსჭრა იმ გოგოს სინდის თავი?

- აი სწორედ აქ არის საქმე ასეთი კარგი ბუნების ბიჭი, რამ აიძულა რომ ასეთი რამე ჩაედინა, იქნება იძვლებული გახდა, ამას ხო უნდა დაუკვირდე. იქნება უყვარდა და გოგო უარს ეუბნებოდა. ყველაფერი საფიქრალია.

- კარგი გეთანხმები, რომ უყვარს და ცოლად უნდა. ახლა რომც გოგო ცოლად გაჰყვეს ბიჭმა რა ნამუსით უნდა დაისვას საქვეყნოდ შერცხვენილი?

- რა არის აქ სათაკილო, ვისაც ცოლად უნდა მის ხელშია გატარებული სხვის ხელებში ხომ არ გაუვლია? მხრები აჩეჩია და სთქვა.

- არ ვიცი, მე ამ გზით შერთულს წმინდა სიყვარულს ვერ დავარქმევ.

- კარგი და თუ ასეა, მე შენზე წელან თავი შევიკავე და რაკი აქამდე მივიდა საქმე, შენ წმინდა წარსულზე თუ უნმინდურ სიყვარულზე ვილაპარაკებ.

- მომეშვი ქალო ახლა, შენთან მოლაპარაკეს დიდი თავი უნდა ეს უთხრა და გასცილდა. ჭორათ გავრცელებული იყო თუ სიმართლით იმ უბანში სადაც გიორგი ცხოვრობდა ყველამ იცოდა ეკლესიაშიც სულ ამ ამბავზე ქონდათ საუბარი და ამ საქციელის გამო გიორგი პატიმრობაში აიყვანეს.

- გოგას ბიზნესმენობის უდიდესი ნიჭი აღმოაჩნდა და ისრაელის გარეთ რამდენიმე მაღაზია პქონია გახსნილი და ყოველდღიურად მისი სახელი მწვერვალებისკენ მიწევდა. ახლა როდესაც გიორგი პატიმრობაში იყო. ისრაელიდან გაბო ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ გიორგის რადგან აქ საქართველოში ბედი არ წყალობდა, უნდოდა გიორგი შეეგულიანებინა რომ აქ თბილიში სახლი გაეყიდა და საცხოვრებლად ისრაელში გადასულიყო. გოგა გიორგის იქ მომხმარეთ დაიყენებდა და იცხოვრებდა ბედნიერათ, მაგრამ გაბოს გიორგი

 საქართველოს კუთხის მინისტრი  
დაპატიმრებული დაუხვდა. გაბო ორი დღით ჩამოვიდა, მაგრამ ახლ გიორგის ციხიდან გამოყვანას შვიდი-რვა დღეც არ ეყოფა, გაბომ დიდი მცდელობის შემდეგ მესამე დღეს ძლიერ მოახერხა გიორგის ნახვა. მოიკითხა, ელაპარაკა, აუხსნა გაბომ თავისი ჩამოსვლის მიზეზი. მაგრამ გიორგი ვერ დაიყოლია.

— გიორგი დამიჯერე, გოგა ახლო მომავალში უდიდესი ბიზნესმენი გახდება, საზღვარგარეთ მაღაზიები აქვს, სასტუმროები აქვს და მისი ჭუა-გონება ველარ წვდება. მიხმარება უნდა. მე უკვე სიბერეში შევედი შვილო, ერთი კაცი ოჯახში ხომ უნდა იყოს, უკაცოთ ოჯახის მიტოვება არ შეიძლება, სხვა რომ აიყვანოს იქნება უხიტროს, თქვენ კი ძმასავით შეზრდილები ხართ გოგასთან და თუ თანახმა იქნებით ეს სახლი გავყიდოთ, შენ მაინც აქ ბედი არ გიმართლებს და იქნება იქ მაინც გაგიღიმოს. მე მგონი იქ ერთი-მეორის ყურადღებით იქნებით და ბედნიერად იცხოვრებთ. ჩვენ ვიფიქრეთ ოჯახში მოვილაპარაკეთ და ასე გადავწყვიტეთ. ოცდათორმეტი წლის ხარ და ოჯახი ვერ შექმნი, უცოლშვილოთ რატომ უნდა დააბერდე?

— არა გაბო ძია, მე საქართველოს ვერ მივატოვებ, მართალია ბედი არ მნიალობს, მაგრამ ის ხომ ვიცი, რომ საქართველოს შვილი ვარ, ქართული მინაზე ვდგევარ, რომელიც წინაპართა ძვლებითაა გაპოხივრებული. საკუთარი სამშობლოს არაფერი სჯობია, მე რო ახლა ბინა გავყიდო და იქ ისრაელში წამოვიდე, ეს ხომ სამშობლოს დაღატია, იქ წინაპრებს რა პასუხი გავცე, არა. მირჩევნია ლარიბათ ისევ ჩემ სამშობლოში ვიყო, ჩემი გვამი ამ მინის მატლმა შეჭამოს, ვიდრემ ბედნიერი ცხოვრებით შორეულში ხეტიალს.

— თუ დამიჯერებ შვილო გიორგი გამოძიებას დავაჩქარებ, იმ შემთხვევაში თუ მართალი ხარ ციხიდან გაგიყვან და თუ ისრაელში არ წამოხვალ? გამოდის ის რომ, ჩემს მიერ შენზე დადებულ ამაგს არაფრად აგდებ.

— რა ვიღონო გაბო ძია. სამშობლო ჩემი გულის სიმდიდრეთ მიმაჩნია და მიუხედავად ჩემი უბედურობისა, აქ რო ვარ თავს მაინც ბედნიერად ვთვლი. გაბო ერთხანს დუმდა, ამ დუმილში ყოფნისას ათასნაირი ფიქრებმა გადაუარა, გულში ამბობდა ეს ბიჭი თავისი თავის მტერია, მე მაგისტრის კარგი მინდა და ვერ შევაგნებინეო. გაბომ ემოცია სძლია დუმილიდან გამოსულმა კვლავ მიმართა.

— გიორგი ჯიუტობას დაანებე თავი, თუ არა ეგ დაგლუპავს. მა-მაშენის დიდი ხათრი რომ არა მქონდეს ციხეში მიგატოვებდი.

— რა ვენა გაბო ძია, თქვენი დიდი ხათრი მაქვს. თქვენ გამზარდეთ, მაგრამ უსამშობლოდ ყოფნა არ შემიძლიან, განა ვერ ვგრძნობ რომ თქვენ ჩემთვის კარგი გინდათ. გაბო ძია, თქვენ აქ საქართველოში ცუდად ცხოვრობდით? რომ ისრაელში წაბრძანდით? მაგრამ სამშობლო გამოგიჩნდათ და წაბრძანდით, მეც ასე მწამს სამშობლო ქართვე-



- ლი ერის გენი არის და ყოველივე ჩემი წვეთი სისხლი მას ეუფრნის შედეგისა.
- გიორგი ციხეში რისტვის ზიხარ ამას მე შენგან არ მოველოდი.
  - მასამართლებ ძია გაბო?
  - არა, კი არ გასამართლებ, მიკვირს... შენი ჩადენილი საქმისა. იმიტომ რომ, შენ იძულებით ჩაგადენინეს. შენ იმ გოგოს რომ არ გაემნარებინე მის მიმართ ამ საძაგლობას ხომ არ ჩაიდენდი.
  - ნამდვილად არ ჩავიდენდი.
  - კარგი გიორგი, მე წავალ გამოძიებას დავაჩქარებ. იმ გოგომ რო სასამართლოზე ცოლობა შემოგთავაზოს? შენ რას იტყვი?
  - არ შევირთამ.
  - ნუ ჯიუტობ გიორგი, მე ბედნიერების სამსახური შემოგთავაზე, მაგრამ შენ ჯიუტ ნერგებს აყოლილი ხარ. გოგას კი ენიჭინება შენი მოხმარებაზე უარის ამბავს რომ ჩაუტან. ამ საკითხში შენსკენ გად-მოვიხარე ესე იგი დათმობაზე წაველ, ახლა ამ მეორე საკითხზე თქვენ უნდა წახვიდეთ დათმობაზე.
  - კარგი გაბო ძია. სასამართლომდე საქმე თუ მივიდა შეიძლება იქ გავხდე მის ცოლობაზე თანახმა.
  - ასე სჯობია. გიორგი ოცდათორმეტი წლის კაცი ხარ და ორ-ჯერ გამოიარე ციხე და თუ მესამედაც მოგიხდა, დაგაკრავენ რე-ციდივისტის მარკას და სიცოცხლეში შენ იმას ვეღარ მოიცილებ. გარიყული იქნები ხალხიდან არავინ გიმეგობრებს.
  - ქალაქის იმ უბანში სადაც ცხოვრობდა გელეჩა, ჭორის სახით ამ-ბავი დადის თითქოს ლვდელმთავარს ეკლესიაში უნახავს, სანთლებს ანთებდა და ღმერთს შენდობას, ცოდვების მონანებას სთხოვდაო, როგორც მერე გამოირკვა, იგი გამოპარულა და ამნისტია გამოვიდა, ისეთი, რომ მკვლელებს საჯაელი უნახევრდებოდათ და მიუხედავათ სამი თვით ადრე გამოპარული იყო. ამნისტია მაინც შეეხო, თუმცა, კვლავ დასაქრძად დაზდევდნენ. ჭორია თუ მართალი ეს ქალაქში ითქვა თითქოს გელეჩას გაუგია, რომ გიორგი დაპატიმრებულია და მეორე დღეს ციხეში შესულა, შეხვედრია გიორგის და გელეჩას ფული მიუცია, გიორგი ფულს არ იღებდა მაგრამ გელეჩას იმის ჯიბეში ძალის-ძალით ჩაუდია და უთქვია რომ გამოპარული ვარ ციხიდან და ხვალ სალამოს ფოთიდან საზღვარგარეთ გემს უნდა გაყვევო. ამის შემდეგ გიორგის დაემშვიდობა და გააფრთხილა ჩემ გზას ნუ იკითხ-ავ, ბედმა თუ ერთი-მეორეს შეგვახვედრა ხო კარგი იქნება, თუ არა. მაინც ბედის მორჩილები უნდა ვიყვნეთო. წუთისოფელი რას მოგვი-ტანს და სად ამამხდება სული ეგ მე კი არა, ღმერთმაც არ იცის. ამ საუბრის დროს ერთერთმა მილიციონერმა ეჭვი აიღო და უკანასკნე-ლი გამოსასვლელი კარი ერთმა გაიხურა, მაგრამ გარედან გადაკეტვა ვეღარ მოასწრო გელეჩამ რომ ჩაავლო კარგებს ხელი გაღების დროს ისეეთი ძალა უჩვენა რომ მილიციონერი შიგნით შეიყოლა, ერთი ნი-

კაპში ამოარტყა დავარდა მიღიციონერი ნოლზე დასვა და მისი ნაგანტი სამოვა გელებამ აიღო და ოქვე მსუბუქი მანქანაში ჩაჯდა და უკან მოიტოვა თბილისი. გზების ერთი გადაეტყვა ხაშურის გასასვლელში მოუწყეს, მაგრამ სიკედილზე თავდადებული გელება მოხერხებულად გაექცათ. სროლა კი აუტეხეს, მაგრამ ყველაფერი ლმერთს როგორც სურდა ისე მშვიდობიანათ ჩაიარა. პერევალთან რომ მივიდა თავისი ნომრები მოხსნა და სხვისი მანქანის ნომრები დაუყენა.

ქალაქ ფოთის ნავსადგურში ელია მანანნარელის სასადილოში პურის საქმლად სამი უცხო პიროვნება შევიდა მაგიდას შემოუსხდნენ და დაუძახეს მოსამსახურეს. მოსამსახურე ბიჭი სამზარეულოში შეყოვნდა.

— მოდი აფიციანტო დროზე სანამ ანყობილი ხარ, თუ არა, ჩვენი ვირის მომპარავის ჯავრი შენზე არ ვიყაროთ.

— ახლავე, ახლავე, მალე მოვალ.

— არ მოხვალ და ნიუტონის მოლექულასავით დაგძლით, ისე რომ აკადემიკოსი პეტროვმაც ვერ აგანყოს.

— ახლავე ბიჭებო ახლავე მომსახურე ხელის სამი თითით ყელის გამონევით შეეხვენა, ბიჭებო მაცალეთ მხოლოთ ერთი ნუთი. მაშვერ უნდა ვიპოვოთ ჩვენი ვირი. კითხვა დასვა კურკამ

— მე მგონი ვიპოვით, ამაში ეჭვი არ მეპარება. დააიმედათ ბიჭიკომ.

— ვირი კი არა, მთავარია ქურდი ვიპოვოთ. თუ ვერ ვიპოვეთ მაშინ ჩვენი სავაუკაციო წვერ ულვაში ისეთმა კაცმა გაგვპარსოს, რომელიც ვაუკაციობით ჩვენ გვაჯობებს.

— მაპატიეთ. მოსვლა რომ დამაგვიანდა. კერძების მიმტანმა მომსახურემ ბოდიში მოუხადათ რას მიირთმევთ ბიჭებო, ჯერ თქვენზეა.

— კარგი რაც გაქვთ, ყველაფერი მოგვიტანე და ფული შენთვის ალალი იყოს.

— ჯერ მიირთვით ბიჭებო და ფული მერე გადავისადოთ, მთავარია დააკონკრეტეთ რა მოგართვათ?

— სუკი შეგვინვი.

— არ არის.

— შემწვარი გოჭი დაგვიჭერ.

— არც ეგ გვაქს.

— ნინილა შეგვინვი.

— სასადილოს არ აქვს ბატონო, საიდან მოვიტანო.

— რასაც შენ შეჭამ ის მოგვიტანე.

— ტოლმა, ჩანახი, ბივშტექსი.

— სომეხი ხარ ბიჭო.

— დიახ.

— რა გვარის ხარ?

- მინასიანი.
- დირექტორი რა გვარის კაცია.
- გიორგაძე.
- მიდი დაუძახე, უმაღვე აქ მოიყვანე.
- რა გნებავთ ბატონი?
- თქვენ ბრძანდებით დირექტორი?
- დიახ ბატონი.
- ალბათ მძლოლიც გემსაზურებათ ხო?
- დიახ ბატონი.
- სომეხია თუ ქართველი?
- სომეხი.
- მერე შე დალოცვილი ქართველი კაცს ვერ ამუშავებ?
- რომელს გინდათ მუშაობა? მობრძანდით გამუშავებთ.
- მოიცა ახლა მაგას ვერ დამაჯერებ, რომ ქართველმა კაცმა რესტორანში კერძების მიტანაზე მუშაობა იუკადრისოს.
- ბუფეტში კი მყავს ქართველი
- რა გვარისაა?
- ელია მანანნარელი.
- არა ხარ გიორგაძე მართალი. ქართველი ერი თუ გიყვარს მისი ავტორიტეტი უნდა დაიცვა.
- ქართველი ერიც მიყვარს და მთლიანათ საქართველოც. ახლა მეორე ზალა განთავისუფლებულია მაგიდებისგან: შიგნით მოსაპირ-კეთებელი სამუშაოები მიმდინარეობს, ქართველი ხელოსნები ვერ ვიშვევ და ისევ სომხები მოვიყვანე. ეს სომხები აქაურები არიან და მათ მიერ შრომით აღებული ფული ისევ აქ დატრიალდება.
- ოჟ თავის დასაზღვევად ეგ რა კარგი მაგალითი მოიყვანე ეგრე არ არის ბატონო დირექტორო
- არა, თქვენ თუ ასარევათ ხართ მოსულნი, თქვით,
- არა, ჩვენ ასარევათ არ ვართ მოსულნი, მაგრამ დაუშვათ რომ ასეა, რას გვიზაბ? წვერ-ულვაშს გაგპარსავთ?
- რა მოსატანია წვერ-ულვაშის გაპარსვა, თქვენ ამბობთ მაინც და მაინც ქართველი ხელოსნები უნდა მოგეყვანათო თქვენ იცით რომ ქართველს ჭკუა უდუღს დიპლომი უნდა და შავ საქმეზე მუშაობა არ უნდა.
- თქვენ ალბათ კომუნისტი ბრძანდებით.
- დიახ ბატონი.
- ხო და პრაქტიკა ქართველებს თქვენისთანა ხალხისგან აქვთ მიღებული.
- რა გინდა ჩემგან რას ჩამომეკიდე?
- შენგან ის მინდა, რომ კაცი უნდა იყო ზნეობრივი, ღვთიური, და არა უზნეო, ეშმაკის მწყალობელი, ქართული გვარი რომ გაქვს

გენითაც ხომ ქართველი ხარ, ამიტომ ქართული საქმე უნდა აკეთოს და მომდევნობა რას გაიგებ ამ ალრეულ ქვეყანაში, როცა რომ მტერი ზოგი-ერთ ქართველს ნამნამზე უზის და თვალებს იქიდან ჩიჩენის და ის კი ვერ გრძნობს მეგობარს ეძახის. სად ხარ ღმერთო სამართალისავ გაუძლიერე სული, რომ ერმა შეიცნოს მტერ-მოყვარე, გააჩნდეს ამოცნობის უნარი, არიან ჭკუამახვილი გონების ადამიანები შეხე-დავენ თუ არა ამოცნობენ მის შინაგან თვისებებს. მაგალითად პა-ტივცემულო დირექტორო, შენში ვერ ვატყობ ქართველობას არ ჩანს ამ მაღლიანი ცისა და მინის შესაფერი ეროვნული სული. მე დარწ-მუნებული ვარ ყოველივე შენი და არა მარტო შენი, შენისთანების ფეხის ნაბიჯის ქვეშ მინა კვნესის და განსვენებული ამაგდარ წინა-პრებს ჩვენ თავს აგინებინებ. ბუფეტის მომსახურემ “მანანნარელმა” ვეღარ აიტანა მათ-მიერ დირექტორის შეურანყოფა და გამოესარ-ჩლა..

- შენ რა გინდა ჩემი უფროსისაგან. რატომ ანუხებ?
  - მაგისგან ერის სასარგებლო ჭკუა-გონებას ვითხოვთ, რაც შენ დირექტორს არ აქვს.
  - თუ არ აქვს როგორ მოგცემს.
  - ერთი შენ ყოფილხარ ჭკუის კოლოფი წერტილი დაუსვა სამ ძმიდან უფროსმა დათიამ.
  - გავეცალოთ რა მიმართა შუათანამ კურკამ პატარა ძმას ეძახ-იან ნამცეცას.
  - არა, მე პრინციპი მაქვს აქ უნდა ვიქეიფო თავი გამოიდო ნამ-ცეცამ.
  - ნამცეც არაფერი არ აქვთ, რაზე უნდა იქეიფო.
  - თუ კარგად მოიქცევით დირექტორის კაცი ვარ და ყველაფერს გამოვაჩენ. ისე რომ თქვენ კმაყოფილნი იქნებით. მიმართა ბუფეტში მომუშავეობა.
  - არა, ჩვენ არ გეჩხუბებით, გეუბნებით, რომ თქვენ უნდა ემ-სახუროთ სიმართლეს, ხო ესეა პატივცემულო დირექტორო. ერთი მძღავრად ამოიოხრა განერვიანებულმა დირექტორმა და ბუფეტში მომუშავესთან მივიდა და ყურში ჩუმად უთხრა.
  - მაგ ბიჭებისთვის ყველფერი იღონე. თუ საჭიროა დამლაგებ-ელს მოაყვანინე შესანველი წინილები.
  - კი უფროსო, კი ამის შემდეგ ჩუმათ ჩაილაპარაკა. წინილები კი არა მე ვიცი რაც უნდა მოუტანო. მაგრამ ძალა აღმართსა ხნავს. გაუშალეს სუფრა, რომ ჩიტის რძეც არ აკლდათ. ხედავთ როგორ ავიყვანეთ? დათიკო ნამცეცა და კურკა ერთი-მეორესთან ტრაბ-ახობდნენ ნავიდა ქეიფი სიმღერა, ცეკვა და ლექსები.
- საქართველოვ რა ხარ,  
ჩემი გულის თქმა ხარ.

თავისუფლებავ სად ხარ,  
მოღი მალე ნუ დამძრახავ.

\* \* \*

ეს ღვთისმშობლის მთა და მდელოა,  
სამშობლო ის მხვდა მე რო ვინატრე.  
ერის სიმდიდრე საქართველოა,  
ცა მზე და მთვარე მისი სინათლე.

\* \* \*

იწამა გულმა ოცნებით,  
სამშობლო ერის დიდება.  
ლმერთის მადლია ლოცვებით –  
სიტკებოთ რომ გადმოდინდება.

\* \* \*

საქართველოა მობძანდით გელით –  
კეთილი გრძნობით გაშლილი ხელით,  
სული დაატკებე ახალით ძველით –  
ბაჯალლოსა გავს მთა-ბარი ველით.  
– ნამცეც შენ არ გიყვარს სამშობლო?  
– შემამწინეთ რამე სამაგისო. როგორ არ მიყვარს.  
– ლექსა რატომ არ ამბობ?  
– ლექსი რა პიონერი ვარ.  
– პიონერი რა შუაშია? მეორეთ არ ახსენო თორემ ჯარიმას დაგა-  
ლევინებ. თუ გიყვარს მამულსაც ეყვარები და ლექსს გათქმევინებს.  
საქართველოში ყველა წერს და პოეტობს შენ რაა ცხოვრებას ხომ  
არ უნდა ჩამორჩიე.  
– კარგი ვიტყვი თუ დამავალეთ მომისმინეთ კიდეც.  
\* \* \*

სანამდისინ მოვისაზრეთ –  
შემოგვერტყა ირგვლივ მტერი,  
გავდევნეთ და ამოვაშრეთ –  
სისხლის გუბე ჰერი, ჰერი.

– ყოჩალ ძმაო. კარგია ღლეს ასე და ხვალ სხვა იქნება.

– სიზმრად ღმერთებთან ნადიმზე ვიყავ, მინდვრათ გაშლილ სუ-  
ფრაზე არნახული პურმარილი იყო. რა ხილი და რა მნვადები, სულ  
ქართული ღვინოს სვამდნენ. რქა-ნითელი ოჯალები, იქ ოსმალთა  
ღმერთმა მითხრა. მადლიანი მინა გიჭირამთ და ის ოსმალთა ხვედრი  
უნდა ყოფილიყოვთ. მერე ჩვენმა ღმერთმა იმათი ღმერთი, გაკიცხა  
არ გრცხვენიანთ რამდენი ტერიტორია გიჭირავთ საქართველოსი  
და მაინც აქეთ ხარბი თვალით იყურებით. მე საქართველოს სულით  
ვსუნთქავ, ქრისტეს მოსვლამდი ღვთისმშობელს უთქვამს.

– მაშ რაღათ ვდგევართ, დავანთოთ სანთელები ვახსენოთ ღმერ-

თი, ქვეყნის მფარველი ეს ერთად-ერთი.

- ივჰ რა გოგომ გაიარა,
- რა მოხდა კურკავ მოგენონა?
- აუჰ რა სილამაზე ჰქონდა, ჰირდაპირ თვალებში ჩამაფრინდა.
- აი ახლა მოდის და კარგად შეხედეთ, თვალებს არ გამოეპაროს.
- არ მოგენონათ ყმანვილნო? კითხვა დაუსვათ ელიამ
- მომენონა, კარგი გოგოა. მიმავალი გოგო მოტრიალდა და უთხრათ.

- ვის. არ მოვენონე თქვას.

- ვინც აქ არ არის იმას ჰასუხი გასცა ნამცეცამ.
- თუ მეგენონეთ? თქვით რას ფიქრობთ?
- სიყვარულის შესრულებას
- ფული უნდა ფული სიყვარულის შესრულებას. ფული ხო იცით,

რომ მაცდურია ჯოვალების სამოთხედ მოგაჩვენებს.

- ფული რამდენი გინდა ასი მანეთი?
- ასი მანეთი და კანიაკი შოკოლადით.
- არა მაგ ფასად არ ლირხარ! ნახევარი რომ მოგცეთ
- მერქ, მე როგორ გავანახევრო. ნახევრის მოცემა არ შემიძლიან.
- უი შე დასაწველო, რა თვალები გაქვს, მაკოცნინე და ოც მანეთს მოგცემ.

- თუ გულით გინდა უარს ვერ გეტყვი, წინიდან იღლის ქვეშ გატარებული ხელებით თავი დაუჭირა და ორივე ლოყაზე აკოცა, ვერ დაკმაყოფილდა, მაგრამ სათქმელათ მაინც დარჩა.

- ძმაო დათიკო, ისეთი რამე მოითხოვე, რომ მეც წილში გავიდე.
- გთხოვ სარა. დაბლა ქვედა ჩასაცმელის გამოჩენამდე კაბა აი-ნიე. თუ გინდა რომ ოცდაათი მანეთი მოგცე. იმ გოგომ მართლა აი-ნია კაბა და იმ მათხოვარ ძმებს თვალები გადმოცვენაზე დაუდგათ. როგორც შესაჭმელ ბატყანზე მეღლებს ემართებათ. გითხრათ თეთრ-წითელი ბარძაყების დანახვაზე უფრო გაგიუდნენ.

- შენ რას ითხოვ ჩემგან ნაბოლავარავ?

- რა გითხრა უფულო კაცს შენდობა არ აქვს. როგორც მათხოვრისთვის მოწყალებას თუ გაიღებ? მე კმაყოფილი დაგრჩები და არც ღმერთი იქნება თქვენი უკმაყოფილო.

- ღმერთი შენი სახსენებელი არ არის. მიუთითა ელიამ.
- შეგისრულებ კურკავ დაჩაგრულ კაცს, ჩემგან შენ რაღა და-ჩაგვრა გინდა, ეს თქვა და ორივე ხელი მოივლო კაბაზე და ნელს ქვევით ქვედა საცვლის გამოჩენამდე წინა და უკანა მხარე სულ გა-მოაჩინა და მიაძახა აჲ კურკავ ესეც შენი ფერქაში იყოს. მაყურე-ბლებმა ერთხმათ დაუკრეს ტაში და ივჰ ძმაო ბედმა არ გაგილიმა, კურკას ულოცავდნენ.

- იმ სულ ნაწყმენდილს რა ჩაბუტკუნებული ბრონეულის ფერის

ტანს რა ძლიერი ბიოგენები ჰქონდა კინალამ აზროვნება დავკარგვისა და ისეთი დარტყმა მივიღე რომ ტანში გამაურეოლა ლამის თვალები გადმომაყრევინა.

- მართლაც რა ბეჭი მქონია. არაა ძმებო.
- რა ბეჭი გქონია კურკავ. ტყუილად ნერვებზე მოგვშალა და ნავიდა.

- კურკავ შენ კიდევ უმაღლერსა ხარ? არაფერი მიგვიცია და თუმც ვალი კი დაგვადო.

- არა მაგის ცოლობა კი ღირს.
- გაჩერდი, შენ გვინია მაგისი ტანი შენს მეტს არ დაუნახავს?
- მერე რა მოხდა? კაცი რაც არ უნდა მახინჯი იყოს, ის ყოველთვის ცდილობს ლამაზი ქალი შეირთოს, ახლა ჩვენ თუ დავინახეთ დავაკელით რამე?

- არაფერი დავაკლეთ, მაგრამ ნელს ქვევით სასარტყელეს ქვე- მოთ ხომ ვიცით მისი ფიგურა რას წარმოადგენს.

- რას ლაპარაკობ შენ ზღვაზე არ ყოფილხარ იქ გოგოების ფიგ- ურა არ დაგინახია ნადი ახლა შეედავე იმათ ქმრებს მე მაგათი ფიგ- ურა დანახული მაქვსთქმ.

- საცოლესთან კაცმა უნდა იაქტიუროს, იგი უფლება მოსილია, ქალი კი ნაზია, თავშეკავებული, მისი ბუნებრივი თვისებიდან გამომ- დინარე ვლაპარაკობ თუ არა, ქალი არის ისეთები რომ ცხენიან კაცს ძირს დასცემენ. შეიძლება ქალს უყვარდეს და ბიჭს არა, ქალი იშვია- თია რომ ბიჭს პირადათ უთხრას მიყვარხარო სამაგიეროდ სიყვარუ- ლის გრძნობა ქალს სულში აქვს ბიჭისადმი უდიდესი მისანიშნებელი რომელითაც ბიჭს უნდა ჩააგონოს, დაასმინოს, იქამდე რომ ბიჭს ათქმევინოს მიყვარხარო. ქალის თვისებაა რაც უფრო ლამაზია, უფრო ლამაზი უნდა რომ იყოს. ქალი ბიჭთან ყოველთვის მოკრძა- ლებულია, რადგან იგი სუსტი ქმნილებაა.

- მომისმინეთ კურკავ და ნამცეც. ერთი სადღეგრძელო უნდა ვთქვა. როგორც სუფრის-მაგიდის წევრი, როგორც თქვენი ძმა, საქა- რთველოს გაუმარჯვოს თავისუფლების მებრძოლი სულით ერთიანს და მთლიანს დაფლეთილს კი არა, დაუპრმავდეს თვალები ეინც ამ მადლიან მიწაზე მტრობით დადის, იმპერიით დამცირებულმა თვა- ლი ვის გაუსწორო, მტერი დამცინის, ვითომ მოყვარეა დამძიძენის, თვალებს დამთხრის და ფეხქვეშიდან მიწას გამომაცლის, სამშობ- ლოსადმი მებრძოლი სულით რომ არ ვიყო, მაშინ ჩემ ავყიობას სა- მარეც ვერ დამალავს. მაშინ სული ჩემი, ღმერთისგან შერისხული ჯოჯოხეთში ეშმაკებს სატანჯველათ გადაეცემა და ნინაპრებსაც ვერ დავაჯერებ, რომ ეს გული სისხლის გარეითად ნაღველითაც მუშაობს, არა მარტო მიწა ნაგვლიჯეს არამედ იმ მიწის კუთვნილი ცა და მზეც გაიყოლეს. არა და ამდენ ცოდვებს მარტო გული კი

არა, თავათ ისტორიაც ვერ დასძრავს. ამიტომ უნდა ვეცადოთ გული დავცალოთ ნაღველიდან. ეს ჩემი აზრია ან სიკვდილი ვაჟუაცური, ან სიცოცხლე სამართლიანი. გოგო, რომელმაც სასადილოში სინდისს უდალატა, თავისი უჩინარი გამოაჩინა. ეს გოგო იყო სწავლის გამო ჭურიდან გადასული, ფიზანომით საშუალოზე ცოტა დაბალი, მხრებამდი შექრილი ხუჭუჭა თმებით. შავი ბდლვიალა თვალების შექი თეთრ-წითელ სახეს აცისკროვნებდა. და ვისაც მისწვდებოდა მისი ეშხი, მიიპყრობდა, მის ყურადღებას, ზოგიერთებს მისი სილამაზე შეიძლება შურდათ კიდეც, რადგან ღმერთისგან ნაბოძი ქალის შესამკობი სიკეთე თუ სილამაზე რაც გააჩნდა ღმერთს ყველაფერი ზედ დაუნათლებია. ეს მოქეიფე პიროვნებები ადგნენ მაგიდიდან და ფულგადაუხდელად პირებდნენ გაპარვას, ამ დროს ის ლამაზი-სული გოგო კიდევ მივიდა, თვალებ წინ მოელანდათ. და დაუნებეს არშიყობა, უფროსი ძმა დათიკო კი აჩქარებდათ, მაგრამ ვერ გაეცალნენ ერთი სიყვარულს ეფიცებოდა, მეორე კოცნას თხოვდა. ამ დროს გამოეცხადათ ბუფეტში მომსახურე ელია.

- თქვენ ძმა ფული არ გადაგიხდიათ, და რატომ იპარებით.
- ფული ხომ გადაგიხადეთ, მეორეთ ითხოვ? მიუგო კურკამ.
- ვერ პირველი გადაიხადეთ. მეორეთ რომ მოხვალთ მერე ვილაპარაკოთ.
- არ გვაქვს ფული, როგორ გადაგიხადოთ.
- როგორ და კარგათ, რო იქეიფეთ ფული უნდა, მუქთათ ვინ გაჭმევთ ნამცეცამ დრო ხელთ იგდო და ამ გოგოს დაუწყო კოცნა. დათიკომ ტყუილი რომ ვერ გაიყვანა მარჯვენა ხელი აამოძრავა ბუფეტინიეს ერთი სილა გაარტყა ელამ ხელი შეუბრუნა და სამშა ერთი კაცი ხელში ჩაიგდეს და ცხვირიდან სისხლი გადმოადინეს საიდანლაც დაბარებულივით გამოჩნდა გელეჩა ისეთ დროს მოვიდა, როცა ძირს დავარდნილ მებუფეტეს ორი კაცი ფეხს ურტყამდა, მესამე ამ გოგოს არ ცილდებოდა. გელეჩამ სამივე ისე სცემა როგორც ეკუთვნოდათ ორი კაშში გააგდო ერთი ხელ-ფეხ გაკრული მძევლათ დაუტოვა ელიას ფულის გადახდამდე.
- სასამართლო შედგა გიორგის ლონდასადმი ნაძალადევი ინტიმური კავშირის გამო.

- ბატონომ გიორგი, თქვენდამი მიყენებულ სარჩელში რა ბრალდებაც არის გათვალისწინებული ამ ბრალდებას ეთანხმებით თუ არა?
- ბატონომ მოსამართლევ ნანილს ვეთანხმები.
- ის, რომ ლონდა ავთოს ასული მინდელი განათლებით პედაგოგი მეზობელ სოფლიდან დაბრუნებული თქვენ დაიჭირეთ და ძალმომრეობით დღისით, მზისით, გააუპატირეთ, ამაში არის რაიმე ტყუილი.
- ამას ვეთანხმები, მაგრამ, მე რამაც იძულებული გამხადა, რომ მე ეს დანაშაული ჩამედინა, საქმეში ნაჩვენები უნდა იყოს.

— მართალია ეგ არ არის ნაჩვენები, მაგრამ მე გეკითხები ამ სტატუსის ჩამდება თუ ახლავს მიზეზი თქვი.

— მე ვინც ცოლობაზე დავიღანაშემე საქმე ყველგან ამ ქალბატონმა ჩამიშალა. იმათი მშობლები აქ არიან აგერ დარბაზში სხედან და შეგიძლიან დაპკითხოთ. მეორეც ასეთივე ანალოგიურია პირველისა. მესამეს მშობლებიც აგერ სხედან დარბაზში. შეგიძლიათ ეგნიც დაპკითხოთ. მეორეც აგერ გიორგიმ ხელით მიანიშნა, მოხუცებული ქალი რომელიც გაპედინირებაში ხელს მიწყობდა. მოსამართლემ დაიწყო მონმეების დაკითხვა. პირველის მშობლებმა მიანიშნა დაზარალებულ გოგოზე მაგ გოგომ გვითხრა რომ გიორგის კაცობა დაკარგული აქვს და თქვენი გოგო არ გაუბედუროთ.

— მერე არ კითხეთ თქვენ საიდან იცითო რომ კაცობა არ აქვსო.

— კი ბატონო მოსამართლევ ვკითხეთ და გვიპასუხა რომ ჩემმა ძმამ გიორგის ცოლი შეიყვარა და შეირთო. მერე ცისანამ თქვა, რომ მე თავს იმიტომ ვანებებ გიორგის რომ კაცობა არ აქვსო. საანამ ჩემი ძმა შეირთავდა ჩემმა რძალმა თქვა ქალიშვილი ვარო. მერე მონმის ჩვენებაც ანალოგიურია პირველისა. მოსამართლემ გაიკვირვა ხუთ-მეტი წელიწადია მოსამართლე ვარ და ჯერ ასეთ შემთხვევასთან საქმე არა მქონია. შემდეგ ლონდა დაპკითხა.

— ქალბატონო ლონდა რატომ დაგჭირდათ გიორგის მიმართ ასე-თი ცილის წამება.

— ბატონო მოსამართლევ! ესე იგი: გიორგი თავიდანვე მე მიყვარდა მინდოდა, რომ მე მაგის ცოლი გავმხვდარიყავი, მაგრამ ვერ მივაღ-ნიე. ქალბატონი ლონდა თავისი დანაშაულის სირცხვილიც ცალკე ისჯებოდა და გიორგის მიერ მიყენებულით შეურანყოფილით ცალკე.

— ქალბატონო ლონდა თუ გრძნობთ თქვენი ენით რამდენი ოჯახი გაამნარეთ ლონდამ ცხვირსანმენდი მიითარა სახეზე და დაიწყო ტირილი. ლონდა თქვენ ცოლობაზე თუ დათანხმდებით გიორგის?

— თუ შემირთავს კი ვიქნები თანამა. წარმოთქვა ქვითინით.

— ბატონო გიორგი თქვენ რას იტყვით? შემოთავაზებულ ლონდას ცოლობაზე.

— არა ბატონო მოსამართლევ, არ შევირთავ.

— რატომ რა გიმლით ხელს, ზღვარ გადაცილებული სინდისისა ხომ არ იყო.

— არა ბატონო მოსამართლევ, მაგ მხრივ წმინდა სულისა აღ-მოჩნდა.

— მერე უარს რათ ამბობ, ცოდო არ არის შენგან წართმეულ ქალიშვილისას ვინ დაუბრუნებს მითუმეტეს ეს დანაშაული შენი სი-ყვარულით ჩაიდინა?

— ბატონო მოსამართლევ ლონდას სასჯელი უნდა ითქვას რომ განვლილი აქვს მე კი გასავლელი.

— გიორგი ამიტომ გირჩევთ რომ შერიგდეთ, თუ არ შერიგდებით ლონდაც უნდა გაუბედურდეს და შენც. თქვენ გიორგი დაფიქრდით შვიდ წლიანი მუხლი გაქვთ.

— რა ვუყო ბატონო მოსამართლევ, მე წუთისოფელში მშვიდი ცხოვრება მინდოდა, მაგრამ ბედმა ამ გზაზე დამაყენა.

— იცოდეთ გიორგი მე სრულებით არ მინდა შენი დაპატიმრება, რომ შერიგდეთ ორივესთვის ხელსაყრელი იქნება.

— ბატონო მოსამართლევ დაუშვათ და ლონდას შევურიგდი, მაგის ძმას რომ ჩემი ნაცოლარი ყავს. ასე ჩემი სიახლოვე გამოდგება?

— თქვენ: თქვენი ვნებას თუ დაიოკებთ ძალიან კარგათ გამოდგება. გოგოს შვიდი წელია უყვარსარ და ვერ გაგრძნობინა. შენ დაქორწინებაზე ხელი შეგისალა, თავის თავს კიდე ზიანი მოუტანა რა ვქნათ სიყვარულისთვის დასჯილი ისევ ლონდა დავსაჯო?

— ბატონო მოსამართლევ, მე სასჯელს არ ეიხსნი თავიდან.

— მე კი გირჩევთ რომ შერიგდეთ და მშვიდობიანი ცხოვრება გააგრძელოთ. გვერდში ანგელოზივით გოგო შენი სიყვარულით ინვის და შენ საცოლეს სხვაგან დაეძებ. გიორგი არ გეპატიება.

გათენდა დილა დღე მშვიდობისა, ტურისტული მარშუტის გემი გადის ფოთის პორტიდან კურსი აიღო კეიპტაუნისკენ. გელეჩა ამ გემს მიჰყება. იგი შიშის ქვეშ არის იცის რომ დასაჭერად დაეძებენ ის კი იმზანდ გემში ვიღაც უცხოელთან ზის და ფულზე კარტს თამაშობს. ბეჭი ხან პირველს წყალობდა და ხან მეორეს. მიღის გემი და მიჰყავს მგზავრები ათასი ფიქრით ზღვის ტალღები კი ბობოქრობენ.

— გიურსან ერთი ტუზიც მომეცი და კონი ჩემია.

— გელეჩ აგერ ხელში მიტირავს კარტი და შენ რომელიც გინდა გამოილე გელეჩამ თავისი ხელით გამოილო კარტი და მიაძახა.

— აპა ძმობილო, ხო გითხარ ტუზი მინდა მეთქი ამ დალოცვილმა არ გამიმართლა.

— კარგი გელეჩ წუ ტრაპახობ. სულ ერთია კარტის თამაშით უნდა გაგდარცვო.

— მაგას ვერ შეესწრები.

— გელეჩ მე მახსოვს შენ გემზე ბოცმანად რომ მუშაობდი.

— კიდე იქ მუშაობ? ახლა შვებულებაში ვარ. მაგრამ არ მახსოვს ჩვენ ერთმანეთი სად გავიცანით.

— დაგავინყდი დალოცვილო, შენ უფროს კაპიტანს დაბადების დღე რომ გემში გადაუხადეთ.

— ხო, ახლა გამახსენდი, მაშინ ამ საქმის ინიციატორი ასანა იყო.

— სწორია, მართალი ხარ, გელეჩ ხო კარგი დრო გავატარეთ? გელეჩას პასუხის გაცემა აღარ დასცალდა. გემი უახლოვდება კეიპტაუნს. ეს ის მომენტია, რომ საკმაოდ სოლიდური თანხაა კონში და ორთა დაძაბული თამაშია, კეიპტაუნის პორტში შესვლამდე გემის



სალონში შემოვიდა შინაგანი საქმეთა სამინისტროს თანამშრომელები და მომზადები და მერე ამოლოდ უბის კიბიდან სურათი და ამ სურათით ამოცნობილ პიროვნებისკენ წავიდა გელეჩამ სასნაულად მოასწრო კონში ჩადებული მთლიანი თანხის მითვისება და მაგიდების ქვეშ ხალხის ფეხებში ისე გაძრვა, რომ მილიციის თანამშრომელმა თვალით დანახვა ვეღარ მოასწრო, მხოლოდ კარებში გასვლის დროს სამჯერ ნაგანის სროლის ხმა გაისმა, მერე გამოირკვა რომ კარებში მდგომი მილიციის თანამშრომელი ფეხში მსუბუქად დაჭრილი იყო. ამის შემდეგ დანიშნულ ადგილამდე გემი ისე ჩავიდა, რომ გელეჩა აღარ გამოჩენილა. ზოგიერთი მგზავრი ირწმუნებოდა, რომ გელეჩა იყო თუ სხვა რომელიმე. ერთი კი არის ზუზტათ იმ დროს ნყალში ვიღაცა გადახტა, თუ მერე მოკლეს არ ვიცი ვერ გეტყვი სიმართლეს რადგან კონკრეტულად არ ვიცი. მეორე სასამართლოზე გიორგი და ლონდა შერიგდნენ. მათ შერიგებაზე დიდი წვლილი მიუძღვის გაბოს. გიორგის ოჯახში კვლავ ხმაურია. ახალ მეოჯახს გაბომ ფული დაუტოვა. გიორგი არ იღებდა, მაგრამ გაბომ დააძალა ოჯახია დაგჭირდება. მართალია ისრაელში არ გაჟყვა, მაგრამ გიორგის ლონდას სახით პატრონი რომ გამოუჩნდა გაბო იმედიანათ წავიდა საშობლოში. ლონდამ გიორგის წინაშე ბოდიში მოიხადა. საცოლეს შერჩევებზე ხელის შეშლაზე.

— გიორგი ვერ წარმოიდგენ, როგორ ძლიერ მიყვარხარ, წამდვილად იმ ძლიერი სიყვარულის ამბავია მე რომ არა ადამიანური საქციელი ჩამადენინა, ამიტომ ბოდიშს გიხდი, მართალია ბოდიში ჩადენილი ცოდვების ტოლფასი არ არის. მაგრამ დანაშაულის მონაიებას მაინც ნიშნავს.

— არაფერია ჩემი ანგელოზო სიყვარულმა მაგაზე უფრო მეტიც იცის, დასამალი ჩვენს ურთიერთობაში აღარაფერია და უნდა გამოგიტყდე რომ შენდამი სიყვარული ჩემს გულშიც იმალებოდა. ვერ გიმხელდი, გულში კი ვფიქრობდი ასეთ მშვენიერ გოგოს და ასეთი მდიდარი ოჯახის შვილს არავინ გამომატანს და ტყუილად თავს შევირცხევნ თქო.

— ესე იგი ჩემი გიორგი, ის დანაშაული მოთლად ჩემი ბრალი არ ყოფილა. დანაშაული ნანილობრივ შენც მიგიძლვის. ასე თუ ისე ჩვენ ერთმანეთს მაინც შევხვდით და ლმერთზე უნდა ვილოცოთ, რომ ბედნიერათ წარიმართოს ჩვენი მიმავალი, დრო ულმობელი. რაც უფრო გადიოდა გიორგის ოჯახური მდგომარეობა მტკიცდებოდა, გულიდან ნალველი გადიოდა და ურთიერთ შორის სიყვარულს სიყვარული ემატებოდა გიორგიმ კარგი სამსახური იმოვა. ლონდა დაფეხბიძა, სამომავლო ბედნიერებას თვალნათლივ ხედავდნენ. ბუსუსის ოჯახის მდგომარეობას ბინდი ედებოდა. ბუსუსიმ ამონურა სიყვარული. პირველ ქმართან ადრე და მეორესთან კი ახლა.

ბუსუსის ოჯახში ქმრის მიმართ უსიამონობა თანდათანობით იზავიანით რდებოდა. ბუსუსიმ ახლა გიორგისთან მოიმდომა დაბრუნება. ესე იგი გიორგისთან ბუსუსიმ ძველი სიყვარულის აღდგენა მოისურვა. ერთ დღეს, როცა, რომ, ლონდა სამსახურში იყო, ცისანა გიორგისთან სახლში მივიდა, დალატის მოსანანიებლად. გიორგიმ გაულო კარები, მიიღო როგორც სტუმარი. სახლში შესული ბუსუსი წუთით გარინდებული იდგა და ფიქრობდა. იმას თუ ჩადენილი დანაშაულის მიზეზის გამოაშკარავება საიდან დაეწყო. დაბნეული ბუსუსი ისევ გიორგიმ გამოიყვანა მდგომარეობიდან.

- რა გნებავს ბუსუსი რისთვის მობრძანებულხარ?
- მაპატიე გიორგი, შენდამი ჩემს მიერ ჩადენილი დალატი ჩემი ბრალი არ არის.

- შენ რო ავხორცობა გამოაშულავნე ეს ვის დავაბრალოთ?  
 - გიორგი მომისმინე, ეს ყველაფერი ლონდამ მომინყო.  
 - კი, მაგრამ შენ ჭკუა დაკარგული ხომ არ გქონდა.  
 - ჭკუა როგორ არ მქონდა, მაგრამ ლონდამ იმდენი მელაპარაკა, რომ ჭკუიდან გადამიყვანა, თავის ძმას მიქებდა, ისე ძალიან უყვარხარ რომ შენი გულისთვის თუ საჭირო შეიქნა სიცოცხლეს გსნირავსო.

- მერე რა გაჩქარებს, დაელოდე იქნება შენი გულისთვის მართლა თავი გასწიროს.

- გიორგი დამცინი?

- მე არ დაგცინი, შენ ადამიანობას რაც აძლიერებდა ის შენ თავად გადათელე დაუკარგე ღირსება.

- გიორგი მაპატიე ეს ერთი შეცდომა. გეხვეწები აღვადგინოთ ჩვენ ძველი სიყვარული.

- ნაპატიები, არა ხარ შენთვის ხელი არ შემიხია და არ გეჩხუბები.

- შენზე ლონდა ისეთ აშებს მიყვებოდა, სულ გაძაგებდა უარყოფით პიროვნებათ გხატავდა.

- შენ უფრო უკეთესად არ უნდა გცოდნოდა ერთი-მეორესთან ჩვენ უფრო ახლოს არ ვიყავით. სიყვარული ამოუწურავია და წუთი-სოფლისაა, თქვენ კი ადვილათ და ნაჩქარევად ამონურეთ, როგორც ჩემში, თქვენი ქცევიდან ჩანს რომ ისე მეორე ქმართან. შენთვის ყველგან გზა გახსნილია, ახლა მესამეს იშოვი, მერე მეოთხეს, სიკვდილამდე რაც უფრო შენ სხეულზე მეტს გადაატარებ. შენი აზრით უფრო ბედნიერი იქნები და შეიძლება, სიკვდილის შემდეგ სულით სამოთხეში აღმოჩნდე. ცისანამ ხელიდან ბოლო საშუალებაც არ გაუშეა. ტირილს მისცა თავი, მაგრამ გიორგის გული ვერ დაულბო. თუმცა ქალის ცრემლებს მაშინ აქვს ფასი, თუ თავათ იმ პიროვნების საქციელი ზნეობრივია. გიორგიმ ბუსუსი სახლიდან დაითხოვა,

უფრო ატირდა, ცრემლსა ცრემლი მოუმატა. იძულებული გახდა ეს ლეთისნიერი პიროვნებას ხელით შეხებოდა, მოავლო კლავში ხელი და ძალის მეშვეობით კარში გაიყვანა. სახლიდან იძულებით გამოძევებული სტუმარი დიდხანს იდგა კიბის მოედანზე და მართალი ქალი-ვით იცრემლებოდა. თავისი ბედის გაცვლას სხვას აპრალებდა. აგერ მოვიდა, კიბეზე შემოაბიჯა სამსახურიდან დაპრუნებული ლონდამ შენიშნა ბუსუსი რომ იცრემლებოდა და შეეკითხა.

- ბუსუსი რატომ ტირი? სატირალი მოხდა რამე?
- შენი ბრალია ლონდა, რატომ მომიშალე ბედნიერება? რათ ამი-რიე გზა-კვალი, იმიტომ რომ შენ გაბედნიერებულიყავი?
- თუნდაც ასე იყოს, შენ ტვინი არ გქონდა? მე იქნება მეთქვა კლდეში გადავარდი-თქო უნდა გადავარდნილიყავ.
- რატომ მიძაგებდი გიორგის და რათ მიქებდი შენ ძმას.
- შენ შენი ვნება ვერ დაიოკე რა ჩემი ბრალია? მე გირჩევ ჭკუით მოიქცი ჩემი ძმაც არ დაკარგო, ეგ ქმარი მაინც შეინარჩუნე.

- გიორგიმ გაიგო ლონდას ხმა გახსნა კარები და ლონდას სთხოვა ცისანას ჩამოსცილებოდა და შინ შესულიყო. მართლაც ასე მოიქცა, აცრემლებული ბუსუსი გარეთ მიატოვა და შინ შესულმა გიორგიმ და ლონდამ ერთი-მეორეს კოცნით მიესალმზენ. მერე გიორგი გაეხუმრა.

- შენ ჩემო იმედო. ჩემს მიმართ სიყვარულით იყავ განწყობილი და გასაბედნიერებელ გზას მიბნევდი. მე კი ბოროტებული განზრახვით გავაკეთე ის, რამაც ჩვენ ორივე სხვადასხვა პიროვნება გაგვაერთიანა. დღევანდელობას თუ გადავხედავთ წუთისოფელი გარეუნი-ლობისაა, გაველურებისაა. საბჭოთა იმპერია დაპყრობითი სახელმწიფოების ხაჯუზე შეიქმნა. ტერიტორიულათ და მოსახლეობითაც. მაღაზიები სავსეა არა დასაშვები ბავშთა სათამაშოებით, თოფებით, ზარბაზნებით, ტანკებით ავტომატებით, ნაგანებით. ბავშვი ფეხს აიღგავს უმაღლ თოვს დააჭირინებენ ხელში, თავიდანვე აჩვევენ ბავშვებს, ეს კი იმას ნიშნავს რომ ბავშვებს ჩვენ თავათ ვაჩვევთ ბოროტებას. იმის მაგივრათ რომ, ბარი ლაფატკა, მანქანა, ტრაქტორი, შრომითი ტექნიკას მივაჩვიოთ, ბავშვებს ჩვენ უფრო რეციდივისტობისკენ უბიძებეთ. კინოს გადაიღებენ და ბავშვებს უჩვენებენ ხალხს როგორ ანამებენ, როგორ კლავენ, უჩვენებენ სექსუალურ ფილმებს, ამით ახალგაზრდობას უფრო აღიზიანებენ, აველურებენ ზოგიერთი ახალგაზრდა შეიძლება ვიდეო-სურათით კრაიოლდება და აღარ უნდათ დაქორნინება. სიყვარულს თავისი ჩარჩო აქვს, რამ-კაში უნდა იჯდეს რამეას გარეთ რაც ხდება ბავშვებისთვის მისი ჩვენება არ არის საჭირო, არის ოჯახები რომ ახალგაზრდებიც არიან და ბავშვებიც, ხანდაზმულებიც, სად აქვთ საშუალება, რომ სამი ან თოხი ტელევიზორი დაიდგან ოჯახში ერთი ტელევიზორი და ისიც ახალგაზრდებს აქვთ დაკავებული რა ქნან სხვა არზზე კომიკური

კინოა ან დაფგმა თეატრალური, სად ნავიდნენ სად უცურონ. ასე გამოდის რომ ბავშვებიც და ხანდაზმულებიც შეზღუდული არიან. მხოლოდ ასეთი მიდგომით ახალგაზრდობა დაკარგავს პატივსცემას მშობლისადმი სიყვარულს თუმცა ეს მოწოდება არ ეხება ეროვნულობას, სამშობლოსადმი ერთგულებას, ხანდაზმულებს სიამოვნებთ ეროვნული სიმღერები, კომედია, იუმორული დადგმა, უფრო ჰუმანური სურათები. მხიარული ხალისიანი რომ გაეცნონ და დატებნენ. სულმა თავისუფლება იგრძნოს. გულს სიცოცხლე გაუხანგრძლივოს, დაისვენოს, ნერვები დაანყნაროს, ერმა რომ შვება იგრძნოს, გაბზარული სიყვარული გაამთლიანოს, ამოუშროს ნაღველი არ მიუმატოს შხამს შხამი და გული არ დაამძიმოს.

- გიორგი ეს შენი აზრი ჩემს გასაგებათ თქვი?
- არა, საერთოდ ამ უამად რა გაგებაც აქვთ უმეტეს ახალგაზრდობას მე ის ვთქვი და ზოგიერთი ფილმების ჩვენებაც რომ გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე მე ის ავლნიშნე.
- გიორგი, მართალი ხარ, მაგრამ ჩვენ არავინ გვეკითხება, შენ ერთი მერცხალი ხარ ნუთისოფელში მოფრენილი და შენი ჭიკჭიკით გაზაფხულს ვერ მოიყვან.

- ლონდა, ჩემს ჭიკჭიკს სხვებიც აპყვებიან ხალხი ტალღასავით აგორდება და ზამთარს საშიშროება შეექმნება. ლონდა მივიდა გიორგისთან მჯდომიარეს ზურგიდან ყელზე ხელი შემოაჭდო ერთი კოცნა მარცხენა ლოყაზე მიუძღვნა და მერე ცალმხრივი მოფერება ორივეში გადაიზარდა, ვნება გალვიძებულთა სულები ნუთიერად ნუთისოფლის სამოთხეში აღმოჩნდნენ. დღეები მიდის ნუთისოფლისა, სიყვარულს სიყვარულით იმკან და ნაყოფიც გამოიღო. ლონდას ბიჭის მუცელი გამოეკვეთა. ბუსუსის ბედნიერებას წყალი შეუდგა, ქმარიც და დედამთილ-მამამთილიც უშვილობას იმიზეზებდნენ. დრო და დრო ლონდას ცისანა სახლში მიუვარდებოდა-ხოლმე, ქმარი რატომ ნამართვიო. შენ რომ გყვარებია იმიტომ ამიბნიე გზა კვალი.

ერთ დღეს ფოსტალიონი გიორგისთან მივიდა და შეატყყობინა თქვენს სახელზე ფოსტაში ფულია მოსული მიპრანდით და მიიღეთ. ლონდა და გიორგი ფიქრობდნენ ფული ჩემთვის ვის უნდა გამოეგზავნაო, დიდი ხნის ფიქრის შემდეგ სხვა რომ ვეღარ მოითიქრეს ისევ გოგაზე გაჩერდნენ. გიორგიმ პასპორტი აიღო და ნავიდა ფოსტაში ნახა, რომ გელეჩას გამოუგზავნია საკმაოდ სოლიდური თანხა. ფულის ქვითარზე მინერილი იყო ფული შენია და როგორც გინდა დახარჯეო. დანარჩენს ჩემ მდგომარეობას ნერილით შეიტყყობ. გიორგის ფული იმდენათ არ გახარებია, როგორც გელეჩას სიცოცხლე გაუხარდა. გიორგი დარწმუნებული იყო გელეჩა გემიდან ზღვაში რო გადახტა ის უკვე დამხრჩვალი ეგონა, ისიც კი ქონდა ფიქრათ შეიძლება არ დანებდა მილიციას და მილიციონერმა მოკლაო.

– ზაფხულის თვე ივნისი დამდგარია, ცხელა, გიორგი და ლონდონის სადილ მირთმეული სავარძელში ისკენებდნენ.

– გიორგი რა კარგია სიცოცხლე. სიკვდილი რომ არ არსებობდეს წუთისოფელი უფრო კარგი იქნებოდა.

– ლონდა მე არ მიყვარს წუთისოფელი.

– რას ამბობ გიორგი? ლერთს რატომ სცოდავ, ყველა სიცოცხლისკენ მიისწრაფის და შენ ერთი გამოხვედი მისი მომდურავი.

– ლონდა: საყვარელო, მიცვალებულს რო ტირიან ეს წუთისოფელის მიმართ პროტესტია, შენ კი მარტოთ მე გვონივარ წუთისოფელის აუგად მხსენებელი. დღევანდლამდე, თუნდაც ჩვენ ერამდე და იმის შემდგომაც რამდენიმე ერმა, რომელმაც ვერ გაუძლო წუთისოფელის დაძაბულობას და სხვა დიდმა ერმა შთანთქა, აღარ არსებობენ და ახლაც, როდესაც რამდენიმე ეპოქამ განვლო და დღესაც მიმდინარეობს. მოგვიშალეს ჩნდენის უფლებები რომ გავლიოთ წუთისოფელი და მოვიხსენიოთ შობა უფლისა ღვთისა მაცხოვრისა იესო ქრისტესი, უკუნითის სიკვდილიდან აღდგენამდე, არსებობდა ცნობილი სარწმუნოება. კერპთაყვანისმცემლობა, ადამიანის შენირვა ის დაგმეს და მის შემდეგ მიღებული იქნა ქრისტეს მცნება და ეს ღმერთად წოდებული ზოგი ქრისტიანდ მოინათლა ზოგიც მუსულმანათ, რა თქმა უნდა ქრისტეს მცნება კერპთაყვანისმცემლობასთან შედარებით უფრო თანამედროვეა, მისი ათი მცნებაზე უნდა გაიზარდოს მომავალი თაობა. ჩვენ ამ თვალსაზრისით თუ მიუდგებით, წუთისოფელმაც განიცადა, მიიღო განვითარება, მაგრამ ადამიანის სასიკვდილოთ ღმერთის გარეშე უფრო დამანგრეველი იარაღები დამზადდა. მეოცე საუკუნეს ცივილიზირებულ სამყაროს უწოდებენ. ადამიანი უნდა იყოს, კულტურული, განათლებული, გაეგბული, ინტილექტუალი, უბოროტო, ხალასი გულის, თაობა იზრდება ქრისტეს ათი მცნებით? მაგრამ საკითხავია არის კი ასეთი ჰუმანური მსოფლიოს ხალხი? ესე იგი არა, პირიქით მძვინვარებს ძალმომრეობა თვით ცხოვრების კულტურა კი გაუმჯობესდა მაგრამ უმრავლესობას გული კვლავ ველურისა შერჩათ. ეს ყველას არ შეეხება, არიან განვითარებული კურტურული ერები, რომლებიც ქმნიან ახალ პიესებს, მხატრულ ნაწარმოებებს, კინოფილმებს, მხატვრობას. მაგრამ მისწრაფება არის ადამიანის დაჩაგვრა ადამიანის ზეგავლენით. აი ეს არის ჩემი კარგო, თანამედროვე წუთისოფელი. კვირა დღე მზიანი იყო და მშობლებს-ამღრზდელებს ბავშვები შინა ყავდათ. ერთერთმა მშობელმა თქვა ეს ბავშვი უნდა გავაშვილო და თუ ვინმე არის უშვილო მითხარითო. ქალებმა მიასწავლეს და პირდაპირ მივიდა ბუსუსისთან. ჩაგონებული სახელი ერთი დაიძახა და რძალ-დედამთილი ერთდროულად გამოვიდნენ, მაპატიეთ, ბავშვის გაშვილება მინდა, აქ მომასწავლეს და პირდაპირ იმიტომ მოვედი. თუ გნებავთ აიყვანეთ

ნებინდა გენისაა, ქართველის სისხლისა გადახადეს ნახეს ბავშვი მშვენიერი ჯამრთელი აღმოჩნდა.

- რამდენად ჰყიდი ბავშვს?
- არა, არ ჰყიდი ფული არ მინდა.
- მაშინაც შეირჩინე?
- მოტყუფი, მე მეგონა შეყვარებული შემირთავდა.
- მიუყვანე შენი შეყვარებულის მშობლებს თავში ქვა იხალონ და გაზარდონ, ასეთი მშვენიერი გოგოს ცოლობაზე უარს გეუბნება?
- რა ვქნა ქალბატონო მე მომატყუა ბავშვი მოტყუებით შემარჩენინა და მერე იმან სხვა შეირთო.
- ბუსუსი შვილათ აიყვანე და გავზარდოთ შეაგულიანა დედამთილმა.
- არა, დედა. მე მეყოლება შვილი.
- ცხრა თვე გავიდა არ დაფეხმისტებულხარ შვილო აქამდე უნდა გყილოდა. იცოდე ჩემი შვილი უშვილობის გამო გაგდებას რომ დაგიძირებს აღარ დაგიცავ. ბევრი ელაპარაკა დედამთილმა, მაგრამ ბუსუსი მყაცრი უარის გზას დაადგა. მალე ჩემ გოგოს ლონდას ბავშვი შეეძინება და მერე შენ ქმარს გული დასწყდება.

დრო მოძრავია და ნუთისოფელმაც არ დააყოვნა ამირანი კვლავ თავის სოფელში დაბრუნდა. გიორგიმ ერთი ოთახი შესთავაზა დროებით სანამ მოიქონიებ რაიმეს და შეძლებ ბინის ყიდვასო. მაგრამ ამირანმა არ ისურვა სხვაგან არჩია ბინის დაქირავება. მალე გიორგის ოჯახს ახალი სული შეემატა, ლონდას ბიჭი შეეძინა, გიორგის სიხარულს საზღვარი აღარ ქონდა. ულოცავდნენ სამსახურში თუ სამსახურ გარეთ ახლობლები, მეზობლები. ლონდას და გიორგის შორის სიყვარული უფრო გამტკიცდა, გატკილდა, ნაყოფი გამოილო მათმა შრომამ. ერთობლივმა სიყვარულმა, ნუთისოფელი სიყვარულისაა და ღმერთის მიცემული სულით შეიძლება ისეთი სიყვარული და სიკეთე დასთესოს ნუთისოფელში რომ იგი მარად მისი მგზავრი იყოს. სულის მოვალეობა გულის გაკეთილშობილებაზე მის სიკეთილამდე იბრუნოს. შემდგომში სული როცა ღმერთს დაუბრუნდება იგი მაღლობას ეტყვის, რადგან ღმერთის მოცემული სული იმან უფრო გააკეთილშობილა. გაამდიდრა და მხოლოდ ყოველივე ჩადენილი ბორიტება ადამიანის მიმართ ადამიანის მიერაა, სულის ტანჯვა და გულის დაძიგვნაა, ჯოჯოხეთი კი უნდა იცოდე ეშმაკისაა. ღმერთის მაღლობა კი სამოთხეა, მისი კარები შენთვის ღია იქნება ყოველთვის და იქ შესულს კი უბატონოთ ხმას ვერავინ გასცემს. სატანა ამბობს მე იმას ველავ, რომელზედაც ღმერთი მიმითითებსო. მე კი ვეუგვნები არა სატანავ არ ხარ მართალი. პირიქით შენ შენი სურვილის აღსრულებისათვის კაცს კლავ ისე, რომ ღმერთმა არ იცის, ყველა სულიერმა კი არ იცის, რომ მეცხრე ცის იქით

ღმერთია და ის არის ნუთისოფელის სულის ჩამდგმელი. ადამიანის ერთხელ ეკუთვნის სული და იმ ერთხელაც ისე უნდა გამოიყენოს თავისი სიცოცხლე, რომ ყველა მადლიერი დარჩეს. დატებეს ღმერთი შენი სიკეთით და მისი ანგელოზებით კმაყოფილი იყვნენ. შენც ისეთივე კმაყოფილი უნდა ნახვიდე. რომ ნუთისოფელში მოსულ ბავშვს ჯერ თვალი არ აუხილია და სიკედილს დაბრუნებია. სიკედილი რა მოსატანია და თურმე იმათშიც ყოფილან კეთილმსურველები. სიკედილმა თქვა, ერთხელ ეშმაკმა გამაგზავნა მავანის და მავანის სული მომიტანეო. მეც ჩემებურად გამოვეწყე. პირი დავიძანე, თმები გადავიცარცხნე, და ხელთათმანები გავიყოლე ვიფიქრე ვისმე ჭირიანს არ გადავეყყაროთქო. საღამო იყო მზე ჩასასვლელის უფსკრულის ნაპირზე იდგა და უკან დარჩენილი სხივების ფერი და სიმბურვალე სასიკედილოდ გამნესებულებისთვის იღვრებოდა, მოცემული მისამართით მივედი ერთგან, მეორესთან, არ დამიხვდნენ სახლში, თურმე ახალგაზრდები ყოფილან უნვერ-ულვაშნი, სადღაც ბალში შევცვლი. გამოუჭერიათ ვარდის კოკორივით გოგოები და ერთმანეთის მოფერებას საზღვარი აღარ ჰქონდა. იმ ნუთებში ურთიერთ თანხმობით იმდენი სიყვარული იღვრებოდა, რომ ზოგიერთ ცივ გულას მთელი სიცოცხლე ეყოფოდა, შეწყვილებულნი ეს უცხო სხვადასხვა პირნი ლამაზნი ანგელოზებივით იყვნენ და მე ჩემ თავს არ მივეცი იმათი გამნარების უფლება და გავცილდი იქაურობას. რო მივედი და მოვახსენე, მათი მდგომარეობა, ღმერთმა მაღლობა გადამიხადა და ეშმაკმა კი საყვედური გამომიცხადა და სასჯელი დამადო. ლონდამ ჩაიცინა და უპასუხა.

— გიორგი შენ ჩემო რაინდო: უნდა ითქვას, რომ შენმა მონოლოგმა დამიპყრო. ამიტომ გადავკეტე შენი ბედნიერების გზები. საითაც ნახვედი ყველგან შლამბაუმები დაგიყენე, მწვანე შუქი არ აგინთე ხოვარ კარგი გოგო?

— კი კარგი ხარ, კარგი ჩემო ანგელოზო, ჩემი დაქორნინების ეს უკანასკნელი ცდა იყო ეკლესიაში ერთ კარგ მოხუცებულ ქალს ვიცნობ ის ჩემი დიდი გულშემატკივარია. იმან გამაპედინა დაქორნინება მე რო უარს ვამბობდი ის მეტყოდა-ხოლმე. უცოლშვილოთ როგორ უნდა დაიბერო შვილო თავი ასეთმა კარგმა ბიჭმაო. მე რომ დაქორნინება გადამეფიქრა ლონდა შენ ხომ გაუთხოვარი დარჩებოდი.

— რატომ, დასაწონი გოგო ვარ?

— არა ლონდა, დასაწონი გოგო არა ხარ, მაგრამ ჩვენ თუ ბოლომდე ერთი-მეორეს ბედს ნარმოვადგენთ ხომ ასე იქნებოდა თუ არ დავჭორნინდებოდი. ახლა მეორე ვარიანტი მე რომ შენს ცოლობაზე უარი მეთქვა ხო დამიჭერდნენ. ჩამსვავდნენ ციხეში. ვიქნებოდი და შენ კი გაუბედურდებოდი.

— შენ ასე ფიქრობ რაინდო? ციხეში მოვიდოდი პაიოქს მოგიტანისათვის და როცა განთავისუფლდებოდი მერე მანც ჩემი იქნებოდი. სიტყვა დაამთავრა და გიორგის გადაეხვია აკოცა, გიორგიმაც კოცნას კოცნითვე უპასუხა. პატარა გიორგიმ მშობლების საუბარს ხელი შეუწყო ხმა არ ამოულია მათი საუბრის დროს და ახლა გაიღიძა, როცა, რომ საუბარი დაამთავრეს, ახლაც ლონდამ საჭმელი აქამა თუ არა, უმაღლე დაიძინა. მზე ჩავიდა, ცოტა შებინდდა და ამირანა მეტ სახელათ გელეჩა სახლში გიორგისთან ბავშვის სანახავათ მივიდა, აკოცა მძინარეს და გულზე ორმოცდათი დოლარი დააღია. გიორგიმ, აიღო ის დოლარი და ამირანას ისევ ჯიბეში ჩაუდო, მაგრამ ამირანამ თავის სიტყვას არ გადაუხვია, თითქოს გაიხუმრა კიდეც, გიორგი, მე ეს ორმოცდათი დოლარი შენთვის არ მომიცია, პატარა გიორგის მივეცი და იმან რო აიღოს და ჩამიდოს ჯიბეში მე იმას დავმორჩილდები და შენ კი არა, სამივეს მხრიდან იყო სიცილი. მერე ლონდამ გააწყო პურმარილით მაგიდა და ლვინოს პატარა ჭიქებით ტკბილათ შეექცეოდნენ და იმ დროს როცა რომ ლონდას ოჯახის ესე იგი ხაზეიკის სადღე-გრძელო ითქვა, ამირანამ ასეთი სიტყვები დააყოლა ლონდა მე და გიორგის ისეთი ძმობა გვაქვს ნათქვამი, რომ ბევრ ნამდვილ ძმებს არ ექნებათ ასეთი სიყვარული. მერე როცა, რომ გელეჩა დაემშვიდობათ გიორგის ლონდას ესე იგი გაცილების დროს გიორგიმ. ათი ათასი მანეთი ამირანს ჯიბეში ჩაუდო, ამირანმა იუკადრისა. მაგრამ გიორგიმ არავითარ შემთხვევაში არ დაუთმო, ისიც კი უთხრა.

— გიორგი შენ ცოლშვილიანი ხარ და მეტი თანხები გჭირდებაო. გიორგიმ მოუჭრა სიტყვა.

— ნამდვილათ ამაშია საქმე, რომ შენ სახლიც არ გაქვს. ხომ გინდა დაქორწინება, ოჯახის შექმნა. გიორგიმ ამირანა გზაზე შეაჩერა და ჰქითხა.

— ამირან მე იქ ჩემ სახლში ვერ დაგვითხე. შენი პატიმრობის ამბავი როგორ გადაწყდა.

— გიორგი იმ პატიმრობას სხვა დანაშაულიც დავუმატე, ფოთში საზღვაო პორტის სასადილოში სამ ძმას ვცემე. კეიპტაუნში ჩემი დაჭერა უნდოდათ გემზე ამოვიდნენ საიდუმლო სამსახურის თანამშრომლები და სურათით დამეტებდნენ.

— ეგ ვიცი.

— გემის კარებში მდგომი ერთი დავჭერი და წყალში გადავხტი. მერე სხვა გემზე აღმოვჩნდი იმ გემშა ესპანეთში ნამიუვანა. სამი თვე იქ გავატარე. ახლა ისევ აქ თბილისის გარეუბანში მინდა დასახლება და მომავალი რას მომიტანს ის ალარ ვიცი.

— ამირან დროა დაუბრუნდე წუთისოფლის კეთილ ცხოვრებას, შექმნა ოჯახი. შენი ბეჭინიერებისათვის, საქართველოს კეთილდღეობისათვის. ჩვენ ადამიანათ ვითვლებით და უნდა ვემსახუროთ ადა-

## მიანურ საქმეებს.

— გიორგი ზოგიერთთან ადამიანური მოპყრობა არ გადის. არიან პიროვნებები შენგან დათესილ სიკეთეს ბოროტი საქმით პასუხობენ. ადამიანი ღმერთის ჩამოყალიბებულია და ღმერთის იდეებს უნდა ემსახურებოდეს. ჩვენ კი ვიცით რომ ღმერთი განაგებს სიკეთეს, სიყვარულს, გმობს ბოროტებას. ადამიანს თრი სასიარულო ფეხი აქვს და ორი დამცავი ხელი პირი და პირში მოთავსებული ენა მეტყველობისა. იმ პირიდან ენის დახმარებით საწამლავიც გადმოდის და მოსალენიც, შეიძლება მძაფრი შეურანყოფაც მიიღოს ისეთი, რომ დაბადება თავს განყევლინებს, სიცოცხლეს მთლათ შეგაჯავრებს. არ არის გამორიცხული ადამიანის შეურანყოფით შეიძლება კაცის სიკედილს აზიაროს. ესე იგი თავისი შხამიანი ენის ტარტალით. არიან კეთილი ადამიანები, რომლის პირიდან პარმონია იყრქვევა ან არა და მისი სიტყვიერი კეთილშობილებით ივსება მოყვრის გული და შეიძლება ბოროტის გულს მაღამოსავით დაედოს და გააკეთილ-შობილოს. ადამიანს სასიცოცხლოდ სული უდგას. თვალი ხედვისთვინ აქვს, ყური სმენისთვის, ცხვირი ყნოსისთვის, თავი აზროვნებისთვის, გული გრძნობისთვის, ერთერთი რომ გამოეთიშოს მისთვის ინვალიდობას ნიშნავს. საერთოდ ამა თუ იმ ადამიანზე იტყვიან ჩამოყალიბებული პიროვნებააო, ავიც იცის და კარგიცო. ესე იგი ასეთ პიროვნებას ცნობიერების ნორმალური შეგრძნება ჰქონია. ასეთი ადამიანებით უნდა არსებობდეს ნუთისოფელი.

ერთხელ ბუსუსის! ქმართან უშვილობაზე უკმაყოფილება მოუხდა და და რაც ენაზე მოადგა ყველაფერი უთხრა, ისიც არ დავიწყებია ეთქვა, რომ მისმა დამ აუბინა გზა-კვალი.

— მე რა მჭირდა შენი შეყვარებისა. როცა შენზე უკეთესი ქმარი მყავდაო, მაგრამ გადამრია შენი დის მოწამლულმა ენამ, ახლა მიკვედი, რომ გიორგი თავისთვის დომებია, მე კი გამაუბედურა და შენ ხელში ჩამაგდოვო, ამას კიდევ სხვადასხვა უკმაყოფილება დაემატა და ბუსუსი დაითხოვეს სახლიდან. ამის შემდეგ ლონდასთან დედამისი ყოველდღე გადადიოდა ეხმარებოდა ბავშვის აღზდაში, ბავშვს რომ დააძინებდნენ მერე დედაშვილი ჭორაობდნენ, სელი ენით ისიც კი ითქვა ჭორათ რომ ქმარს გაცილებულმა ბუსუსიმ ორი თვეც ვერ შეიკავა თავი და სხვა ბიჭათ კავშირი დაუჭრიაო. ერთ საღამოს გიორგის ამირანა ესტუმრა და გაშლილ სუფრაზე საიდუმლოთ ლაპარაკობდნენ.

— გიორგი ეზო კარმიდამო მე არა მაქვს, სამსახურიდან აღებული ხელფასი მე არა მყოფის, შენ მირჩიე როგორც ჭკვიანი ბიჭი. სულით-გულით კეთილშობილება კარგია, მაგრამ სიღარიბეს ვერ ვიცილებ.

— ამირან მე რა შესაძლებლობაც გამაჩინია ყველაფრით დაგეხ-

მარები შენი გამოგზავნილი ფულიდან ნაწილი შემორჩენილი მაქტსასა და გარების კურს ვჭამთ ეს ხო ცხოვრება არ არის მე სიყვარულიც ვიცი და სიკეთეც, მაგრამ ამას მაშინ აქვს მაღლი როცა ეკონომიკურათ უზრუნველყოფილი ვარ.

- არა ამირან, არ ხარ მართალი, მაღლი მაშინ აქვს როცა, რომ ეკონომიკურათ ხარ უზრუნველყოფილი, და რაც გაგაჩნია სხვისთვის რომ არ დაგენანება. თუ ყველაფერი გაქვს და უზრუნველყოფილი ხარ, მაშინ გაღებულ მაღლზე ნინაკას დაგიყრიან ან წყალს და-გისხავენ, იტყვიან აოხრია და ემეტებაო. მიგიხვდი შენ რაც გინდა, სინდისი ძნელად მოსაპოვებელია და ღმერთსა მაღლი რომ შენ გაგაჩნია და ადვილად ნუ ნიახდენ. რამდენი დანაშაული გაქვს ჩადენილი და მაინც გარეთ დადიხარ. მე მჯერა რომ ღმერთი გფარავს, იმიტომ, რომ ის დანაშაული იძულებით გაქვს ჩადენილი და ახლა რაც გნებავს ეს ნინასნარ არის ჩაფიქრებული და ამის გაკეთებას ღმერთი აღარ გაპატიებს.

- გიორგი ხაშურში ოჯახი ვიცი, რომელსაც ოთხ კილოზე მეტი ოქრო აქვს, ადგილიც ვიცი სადაც აქვთ შენახული, სამი სულია ოჯახში მშობლები და ერთი ქალიშვილი ჰყავთ.

- მერე იმათი დაყაჩალება გინდა?

- ხო მინდა, თუ მხარს მომაბავს. გიორგი დამიჯვერე იმისი ხელში ჩაგდება სულ ადვილათ შეიძლება.

- არა ამირან, მაგ საკითხში ვერ გაგინევ დახმარებას, მხარდაჭერას.

- მაშ ესე იგი, ძმა არ ყოფილხარ. მე კი ვიფიქრე შენც ობოლი მეც ობოლი. ორჯერ ციხეში ვიჯვექი ჩემი თავისთვის ეს ვერ მიპატიებია და ახლა მესამედ რო ჩავჯდე, ისრაელში გაბო ძია, რომ გაიგებს ხო გავიუდება.

- გიორგი. ჩვენ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ვერ გაიგონ, თუ ყოველ შემთხვევაში აგვიყვანეს შენც პატიმრობაში მყოფი წერილს ნუ მისნერ და ვერ გაიგებს.

- ის ჩემთან დრო და დრო ჩამოდის მაკითხავს და თუ რამე გასაჭირში ვარ მეხმარება, გაჭირვებიდან გამომიყვანს ხოლმე და მერე მიდის. მითუმეტეს ახლა ბიჭი რომ შემეძინა გავაგებინე და ველოდები აუცილებლათ ჩამოვა.

- გიორგი შენ პატრონი გყოლია.

- ამირან ჩემი გენისანი არ მყავს არავინ, და მარტო, მარტო,

გაბო ძია მყავს. ის რომელმაც გამზარდა. მისმა გაზღიულმა ეს როშებითი მე ჩავიდინო, რასაც შენ მთავაზობ. მერე მე იმას სახეზე როგორ შევხედო. არ მეტყვის შენზე ამაგი ტყუილათ დამიხარჯია?

— გიორგი ასე თუ დავწვრილმანდით. შიში შეგიპყრობს აბა რა იქნება.

— არა ამირან, ამ საქმეში ხელს ვერ მოგიმართავ, მე ჩემ სამშობლოს ვერ ვტოვებ, განუსაზღვრელათ მიყვარს. ასე, რომ არ იყოს ისრაელში გაბო ძიჭი ერთ-ერთი ძლიერი ბიზმესმენი გამხდარა, გაბო ძია, ამას ნინათ მე იმიტომ მესტუმრა, რომ გოგას უთქვია მე სხვას ვერ ვენდობი და გიორგის უთხარი ჩამოვიდეს აյ მომებმაროს და ჩემთან ერთად ისიც ბედნიერათ იცხოვრებსო. მაგრამ მე არ ნავედი, ვერ მივატოვე საქართველო. მერე გაბო ძიამ მითხრა.

— გიორგი ჭკუა არ გქონია საქართველო სად გეგექცევა, წასვლის დროს მითხრა მე მივდივარ და შენ კარგად იფიქრე. იქნებ ჭკუაში დაგიჯდეს გოგას შემოთავაზებაო. წავიდა გელეჩა და გიორგი კი დუმდა საძინებელი ოთახიდან გამოვიდა ლონდა და გიორგი გამოიყვანა ფიქრიდან, მიუჩინა საწოლი.

— ლონდა, მე რო ვკითხულობ ის წიგნი მომიტა.

— გიორგი, ლვინო გაქვს დალეული და წიგნში კარგი და ცუდი როგორ უნდა გაარჩიო.

— ლონდა, გენაცვალე შენ წიგნი მომიტანე თუ ვერ გავარჩევ ეს ჩემი ბრალი იქნება. სიცოცხლევ ხო იცი რომ წიგნი ცოლის წყაროა არა, წყურვილის მოსაკლავი, არამედ აზროვნების გამაფართოებელი, ჭკუა-გონების გამღვიძებელი სულის საზრდო, გულის გამკეთილშობილებელი. ამიტომ წიგნი მოსაბეზრებელი არ არის, თუ მასში მოცემულია პოეტის ან მწერლის სულის ღირსებაა. მე პოეზიის სიღრმეზე არ მაქვს ლაპარაკი, თუმცა ამას თქმა არ ჭირდება, იგი თავისთავათ მეტყველებს. წიგნს რომ ხელში დაიჭრ უნდა გსიამოვნებდეს, გიზიდავდეს ყოველივე შიგნით მდებარე სტროფი თუ სტროქინი. წიგნში რაც უფრო ჭეშმარიტებაა აღნიშნული. მკითხველის სულისათვის უფრო მსუბუქია, ხალისიანია, პარმონიულია. მიმზიდველია, სულს ეტკბილება და მკითხველიც მის მიმართ სიყვარულს ბადებს, ესე იგი მეტყველებს, გრძნობს თუ შიგ რა პოეტის სულია ჩადებული, გაგრძნობინებს იმ პოეტის სულმაღლობას ან მისი სულმაღლობას. მკითხველი აღიქვავს ბოროტებას თუ მისი კეთილშობილებას. თუმცა ყველა ერთნაირად ვერ აღიქვავს, საერთოდ თვალით შეხედავ ადამიანს თუ რომელიმე საგანს ან ბუნებას უმაღვე თვალი გულს კარნახობს მის მშვენიერებას, თუ არა და ნათქვამია, „კარგის მძებნელი ავს გადაეყარაო“, ან არა და „ბედმა კარგი არგუნა და ვერ გამოიყენაო“. ვაი, რომ ჩვენ ყველა ღმერთის ჩადგმულ სულით დავიარებით წუთისოფელში და ერთი-მეორეს ვმ-

ტრობით, ღმერთის დაუკითხავად ადამიანს ვკლავთ, ამით ხომ ჩვენ ღმერთსაც ვამნარებთ, მის ნინაალმდეგ მივდივართ, ეს ჩევნოთვის გაუმართლებელია რაც არ უნდა სანთლები დავანთოთ ცოდვებს ვერ მოვინანიებთ და მრავალჯერ ჩადენილ ასეთ მკაფი-სისხლიან ბოროტებას ვერც ღმერთი შეგვინდობს ტყუილათ თავს ნუ მოვიტყუებთ, ღმერთს ნუ მოვიმდურებთ და ეშმაკს ნუ გავახარებთ. სიყვარულს და სიკეთეს არაფერი სჯობია. კეთილშობილება გულის ვნებაა, ბოროტება კი, ძალაა ჯოჯოხეთური, რომლის გამოყენებაც შეუგნებლობას განაპირობებს, ეს სიყვარული არ არის, შვილია თუ მეგობარი თავისას რომ კალთას აფარებს და სხვების დართვუნვაზე გადადის, სიკეთილმაც ასე იცის ბოროტ სულებს ეშმაკი არ კლავს, პირიქით იმას იყენებს და კეთილმსურველ ადამიანებს აკვლევინებს, ილია ჭავჭავაძე მაღალი კეთილშობილი ნიჭი და სიბრძნით უხვად იყო დაჯილდოებული და ყოველი მისი სიტყვა ბრძნულ წარუშლელ კვალს ტოვებდა. როგორც უფალთან, ისე ქართველი ერის გულში. მისი თანამედროვება გაცილებით ბევრათ მაღლა იდგა, მაშინდელ არსებულ წყობილებასთან. ესე იგი მეცხრამეტე საუკუნის წარჩინებულ – ამაღლებულ საზოგადოებასთან შედარებით ყოველი მისი მოწოდება დამაჯერებელი, აღმაფრთოვანებელი უკვდავი სიტყვები ისმოდა, მხოლოდ მის ნათელ სახეს შორსმჭვრეტელი თვალები, შორს გამიზნულ სიტყვებს ნარუშლელ და დამაჯერებელ ბეჭედს ასვამდა. ასეთ კაცს სასიკედილოთ თვით ბუნების უხილავი ძალაც არ გაიმეტებდა და არც გამოუტანდა სიკედილის განაჩენს. მაგრამ გამოჩნდნენ თვალთხილული ხორციელი უსუსურები, კაცობრიობაში დამცირებულნი, რომელებმაც იგრძნეს ილიას სულის დაუძლევ-ლობა და გულში განიძრახეს მისდამი ბოროტული, უმოკლესი, მა-გრამ უმძიმესი სასჯელი მისი მოკვდა. როდესაც საგურამოში მიღ-იოდა ნინამურთან გზა გადაუკეტეს და სიცოცხლეს გამოასალმეს, მოკლეს ვერაგულათ, მოკლეს იმათ... ვისი ბედნიერებისთვისაც თა-ვად ილია იბრძოდა, ესე იგი ერის განდიდებისთვის, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. ნახეს ილიას უძლეველობა და სიკედილს მიახმარეს სერგო ორჯონიერიძე, ფილიპე მახარაძე, ბერბიქაშვილი, ჯაში, თავად ილიას დამცველი, მაგრამ მკვლელები მაინც დამარცხდნენ. ქართველებს რა ვეფირს, რომ მტერს და მოყვარეს ვერ ვარჩევთ. მოყვარეს ჯერ ვკლავთ და მერე მივტირით.

— გიორგი შენი ფილისოფიის გამხელა ხო დაამთავრე, ახლა შეიძლება დაძინება?

— კი, შეიძლება ჩემო სიცოცხლევ. ლონდა მოგაბეზრე თავი ლაპარაკით რა ვქნა სიყვარულმა მაგაზე მეტი იცის.

— ხო გიორგი ბავშვს სანამ ძინავს მინდა რომ მეც თვალი მო-ვატყუო.

— შენ დაიძინე ლონდა ბავშვს მე მივხედავ.

— ხი ხი ჩი-ჩაიხით ჩითა ლონდამ. გათენდა ოცდა რვა აგვისტო მიძინება ყოვლათ წმინდისა ჩვენისა ღვთისმშობლისა მარიამბა. გიორგი ამ დღეს ეკლესიაში მივიდა, ილოცა, სანთელები დაანთო და კარში გამოსვლისას წინ შეეგება ამირანი. მოუცადა იმანაც დაანთო სანთელები და მერე სახლისკენ ერთად წავიდნენ.

— გიორგი გამოუვალ მდგომარეობაში ვარ დგმურათ ვდგევარ სხვისი სახლის კედლებს ვათბობ და წუთისოფელში ჩემი საკუთრებათ არსად არაფერი ითვლება ან წუთისოფელი უნდა დავთმო, ან მხარი უნდა მომაბა და რაც გითხარი, ის საქმე უნდა გავაკეთოთ. თუ არა, ამ გაჭირვებიდან ჩემი შრომით ვერადროს ვერ გამოვალ. არც შენ ხარ დალხინებული მარტო პურისტამა ხომ არ არის. იმდენი უნდა გქონდეს, რომ დროს უნდა ფეხი აუწყო. არ უნდა მიჩანჩალებდე. ვიმეორებ, ხაშურის საქმე აუცილებლათ უნდა გავაკეთოთ. იმას პატრონი ვერ მოიხმარს, სულერთია ჩვენ თუ არა, სხვები მაინც გაძარცვავენ, ველოდები შენგან პასუხს რას იტყვი. თუ გასკდა ეს ამბავი თავზე მე ავიღებ.

— მივალ სახლში ლონდას გაუმხელ, გავიგებ მის აზრს როგორ შეეგუება ჩემ წინადაღებას.

— რას გაუმხელ ის ქალია არ იცი, რომ არ დაგთანხმდება?

— რა ვქნა ამირან, რომ არ დავეკითხო არ შეიძლება ისინი ორნი არიან, მე ერთი ვარ.

— მე რო ახლა თავი მოვიკლა ვიცი არ გაგიხარდება, მაგრამ ვიღაც ვიღაცები ხომ იტყვიან მხდალი ყოფილა რომ წუთისოფელს ვერ გაუძლოვო.

— რავენათ რო დავიწვათ?

— ჩვენ მაგაზე სრულებით არ უნდა ვიფიქროთ. ბედი ცხოვრებისაა ან შენ უნდა გამოკვეთო ან იმან უნდა გადაგიყოლოს.

— რო გადამიყოლოს, მერე ცოლშვილს რა ვუთხრა.

— რა უნდა უთხრა, გამოდის რომ შენ ამხანაგობა არ გცოდნია. თუ არა და ხო გითხარი თავზე მე ავიღებთქმ.

— არა, ამირან ეს ამხანაგობა არ არის სულ თუ არა ნანილობრივ მაინც უნდა ჩაიხედო ჩემს გულში. ვის დაუტოვო ჩემი ცოლი და შვილი?

— გიორგი შენ არ გაგიგია ამხანაგის გულისოვის ცეცხლში ჩავდგებიო რო უთქვიათ.

— მარტოდ რომ ვიყო ცეცხლში კი არა უარეს გავაკეთებდი, მაგრამ ცოლშვილს რა ვუთხრა. ღმერთმა ბედი ძლივს მარგუნა ახლა შვილიც მყავს. მე რომ ამათ ვუღალატო იქ ღმერთის წინაშე როგორ უნდა წავრდგე.

— ეჲ მხდალი ყოფილხარ ეს უთხრა და დასცილდა გიორგი კი

ჩაფიქრდა ძალს ეშმაკი იყო და ძალს გიორგი, მაგრამ გიორგი ბოლოს ეშმაკმა დასძლია და ამირანას საბედისნერო თამაშებზე თანხმობა უთხრა. გიორგი სახლამდე ისე მივიდა ბურუსიდან არ გამოსულა, გიორგიმ ექვსჯერ თქვა გელეჩას რატომ დავთანხმდიო. მაგიდას მიშსხდარი გიორგი და ლონდა პურის ჭამის შემდეგ ბავშვს ეფერებოდნენ და თითქოს ლონდას სულმა იგრძნო, გიორგის სახიფათო ნაბიჯის გადადგმა, სამჯერ უთხრა ვერ ნარმოიდგენ გიორგი რა ბედნიერები ვართო. ეკონომიკურათ ლონდას მშობლების ოჯახთან შედარებით ბევრათ სილარიბე იყო გიორგის ოჯახში, თუმცა არ შიოდათ, მაგრამ იმათ ოჯახთან შედარებით ვამბობ. ლონდას გულიდან ამოკრეფილმა ამ ხალასმა სიტყვებმა გიორგი უფრო ჩააფიქრა. რამდენჯერმე გულში გაიფიქრა არა, უარი უნდა ვუთხრა, გადაუტევიო ჩემს თანხმობასო. იმ ღამეს გიორგის თვალზე ძილი სულ არ მიჰკარებია, ვერ აპატია თავის თავს. მეორე დღეს გულმა გიორგის შეცდომა ველარ დაიტია, და ამოხეთქა ლონდას თვალნინ.

- ლონდა ამირანა ასეთ საქმეზე მეპატიუება და შენ რას იტყვი.
- მერე შენ რა, დათანხმდი?
- ხო დავთანხმდი.
- გიორგი ამ საბედისნერო ნაბიჯის გადადგმა რათ მოგივიდა, ასეთ ჭევიან კაცს?
- არ ვიცი, ჩემდა უნებურათ შევცდი.
- შესცდი და უნდა გამოასწორო, გიორგი ასეთი რამე ჩვენ ბედნიერებას არ ჭირდება. შენ დაბრძენებულ თავს ეგ არ ეკადრება. ჩვენ ტკბილ პურს ვჭამთ და არ გაგვიმნარდეს.
- რა მოვიფიქრო, მიცემულ თანხმობას როგორ გადაუხვიო, სინდის როგორ გადაუდგე.

- მერე ეგ ძარცვაა, დაყაჩალებაა, უსინდისობა კი არა ადამიანობის დაკარგვაა. ერთ საღამოს ამირანამ გიორგის დაუძახა და ერთად წავიდნენ ფიცის შესასრულებლათ. დიდხან ეხვენა ლონდა გიორგის ნუ წახვალო, იტირა კიდეც, მაგრამ ეშმაკი რო შეუჩინდება მერე კაცი თავის ჭკუას აღარ ემორჩილება, ჩავიდნენ ხაშურში ეს ორი პიროვნება ექშმაკის ბურუსში მყოფი, ორივე საფრთხის წინაშეა, მაგრამ გიორგის გულში მთლიანად შიშმა დაიდო ბინა. იქ ჩასვლის დღე ისე გაუცდათ რომ ვერ მოახერხეს. სასადილოში პური ჭამეს და მერე ბალში შევიდნენ სკამზე დასხდნენ, დაისვენეს თავდასხმის გეგმა შეადგინეს ვის რა უნდა მოემოქმედნა. რა ოპერაცია უნდა შეესრულებინა. მოსალამოვდა, დაუბერა მტკვრის ნიავმა. ქალაქში სინყარე ჩამოვარდა, წუთისოფელი ძილს მიეცა, მხოლოდ ამ ორზე პარაზიტს ვერ ვიტყვით, რადგან მსგავსი რამ ამათ ჯერ არ ჩაუდენიათ, მხოლოდ ახლა იწყებენ და რამდენად გაუმართლებთ ეგ არავინ იცის. გამოდის რომ სიკეთეს ფეხი მი-

არტყეს დაწიხლეს და ბოროტების გზას დაადგნენ. ნაგანა ორივემ  
მოსინჯა, მთვარე მიცურავს ცაზე, რომელიც ხანდისხან ლრუბელს-იკოთვა  
გადაეყრება ხოლმე. ლამის ორი საათია, გადავიდნენ ჭიშკარზე. შიგ-  
ნიდან დაკეტილი კარები გახსნეს. ამირანა შევიდა მეორე სართულის  
შუშაბანდში. ოჯახის სამივე პიროვნებას ძილის ნამალი ასუნთქეს,  
ერთი ოთახი ამირანამ მოიარა და რასაც ეძებდა ვერ იპოვა გიორგი  
მეორე სართულის კიბის თავზე იდგა. თუ ვინმე გაბედავდა ნამოდ-  
გომას უნდა ესროლნა. ამირანამ მეორე მესამე ოთახიც დაჩითა,  
მაგრამ ვერ იპოვა, ბოლოს ლოგინების ჩასაწყობი კამოდი მოსინ-  
ჯა. და იქ აღმოაჩინა ის რამაც ბანდიტობა დააწყებინათ. ამირანის  
გამოსვლის დროს გაიგო ერთმა პიროვნებამ და იყვირა გაიღვიძეთ,  
გაგვძარცვეს, ის იყო ჭიშკარს გამოსცდნენ რომ ოჯახის უფროსმა  
ზედიზედ ორი გაცალა ამაოდ წავიდა ორი ტყვია. მოსინჯეს ადგ-  
ილზე ოქროული აღარ იყო. დარწევეს მილიციაში. გზაზე ერთერთ  
მილიციას გადაეყარნენ. შემხვედრმა მილიციონერმა გასაფრთხილე-  
ბლად ნაგანა ჰაერში გაცალა, ამირანმა პირდაპირ ესროლა დაჭრილი  
მილიციონერი ძირს დავარდა. ნაძარცვი ქვიშეთის ზევით მტკვრის  
ხეობაში გადამალეს და დრო დათქვეს თუ რომელ დღეს რომელი  
უნდა ნახულიყო და ენახნათ. მიმალვის შემდეგ დასხდნენ მოსკოვი-  
ერვნის მატარებელზე და თბილიში ჩამოვიდნენ. დრო თავისი გზით  
მიდის, გიორგი და ამირანა დღეგამოშევებით რიგრიგობით მიდიან  
და ნაძარცვს ნახულობენ, ელოდებიან როდის მიწყნარდებიან გაძ-  
არცულები. სანამ გიორგი სახლში მივიღოდა ლონდას ორი დღე იმ-  
დენი უტირნია, რომ სახეზე დარდი შესამჩნევათ დატყობია. სახლში  
გიორგი რომ შევიდა ლონდა კიდევ ტიროდა, გიორგის შუბლგაუხს-  
ნელად ელაპარაკებოდა. საყვედურებით ავსებდა.

- შენ გიორგი, ამირანზე გამცვალე ხო?
- ლონდა ნუ მიწყნები, ამირანა ჩემი ამხანაგია და ხო უნდა  
უთანაგრძნო.
- მერე ცოლშვილი ამხანაგს არ გირჩევნია?
- მაგის შედარება შეიძლება ლონდაა?
- რამდენს გეხვენებოდი, მაგრამ ჩემი თხოვნა არარად ჩააგდე.
- კარგი გენაცვალე ლონდა, გემჩნევა შენზე დარდს რა ძალიან  
უმოქმედნია ჩემი სიცოცხლევ. ნუ დარდობ ხო მოვედი.
- შენ გგონია თქვენი ჩადენილი საქმე მშვიდობიანათ დამ-  
თავრდება?
- დამთავრდა და ეგ არის.
- არა ჩემი კარგო, ასე იოლათ ვერ გადარჩებით.
- დღეს თუ არა ხვალ მილიცია თავის სიტყვას იტყვის.
- ლონდა ისე მელაპარაკები თითქოს მოხარული იყო ჩემი  
დაპატიმრებისა.

— არა, გიორგი მოხარული კი არა, სასტიკი წინააღმდეგი ვარ შენი ჩადენილი საქმის მიმართ. ეს არაა, კეთილმსურველის საქმე, შენი სული-სხვისგან ბევრათ განსხვავდება და გულიც ჰქონიურობით სავსია. მილიციის ხელში ადვილათ ჩავარდები და ყველა ბრალდებაც შენ დაგედება. თავი რისთვის უნდა გაიფართო. ჩვენ იმდენი გვაქვს, რომ გვყოფნის სიკეთისა და სიკვარულისთვის.

— კარგი ლონდა ეს ერთხელ მაპატიკი.

— მე კი გაპატიებ, მაგრამ მილიცია არ გაპატიებს.

— დედა იმ სულელმა ჩემმა ძმამ ბუსუსი რატომ გააგდო? ჰეონია, რომ მაგაზე კარგ გოგოს იშოვის?

— ბუსუსი ამაყია შვილო, კარზე მოყვანილი ბავშვი არ აიყვანა მითუმეტეს უსასყიდლოთ აძლევდა, ბავშვი იყო ჯანმრთელი. აღსავსე მშვენიერებით

— რა თქვა, რატომ არ აიყვანა.

— ჩემ შვილს აბრალებს უშვილობას. თქვენი შვილი ჯამრთელი რომ იყოს მე შვილი მეყოლებოდაო.

— შეირიგოს დედა იქნება მართლა ეყოლოს.

— რა ეყოლება შვილო. ორი თვეა რაც გააგდო და თავი ვერ შეიკავა უკვე ხმები დადის ბუსუსი სხვა ბიჭა ყვარობსო.

— არა დედა ეგ ტყუილია ვიღაცამ ჭორი გაავრცელა. ბუსუსი ისეთი გოგოა თაქს მასე ადვილათ არ დაიმცირებს. გოგამ, გიორგის შვილის შეძენის დეპეშას ამანათიც მოაყოლა. დეპეშაში ნათქვამია გიორგისთვის კეთილი სურვილები. ჩემმ ძმაო გიორგი, გილოცავთ ბიჭის შეძენას. დასაწყისი კარგია და ბოლოც უკეთესათ უნდა ნარიმაროს. ამანათში იყო ბავშვის ჩასაცმელები და სათამაშოები. გიორგის მორიგეობა მოუწია და ხაშურში წასულმა დაიგვანანა, ლონდამ არ იცოდა რომ გატაცებული ნადავლის გადამალვის ადგილდებარეობას რიგ-რიგობით რომ მორიგეობდნენ. ლონდას კი გიორგი სამსახურში ჰეონია, რომ იქ მუშაობს. ლონდა მალიმალ იმეორებს სამსახურიდან მოსვლა ასე არასდროს დაუგვიანია და ახლა რა დაემართაო. ლონდა თავის შვილის თამაშით თავს ირთობოდა და ისიც ხითხითით პასუხობდა

ეს რა შვილი მყავსო.

ეს რა შვილი მყავსო.

დედმამასა ჰეავსო.

დედმამასა ჰეავსო.

მორიგი რეისიდან გიორგი ჩამოვიდა, ამირანას შეხვდა და გააცნო მდგომარეობა ის განძეული რომელ ქვის ძირშიც დავმალეთ, წინა დღით მოსული ქარიშხლით მტკვარი ადიდებულა და წყალი იმ მხარეზე გადავარდნილა. ფაქტიურად გიორგიმ განძეული ვერ ნახა. წყალი ადიდებული იყო და შიგ ვერ შევიდა, ის ერთი დღე ზედმეტათ



იმიტომ დარჩა. იქნება ქარიშხალით ადიდებულმა წყალმა ჩაიარებული და მერე შევიდე და ვნახოვო. მაგრამ ეს მოლოდინი ამაო გამოდგა, წყალმა კი არ დაიკლო უფრო მოემატა და ეს უიმედობა გიორგიმ ამირანას აცნობა.

— კარგია წყალში რომ არ შესულხარ იმის გულისთვის თავს ხომ არ დაიხრიბდიო. ამირანმა თავისი თავიც დაიმედა და გიორგიც. გიორგი იმას მე მგონი წყალი ვერ ნაიღებს. იმიტომ, რომ ქვის გამოქვაბულში წყლის მიმართულებიდან შევჭყუნე.

— ამირან რატომღაც მე უიმედობის ეჭვი მაწუხებს. გიორგიმ თქვა.

— ბატონი გიორგი შენ მაგ დარდს თავს წუ გადააყოლებ. მთავარი სიმდიდრენი სახლში გყვანან, თუ არა და ხაშურში განძეულის პატრონები მარტოდ ეგენი კი არა, სხვებიც ვიციო. გიორგიმ ამ ოპერაციის ჩატარებისას შიშს ნახევარი სიცოცხლე გადააყოლა და ახლა მეორე ოპერაციის მოლოდინის ფიქრებმა გული მისი უფრო ჯურლმულში ჩაიძრა. ამირან საიდანაც განძეული გამოვიტანეთ, იმ ოჯახს მილიციისთვის ძებნაში ოქრო კი არ ჩაუწერია, არამედ სულ სხვა რაღაც საოჯახო ნივთები და ფული, მილიციას ეჭვმიტანილი ერთიარიგობა ბიჭები დაუჭერიათ და მილიციას ისე უცემიათ, რომ კინაღამ სიცოცხლეზე უარი უთქვიათ. თბილიში შემოსულ მტკვარს შეამჩნიეს რომ წყლის დებიტმა შესამჩნევათ დაიკლო. ხაშურში ამირანი და გიორგი ორივე ერთად ნავიდნენ, ამირანმა ნახა რომ მტკვარს თავისი ძეველი კალაპოტი ნამდვილად გაუახლებია. წყალში შევიდნენ უიმედონი და ნაცნობ ქვას მიაშურეს ნახეს რომ წყალს ის განძეული გამოქვაბულიდან ვერ გამოუტანია. ორივე გახარებულნი იყვნენ სიხარულით კინაღამ გაგიდნენ. დატოვეს მტკვრის კალაპოტი. ავიდნენ მაღლა უჟაცრიელ ადგილზე და ერთერთ კლდის ნაპირზე წამოყარეს ოქროს განძეულობა, რომ დაინახა ამირანამ ბზინავი ოქრო სიხარბით ფერი ეცვალა. გიორგის შესთავაზა.

— გიორგი გაყოფვა შენთვის მომინდია. გიორგიმ გაყო თვალზომით და ამირანს შესთავაზა რომელიც გინდა ის აიღეო, ამირანამ უშარა.

— გიორგი არ არის შუაზე კარგად გაყოფილი.

გიორგიმ უპასუხა:

— თუ არ არის კარგათ გაყოფილი, ამირან რომელიც მეტია ის აიღე.

— არა გიორგი ხელმეორეთ გაყავი; გიორგი მიხვდა რომ ამირანა თავისი პირვანდელ მდგომარეობიდან ამოვარდნილი იყო. გიორგიმ ხელმეორეთ გაყო ერთ მხარეზე მეტი დაყარა, მეორე მხარეს ნაკლები და უთხრა:

— ამირან რომელიც გაგიხარდება ის აიღე. ამირანმა ემოციები ვერ დაიოკა და ყვირილით უთხრა:

— არ არის კარგათ გაყოფილი თქვა და მჯდომიარე გიორგის ფეხი წაარტყა და კლდეში გადააგდო. ორივე მხრიდან მოხვეტა იქრიულობა ჩაყარა მეშვეობი და იქაურობას გასცილდა. ამირანა ჩავიდა ბათუმში იქ სამი დღე ქეიფობაში გაატარა, მაგრამ ვაი იმ ქეიფობას ღამე ძილი არ ჰქონდა, გიორგის მიმართ ჩადენილი ცოდვა არ აძინებდა. ღამე აბოდებდა რათ წამარტყი ფეხი. რა დაგიშავე, მე ხომ იქროსთვის არ ვიყავი გახარბებულიო, ვაი ოჯახო და ვაი ცოლშვილოვო. ნუთუ წუთისოფელს არ ჰქონია სამართალი. ამირანს დღე-ღამე ასეთი მოლანდებები ჸონდა. ლონდას კი თვალები დაანუდა გზაზე ცქერით, რათ უნდოდა მაგ გზაზე წასვლა, საცოდავ ამხანაგს ვერ ულალატა, რათ უნდოდა ან ესეთი ამხანაგი, დედა ადრე არც ამირანა იყო ამ გზის მიმდევარი არ ვიცი ახლა რამ გადაარიათ. არა და რა ბედნიერათ ვგრძნობდით თავს. რამდენჯერ ვეხვენე გიორგის, დასჯერდი რაც გაქვს ეს შევირგოთ და ვიკმარით თქო, მაგრამ ამხანაგს ვერ გაუტეხა ფიცი. და აკი გადააყოლა ამხანაგს საკუთარი თავი, ვინ იცის გიორგი ახლა რა დღეშია, ის უბედური რამდენჯერ მეუბენებოდა შენ ხელში რო ბედნიერება მაქვს ასეთი ბედნიერება არა დროს არ მიგრძნიაო, ამას რო ამბობდა ლონდა თან ცხარე ცრემლებს აფრქვევდა, თავისი ლამაზი სახის პატრონს ცრემლები სინაზეს უფრო მატებდა.

— გაჩერდი შვილო, ნუ ტირიხარ გულს გაუფრთხილდი, შვილო იქნებ სატირალათ არ გაქვს საქმე. დედა ლონდას გულს უმაგრებდა.

— არა დედა, ის რომ რაიმე უბედურებაში არ იყოს ჩავარდნილი მოუსვლელი არ გაჩერდებოდა. ვაიმე სად წავიდე ვის მივმართო, როგორ გავიგო რა უბედურება მიენია ჩემს ოჯახს. დედა შენ არ იცი რა უბედურებით არის გაზდილი, ებრაელმა გაბომ გამოზარდა, ობოლი. უთვისტომო, არავინ არ ყავს, ცოლებში ბედი არა მაქვს და იქნება შენ მაინც შემრჩე ბოლომდეო. ბალკონზე გადმომდგრები იყვნენ ლონდა და დედა მისი გიორგის მოსასვლელ გზას გასცეკროდნენ, ამ დროს ლონდამ დაინახა ბუსუსი და დედამისს მიანიშნა.

— უყურე მუცელი დატყობია, მართალი ხომ არ არის ვიღაც ბიჭე შენ რო სთქვი დედა?

— მართალია შვილო, ორი თვეც ვერ შეიკავა თავი. ლონდა მე წავალ ქმარშვილს კერძს დაუმზადებ და მერე ისევ გადმოვალ.

— ხო დედა სახლში ამბავი დატოვე, რომ ამაღამ შენ ჩემთან უნდა დარჩე. ლონდას დედა რომ წავიდა, ეკლესის ქალი სანთლებს რომ ყიდის გიორგის ჭირ-ვარამის გამზიარებელი ლონდას ამ გაჭირვების დღეს ესტუმრა. ხელდამშვენებული ბაბომ ბავშვეს უცხოური ჩასაცმელები მოუტანა. ეგონა გიორგი სახლში დახვდებოდა. ლონდამ და იმ ქალმა დიდხანს ისაუბრეს გიორგის უბედობაზეც კი ელაპარაკა.

— ლონდა მე შენ თავს ვუქებდი გიორგის, მაგრამ უარს ამბობდა ვიცი რომ კარგი იდიალური გოგოა და მე არ გამომყენებაო. გიორგი

ასე ამბობდა.

— საინტერესოა, ჩემში რა ნახა ისეთი რომ მე მაგას არ გავყენ-  
ბოდი. მშიშარა არ არის შვილო ღმერთმა მოგცათ; თქვენი ოჯახი  
ქონებით სავსეა და გიორგი კი ობოლია აი ამიტომ.

— დეიდა მე კი ვნატრობდი ნეტავ გიორგი მოვიდეს და მითხო-  
ვოს-მეტქი.

— ბედი გქონია შვილო კარგი ბიჭია და შენ მაინც გულს ნუ  
დაუჩაგრამ. ტკბილათ იყავით რომ ორივე ერთი-მეორეს შეაბერდეთ.

— დეიდა მე რაა, ცუდი გოგო ვარ?

— არა შვილო, ხო გითხარი შენი თავი გიორგის უქე, რომ ცოლათ  
ეთხოვა. ლონდამ დეიდას მიართვა ხილი და ტკბილეული. ლონდამ და  
სტუმარმა დიდხანს ისაუბრეს, კიდევ უნდოდა დარჩენა რომ გიორგი  
ენახა და ბიჭის დაბადება პირადათ მიელოცნა, მაგრამ ის დღე კვ-  
ლავ ამაოთ დაღამდა. წასვლისას ბავშვი უცხო ბებიამ აიყვანა ეთამაშა,  
ესიყვარულა, შეამჩნია მარჯვენა ყურის ბიბილოზე ნიშანი, ხალი და  
ლონდას გაეხუმრა შვილო ნიშნიანი ბიჭი გყავ და არ დეგევარგებაო.  
ამირანი ძილში გიორგის ლანდებმა რომ არ მოასვენა, მესამე დღეს  
სადაც გადააგდო კვლავ იმ ადგილზე მივიდა ესე იგი სადაც განძეუ-  
ლობას იყოფდნენ, იმ ქლდიდან გადაიხედა და რა დაინახა, კინაღამ  
გული გაუსკდა. გიორგის ფეხი რომ მიარტყა და გადააგდო თურმე იმ  
ადგილას სამი-ოთხი მეტრის სიმაღლეზე ბუნებრივათ დაწელართული  
უსურო ვაზი ყოფილა გიორგი ზედ დაცემულა და იქ დაცევედრია დიდი  
გველი, რომელიც გიორგის დაცემის შემდეგ ზედ შემოხვევია, ამირა-  
ნამ ნაგანა შემართა სასროლათ, მაგრამ შეჩერა თითქოს მოინანია  
თავისი არა ადამიანური საქციელი და გაიფიქრა გიორგის არ მოვარ-  
ტყაო. შეატყო, რომ გიორგი კვლავ ცოცხალი იყო. იქიდან დაბრუნებ-  
ული გვიან ღამე მოტყუებით შევიდა გიორგის ოჯახში, მძინარე ხალხი  
დააფეხთა, ლონდას დედას ხელები გაუკრა, პირში ბამბა ჩაუდო რომ არ  
ეყვირა, და მძინარე ლონდა გაიტაცა ბავშვა იმდენი იტირა რომ ხუთ-  
ექვს საათზე ქუჩაში გამვლელის ყურადღება მიიპყრო, გულმა ცნო-  
ბისმოყვარეობა ვერ დაიკმაყოფილა ზევით ავიდა, კარები შეაღი რო  
დაინახა ლონდას დედა: მარიამი იყვირა და ხელები შეუხსნა. პირიდან  
ბამბა ამოულო და ბავშვიც გააჩუმეს, ეს ამბავი ქალაქს მოედო, ჭორო-  
კინებსაც არ დარჩათ გაუგებარი, ზოგმა სიმართლე უარყო და კუდი  
სხვანაირათ გამოაძეს, არც ბუსუსი დარჩენილა გულგრილათ, გიორგის  
ბედი ანტერესებდა თუ რა მოენია პირადად მას თუ არა, ლონდაზე  
გახარებული იყო მე რო ამიბნია გზა-კვალი თავათ რაა შერჩებოდაო.  
ეკლესიაში სალაპარაკოთ სულ ეს თემათ ჰქონდათ აღებული. დაინგრა  
სიყვარულით აგებული ეს ერთი ქართული ოჯახი, რომელიც მომავალი  
თაობის ბუდე უნდა ყოფილიყო. ნათეამია ობლის კვერი ცხვა ცხვა  
და გვიან გამოცხვაო. მაგრამ ამაშიც მოვტყუვდით. მთიდან უილბლოდ

დაბრუნებული მონადირეები მტკვრის ხეობას დაუყვნენ. ძალმა ნაჯიგათვის მოახტინა კურდღელი და ერთერთმა მონადირემ თვალი დურბინდით მიაყოლა და კურდღელი რომელ ბართშიც შეძრა, იქ მონადირემ დურბინდით შენიშვა რომ რაღაც უცნაური სხეული მოძრაობს, დაუძახა ამ მეთვალყურემ სხვა თანამგზავრ მონადირეებს და ჩახედათ დურბინდში. ერთი ამტკიცებს იქ გველიც არი და კაციცო, მეორე ამბობს მე მარტო გველს ვხედავ, მესამეს სულ სხვა რაღაცა მოეჩენა. ნელ-ნელა მივიღნენ იმ ადგილზე სადაც გიორგი იყო ჩავალწრილი, იქ ნახეს რაღაც საკუირველება, გველი უსური ვაზებზე სიგრძეზე განთლილა, იმ გველის საშუალებით გიორგი უსური ვაზის შექმნილ ბარჯვებიდან სანაპიროზე გამოყენებისა. მაგრამ გიორგი ისე ძალიან არის შეცვლილი და დაშავებული, რომ ვერავინ ვერ მიხვდებოდა თუ ის გიორგი იყო. ეტყობოდა გველს კი არ დაუშხამია, პირიქით გიორგის ჭრილობებისთვის უმჯურნალია, სადაც სისხლიანი ჭრილობები ჰქონია იქ თავისი კანის ახალი გაძრობილი ტყავი მიუწებებია და ერთერთი ასე-თი ტყავი ყბაზეც დაუკრამს და ახლა გველი გიორგის ბარჯვებიდან მთლად გამოყვანას ცდილობდა. ეს ახალი სტუმრები გველმა რომ შენიშვა თავანეული წავიდა იმათვენ. დაახლოებით არ მისული ათი მეტრის მანძილიდან პრი უკან იბრუნა. თითქოს სტუმრებს მიანიშნა რომ აგერ კაცია ჩავარდნილი და მიემარეთო, გველი მერე შორს გაჩერდა, რომ მისი არ შეშინებოდათ, მხოლოდ მეთვალყურეობას კი უწევდათ. ჯერ შიშის გამო თავს იკავებდნენ ერთ-ერთმა თავის არიდებაც კი მოინდომა, მაგრამ მიმავალს გველი დაედევნა შემოატრიალა და კვლავ გიორგის მიმართულებისკენ უჩვენა გზა მიახვედრა, რომ უშველეო ისიც მიემატა იმ ორს. გიორგი ძლივს წვალებით საცალფეხო ბილიკამდე გადმოიყვანეს! დასუსტებული, ენა ჩავარდნილი სამშვიდობო ადგილზე დაანვინეს, წყლით გული გაუგრილეს ცოტა რამ საჭმელი შემორჩენიათ და იმით დააპურეს. მერე მონადირეებმა დიდი ჯაფითა და წვალების შემდეგ გაიყვანეს სამანქანო გზამდე, გველმა გზა გადაუჭრა მონადირეებს და აწეული თავი მადლობის ნიშნად სამჯერ დაუქნია. მერე მოერიდა და გზა დაუთმოთ, იქ გააჩერეს მანქანა და მძლოლს აუხსნეს მდგომარეობა. მერე გიორგი ჩაისვეს მანქანაში და თბილიში ჩამოიყანეს. მიიყვანეს საავადმყოფოში და ჩააბარეს ექიმებს. იმ ექიმებს რა ცოდნაც გააჩნდათ იმ ცოდნით უმჯურნალეს და შედეგმაც აღარ დააყოვნა, ნელნელა ენა ამოადგმევინეს, მერე სიდედრსაც გააგებინეს წავიდა სავადმყოფოში გიორგის სანახავად, მიუტანა საჭმელი იმასაც გაუკვირდა, თქვა: გიორგი როგორ შეცვლილა ამ ერთი კვირის განმავლობაშიო. გიორგიმ თავისი გასაჭირი რომ მოუყვა სიდედრმა იტირა. იტირა ის რომ გიორგი აძალებდა ხვალ ბავშვი შენ დაიტოვე და ლონდა მოვიდეს ჩემს სანახავათო. სიდედრი არ უუბნებოდა თუ რა ბედი ენია ლონდას. თითქოს ამ უბანმა ახლა გაიღვიძაო ნაცნობს რომ



შეხვდებოდა ვერ ასწრებდნენ ერთი-მეორეს სულ გიორგიზე იყო საუკუნეებით ბარი. ნამეტნავად გველის მკურნალობა აოცებდათ. ზოგნი ამბობდნენ, გიორგი ლვთისმოსავი კაცია და ღმერთი მის წინაღმდეგ არ წავიდოდა, არავითარ შემთხვევაში. ნაცნობი თუ უცნობიც კი გიორგის სანახავად მიდიოდნენ ანტერესებდათ თუ როგორ იყო დამშვენებული გველის მკურნალობით. ბუსუსიმ იყიდა ყვავილები და მოხარშული დედალით ხელდამშვენებული გიორგისთან სავადმყოფოში მივიდა. მისელის უმაღლეს აკოცა, მიულოცა გადარჩენა. გიორგის სხვა რამ არ შეეძლო, თუ არა მოთმინება. ბუსუსის ერთი კი უთხრა.

– ბუსუსი შენ შენი ჯამრთელობისა გვეროდა და მართლაც დაფუქმდიმებულხარ – არ ეწყინა, მაგრამ არც ესიამოვნა. თუმცა უპასუხოდ მაინც არ დატოვა.

– არა გიორგი მე იმათი რძალი აღარა ვარ.

– ეგ ვიცი ბუსუსი, მაგრამ მე მეგონა თქვენ შერიგდით.

– არა, არ შევრიგებულვარ და არც შევურიგდები გორგი მე სხვა გზას დავადექი.

– რა გზას თქვი, არ ითქმება? მე ვარ ბუსუსი შენზე ნაწყენი თუ არა. შენ ხომ არა ხარ ჩემზე დამდურებული, არა, გიორგი, სწავლა მე უნდა გავაგრძელო. სამედიცინო ინსტიტუტში უნდა შევიდე.

– არა გიორგი მე შენ არ გემდურები. მე მინდა რომ იცოდე, ექიმს გავესინჯე მითხრა ჯამრთელი ხარ შვილი გეყოლებაო. მინდა რომ დავარწმუნო ის უმგვანოები, რომ მე ვარ ჯამთელი და არა ავადმყოფი. მიხვდნენ რომ ავადმყოფი მაგათი შვილია. თქვა და ბუსუსის თვალებიდან ცრემლები გადმოუვიდა.

– კარგი ბუსუსი ნუ სტირი ნუთისოფელმა კარგიც იცის და ავიც ბეჭნიერება წინ გაქვს.

– ეჲ შენ კარგი ხარ გიორგი. მე ვტყუივარ შენთან, ლონდამ ამიბნია გზა-კვალი თუ არა მეც კარგი ვიყავი. არ იფიქრო რომ მე თავს გაცოდებ.

– შენ როგორ ხედავ ლონდა რა ცუდი გოგო?

– არა ცუდი არ არის, მაგრამ ენა აქვს ამოსაქრელი. გიორგისა და ბუსუსის დუეტი მშვიდობიანად დამთავრდა, დამთავრდა იმიტომ რომ ეკლესიიდან დეიდა მივიდა სანახავად და იმან უფრო საიდუმლება გაამხილა.

– გიორგი ეხლა უფრო დავრწმუნდი, რომ შენ ბეჭი არა გქონებია. რა ცოლშვილი გყავდა და როგორ გაუბედურდიო.

– დეიდა ხო ეხლა ცისანა იყო ჩემთან და მოინანია თავისი ცოდვები.

– ვიცი შევილო წინ შემხვდა მაგ გოგოზე არ გეუბნები, მე ლონდაზე ვამბობ.

– რაა ლონდა დეიდა არ ვიცი.

— შვილო მაშ რა იცი? რომ ვიღაც შენ ამხანაგს ლონდა რომ გაუტაცია.

— არა დეიდა არ ვიცი. ამის შემდეგ მოუყვა დაწვრილებით თუ როგორ იყო. ამ ქალმა მერე კი ინანა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ამ ამბის მსმენელმა გიორგიმ იტირა ექიმები დააჩქარა, გამწერეთ მე კარგათ ვგრძნობ თავსო. ექიმებმა თოთხმეტი დღით კიდევ დატოვეს. მერე გიორგის სიდედრი მივიდა ბავშვიც მიუყვანა სანახავად. ბავშვის ნახვამ ცოტა დაამშვიდა, მაგრამ სიდედრის ნინაშე ლონდა ერთხელ კიდევ გამოიტირა. გიორგი ემოციას აპყვა და ნაადრევათ გამოვიდა საავადმყოფოდან. საავადმყოფოდან ნამოსული გიორგი ჯერ ეკლესიაში შევიდა სანთლები დაანთო, ილოცა სიკვდილს გადარჩენილმა გიორგიმ თვალნინ წარმოიდგინა გველი, რომელმაც სასწრაფო დახმარება აღმოუჩინა. მერე სახლში დაბრუნდა კიბეზე რომ ავიდა ის მკურნალი გველი კიბის მოედანზე დაუხვდა. მივიდა ახლოს მოეფერა, ზურზე ხელი გადაუსვა, ჩემ სანახავად ჩამოხვედი მკურნალო ანგელოზი. რამხელა გზა გამოგივლია. აქ მომიცადე მე ახლავე დავბრუნდები, გიორგი სიდედრთან მივიდა და სიხარულით აუხსნა, მე ვინც გადამარჩინა ის გველი ჩემი სახლის კბის მოედანზეაო. გიორგის სიდედრი მივიდა გველი ნახა. მოეფერა, სხვათა შორის გველის არც ბავშვს შეშინებია. გიორგიმ რძით სავსე საინი დაუდგა, რო შექმა მერე იქაურობას გასცილდა ძველ ადგილ-სამყოფელს მიაშურა. დაინტ გიორგისთვინ მოუსვენარი ღამები, გიორგის თვალზე ძილი არ მიჰკარებია და ღამესთან სიტყვიერი შეპრძოლება უხდებოდა.

— ოხ ღამევ ჩემო შენ რომ არ იყო წუთისოფელი რა ბედნიერი იქნებოდა. ვერ შევეგუე მე შენზე გულნანყენი ვარ, წუთისოფელში სიცოცხლის ნახევარი შენზე მოდის. ვიცი ღამე დაღლილი ხალხის მოსასვენებლათ არის გამოყოფილი, მაგრამ დღისითაც ხომ შეიძლება ძილი. ბნელი ღამეა და ახლა ძილგაფრთხობილი წუთისოფელის ცის სიწმინდეს და დედამინის სიმშვენიერეს ვერაფერს ვხედამ. იმას რაც სულიერი არსებისათვის არის გათვალისწინებული, ის რაც დღეს გააჩნია შეიძლება ცის მხრიდან ღამე ბუნებრივი მოვლენები არ იყოს: წვიმა, თოვლი, ქარი, ელვა, ქუხილი, მაგრამ ღამეზე უნაკლოს ვერ იტყვი. ჭირი, სიავე და ბოროტება. წუთისოფელში დედამინაზეა დაბუდებული. მართალია დღისითაც არის მსხვერპლი, ტკივილები, გმინვა-შფოთვა, მაგრამ ხედავ ცის ბრწყინვალებას, ბუნების ჯადოსნურ ფერების მშვენიერებას. მზის სხივებით შემკულ მთას. მთის ორნოხები, ყველაფერი ეს თვალისმომქრელია. ჩაგაფიქრებს, დაგატებობს, დაგავინებს შენ ტკივილებს და შეიძლება ძილიც მოგვგაროს, დასვენებაც და თვალთხილულ ბედნიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ავადმყოფი სულისათვის. ღამე რომ არ იყოს, მე ასე მნამს ღმერთის გარეშე შენირული მსხვერპლი წუთისოფელში ნაკ-



ლები იქნებოდა. რადგან ლამე ტკივილები მატულობს, უამშორუ ულინ-ხალხი ოხრავს და შფოთავს. მწუხარების ბაცილა იფანტება სივრცე-ში, ჰერსა ნამლავს, ბუნებას აზიანებს. წმინდა ჯანმრთელი გულის ადამიანებს ვის ყურამდინაც მიდის, სწვდება, მწუხარების გამომხატველი ხმები, უსიამონო მდგომარეობაში ვარდებიან. ზოგჯერ დარდი ჯამრთელ ადამიანსაც დაღს დაასვავს. ვიმეორებ წუთი-სოფლის ნახევარი სიცოცხლე ლამეზე მოდის, ავი სულები ლამე უფრო მოქმედებენ ვიდრემ დღისით. სიკვდილი დედამინის ზურგზე დადის და ლამე მისი ნიღაბია ვერ ვხედავთ და ვერც ვემალებით, პირიქით: იგი სიავის ძლევამოსილი პიროვნებაა და მაინც ვემალება. ლამე მძარცველებისაა, ქურდებისა არა სინდისიერი სულებისა. ლამე ღმერთის დაწყევლილი ფრინველი დაფრინინავს, კეთილშობილი ფრინველები დღისით დაფრინინავენ ლამის ფრინველებს არ იკარებენ. ლამე უძილო ფიქრით ნალველ შემონოლილ პიროვნებას სიგიურ-თან აახლოვებს განსაკუთრებით მარტოობით გამოკეტილ ოჯახში მყოფს. ნამეტნავად მთელი ლამე მოუსვენრათ თუ არის დამლაპარაკებელი არ ჰყავს, გარეთ გამოდის, ლამე სუსხავს, თუ სენ შეყრილია უფრო უარესდება და ამას სიცოცხლეს ეძახიან. ლამე კარში დარჩენილ მარტოხელას ცა მფარველად ევლინება თუ ვარსკლავს შენიშნავს ცაზე იგი მცირედი საშუალებით ავი ძრახვების გაფანტვისაა, მაგრამ მაინც იმედია თუ ისმის სადმე ბუნების სუნთქვა, წყლების ქშენა ისიც დამამედებელია, თუმცა არის სიცოცხლე. ლამე უკუნია მაინც ეტყობა სადღაც რაღაცა ფეთქავს. თუ მთვარიანი ლამეა იგი მგზავრისთვის თითქოს და ქომაგია. მაგრამ მაინც ლამის მგზავრის ფიქრს ხან ჯოჯოხეთისკენ მიჰყავს ხან სამოთხისკენ. რა კარგია ჯანმრთელობა გულით მშვიდი სულით წმინდა ძილით რომ კლავს მტკივნეულს მშფოთვარე ლამეს. მაგრამ ისიც გულქვაობაა თუ არ განიცდის სხვის მწუხარებას და არ უთანაგრძნობს სხვის ტკივილებს, აი ესეთი ლამეებია მარტოდ დარჩენილი გიორგისათვის.

— გიორგიმ სავადმყოფოდან გამოსვლის შემდგომი უკანასკნელი დღე ბავშვის მოფერებაში დააღამა. შვილო ჩემო სისხლო და ხორცო თუ ჩემსავით უბედობა დაგრჩევდა არ გაუწყრე სამშობლოს. თქვა და მერე სიდედრის მიანდო ბავშვი. გიორგისთვის ეს დღე ხან გლოვის იყო და ხან ლხინისა, თუმცა არ ელხინენბოდათ, ერთმა შვილი დაკარგა მეორემ ცოლი და აი ახლა გიორგის გულში გარდატეხა ხდებოდა. კაცს რომელსაც აქამდე სიკეთეზე უფიქრია, ახლა მტრობაზე ფიქრობს, სამაგიეროს გადახდა უნდა. მეორე დღეს გიორგიმ გამოკეტა კარები, გასაღები სიდედრს ჩააბარა და ეკლესიაში ავიდა. სანთლები დანთო ღმერთს წინასწარ პატივებას სთხოვდა.

— მე საქართველოს მიტოვება არ მინდოდა ღმერთო. მაგრამ ბედ-მა გამიხადა ისე საქმე, რომ მოყვარე მოძულეთ გამიხადა, მივდივარ

შენგან და არ ვიცი სად. გიორგის გაცნობილმა დეიდამ შენიშნა დამოულაპარაკა.

— შვილო გიორგი გაჩერდი სად მიღიხარ?

— არა დეიდა. მე საქართველომ გამნირა, ბედი უკულმა დამიტრი-ალდა. არ მომცა უფლება, რომ შვებით ამომესუნთქა.

— შვილო, მაინც შენი სამშობლოა ნუ მიატოვებ, იქ ყველა შენი მტერი იქნება რასაც თვალს მოავლებ გულს არავინ გაგიხსნის. დეიდა არ ეშვებოდა, სთხოვდა დარჩენას. გიორგიმ კი ღმერთი საყვედურებით აავსო.

— გაბო ძია, რამდენს მეხვენებოდა, რომ გოგას მიეხმარებოდი, ისრაელში, საკუთარი კომერციულ საკითხებში. მაგრამ მე უარყავი ეკონომიკური ეს ბედნიერება, დიახ უარყავი ჩემი სამშობლოვ შენდამი სიყვარულის გამო. ვიცი შენგან გამნარებულ ყმას გულს არც უცხო ქვეყანა დამიტყბობს არა და როგორ მინდოდა შენი კეთილდღეობისთვის დამდნარიყო ჩემი სული. მსურდა ნინაპრების მხარ და მხარ ჩამეყარა ჩემი სხეულის ძვალი და რბილი. ამ მადლიან მინას შევეჭამე. ეს თქვა გიორგიმ და ცრემლები გადმოყარა. ეკლესიის პატრიარქმა იკითხა კარგი ვაჟეკაცი ჩანს და რატომ ტირისო? გიორგის გაცნობილმა დეიდამ უთხრა ამ საცოდავს ბედი არ წყალობს. მეც ბევრჯერ მოვინადინე გიორგის ბედნიერება, მაგრამ მაინც უკულმა დაუტრიალდა. დეიდას არ გამორჩენია თუ რამ აიძულა გიორგი, ამ გზაზე რამ დააყენა ეს ამბავიც სრულყოფილად უამბო ლვდელს. გიორგიმ იქვე ეკლესიის ტერიტორიაზე მოჩიჩქილი მინა მღვდელს აკურთხებინა გაახვია ცხვირსახოცში, ჩაიდო უბის ჯიბეში და თვალ-ცრემლიანი გიორგი დაემშვიდობა სამშობლოს. გიორგის შორეულში ნასვლას სხვებიც ტიროდნენ მისი გამცილებლები. გააცილეს შვილი რომელიც სამშობლოსთვის სულიერ დანაკლის ნარმოადგენდა. გიორგი მატარებლით ბათუმში ჩავიდა, იქიდან გემს დაემგზავრა, თითქოს არ უნდოდა გიორგის ისრაელში ჩასვლა, მაგრამ გემი რომელსაც გიორგი დაემგზავრა იმ გემს კურსი ისრაელისკენ ჰქონდა და აღებული. გიორგი ბაქანზე შებრუნებით იდგა გემის სალონში არ შევიდა სანამ მისი თვალების სინათლემ გემის დაცილებით არ დაკარგა საქართველოს ზღვის სანაპიროს სივრცე ჩრდილები. გემი მიდიოდა მიქეონდა წუთისოფლის ზოგის სიხარული, ზოგის სევდა და ჭირი, იმათგან ერთეული გიორგიც იყო, რომლის გული ზღვა-სავით ლელავდა, არ ასვენებდა მტრისადმი ზიზღი, რომლის გულიც აქამდე სიკეთით აღსავსე იყო, უმახინჯო ცასავით წმინდა, მზესავით ნათელ კაცს არ ასვენებდა შურისძიება, ყოფილი მეგობრის მიმართ, რომლისგანაც არ მოელოდა ასეთ მტრობას რაც ჩაიდინა გიორგის მიმართ. იმ არა კაცმა, რომელმაც დააყენა შურისძიების გზაზე. ამ უკანასკნელს ასულდგმულებდა, მხოლოდ და მხოლოდ ობლად და-

ტოვებული შვილის იმედი. ძნელია სამშობლოს მიტოვება ვისთვიზუალური ნიღებედრია სამშობლოზე ზრუნვა, მისდამი კეთილდღეობა. თუმცა გიორგის მისგან კარგი არ ახსოვს, მხოლოდ სიმწარე და უბედობა. გემი მიადგა ისრაელის სანაპიროებს, გიორგი მივიდა თავის ამღზ-რდელთან, გაბო ძიასთან. გოგა შინ არ დაუხვდა, იმ დღეს ესპანეთში წასულა. გიორგიმ ამღზდელებს უამბო სამშობლოს მიტოვების მიზეზი და მტრისადმი შურისძიება. მაგრამ გაბო შურისძიების წინააღმდეგ წავიდა, ეს გაბოს განზრახვა არ მოუწონა ბედით გამწარებულ გიორგის.

– რა ვთქვა გაბო ძია, ბედმა არ გამიმართლა. ეს ჩემი გულის ზედმეტი გულკეთილობის ბრალია თუ არა ჩემი უბედობა სხვა რას მივანერო.

– არა შვილო, კეთილ გულს ნუ გააბოროტებ, კეთილ საქმეს ყოველთვის კეთილი ანგელოზი დაჲყვება და იგი აქ თუ არა, იქ სამოთხეში მაინც გითანაგრძნობს.

– ეჭ გაბო ძია, მე წუთისოფელში მინდა გახარება, სადაც ამ უამაღ ვარსებობ და სადაც სიცოცხლე გვეტკილება.

– მართალი ხარ შვილო გიორგი, წუთისოფელი სიკეთის მთესველს ერთი ათად უნდა პასუხობდეს. ეს ჩვენი წინამორბედი თაობების ნათქვამია და ჩვენც ამ მადლით უნდა ვიაროთ. მაგრამ ხორციელი ამაყია, გულში სისხლი უდელს და მისგან სიკეთის მოპოვება ადვილი არ არის და რომელიც გამოავლენს არც მისი არ უნდა დაიკარგოს. ამღზრდელი მალეა დეიდა გიორგის მხარში დაუდგა.

– მალეა დეიდა, მე იმ ზომამდი მივედი, რომ შემიძლიან ვთქვა სიკეთეს ამ ქვეყანაზე გასავალი არ ჰქონია.

– გიორგი გული ნუ გაგიტეხია, აბა დაუკვირდი, “ნათქვამია სან-თელ-საკმელი გზას არ დაჲკარგავსო”. ეს ტყუილათ არ არის ნათქვამი შვილო ამ სტრიქონებიდან ჩანს, რომ სიკეთე არ იკარგება, შეიძლება ეშმაკმა დროებით გზა გადაუკეტოს, მაგრამ ბოლოს მაინც აღნევს ღმერთამდი.

– გაბო ძია, მე ჩემ თავს აღარ ვდარდობ. იქ სამშობლოს ერთი დაუტოვე, დასაწყისი არ სახარბეელოა და იმანაც თუ ჩემი ბედით იარა მაშინ უფრო ცოდო ვარ.

– გაბომ, ბოროტების გზაზე დამდგარ გიორგის გული გამოუკეთ შენ შვილს თუ ჩემ შვილიშვილს პატარა გიორგის თუ აქ ჩამოვიყვანთ უკეთესი იქნება.

– კი ქალბატონი მალეა, მართალი ბრძანდები, მაგრამ ლონდას დედა მარგალიტა თავის შვილიშვილს დაგვანებებს?

– კაცი ვპერდები მალეა დეიდა და თქვენ ორივეს მიერ ჩემდამი დადებული ამაგი ჯერ კიდევ ვერ გადამიხდია და ის პატარა გიორგი ისევ იქ იყოს, თუ ბედნიერებას ვერ ელირსება, ჩემი სამშობლო მი-

ნის მატლის გამოსახრავი მაინც იქნება. ისრაელში ჩასულ გიორგის სამსახურებრივი საქმიანობის გამო, ინგლისური ენის მასწავლებელი დაუქირავეს. გიორგის ნიჭმა ადვილათ სძლია და ერთ თვეში მუშაობა დაიწყო.

— პატარა გიორგი ექვსი წლისა რომ შესრულდა ბებიამ მამის მოსახლე გიორგი სკოლაში მიიყვანა. პატარა გიორგი რაც უფრო იზრდებოდა სულ მამის ხასიათებს ავლენდა, ცოტა ჯიუტი, მაგრამ ნიჭიერი, კეთილი, უბოროტო, დამთმობი ბავშვი იყო, მაგრამ ზოგვერ თავისებურ პრინციპსაც არ ლალატობდა. ლონდას დედა მარგალიტა დაკარგულ შვილს ცხარე ცრემლებით ხშირად დაიტირებდა-ხოლმე სად ხარ შვილო ლონდა. ცოცხალი ხარ თუ მკვდარი, გძიან თუ გნუ-ურიან ჩემი ანგელოზო მზესავით სხივოსანო. შენმა უბედობაში ნაჩერევად დამაბერა, მომიკლა გული, შვილო თუ ცოცხალი ხარ ერთი წერილის ლირსი მაინც გამხადე. ბებია მარგალიტა გიორგის სკოლაში სულ თან დაპყვებოდა. შვილ დაკარგულ დედას უხაროდა, რომ ლონდას მაგიერ მისი ნაშიერი შვილის შვილი მაინც ეზდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს როცა, რომ გიორგი მესამე კლასში დადიოდა, ბავშვებმა მიუთიოთს ერთ-ერთ ბალში ბალია დამზიდული, მაგრამ ჩვენ ვერ ავდივართ და შენ იმ ხეზე ამსვლელი ხარო — გიორგიმ უპასუხა ასვლით ავალ, მაგრამ ეგ ქურდობაში ჩამეთვლება და მე მაგას არ ვიზამო. მერე ამხანაგებმა დასცინეს, ზოგმა უთხრა მხდალი ყოფილებარო, ზოგმაც ვერ ახვალ და იმიტომ იმიზეზებ, ქურდობაში ჩამეთვლებაო. ბოლოს ბავშვებმა მაინც გააბრიყენს. შეიპარა გიორგი ნახა, რომ ბლის ძირი გამაზული იყო და ზედ ასვლა შეუძლებელი იყო, მაგრამ შესული უშედეგოდ არ დაბრუნდა. ბლის ტოტი დაინოდა და იქიდან ავიდა, გიორგი, როცა, რომ კენწეროზე მოექცა, მაშინ დაიწყო ბლის პატრონმა შემოვლა, ბავშვებმა დაინახეს პატრონი მოხუცებული ქალი და გაიქცნენ გიორგი უმალვე მიატოვეს. პატრონმა შეათვალიერა ბალი და შენიშნა რომ ზედ ბავშვი იყო ასული და მიაძახა.

- ბიჭი ვისი ხარ აბა დამენახვე?
- ობოლი ვარ ბებია მარგალიტას შვილის შვილი ვარ.
- ობოლი, გიორგი ხარ შვილო?
- დიახ ბებია.
- ალალი იყოს შვილო, მაგრამ რატომ ახვედი?
- ბებიას გეფიცები ასვლა არ მინდოდა მაგრამ დაბლიდან ვერ მივწვდი.

— მალე ჩამოდი შვილო. ჩემმა ბიჭმა არ მოგისწროს. როცა რომ ბებიას ხელში ეჭირა გიორგის მიერ ჩამოყრილი ბლის კუნწულები მაშინ მოვიდა მისი ბიჭი.

— რათ დაგიმტვრევიათ ტოტები ხომ გითხარი დააცადეთ დამიფება ბაზარზე უნდა გავიტანო და გავყიდოთქო. ბებიამ უპასუხოდ

დატოვა შვილი და დარცხვენილი სახლისკენ წავიდა. რომელი ხაროვნებისგან  
ბალზე ასული ჩამოდით, დროზე, ვერ ხედავ რო ბალს ძირზე მაზი  
აქვს წასმული.

– არა ძია არ შევეხე მაგ მაზით გათხუპნილ ხეს.

– გეუგვენები, ჩამოდი დროზე, შენი ჯინაზე წვერომდე ხომ არ  
უნდა გამეოთხუპნა.

– თუნდა გათხიპნე მე არ გიშლი, მაგრამ მერე როგორ დააპურეთამ?

– ზღაპრები ნუ დამინყე, ჩამოდი დროზე.

– შენ წადი და მე ჩამოვალ.

– ჩამოდი თუ არა, ამოვალ და ცუდათ წაგივა საქმე. მივიდა სცა-  
და ასვლა, მაგრამ ამათ ხელები უსხლტებოდა. მუქარით ვერაფერი  
გააწყო და მერე მოეფერა. მოკრიფე და ჩამოყარე, რომ ჩემი ბლისა  
მეც ვჭამო. ვედრა მიაწოდეს დაუკრიფათ და ჩამოუტანათ და წასვ-  
ლის დროს უთხრა.

– ბიძაჩემო ბალი ჯერ თქვენ უნდა ჭამოთ და თუ დარჩა მერე  
უნდა გაპყიდოთ.

– წლებმა წუთისოფელზე გადაიარა და ქვეყანას სიავე უფრო  
მეტი დაუტოვა ვიდრე სიკეთე. გოგამ გიორგის გარეთა ობიექტები  
ჩააბარა, კერძოთ ესპანეთში სასტუმრო, სირიაში უნივერსალური  
მაღაზია, კანადაში და ბრაზილიაში სასურსათო მაღაზიები გიორგის  
ბრწყინვალე საბიზმესმენო ნიჭი აღმოაჩნდა და კომერციონერებთან  
კარგი აგტორიტეტით სარგებლობდა, მოგებას მოგებით პასუხობდა  
და ამ მოგებებს სულ გოგას აბარებდა. ერთ დღეს გოგამ უსაყვე-  
დურა.

– გიორგი შენ მხოლოდ საქმე არ ჩაგდო დანარჩენი მოგებიდან  
ფული სულ შენი იყოს.

– არ მინდა გოგა, მე ფული არ მაინტერესებს, ფული მე იმდენი  
მინდა, რასაც მე მოვერევი.

– გიორგი ვერ შენ მოჭარბებული ფული არ გაქვს. პირველ რიგ-  
ში სახლი იყიდე, მერე დაგაქორწინებ და ცოლშვილით იცხოვრებთ  
ბეჭნიერათ. ზოგიც სოფელში გაგზავნე შენი სიდედრ-სიმამრთან,  
სადაც შენი ბიჭი იზრდება.

– არ მინდა, გოგა ფულმა სიხარბე იცის, სიავეც მოაქვს და  
ზოგჯერ კაცის კელაც.

– არა შვილო, კაცის კვლა შენ სულში არ არის, ასე არ გამიზ-  
დიხარ და ძალის ძალათ სიავის სიტყვას ნუ მოიტან.

– ვერ მოვისვენებ მალქა დეიდა, დამცირებულმა რატომ უნდა  
ვიარო ქვეყანაზე. მე ხომ კარგი გავაკეთე, რამდენჯერ დავეხმარე  
იმას ჩემთვის ეს ამბავი არ უნდა ეკადრებინა. იცი მალქა დეიდა რა  
მეუღლე მყავდა?

– ვიცი შვილო გაბომ მელაპარაკა ყველანაირათ შემკული ქა-

ლიაო შეიძლება ითქვას ლონდა თავისი სილამაზით ზოგიერთ ხვ-  
თიურ ანგელოზსაც დაჩრდილავსო.

- ხმა მისი და შესანიშნავ სიცილს ხო ნუღარ იტყვი, ძალაუნე-  
ბურათ მამხიარულებდა, უხასიათოდ რომ ვყოფილყავი თითქოს  
ფრთებს გამომაბავდა. ისეთი აღფრთოვანებული ვიმყოფებოდი,  
ყოველი მისი მოქმედებით.

- არაუშავრა შვილო, შენ მაგიერ ბოროტებს ღმერთი გასცემს  
პასუხს. შენ კი მის სიკვდილს არავინ გაპატიებს, თავი რატომ უნდა  
დაისაჯო, რაც რომ მოგენია სასჯელათ შენ ეგეც გეყოფა. გული არ  
გაიტეხო აქ ისეთ გოგოს გაგირიგებთ, რომ შენ თავს დანატროდე.

- არა დეიდა მალქა, მე ცოლს აღარ შევირთავ.

გოგას ცოლმა ზილფამ ჩაიცინა და სიცილით გამოელაპარაკა.

- გიორგი ვაჟუაცი ხარ, განათლება არ გაკლია და ჭურა-გონება  
შესანიშნავათ გიქრის და რომ არ დაქორწილდე, ქალებმა ხო იცი  
მერე როგორი გაჭორვა იციან.

- ზილფა გენაცვალე, გაჭორვა უსაქმურების ამბავია. ყველას  
სათითაოდ ხომ არ ვეტყვი თუ რა ბედის ვარსკლავზე ვარ დაბადე-  
ბული. ახლა რო დავქორწილდე ჩემი უბედობით კიდევ ერთი გოგო  
უნდა დაიჩაგროს.

- გიორგი შენ თავს შეურანყოფას ტყუილათ აყენებ. ნინასნარ  
ნალველში გული ნუ ამოავლე. გიორგიმ ზილფა უპასუხოთ დატოვა  
და თავის ოთხში გავიდა. ეპ მალქამ გულიდან ქარი ამოილო და  
დანალვლიანებულმა თქვა.

- გიორგის ვერ გავაჩერებთ შვილო, თუ შვილი პატარა გიორგი  
აქ არ ჩამოუყვანეთ.

- კი დედა წავიდეს და ჩამოიყვანოს მე ხელს შევუწყობ, მაგრამ  
მარგალიტა თუ დაანებებს? გიორგიმ თავის უბედობით ხო მისი ქა-  
ლიშვილი დაკარგა.

- არა შვილო, მაგას ნუ იტყვი, გიორგის დანაშაული ხო არაა,  
ბედი ვის რას მოუტანს ნინასნარ როგორ უნდა გაიგონ. ზილფამ  
შეაღო გიორგის კარები და უთხრა.

- გამოდი გიორგი შენი გაბო ძია გეძახის.

- რა არის გიორგი, ეს ხალხი რატომ გამინანყენე.

- არა გაბო ძია, არავინ გამინანყენებია, მე ჩემი უბედურება  
გამოვხატე.

- გიორგი პატარა რომ იყავი მაშინ ყველაფერს მიჯერებდი და  
ახლა როცა, რომ დაბრძნენდი აღარ მიჯერებ? შენ უნდა იცოდე რომ,  
ფულია ყველაფერი, მთელი ამერიკა ფულზეა გადასული.

- არა გაბო ძია, კიდე გიმეორებ, ჩემთვის ყველაფერი ფული  
არ არის. შეიძლება შენ ასე გვერა რომ, ყველაფერი ფულია, მა-  
გრამ ჩემთვის კი საკუთარი გული და სულია ყველაფერი, რომელიც



უცხობაში არ მასვენებს. აქ ფულით რასაც ვიყიდი ის არის მარტივი გამომარტივებელი. იქ კი ღმერთ ჩემთვის უფლოთ მინა მოუცია, რომელსაც სამშობლო ქვიან და მე უფლის ყმას, უიმისოთ ტევილზე ტევილი მემატება. რომელსაც წამალი ვერ არჩენს და ორგანიზმში უსია-მოვნებას იწვევს. დამწუხრებული ვარ და თქვენ მეუბრნებით კაცის მოკვლა არ შეიძლება, ან ის უნდა მოკვლა რომ გული გავკურნო ან არა და სამშობლოს გულში უნდა ვიყო. იქიდან მამულის ყივი-ლის ხმა მესმის და მისი სურნელება აქა მკურნავს. იქ მზე სხივებს ზედ მადნობს და ვგრძნობ საქართველოს მრავარფეროვნებას. სული გულს რომ ჩაბერავს, ამღერდება, ადუღდება, სისხლი არაგვივით აჩ- ქეფთდება და წუთისოფელი უფრო მიტკება. ასე მგონია მაგ დროს ჩემი ფეხის ქვეშ წინაპრების ძლები სუნთქვას იწყებს. თითქმის იქ თვალის არენაზე რაც ჩანს ყველაფერი ჩემია და თავს მევლები-ან. სამშობლოს მოცილებულისთვის კი ტევილიანი სიცოცხლეა და ცხოვრებაც მწარეა, საკუთარი ბუდიდან ამოვარდნილი გული სხვის ბუდეში ვერ გასძლებს. ვერც სხვისი ლუკმას შეირგებს თუ კაცს გულში ეროვნული ცეცხლი უნთია. სამშობლოს მინა ჩვენი წინაპრე- ბის სისხლით გაუღენთილია და ამ მინის მადლი დიდათ შესარგე- ბია. ღმერთს მადლობას მოვახსენებ, რომ ქართველათ დავიბადე და მოსაფერებლათ, სათაყვანოდ სამშობლო მაქვს, ისიც როგორი? რომლის ბადალი დედამინაზე სხვა არ არსებობს, ეს არის სისხ- ლი და ცრემლი, ავისა და კარგის მომტანი. დავიბადე და სიცოცხ- ლესთან ერთად სიკედილიც დამყვა, ესე იგი ანგელოზთან ერთად ეშმაკიც დამყვება, ჩემს ცხოვრებაში ალბათ ანგელოზთან შედარ- ებით ეშმაკი აქტიურობს და დაშამათული ბედის პატრონი იმიტომ ვარ. ადათ ბაბადან საქართველოს მთლიანობისთვის შენირული ქა- რთველი ხალხის გვამი, რომ საქართველოს ყოველ მტკაველ მინაზე დავაწყოთ... უკანასკნელი გვამების წყობა სულეთამდი მიაღწევს. დიას მე ამ მინის გული მაქვს და სული კი ცისა, ეს ყოველივე მა- სულდგმულებს და მასაზრდოვებს. ეს არის ქართველი ერის წარ- სული ანმყო და მომავალიც. სწორეთ ასეთი სამშობლოს ძარღვებია ჩემში გულთან მიერთებული. მისი სიყვარულით სისხლი რომ ჩემფს. თუმცა უბედობა მანუხებს, მაგრამ მზე გულს მაინც მითბობს. სამ- შობლოს ნიავი სულს მიგრილებს სხვისი კი მიკანრის. დიდმა ილ- იამ თქვა "საქართველო უპირველეს ყოვლისა". სამწუხაროდ ზო- გიერთები თანამდებობისთვის და ფულისთვის სხვაგან მისწრაფიან და სამშობლოს საჯიჯვნად სხვას უტოვებენ. რა თქმა უნდა ჩვენ სხვისი სამშობლოს მიმართ პატივისცემით უნდა ვიყვნეთ განწყო- ბილნი. მაგრამ კიდევ და კიდევ ჯერ შენი უნდა გიყვარდეს, როცა რომ შენი დალხინებულია და სატირლად არა გაქვს საქმე, სხვისი მკვდარი მერე უნდა იტირო. ნათქამია "შინაურს რომ შიოდეს გა-

რეთ ტაბლას რა ხელი აქვსო". უნინარესყოვლისა ჩვენ ჩვენი უნდა გვიყვარდეს, მის სულში უნდა ჩავწვდეთ და გავიგოთ თუ როგორ ყვავის ყაყაჩობი, გარეთ მცხოვრები ქართველი ყველა უნდა დაბრუნდეს, რომ სამშობლოს გულში ჭია არ გაუჩინდეს, ვიცოდეთ რომ მტრის გარედან მოგერიება უფრო ძნელია, ვიდრე შიგნიდან. ყველა ქართველმა უნდა მიიღოს მონაწილეობა საქართველოს აღდგენა აყვავებაში, ცოცხლები ამ მინის შეილები ვართ და მკვდარიც ამ მინის მატლმა უნდა შეგვეტამოს. სამავიეროდ საქართველო ცოცხალი მარადიული ძეგლი იქნება განსვენებულ ლირსული ქართველბისთვის. გიორგიმ გაამზილა სამშობლოსადმი გულისტკივილი და მერე თავის ოთახს დაუბრუნდა.

— გიორგი ჭკვიანია შვილო რას ერჩი.

— არა დედა, მე არ ვერჩი, არ მითქვია და ახლა უნდა გავამხილო, მაგის მუშაობით იმ ობიექტზე რაც მოგება მქონდა გათვალისწინებული, გიორგიმ გაცილებით მეტი მოგება მომცა უნდა ითქვას მე ვარ. მაგრამ გიორგის რომ, ბიზნესმენობის უფრო დიდი ნიჭი აქვს, არ შევცდები გულახდილათ უნდა გითხრათ, რომ ამ საქმეში მე ბევრათ მჯობია.

— კარგი გოგა, თავს რატომ იმცირებ? მე ვიცი რომ საერთოდ ვაჭრობაში ებრაელთან ქართველი ვერ მოვა. მაგრამ ეს ალბათ იმიტომ, რომ დედას გაზდილია.

— არა შვილო, მე ხო ვიცნობდი მამა მაგისი ჭკვიანი კაცი იყო ობლათ გაზდილს გიორგის მამას ხელის შემწყობი არავინ ჰყავდა. რომ ინსტიტუტში შესულიყო.

— მალეა, ნიჭით დაჯილდოვებული მარტოდ გიორგი არ არის, საერთოდ ქართველი ხალხი ნიჭიერია, მაგრამ ამპარტავნობა და სიამაყე მოდგავთ. განა ამის მაგალითი არ არის, ქართული ენა, რომ კაცობრიობის დასაწყისიდან სათავეს რომ იღებს, მირიანი და ფარნავაზი, რომლებმაც ხატოვანი ანბანი შექმნეს, საუკუნებს მიმდევარი წლების განმავლობაში ქართველ ერს, რომ თავისი სიცოცხლით წუთისოფლის გზაზე გავლით ერის მამებს, ვითარცა ილია ჭავჭავაძე ცეცხლში გამოვლილი მარადიულათ ცოცხალი ზეციურ ძაფზე თანდათანობით მზესავით რომ შეუქმნიათ.

— მამა გეტყობათ გიორგიზე არა ნაკლებად ხართ საქართველოზე სიყვარულით გამსჭვალული ისე აღფრთვევანებული ლაპარაკობ, თითქოს საქართველო შენი ძვალი და ხორცი იყოს.

— დიაბ ნამდვილათ ჩვენი სისხლი და ხორცია საქართველოს მინის გულში ორი ათას ექვსასი წლის სიყვარული გვაქვს ჩადებული და მისი აღმოფხვრა ძნელია, ჩვენ აქ ებრაელების უძველეს მინაზე აღორძინების პროცეში ვართ ერის ძეელი ისტორია უნდა ამოვა-

ტიკეტივოთ და ისრაელის ქველსა და ახალ სახელმწიფოებს შორის დარჩენილი სიცარიელე საქართველოში ცხოვრებით უნდა შევავსოთ. მე ახლა ისევ ქართველი ერის გონიერამახვილობაზე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩირო, ქართველი ერი, საღი ჭკუა-გონიებით იმდენათ მდიდარია, რომ თავისი ტერიტორიის სარბიელზე ვეღარ ეტევა და საასპარეზოდ სხვა დიდ სახელმწიფოში მიიჩევს, ავილოთ და გადავხედოთ, ჯერ წარსულ ისტორიას, ირანისა და თურქეთის სამეფო კარზე რამდენი ქართველი ყოფილა დაწინაურებული. რომლებსაც შეეძლოთ სახელმწიფოში თავისი ძალაუფლება განეხორციელებინათ. მართალია ზოგიერთი ქართველი თავისი ერის ნინაშე არ არის ერთგული მსახური თუ არა, სხვა სახელმწიფოს ერთგულათ ემსახურებიან. სტალინს საქართველოსთვის კარგი არ გაუკეთებია, პირიქით, მაგრამ ის რაც გულში მისწრაფება ჰქონდათ ლენინს და სტალინს ნიჭიერებამ ბრნყინვალეთ გაართვა თავი მარქსიზმის იდეის სწორად აღქმას, უნდა ითქვას ამათზე უკეთესად სხვისი ტალანტი ვერ შესძლებდა, თუ არა სტალინი, მისმა ნიჭმა შექმნა რუსეთში ამ იმპერით რომელმაც დაიმკვიდრა მსოფლიოში პირველი როგორც სოციალისტური სახელმწიფო და სიძლიერით მეორემ. იუსტინ ჩერჩილმა სტალინის სიკვდილის შემდეგ თემთა პალატაში თქვა სტალინი უდიდესი ნიჭის პატრონი იყო. შეიძლება ითქვას ის იყო უთქმელი სიტყვის სწორად გამგები, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთის თემთა პალატაში გავიზარდე და ჩემს თავზე ბევრი კარგი მეთქმის დიდი ბრიტანეთში პირველ კაცს წარმოვადგენ ერის შეფასებით ერთ-ერთ ძლიერ პიროვნებას. მაგრამ სტალინთან შედარებით მე მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოვჩნდი. ხალხში ისიც კი გავრცელდა თითქოს ჩერჩილს ეთქვას ან გასვენებულ ლინკოლ რუზველტს, სტალინი ყოველ დღე ატყუებდა და ყოველ მესამე დღეს კი მეო შეიძლება არის კიდეც სიმართლე. შეიძლება ხალხის მოგონილი ჭორია გავრცელებული. ერთი რამ კი ცხადია სტალინი რომ არ დაემუშავებინათ და დაეცვათ მისი კანონები სტალინის ავტორიტეტი იმდენათ დიდი იყო სახელმწიფო დაქვეითების გზას არ დაადგებოდა.

— გიორგი სამშობლოს სიყვარულით დაინტერესებული კაცი ჩიკაგოს დედათა მონასტერში შევიდა სანთლები დაანთო და სთხოვდა: ღვთისმშობელო იხსენი ყოველივე გაჭირვებიდან შენი მსგავსი უნაზესი და უსაყვარლესი სიკეთის მთესველი წმინდაზე წმინდა და დამიბრუნე უცოდველათ ჩემი ლონდა, რათა გაცოცხლდეს უმისობით მოკლეული ჩემი გული, ამღერდეს სული და გავიზარო უფლის მიერ ნაპორი ტურფა საქართველოთი. ერთხელ კიდევ ვიგრძნო მისი ღიმილიანი სახის სინათლე. ოჟ როგორ მსურს, რომ მისი გულის სითბომ ჩემი ბედნიერი გვამი მიიტანოს სამარის კარამდე. ნუ დამიობ-

ლებ შვილს იმ მზეს და მთვარეს რომელისთვისაც ეს მკვდარი გული ჯერ ეიდევ ფეთქავს, გვევედრები მთლად ნუ გამნირავ შვილს დედა უნდა. თუ არა, ჩემ ბედნიერებაზე დიდი ხანია ხელი მაქვს ჩაქნეული, ყოველივე სიავე ააცილე ჩემ პატარა გიორგის მისი კარგობა ჩემი ბედნიერებაა. მე საქართველოს არ ვემდური დედაო ღვთისავ და ზეციურო ღმერთო, სრულიათ მფარველო წუთისოფლისავ. თუ არ გინდა ჩემი ბედნიერება, გთხოვ ნაადრევათ ნაიღე სული შენგან ნაბოძი. სანამ ბოროტების გზას დავადგებოდე და ჩავიდენდე კაცთა კვლას. ამ ვედრებით გულამომჯდარ გიორგის ღანვზე ჩამოუგორდა ცრემლი და იმდენად მტკიცნეულ გულიდან იყო ნამოსული რომ მისმა სიმწარემ თავისმიერ ანთებული სანთელი დაცემის უმაღვე ჩააქრო. ამ ვედრების გამონე გიორგის ვიღაცა ღვთისნიერი გამოცხადა და მისგან მოესმა შვილო. აანთე სამშობლოზე სანთელი და ილოცე თუ ხარ ქართველიო. ეგ მგონი სამშობლოზე ანთებული სანთელი ჩაგიქრა შვილო და ეგ ცუდის მომასნავლებელია. დიაბ თუ ხარ ქართველი შეავედრე მინა შენი ჭირნაბულით სავსე ღვთის მადლით მოსილი, რათა ალორძინდეს და გამრავლდეს ერი... ძე და ასულით, ალიზარდნენ ვაჟნი რაინდნი ქალნი ლამაზნი სიკეთის მჩენნი და სიყვარულით მდიდარნი, ბედნიერნი ვითარცა ნარსულნი ნინაპარნი შენი, რათა უფრო დაგიტკბეთ წუთისოფელი, ცითა და დედამინით. ინვარდოს გულმა, იყაშკაშოს სულმა. ყოველივე ცოდვების გარეშე. გნამდეთ, რომ ქალი სუსტია ნაზი ქმნილებაა. სიყვარულისთვის დაბადებული, ნუ დაივინწყებთ, რომ იგი დედაა ერისა. თაობებისა. კაცი უნდა იყოს რაინდი, ამაყი, შემართებითი სულის პატრონი, მტერ-მოყვარის შემცნობი და წუთისოფლის სიმრუდის გამსნორებელი.

— უფალო ღმერთო და ღვთისმშობელო შთაუნერგე ერს გული სიკეთისა, სული ნმინდა სიყვარულისა, საქართველო აღსდგეს ძეელ საზღვრებში. დართგუნოს მტერი შინა და გარეთ, მტერი სიავისა და ბოროტებისა რათა აღმშენებლობას საძირკვლათ დაედოს ერის ქნარი. სიყვარულის, სიხარულის, გამრავლების და გამარჯვებისა. ცამ იღადლადოს დღის სინათლით და ლამემ ვარსკლავებით, რომ შეეძლოს მზესა და მთვარეს სახის გამოჩენა, უიმისობით რომ არ დაჭვნეს წუთისოფელი. სამწუხაროა, რომ დღეს დღეობით სკამის მიმდევართა გულში რუსული სული ფიგურირებს, მათი ორგანიზმი ისე ძლიერ არის გაულენთილი, არამც თუ ილიამ მეორემ, არამედ რომ შეიძლებოდეს თვით ქრისტემაც რომ მონათლოს და ცხრაჯერ სრულიად საქართველოს მართმადიდებლურ ემბაზში რომ აბანაოს იმ სიავეს ვერ გამოადენს ქართველს ქართველის მიმართ ზოგიერთი რუსი კომუნისტების მიერ რაც იმ სკამის მიღებისათვინ იყო დანათლებული. არ არის გამორიცხული ეკლესიაში შესული ასეთი

ხალხი ანთებულ სანთელზე ქართველი ერის სულს არ არისხებდეს. შეიძლება ითქვას ასეთ ხალხთან ზოგჯერ სიკვდილიც უძლურია.

— ბებია მარგალიტამ დეპეშა მიიღო ისრაელიდან გიორგი იტყო-ბინებობდა, რომ ახლა ამერიკაში მივდივარ და იქიდან რო დავბრუნდები აუცილებლად ჩამოვალ საქართველოში. იმ დღისით პატარა გიორგი სკოლაში ძალიან გახარებული იყო. გაკვეთილი მიმდინარეობდა და მასწავლებელი მეოთხედის ნიშნებს აჯამებდა.

— მასწავლებელო მამადან დეპეშა მოვიდა ისრაელიდან.

— ახლა ამერიკაში მივდივარ და იქიდან რო დავბრუნდები თბილისში ჩამოვალო.

— მასწავლებელო გიორგის მამას გველის ტყავს რატომ ეძახიან?

— ვინ გითხრათ ბავშვებო? სისულეელეა, არ დაიჯეროთ. გიორგი და თავისი მამა მოსახელები არიან.

— დედა გაუთხოვდა არა? მასწავლებელო. გიორგი მესამე კლაში დადიოდა და ნიჭით დაჯილდოვებულს საქმიან თავმოყვარეობაც გააჩნდა. თანაკლასელის ასეთი უდიერი სიტყვის თქმისთვის გიორგიმ იმ ბავშვს ამრეზილ თვალით შეხედა. თუმცა მასწავლებელმა შეუსწორა.

— არა ბავშვებო გიორგი სამი თვისა ყოფილა დედა რო გარდაეცვალა.

— მასწავლებელო რათ გვატყუებ? მასწავლებელმა შეკითხვის მიმცემი ბავშვი, შებლის შეკვრით გააფრთხილა. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ გიორგიმ ამხანაგებთან განაცხადა.

— ვისაც გსურთ წამომყევით სამი მანეთი ეკლესიის ყულაბაში უფლისთვის უნდა ჩაგადო. სამი მანეთის კიდევ სანთლები უნდა დავანთო, ჩემი სამშობლოს ძლიერებისთვის.

— ნეტა შენ მოგიცლია, წამო მაგ ფულით ნაყინი ვჭამოთ.

— არ გრცხვენია ბიჭო, სახელათ იქსო მაინც არ გერქვას, ვინ დაგარქვა ასეთი შეუფერებელი სახელი, როცა რომ შენ ღმერთი არა გნამს.

— სად არის ღმერთი? ჩემი ღმერთი ფულია.

— ირინა შენც მაგის მომხრე ხარ?

— მე კი არა, მე მგონი გიორგი შენს გარეითად ყველა ნაყინის მომხრეები ვართ.

— ესე იგი გამოდის, რომ სამშობლოს კუჭზე ჰყიდით?

— არა გიორგი, სამშობლო რა შუაშია, კუჭი თუ ცარიელი გაქვს. ნათქვამია ჯერ თავსაო და მერე თუ დარჩა ქმარსა და შვილსაო.

— აუჟ, ირინა, ცხოვრებაში მაგ რწმენით თუ იცხოვრე რა დედა იქნები. ამ საუბრით შევიდნენ ეკლესიაში და პირველივე სანთელის ანთებისთანავე გიორგიმ მიმართა.

— უფალო ღმერთო და საქართველოვ, მამულო წმინდა სამშობ-

- პური არ მოგშივდათო?
- გაბო ბატონო, შენს ნაქებარ შეილიშვილს ლუიზას რომ შეყვა-რებული ჰყოლია?
- მერე, ცუდი რა არის ამაში მალეა? ქალი იმისაა, რომ უნდა გათხოვდეს, აბა მაშ რა გგონია ჩვენ რო მზათ გაზრდილი გოგო დილილა იმას რო მოუყვანეთ, მისმა მშობლებმაც დაჩრქარეს ბიჭის დაქორწინება და სამაგიერო მიყვანეს. წუთისოფელი უფლის ნებით არის აწყობილი და თუ რამე სასიკეთო ხდება ქვეყანაზე, ყველაფერი ღვთისაა, იგი არჩევს დამნაშავეს და უდანაშაულოს. სხვათაშორის ძა-ლიან სიფრთხილით ეკიდება, არ უნდა რომ ეშმაკმა ადვილად ჩაიგდოს ხელში უფლის მიერ ჩამოქნილი ადამიანის სული და რომლის გამოს-ნორებაც შეიძლება, მოსარვეულებლად თავის დამსჯელებს გაუგზავ-ნის ხოლმე. ჩემი შეილიშვილი ლუიზა ჭკვიანი გოგოა დედასავით და ღმერთისა ვთხოვ, კარგი ბედი გამოადგეს და ბედნიერება მოუკლინოს. ქალი გათხოვდებისაა და სანამ გათხოვდება, ფრთხილი მოსავლელია.
- ეს იგი, ყველაფერში დამნაშავე სიყვარულია?
- არა ზილფავ, შვილო. სიყვარული რომ არ იყოს, არც წუთი-სოფელი იარსებებდა. თქვა და თავი აარიდა გაბომ იმათ საუბარს. საზაფხულო, მოკლე, სინათლეგამტარ კაბებში გამონყობილ ქალებს თავი რომ უფრო თავისუფლად ეგრძნოთ.
- მალეა დივანზე ნამონოლილი შორიდან უსმენდა შეა ზალაში მიმდგარ კრესლობში ჩამსხდარი ქალების კისეისს, ზოგჯერ ჭორ-ვას, ზოგჯერ ჯენის მიმართ საქართველოს ბუნების ქებაში იყვნენ. არა, ის პატარა რძალი, იაშას ცოლი, ისეთი ენაკვიმატი გამოდგა რომ ყოველივე მისი სიტყვა ისეთ ხმამაღალ სიცილს ინვევდა რომ

ზოგჯერ იმ შენობის საზღვრებს გარეთ სცილდებოდა. იმდენი ესპერისტები ყვარულეს ერთიმეორეს, რომ მალეას მის თვალში არასოდეს უნახავს ასე უსუფროდ მხიარულების დღესასწაული.

— რა კარგი იქნება ჯენი შენ და ლონდას ორივეს რომ ბიჭები გეყოლოთ გიორგი შვილების მხრიდან ერთდროულად გამდიდრდება.

— მაგრენი კი არა, დედა მგონი მეც ფეხმძიმეთ ვარ.

— არ გამაგიურ დილილა ჯერ ხო ერთი თვეც არ გასულა.

— ერთი თვე კი არა თვე და ათი დღეა.

— უი თქვე ეშმაკებო ადრევე იცხოვრეთ

— არა დედა გეფიცები.

— თუნდაც ასე იყოს ზილფა რა არის აქ გასაკვირი სიყვარულმა მაგაზე მეტი კი იცის ალბათ იაშამ წინასწარ დაიზღვია თავი.

— კარგი რაა დედა. არ გაგიხარდა მერე ყველამ აკოცა და მიულოცა. როცა დარწმუნდნენ მერე ჯენიმ ამოიოხრა და თქვა.

— რამდენი ხანია აქა ვარ, უიმე დედა დღები როგორ გამეპარა ამ საქმოსნებმაც რო დაიგვიანეს დათემულ გრაფიქს ორი დღე გადააჭარბებს. სახლი უპატრონოდ მაქვს დატოვილი ხვალ უნდა წავიდე.

— კარგი რა ჯენი შენი სიცოცხლის პირველი სიყვარულის შვილი მუცელში გიზის და ნერვიულობა არ შეიძლება, ზილფამ უთხრა და თავზე მოფერებით ხელი გადაუსვა გველის ტყავში გახვეული გიორგი ძალიან გიყვარდა?

— მიყვარდა და მიყვარს კიდევ არა როგორც ქმარი არამედ როგორც უალრესად კეთილი პატიოსანი კულტურული პირვენება და შვილის მამა.

— ჯენი ხომ არ ნანობ შენი ბედნიერება, ასე უილბლოდ რომ დამთავრდა?

— არა ვნანობ, გული დამწყდებოდა მაშინ ჩემს შემდეგ სხვა უცხო რომ გაეჩინა. გულის გამრთობლად. დაჩაგრულმა ეს ჩემი მეგობარი ლონდას სახით ცოლი იპოვა და მე მაგის შემცილე ხომ არ ვიქნები.

— ლონდა შენ წინააღმდეგი ხომ არ იქნები გიორგიმ ხანდისხან ჯენისაც რომ გაუთბოს გული. ზილფას ამ სიტყვაზე ისეთი სიცილი ასტეხეს რომ ვეღარ მოზომეს და სიზმრებში შესული გული მძინარე მალეა გამოაღვიძეს. ამ დროს შემოაღო კარი მზარეულ ქალმა და მოახსენათ სუფრა გაშლილია და ყველანი იქით სასადილო ოთახისკენ გაემართნენ და ტელეფონიც აწკრიალდა ლუიზამ იყვირა არ აიღოთ ყურმილი მამაჩემს მე უნდა ველაპარაკო. აიღო ყურმილი მაგრამ მამის მაგიერ გველის ტყავგადაცმული ბიძია გიორგის პატარა შვილი გიორგი შეუხვდა ლუიზას ყურმილზე, გიორგი ისე მოეფერა ლუიზას რომ ლუიზამ თავისი საიდუმლოება გიორგის გაანდო.

— გიორგი ბატონო გთხოვთ! მე კუდრაჭას ნულარ დამძახებ მე უკვე შეყვარებული მყავს და უნდა გავთხოვდე.



- კარგია ჩემო კუდრაჭავ გილოცავ გაბედნიერებას, კარგია საჩუქარი ჩემზე იყოს.
- მადლობთ. მადლობთ გიორგი ბატონი.
- ლუიზა გენაცვალე. როგორ არიან ჩვენები.
- შენ უფრო რომელი გაინტერესებს. ქალბატონი ჯენი, თუ ლონდა?
- ორივეს შემოვლოს ჩემი თავი, გენაცვალე ლუიზა, ბებია მალეა და პაპა გაბო, როგორ ბრძანდებიან.
- კარგად ბრძანდებიან, ამჟამად ყველანი სადილობენ. თქვენ სადლეგძელის სვამენ ლონდა და ჯენი მუცლის გაზრდაში ერთმანეთ ეჯი-ბრებიან მამაშენს გიორგი ძისა ამ სიბერეში ორი ბიჭი უნდა შეეძინოს.
- რა იცი რომ ბიჭები უნდა შეეძინოთ?
- ვიცი იმიტომ რომ მე ასე მინდა.
- კარგი ეგრე იყოს ლუიზა შენ როგორ გაწყენინებ.
- როდის ჩამობრძანდები გიორგი ბატონი?
- ზეგ ალბად მეორე ნახევრით.
- უი არ გამაგიშო ცოლი შეიირთე?
- დიას ჩემო კუდრაჭავ.
- უი რა კარგია ქორნილი ერთად გადავიხადოთ ხომ.
- ხმ კი ახლა კარგად ბრძანდებოდეთ ჩემი კუდრაჭავ, დამიკუცნე განსაკუთრებით ზილფა ბიცოლა, უი კინაღამ გამომრჩა მოკითხვა ყველას კუდრაჭამ დადო ყურმილი და სასადილო ოთახისკენ ხტუნვით წავიდა. უპირველესად ჯენის ახარა გიორგის გაბედნიერება და გადაკოცნა მერე ლონდის. მერე სხვებს. ერთისიტყვით უკოცნელი არავინ დატოვა.
- ადრე თბილისის მევიდრი ამჟამად ტელავივის მცხოვრები გაბოს ძეველი მეგობარი ვინმე დანიელი საქართველოში სტუმრად ყოფილა კერძოდ ონში და მეგობარს გამოუტნებია ერთი ათლო-ტრიანი ბოცათი ღვინო და აი ახლა მოვიდა გაბოსთან იმ ბოცით და სამი მეგობრით იმ დროს როცა, რომ სადილობდნენ და მასპინძელიც იმათთან ერთად ტკბილად შეექცეოდა და აი ახლა სტუმარმა რომ გამოცალა ჭიქა ხმამალლა მიმართა ღვინის მსმელებს.
- თქვენ დალოცვილებო ეს რა მინაზე გიცხოვრიათ ეს ხომ ემბაზია ნამდვილი ღმერთის სასმელი.
- ეე შენ რა იცი, საუბარში ჩაეჭრა მორდეხა საქართველოს ყოველი კუთხე მშვენიერია. თვითეული მხარე სხვებისგან განსხვავებით ცალცალკე მშვენიერია. ზღაპრული სილამაზე აქვს და მისი ბატონ-პატრონი ქართველი ერი მისი შესაფერია და პირშო.
- ტყუილად კი არაა ნათქვამი, რომ საქართველო უფლის წილებედრი მინაა და ქართველიც უფლის ერია, სრული ჭეშმარიტებით ჩააქსოვა გაბომ თავისი სიტყვა მიმდინარე საუბარში. გაბრომ ცინიკურად გაიღიმა და სთქავა.
- თუ საქართველო უფლის წილები მინაა, გაბო ბატონო,

იქნება დასაჯერებელი არგუმენტებიც წარმომიყენო.

— გაბრო, ჩემგან რა დამამტკიცებელი არგუმენტებს ითხოვ: წაიკითხე საქართველოს ისტორია და დაჯერებამდე ის მიგიყვანს.

— ჩვენ რომ დღე დაგვანიეს მუსულმანებმა გაბო ბატონო, ასეთი დღები ხომ არ ჰქონია საქართველოს.

— გაბრო შენ დაუჯერებელი ყოფილხარ, ბევრად უარესი დღეები კი არა, საუკუნეები ჰქონიათ, სპარსელები, ოსმალები, დაუსრულებლად თავს ესხმოდნენ. + არაბები, მონღოლები, მავრამ გაუტეხელი ერია, შეიძლება ითქვას დაუმარცხებელი, რუსეთმაც ვერ გატეხა. ერთი პირი არ აქვთ თორებმ ერთ პირიანობა რომ ჰქონდეთ მაგათან შებმა უშედეგო იქნებაოდა ჯერ ის რად ღირს ქართველების მუფებ დავით ბაგრატიონმა, აღმაშენებლად წოდებულმა დიდგორთან ორმოცდაათიათასიანი ჯარით მუსულმანთა ოთხასი ათასიან ჯარზე ბრნყინვალე გამარჯვება იზეიმა.

— შენ გჯერა გაბო რომ დავით აღმაშენებელმა ორმოცდაათი ათასიანი ჯარით ოთხასი ათასიანი მუსულმანთა ჯარი დაამარცხა.

— სიმართლეა და მჯერა, ისტორია ისტორიულ საარქივო მასალებითაა დაწერილი და არა ზეპირი სიტყვებით. უნდა ითქვას, რომ ქართველებმა სიყვარულიც კარგი იციან და მტერის პასუხის გაცემაც. ამ დროს გაბროს ბიჭი აბრამა მიექრათ სუფრაზე და მაგიდა ერთი სკამით კიდევ გაიზარდა. გაბრომ გააცნოთ ეს ჩემი შვილიაო. ეს ის პერიოდი იყო, როცა, რომ დიასახლისებს ადლეგრძელებდნენ. გაბომ დალოცა ყველას მეორე ნახევრები, და მერე აბრამას გაბომ მიმართა.

— აბრამ ცოლი რატომ არა გყავს. ჟატარა ხარ თუ სიყვარულს გაურბიხარ. შვილი არ გინდა რომ გყავდეს, რამდენი ნლისა ხარ?

— ოცდაათერთმეტის გაბო ძია. გაბრომ ვალდებულება თავიდან უცებ მოიხსნა.

— რა ვუყო არა ქორნინდება და რა ვქნა.

— როგორ რა ქნა ძალით უნდა დააქორნილო, ახლა ამას ათი წლის შვილი უნდა ჰყავდეს. ალბად ერთობა ვიღაცასთან ხელს ითბოძს.

— არა გაბო ძია.

— მაშ, რა არის მიზეზი? წუთისოფელი სიყვარულისაა და თუ სიყვარულს გაურბიხარ მოკლე სიცოცხლე გექნება და ისიც უშინაარსო. სიყვარული გულის მალამოა და სულსა კვებავს, სული კი ორგანიზმს მაცოცხლებელია და სიცოცხლე კი ღმერთს განეკუთვნება, წუთისოფელი კი უფლის შექმნილია. ჩვენდა საბეჭნიეროდ ჩვენც მისდამი მოკრძალებით უნდა ვიყოთ, რომ ზიანი არავინ მიაყენოს. აბრამ თქვენ კი უკვე უფლის სანინააღმდეგო პოზიციაზე დგეხართ.

— გაბო ძიავ რომ არ ვიცი სიყვარული რა არი.

— მაგას გელაპარაკები ეგ არის შენი უბედურება, რომ არ იცი ჭეშმარიტი ცოლქმრული სიყვარული. შე დალოცვილო არ გაინტერე-



სებს. შენი გენის შვილი რა გამოვა, ქვეყანას დაანგრევს თუ ააშენებს და მართვას ააკრიბობს.

— სწორედ მაგას ვფიქრობ გაბო ძია, რომ შვილის გამო სამშობლოს ღალატი მეც არ დამარონ.

— დროზე მიხედე გაბრო შენ ბიჭს, უფლის მიერ ჩამოქნილი სული ნაადრევი სიკედილით ეშმავს არ ჩააბაროს.

— გაბო ძია, ქალთან წუთიერ ცხოვრებას რა დიდ ბედნიერებას ანიჭებ.

— ჭეშმარიტი სიყვარულით ქალწული ქალი წუთიერი ბედნიერებისაა... არაა. ის შენი გრძელი სიცოცხლის ფეხდაფეხ მადევარია, მისი გაჩერილი შვილები შენი სისხლი და ხორცია, დედ-მამის პატიოსნების ნიშანსვეტია. წუთიერი სიყვარული კი სექს აყოლილი ქალებისაა, რომლებიც არც ქმარზე ფიქრობენ და არც შვილზე.

— სიცოცხლის ამ პლანეტას რად ქვიან წუთისოფელი თუ სიყვარული წუთიერი არაა.

— წუთისოფელის სიცოცხლეზეა ნათქვამი წუთში შეიძლება შვილიც გაეკთდეს და შეიძლება სიცოცხლეც სიკედილით დამთავრდეს.

— გაბო ძია, სიცოცხლის შექმნაში ის წუთიერი სიყვარული ხომ არის ჩართული.

— აი ახლა კი, ჩაგჭრა გაბო ბატონო ჩემმა შვილმა. მამამ შვილს მხარი დაუჭირა ხომ გამიზდია ჭკვიანი შვილი.

— არა, არა, მამაშვილი ორივე ცდებით. შვილი არის ცოლქმრის იმ დიდი სიყვარულის გრძელი სიცოცხლის ნიმუში, მათი სიტყბოთი ურთიერთობისა. რაც ხეოთის მიერ არის დაწესებული. თქვენ კი ორივეს მამაშვილს ზურგზე ეშმავი გაზით. ეს იყო ყველა წმინდა ღვთისმშობლის სადღეგრძელო უნდა დაელივნათ, რომ სასადილო თახასის კარი შემოაღო გიორგიმ "გველის ტყავმა" და შეზარხოშოულმა გაბომ რო დაინახა ისე გაუხარდა თითქოს თავისი ცოლის ტანთნაშობი ყოფილიყოს გადაეხვია გადაკოცნა და სუფრაზემყოფი უცნობ წევრებს გააცნო.

— ეს პიროვნება ჩემი მშობლიური მზრუნველობით გამოზრდილი კარგი ამხანაგის შვილია და მიყვარს, ამაგი რომ დამიფასა. დღეს ესპაკარგი გიორგის შვილია და მიყვარს, ამაგი რომ დამიფასა. დღეს ესპანეტი ჩემი გიორგი ერთეულთი კარგი ბიზნესმენია. მხოლოდ შვილი ამისი კი ამერიკის ერთეულთი ქალაქის იურისტთა კოლეგიის თავევდომარეა. როგორა ხარ გიორგი, დათემულ დღეებს ოთხი დღე რატომ გადაამეტე?

— გაბო ძია, ხომ იცი, შინ მოლაპარაკებული საქმზე გარეთ არ გამოდის. გოგამ ეგვიპტიდან კეიპტაუნში დამირეკა საქონელი ვერ ვიშოვე და თუ ფული ზედმეტად გაქვს ჩემთვინაც შეიძინეო მეც იქ ახალი გაცნობილმა მაშვინინა და ნახევარი მილიონის ნამოვილე და გოგას ძმურად გაფუშავი. გესმით სტუმრებო ხომ ვარ ბედნიერი, კარგია შვილო, კარგია გოგასთვისაც, რომ გაისარჯე. ხო იცი გოგას ხასიათი. სიკეთეს არ დაგიკარგავს.



– მითხვა რამისაა გავკოტრდეო უნდა მივეხმარო და ვიხსნა გა- ცოტრებისგან.

– კარგს იზამ შვილო, კარგს, ჩვენც კარგათ ვართ, ლონდა და ჯენიც კარგათ გრძნობენ თავს. ერთიანამ ახალი უნდა გახარო დილას მოგვიანებით გიორგი მეორეს ვაშინგტონიდან დაურეკია და ტელე-ფონზე კუდრაჭა შეხვედრია. უთქამს ხვალ ჩამოვდივარ ცოლთან ერთათო. მეორი კუდრაჭაც გათხოვებას აპირებს და ამ ბედნიერებას აღნიშვნა უნდა. გაბომ „გველის ტყავთან“ საუბარი მოათავა და კუ-დრაჭაც დაუპირისპირდა.

– პაპა მგონი კი არა მართლა ვთხოვდები. გიორგი ძია ხო მიყიდი კარგი საჩუქარს?

– გიყიდი როგორ არ გიყიდი ქორწილში თუ დამპატიუებ შენც გიყიდი და შენს მეულლესაც.

– ვაიმე რა კარგი გიორგი ძია ხარ, განა დედაჩემი ტყუილად კი არ ამბობს გიორგი მიყვარს, იმიტომ, რომ იცის ვის რა პატივისცემა უნდა გაუწიოსო.

– გაბო ძია სტუმრებო მაპატიეთ პური კი ვჭამე დალლილი ვარ წავალ დარბაზში დავისვენებ ქალებთან ჭორაობით გაეირთობ თავს.

– მოიცა გიორგი, მეც მოვდივარ. ბოლოს საქართველოს მონა-ტრებულ შვილებმა ქართველურად წაუმდერეს, მერე სტუმრები და მასპინძლები დასცილდნენ.

– მალქა მაგ მამაძალლ გოგას არაბეთში ვერ უშოვია სავაჭრო საქონელი და კეიიპტაუნში გიორგისთვის დაურეკია იქნებ ჩემთვისაც იშოვო სავაჭრო საქონელიო ამასაც უხარბნია და ნახევარი მილიონი დოლარის ჩამოუტანია და თანაბრად გაუყვიათ.

– კარგია, თუ გაუსალდათ ჩაილაპარაკა მალქამ. ზილფას ხელ-ში ვარდი ეჭირა ერთი დასუნა და მინიშნების მიზნით ლონდასთან გვერდით მჯდომარე გიორგის გადაუგდო.

– გიორგი პირველი ისეთ საქონელს არ იყიდის, რომ არ გაუ-სალდეს.

– გიორგი, ჩემ ბიჭზე ჭკვიანია. დროს ურჩევს ესა. თუ ის საქონე-ლი როდის გასალდება თქვა გაბომ.

– რა არი გაბო, მშიერი ხარ, გოგა რა ფულს ცოტას გვახარჯებს?

– მალქა, მე არ ვამბობ ცუდი ბიჭი გვყავს მეთქი კარგია, მაგრამ მე მინდა უფრო კარგი იყოს. ყველას ჯობდეს.

– ჯერ შენ უნდა ჯობდე ყველას და მერე შვილიც შენისთანა უნდა მოითხოვო. ყველამ ხმამალლა ჩაიხითხითა.

– ომ დედამთილმა რა მაგრათ მოგიხაზა, მამამთილო. ნაბახუ-სევი გაბო ზილფამ უფრო ააღელვა. ერთადერთი მხარ-დამჭერად მხოლოდ და მხოლოდ დილილამ გაამხნევა, მივიდა ყელზე მოხვევით ეამბორა და გააგულიანა.

- ახალგაზრდობის სიყვარულის მომენტები გაუხსენა დიდო ბაბუაზრდით.
- ქალბატონო მალქა ჩვენ შორის სიყვარულის განვლილი პერიოდი რა მალე გავიწყდება. მე არ ვიტყვი ჩემი დროის თბილისის ახალგაზრდობას ყველას ვჯობდი-მეთქი. მაგრამ შენთვის კი ჯერ კიდევ მეცხრე კლასიდანვე შენი ფანჯრიდან სათვალთვალო ვიყავი.
- კარგი იყავ და გითვალთვალებდი.
- ახლა რო დავბერდი აღარ გიყვარვარ?

- არა ნეტა რაღა-დროს ჩვენი სიყვარულია. ახლა შვილები და შვილთაშვილები უნდა გვევდეს კალთაში. ლონდა, ჯენი, დილილა, ფეხმძმიმეთ არიან, ვაშინგტონიდან დილას გიორგის დაურევია დავქორწილდი და ხვალ ცოლით ჩამოვდივარო, ახლა გაგვაგებინეს ვინ იცის იქნება დიდიხინის ნაცხოვრები არიან და ისიც ფეხმძმიმეთ არის. ჩვენ კუდრაჭაჭაც შეყვარებული ჰყოლია და ისიც თუ გათხოვდა ახლა და მომავალ წელს სამშობიარო ჩვენი იქნება.

- თუ ეს ასე მოხდა კარგია, რა არის ცუდი ამაში? ოჯახის გაზრდას შეილთაშვილებით რა სჯობია.

- არა მალქა დეიდავ, ლონდა და ჯენი ესპანეთში მოიშობიარებენ.

- აი მალქავ შენმა დაუფიქრებელ ლაპარაკმა რა გამოიწვია, არაფერიც ერთ ოთახს სამშობიაროდ გამოვყოფთ და ერთი წლით ბებია ქალს ავიყვანო, ნიანიას, დამლაგებელს და აეწყობა ჩვენი საქმე.

- გენაცვალე გაბო, რა კარგი ხუმრობა იცი.

- ეს რა ხუმრობაა ქალო, მაპატიე ლონდას და ჯენის ქალებს ცოცხალი ბავშვები უზით მუცელში და შენ ხუმრობად მიგაჩინა.

- რა სწუხართ ბიძაჩემო გაბო და მალქა ბიცოლავ. ეს პრობლემა ჩემი მოსავარებელია და მე კი ალხერინად ვარ.

- შენ რო ალხერინად ხარ, მალქა იმიტომ ნერვიულობს.

- არაფერი არ არის სანერვიულო, თქვა და ნამოდგა გიორგი, მივიდა გვერდი გვერდ დამჯდარ ჯენისთან და ლონდასთან ორივეს ეამბორა და კალთაში ისე გადაუწვათ და ჯერ არ დაბადებულ პატიმარ ბავშვებს ეფერებოდათ. ამ მოფერების დროს გაახსენდა გელეჩია და მოლხენილს ეჭვმა ისევ სძლიო.

- ლონდავ შენ იცი რომ ის ნაძირალა ისევ ცოცხალი ყოფილა

- არ ვიცი გიორგი და არც მაინტერესებს.

- არა, იმას სამაგიერო უნდა გადაუხადო.

- თუ ცოლი გინდა რო მოსტაცო? იმას ცოლი არ ყავს.

- საიდან იცი რომ ცოლი არ ყავს?

- იქიდან რომ, არა კაცს ქალი არ გაუჩერდება. ქალს კი კაცი უნდა, რატომ მალაპარაკებ ამ ხალხში.

- გაჩერდი შეილო გიორგი, კაცი დაბრძენებული ხარ და გეეამაყება რომ, ჩვენი გაზრდილი ხარ.

- იცის მალქა დეიდა რომ მე ჩემ სინდისთან მართალი ვარ, მაგრამ

აი ასე ორ ჭიქა ღვინოს რო დალევს ვინ იცის სიმართლე გელეჩა იქნება მართლაც მკვდარი არის, ეჭვით ეს მაინც გააცოცხლებს ხოლმე.

— ჩვენ მხრივ არ გენყინოს შვილო ლონდა, კარგად გამოვზარდეთ და კარგიც არის, კარგი რომ არ იყოს, არ შეგირიგდებოდა.

— გაძი ძია შერაცხული რო ვყოფილიყავ, არც მე შეურიგდებოდი.

— ვიცი მვერა შენი შვილო, მაგრამ ესეც ცოდნა საქართველოში მამაკაცის წევრი სინდის ნიშნავს, თუ ვინმე პატარა ქურდობას ჩაიდენდა დაიჭერდნენ და წვერს გაპარსავდნენ. თუ არა კუთვნილ ქალს მიაყენა ვინმემ შეურანყოფა იმას ცხენის კუდზე გამოუბავდნენ და სადმე სოფლის განაპირათ სახალხოთ ჩაქოლავდნენ. ასევე ქუდს ან-იჭებდნენ მნიშვნელობას თუ კაცი ხარ ქუდი უნდა გეხუროს, კაცი ვარ და ქუდი მსურავს სიმღერა ხომ გაგიგიათ, ერთხელ სამების დღეობაში ვიღაც წაცნობი გაეხუმრა გვერდიდან წამოეპარა მოხალა ქუდი შიგ მითომ ჩაუფურთხა და წინ დაუხალა. წამოუხტა ქუდის პატრონი და ერთი ისეთი სიღა გაარტყა რომ კულისებიდან ცოცხალმევდარი გაიყვანეს. მერე იცნო სახეზე და მის გამოსაბრუნებლად ძალიან იზრუნა მორნმუნე კაცი იყო და ღმერთის ყველაფერი სჯეროდა. იგი მფარველი წათესავი იყო და მისგან ბევრი კარგი ვისწავლე დალლილ გიორგის ლონდას კალთაზე თავდადებულს ტკბილათ ჩაეძინა და ამოუშვა ხვრინვა ამ დროს შემოვარდა ლუიზა და მიაძხა ფული დროზე მომეციოთ ფული მაროვნის გამყიდველი მიცდის, მისცეს ფული და სათვალავით ყველას ჩამოურიგა გიორგის წილი შვილს ხელიდან ზილფამ წაგლივა და ნებივრობით თქვა.

— ეს მაროუნი მძინარე „გველის ტყავს“ მე უნდა ვაჭამო გაყინული მაროუნი სათუთი ბაგით ზილფამ ირგვლივ შემოჭმით ცოტა გაალლო და მერე გიორგის მიუტანა ღია პირთან ისე გალლვა რომ კბილებში გამოუგლისა სიტკბო ესიამონა და მძინარე ძუძუსავით წოვდა, რომ მაყურებლებიც გულუხვად იცინოდნენ. თვალები იმ დროს გაახილა როცა ზილფა დახრილი იყო მის სახესთან გიორგის აზროვნებაში გაურკვევლობამ იჩინა თავი. წამძინარევმა ვეღარ მოზომა და ზილფას ხელები მოავლო კისერზე მიიახლოვა და მიინება ბაგეზე კოცნით ჟინი რო მოიკლა მერე გაუშვა ხელი და მიაძხა.

— ლონდა ახლაც იტყვი ჩემზე რო ეჭვიანიაო, ქალებმა ყველამ ჩაიკისკისა მხოლოდ ჯენი იყო ზილფას მაგირ აპილპილებული. მიუხედავად ამდენი სიცილ-ხმაურისა გიორგი ვერ გაერკვა რა მოხდა ის თავისად დარწმუნებული იყო, რომ ლონდა იყო და არა ზილფა. მერე და მერე გიორგი რო გაერკვა სიმართლეში დარცხვენილი გიორგი ზილფას სახეს თვალს ვერ უსწორებდა. თუმცა ამ ქცევისათვის ბოლოშიც მოუხადა. ბევრი იფიქრა ამ დანაშაულის გამოსყიდვაზე, მაგრამ ვერაფერი გამონახა, და აი, ახლაც წარსდგა მთელი ოჯახის შემადგენლობის წინაშე ზილფას პირისპირ.

– მაპატიე ზილფა ძილიდან გამოსულმა უცებ ვერ გავერკვევი აქვს

– ნუ სწუხარ არაფერია გიორგი, სიყვარულს მრავალი მხარე აქვს და ყოველი სიყვარული კოცნით იწყება, მაინც და მაინც რაღა სექს აწერთ, თუმცა ქვეყანა სექსისკენ მიისწრაფის. ცოლქმრობა რა სექსი არ არის, მაგრამ კანონზომიერებითია. რა მოხდა ჩვენ რა ერთ-მანეთი სხვა დროს არ გვიყოცნია. აი ახლა შენ მიყურე მძინარე ჩემ მამამთილს როგორ ვაკოცებ.

– არ გინდა ზილფა კაცი არ გააღვიძო მალქამ დაუშალა, მაგრამ ზილფამ მაინც შეასრულა თავისი აღქმა ისე ყინჩიად აკოცა, რომ გაბომ მართლა გაიღვიძა თავი ასწია მალლა ზილფას სახეზე შეხედა გაიღიმა და ძილი ისევ გააგრძელა.

– არა მე არ უნდა შევმცდარიყავ.

– არაფერია შვილო გიორგი, ქალები ვის არ შეაცდენენ.

– ბატონო გიორგი, ამ მიზეზიანობას მოვეშვათ, შენ რო დამპირდი რატო საჩუქარი არ ჩამომიტანე სხვა დროს არ შემპირებიხარ ახლა დამპირდი და არ მომიტანე. გიორგიმ ერთხანს ტუჩები აათა-მაშა. თვალებით მინავლული სახე ისე დაიჭირა რომ ყველასთვინ შესამჩნევი იყო თავში უცებ რალაც აზრი გაატარა. მერე ფეხზე ნამოდგა და კარში გასვლა დააპირა.

– ლონდა ქმარი გაგირბის მიხედე.

– სად ნავა ამ ბავშვს თავს ვერ დაანებებს, თქვა და ხელები მუცელზე დაიწყო.

– ქმარი ძან მორცხვი გყავს ლონდა.

– შინაურებთან მორიდებული გარეულებთან ვაუკაცია,

– ასეც უნდა იყოს დაადასტურა ჯენიმ.

– ოო ჩემი ქმარიც მოვიდა, დილილა კარებში მიეგება იაშას.

– სამხარი მივირთვათ გეპატიუებით, ხაზეეკამ გაანყო სუფრა ისეთი ქართული კერძებია მამა შენ რო გესამონება, მეტისმეტი თავმონენებით მიმართა რძალმა-ზილფამ გაბოს. გაბომაც არ დაყოვნა რძალის მიწვევა და უმაღვე წამოდგა თავისი სავარძელიდან და გაეშურა სასადილო დარბაზისკენ და მოავლო თვალი და გაკვირვებით წამოიძახა.

– ოპო რა სურნელება ტრიალებს მართალია მზარეულობაში გაზრდილი ებრაელი ხარ თუმცა ცოდნას და გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ შენში შალომ ქართველის გენი რომ არ ერიოს ასეთ წამდვილი ქართული სამზრეულოს ვერ დაამსგავსებდი.

– კი ხომ გიოთხარი ბებია ქართველი მყავდა, ესე იგი დედის დედა.

– შენ ეგ სისხლის ერთი აღრევა გახსოვს გვარში, მაგრამ ოცდაექვსი საუკუნის განმავლობაში რამდენჯერ მოხდებოდა თუმცა გვარტომთა სისხლის აღრევას ორივე ერი ერიდებოდა. და ახლა კი ცნობილია, რომ სიყვარული დაუმარცხებელია. ახლა გთხოვთ სუფრაზე მოიტანოთ ქართული მიწის მადლი რქანითელის კახური

ლვინო, ქართულათ უნდა ვადლეგრძელო ქართულ მიწაში მოთავსებული ქართველ წინაპრებთან ერთად ებრაელთა წინაპრების ძვლები, ვეფერები, ვკოცნი მიწას, თავის ქართველი წინაპარ შვილებთან ერთად. თანაბრად ინახავს წინაპარ ებრაელთა ძვლებს. სადლეგრძელო თქვა და გამოცალა ღვინით სავსე ჭიქა შეასრულა სადლეგრძელო და თვალთაგან ცრემლები გადმოსცვივდა, არა მე იქ უნდა დავიმარხო, სადაც წინაპრები მეგულვის. გვერდით ჯდომმა მალეამ ცხვირსახოცით ცრემლები მოსწმინდა და მოუგო.

— მართლა ტირიხარ გაბო?

— მართლა აბა ტყუილათ, ვტოვებთ ოცდაექვს საუკუნოვან ებრაელების დედას საქართველოს. რომელმაც თავისი შვილებივით შეგვინახა და ახლა აქ ისრაელის სახელმწიფოებრივი აღდგენის ორმოცდაათ წლოვანს ვეფერებით.

— ეს ისრაელი შენი საკუთარი სახელმწიფოა და უნდა ეფერო ზიღლფამ უთხრა.

— ჩემო რძალო კი უნდა ვეფერო, მაგრამ იმ ქართველ დედას ამაგი არ უნდა დაუკარგოთ დედაა ის მინა ჩვენ იმ ხალხმა შეგვინახა.

— ბაბუ რატომ ტირი?

— ჩემო კუდრაჭავ შენ იცი რომ ებრაელებმა საქართველოს კუთვნილ მინაზე გაატარა ოცდაექვსი საუკუნე.

— მერე რა მოხდა? ახლა ხო საკუთარ სამშობლოში ხარ სუფრაზე ასტეხეს სიცილი კუდრაჭას სიტყვაზე.

— საქართველო ედემია შვილო, ისრაელთან შედარებით რა სჯობია.

— ახლა ბორჯომის, ბახმაროს, კუროტ შოვს, გაგრას, ქობულეთს, ბათუმს, ამ პაპანაქება სიცხეში იქ ყოვნას რამე შეედრება.

— თუ კარგი იყო რათ წამოხვედი პაპა? გამოგაძევეს?

— არა შვილო, იცი რა ხალხია, მსოფლიოში არ არსებობენ იმაზე ჰუმანიური ხალხი, მაგრამ ბებიაშენის აკვიატებულ დაუინებამ წავიდეთ, წავიდეთ, აღარ მომასვენა.

— გაბო უნდა იცოდე, რომ შენი რაც არ უნდა ცუდი იყოს, სხვისას კარგს ყოველთვინ შენი უნდა გერჩივნოს.

— არა მალავ, არა ხარ მართალი, იმ ქართველების კარგ ტრადიციას მადლის სახით მრავალი საუკუნის განმავლობაში რაც ჩვენთვის მოუციათ იმას ასე ადვილათ ხაზს ვერ გადაუსვავ და არც არავინ მოგცემს ხაზის გადასმის უფლებას. თქვენი არ ვიცი და მე კი იქ უნდა დავიმარხო, ებრაელების სასაფლაოზე, ვერ მარტო ჩემი გაზრდილი გიორგის მამისგან რაფიელიდან ბევრი რამ ვისნავლე გარეთ სულ მისი ფარველობის ქვეშ ვიყავ. მეც მისგან გათავსედებული ჩემზე უფრო ძლიერ ბიჭებს აუხტებოდი ხოლმე ვიცოდი ის ჩემი თავს არავის დააჩაგვრინებდა, გაბო სანამ დაამთავრებდა ლაპარავს ყველა გულისყურით უსმენდა, მერე ჯენიმ ჩაილაპარაკა ხვალ თუ

გიორგი ჩამოვიდა მაშინ საქართველოში შეიძლება წამოვიდე თუ პრეზიდენტი და შინ უნდა დაეპრუნდე.

— ნეტავ შენ კიდე დაგიჩემებია შინ უნდა წავიდე, რო წახვიდე რა გინდა მარტოდ იმ გამოყრუებულ სახლში. ასე ხალხმრავლობას რა სჯობია ხან ერთი იტყვის რაიმე სასაცილოს ხან მეორე და ჩვენც ვიცინით, ვმხიარულობთ, მე ოჯახში ხალხმრავლობა მიყვარს. მიმართა ზილფამ. ამ დროს შემოვარდა კუდრაჭა სასადილო ოთახში და გაიწვია ყველა სიგრილით ქებულ სასტუმრო ოთახში. გიორგი ძიამ საჩუქრები უნდა დაარიგოს, საღამოს ათი საათია ას წათურიანი ბროლის ლუსტრა გაჭახჭახებულია, ყველას გაცისკროვნებული სახეები აქვთ და გულიანად მოელიან გიორგი „გველის ტყავის“ შემოსვლას. მაგრამ ზილფას მოუსწრია ჩემოდნის აღება და ისე შემოიტანა თავად გიორგიმ არ იცოდა ის იქ ექტდა ერთი ეგაა რომ გასაღები არ ჰქონდა თორემ უძინსოდ გახსნიდა კიდეც. აი გიორგიც შემოვიდა გაფითორებულმა არ ვიცი მე მგონი უფრო ზილფამ თვალსა და ხელშუა გამარიდა ჩემოდანი გიორგის ამ თქმაზე ყველამ ერთხმად ასტეხეს სიცილი და ზილფას მიაძახეს ჩაიჭერი შენ კი გეგონა ვერ გაგიგებდა.

- მომეცი გიორგი გასაღები მე დავარიგეულ.
- არა, „კუდრაჭა“ ლუიზა და დილილა დაარიგებენ,
- მაგენმა რა იციან,
- შენზე კარგად კი ვიცი. მომეცი დედა ჩემოდანი ლუიზამ გამოართვა, გიორგის გასაღები და ჩემოდანი თავისი გასაღებით დილილას გადასცა, იმანაც ალარ დაყოვნა ესა თუ ის საჩუქარი ვისაც ეკუთვნოდა გიორგის წინასწარ გვარი სახელი ქალალდზე დაუწერია და საჩუქრებთან ერთად შიგ მოუთავსებია და დილილამაც ასე დაინყო.
- ამის პატრონმა რა გააკეთოს? მსაჯული კუდრაჭა იყო.

— მაგის პატრონმა სამზარეულოდან ცივი რამდენიმე ბოთლი ბორჯომი შემოიტანოს და თითო ჭიქა ჩამოვცირიგოს. გახსნეს ნახეს უძვირფასესი არაბული თეთრი მამაკაცის ზედა ჩასაცმელი გვარსახელით თავად გიორგის გველის ტყავს ხვდა ბორჯომის შემოტანა და ჭიქებით ჩამორიგება შესრულება სიცილით და ტაშის დაკვრით აღინიშნა. როცა რომ, ბორჯომით შევსებულ ჭიქით ზილფასთან განსაკუთრებული მონიჩებით მივიდა როგორც თავისთან ძმად შეზრდილ გოგას მეუღლე განსაკუთრებულ პატივისცემით იყო მისაღმი განწყობილი ისიც გრძნობდა „გველის ტყავისგან“ ამ დიდ პატივისცემას და სითამამით იყო თუ სიყვარულით, არც საპასუხო პატივისცემას და არც საყვედურს ერიდებოდა და აი ახლა დრო იხლოთა ბორჯომის მირთმევისა და უსაყვედურა.

— თქვენ ბატონ გიორგი, მოგზაურებიდან ისე არ დაპრუნებულხარ რომ ჩემთვის საჩუქარი პირადად არ მოგერთმივნოს და ახლა რო დაპრუნებულმა უპატიცემლოდ დაგვტოვე მეც და შენი ამ-

ღმრთავდებო  
შპს „გილიანი“

ღმრთავდებო მშობლებიც მე უიფიქრე ჩვენგან ხო არაფერი ეწყინაოთ.

- ქალბატონო ზილფა, მოითმინეთ უსაჩუქროდ არ ხარ დატოვილი შენგან მოსალოდნელი იყო მე მივხვდი რომ ასე იუიქრებდი თუმცა არ გქონდა შენ ამის საფუძველი რადგან ის ვერ გაგითვალისწინებია რომ მთელი ჩემი სულიერთა სიმდიდრე ჩემი შვილის გიორგის გარეშე აგერ არიან თქვენს ოჯახში.

- შეგეძალა გიორგი ძია, ეს ოჯახი მარტო ჩვენი კი არა თქვენიც არის, შეუსწორა ლუიზამ. შენ რო მოგზაურობაში წასული ხარ სუყველა ბებია პაპაც დღეებს ვითვლით თუ როდის გაგვიშინაურდები, არა საჩუქრის გულისთვის არამედ იმიტომ შენ რომ ჩემი ერთადერთი უბრნყინვალესი ბიძა ხარ.

- ჩაგრა ლუიზამ ბატონო გიორგი, „გველის ტყავო“ როგორც გოგას ძმა ბავშვებს შენი სულიერი სითბო აქვთ გამჯდარი.

- დედა რა ბედნიერებაა, მიუხედავად სხვადასხვა ეროვნების ასეთი მრავალ სულიან ტკბილ ოჯახში რომ ვიმყოფები. დილილამ გულიდან თავისი სიხარულის აღტაცება გადმოაფრქვია, მალეამ ოჯახის ნევრებს ხელით ანიშნა.

- მაცალეთ ერთი სიტყვა მეც უნდა ვთქვა ჩემი გაზრდილი გიორგის დიდსულოვნება ამაშია მიუხედავად ლონდას მხრიდან მთელი უბედურობა თავს გადახდა მაინც სხვის შვილებზე ლონდაზე და ჯენიზე თქვა ჩემი ორი სულიერი სიმდიდრე თქვენს ოჯახში მეგულებოდნენ.

- მოიცა მალეა მთავარი გამოგრჩა სხვისი შვილები რა შუაშია ერთი შვილის დედაა მეორე კი იმ შეილის ამლზრდელი.

- მარტო ეგა?

- დედა გავაგრძელო თამაში?

- მოიცა შვილო ლუიზა, დედამთილო მარტო ეგაა თქვენ რაც თქვით. ლონდას და ჯენის მუცელში ბავშვები რომ უსხედთ აი ისაა მთელი ბედნიერება ორმოცდათი წლის კაცისთვის.

- მართალი ხარ შვილო, რძალს დაუმონმა მამამთილმა.

- დაწყნარდით ვინყებ თამაშს ხალხი დააწყნარა იაშამ,

- ამ საჩუქრის პატრონმა რა გააკეთოს?

- მაგ საჩუქრის პატრონი ვით საბუდრიდან გადმოფრენილი კერცხმადებელა დედალი სკამზე ასული გადმოხტეს და დაიწყოს კაკანი გახსნეს და აღმოჩნდა ისეთივე არაბული ჩასაცმელი რო იყო ამის წინა გათამაშებაზე გიორგისი მხოლოდ სხვა ფერის აღმოჩნდა იაშასი. მრჯავდებულის მიერ დადებული ტაბუ სანამ არ შეასრულა არ მისცეს საჩუქარი. ტრადიციულად ისიც ტაშით დააჯილდოვეს. მოამზადეს შემდეგი საჩუქარი ამის საჩუქრის პატრონმა რა გააკეთოს? ითქვა თუ არა გოგამ კარები შემოალო სალმის თქმაც დაავიწყდა და დაბნეულმა მარტო შტერულად ყველას თვალი მოავლო.

ისე, თითქოს საიდუმლო სამსახურის კაცია და მალქამ უცებ მიაძინა შემთხვევაში.

– რა იყო შვილო გოგა ხომ არაუერი დაგემართა?

– არა დედა რა უნდა დამმართებოდა,

– რავიცი შვილო, სახე გიგისას მიგიგავდა. მიდი ზილფა ქმარს მოეფერე დაანწნარე იქნებ მაშინ გვიცნოს და მიხვდეს, რომ სუსველა შინაურები ვართ, უთხრა მალქამ.

– არა დედა, გოგა ისედაც დაწყნარებულია, მაგან საჩუქარი კიდევ არ მომიტანა, პირშავად არის მოსული და აქეთ მებუტება თავს იჭერს რო მოვეფერო.

– მერე მიდი და მოეფერ.

– არავითარ შემთხვევაში თავად მეახლოს და მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი, ქალი ვარ და უნდა იცოდეს რომ ქალს მოწინებით უნდა ეპყრობოდეს.

– მერე ისევ გიორგი მიეჭრა ხელი ჩამოართვა და ფეხზე დგომით გააგრძელეს საუბარი სამსახურებრივ საქმეებზე.

– ამ საჩუქრის პატრონმა რა გააკეთოს გამეორა დილილაშ

– რა გააკეთოს და მამაჩემთან მივიდეს გადაეხვიოს გული სახეზე კოცნა-კოცნით აუვსოს ბაგის ჩათვლით.

– არა შვილო „კუდრაჭა“ ლუიზა ასეთი მკაცრი სასჯელის დადება არ შეიძლება.

– რა არი მალქა, ხვევნა კოცნა მკაცრი სასჯელია? ბავშვს უხერხულ მდგომარეობაში რატომ აყენებ.

– არა, იქნება უცხოს მოუწიოს,

– ვინ არი აქ უცხო ქალი?

– პაპა-ბებიას ჯენი დეიდა ჰყავს ალბათ მხედველობაში, არ იცის მალქა ბებიამ რომ ყველა შინაურები ვართ, როგორც ქალი მე ჯენი დეიდა მიყეარს. მე დარწმუნებული ვარ ჯენი დეიდასაც რომ მოუნიოს ამ თამაშით მამას იგიც აკოცებს. არაა ჯენი დეიდა.

– კი შვილო, ეს თამაშია და თამაში კოცნითი სირცხვილი გამორიცხულია. ახლა კუდრაჭავ რა აღმოჩნდა, „ბრასლეტი“, სამაჯური ორი შავი გიშერის ქვით, ქვები-შუა კი დამონტაჟებული ოქროს საათი ოქროს სარქველით და ეს ნივთი აღმოჩნდა ზილფასი.

– ახლა სიჩუმე იყოს დედა, არ გინდოდა მამაჩემისთვის კოცნა, მაგრამ ბედმა გარგუნა და უნდა შეასრულო.

– არა არ ვაკოცებ, საჩუქარი გიორგიმ მომართვა და გოგას ვაკოცო.

– გიორგი ძია დედაჩემს ნილად ხვდა მამაჩემისთვის კოცნა და არ ასრულებს,

– არ ასრულებს და არ მისცე, საჩუქარი უკან დამრჩება. ზილფას არ ესიამოვნა გიორგის „გველის ტყავის“ მკაცრი ნათქვამი და ზილფამ გარეთ გასვლა დააპირა. მაგრამ გოგა გიორგის უცებ გაერიდა

და კარები ჩაუეტა, მოეხვია და ბაგეზე დაეწება გიორგი ლონდას-  
თან მივიდა და ეკითხება

- თქვენც ხომ არ გინდათ კოცნა?

- ჩვენ რა მიცვალებულები ხომ არა ვართ, ჯერ ჯენის აკოცა,  
მერე ლონდას. ზილფამ იმდენი იძალავა, რომ გოგას მაინც ხელი-  
დან გაუსხლტა და შევარდა ოთახში. დილილას ხელიდან საჩუქარი  
გამოსტაცა ხელზე მოირგო და გიორგის ჯინის მოსაგებად ჯერ  
კლავზე მორგებული საჩუქარი უჩვენა და მერე ენა გამოუყო, გავი-  
უდი ზილფა, მალეამ შეამჩნია და შენიშვნა მისცა. მერე გიორგი და  
გოგა სხვებისგან განმარტოვებით დივანზე დასხდნენ და საკუთარი  
ბიზნესზე დაინყეს საუბარი.

- იცი რა გითხრა გიორგი, შენ გამოვზარილ საქონელს ჩემს  
მაღაზიაში ბაზარი კარგი აქვს. ფული რაც შენ იქ შეძენაში გაგიხ-  
არვია იმდენი ამოლებულია ახლა მოგებაზე იყიდება, შენ წერილი  
გამატანე იქ შენი ნაცნობთან და თუ შეძენაში მომებმარებოდა მე იქ  
ჩავიდოდი და ნამოვილებდი.

- კი ყველაფრის გაკეთება შეიძლება, მაგრამ შენ არ აპირებ  
საქართველოში ნამოსვლას?

- გიორგი, გულით კი მინდა ნამოსვლა, მაგრამ თუ ხვალ და ზეგ  
ისეთივე ბაზარი იქნება ჩემს მაღაზიას როგორც ნინა დღემდე იყო  
ცარიელი მაღაზია, მერეც ცარიელი დამირჩება და ჩემ გაკოტრებას  
ახლა ეგ უნდაა.

- კარგი ნამოდი ახლავე გადავრეკავ ნაცნობთან თუ დავიჭირე  
სახლში კარგია.

- ალო.

- გისმენ.

- გამარჯვობათ ქალბატონო,

- გაგიმარჯვოთ ასლანა შინა ბრძანდება. თქვენ ვინ ბრძანდებით  
და რა გნებავთ იქნებ ტელეფონზე მოვიდეს რომ გადავცე.

- დღეს დრო რაღაა დარჩენილი და გვიან ღამეც რომ მოვიდეს გა-  
დაეცი გიორგიმ „გველის ტყავმა“ დარეკათქ და დამავალა რა ნამ-  
საც მოვიდეს გადმომირეკოსო. რა ვუყოთ სახლში არ არის, არაფე-  
რია ხვალ ორ საათამდე დრო გვაქვს, რო ვიცოდე ხეალ გიორგი ჩემი  
შვილი ნამდვილად ჩამოვიდოდა ტელავივის აეროპორტს თბილისის  
ბილეთებს ახლავე დაუკვეთავდი.

- გიორგი ნიუ-იორკში გიორგი უმცროს დავურეკოთ, იქნებ შინ  
დავიჭიროთ. აკრიფეს ნომერი და დარეკეს.

- ალო, ალო,

- გისმენთ, გისმენთ ბატონო. გიორგი, მე მამაშენი ვარ „გვე-  
ლის ტყავი“ როგორა ხარ შვილო? აპირებ ჩამოსვლას გელოდებით.  
გავიგე, შვილო, დაქორწინებულხარ მომილოცავს გაბედნიერება,

დაწინაურება.

— მადლობა მამა, მადლობთ. ათი დღეა შინ არ ვყოფილობთ, ერთი საათის ნინ შემოვედით ბილეთები აღებული გვაქვს და ხვალ თორმეტ საათისთვინ მანდ ვიქნებით, თუ არაფერმა დაგვაღალატა.

— აპა თქვენ იცით, ხვალ თბილიში გასაფრენად ბილეთები ახლავე უნდა დაუკვეთო, ამრიგად დღის საათები ამოინურა და დამის საათების გამოყენება ძილით დაიწყო.

— გათენდა ხუთშაბათის დღე მშენებირი, აღმა მიმავალი მზის სხივები ზღვის ფსკერიდან სილრმეში ისე ძლიერად იყო შეჭრილი, რომ გამჭვირვალობა ელფერს მატებდა, მე ვფიქრობ უბრალოდ მისი შემხედვარს სიამოვნებას მოვრიდა. ნათქვამია სიცოცხლე წუთისოფელში ყველას უტებება, მაგრამ უსამართლობით, გაჭირვებული ცხოვრებით, ზოგი ეშმაკის ანკესზე ადვილათ ეგება და თვითმკვლელობით ამთავრებს თავის სიცოცხლეს, ეს კი უფლის ღალატია, მის მიერ ჩამოქნილ სულს ეშმაკს აბარებს სატანჯველად, მე ვფიქრობ ასეთები ღმერთს ვერ დაუახლოვდნენ, არ ინაშეს ღმერთი და არც განინმინდნენ, აღარც უფალმა შეიფარა და ეშმაკსაც მეტი რა უნდოდა. აქ მეორე ამბავიც არის, ვინც რომ, ერის გამთლიანებისთვის ან სხვის გადარჩენისთვის თავი გასწირა ის ამით უფრო ამაღლდა, გული დაჩაგრა. სული გაუძლიერდა. ერთი დრო არავის შერჩებაო, ეს რატომაა ნათქვამი? წუთისოფელში ხალხი შიგ ჭრელია და ყველა უფლის აზროვნებას ვერ ხედება. უმრავლესობა ასე მეუბნება, შენ აქ მაჭამე მასვი და სიკედილის შემდეგ გინდა სანაცვეზე გადამაგდეო, ეს გამოთქმა არაა სწორი, წუთისოფელი ეს მხოლოდ დასაწყისია. გრძელი სიცოცხლის არსებობისა, შეიძლება ასეც ითქვას წუთისოფელი საცდელი პოლიგონია, ხალხის გამოცდისა. იგი წინამორბედია მარადისობისა. თვითეული აქ რასაც დასთესს შეიძლება მცირედი ცოდვის ჩამდენმა აქ მოიმეოს, ან შეიძლება მონანიებით ღმერთმა შეუნდოს. მაგრამ ის დიდი ცოდვები, რომლებიც ადრე ჩაიდინა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ე.შევარდნაძემ კი არა. შემდგომი მისი მიმდევარებმა ძველი თუ ახალ დროში პენსიების და დანაზოგების წართმევით ათი თორმეტი თვის ხელფას მიუცემლობით შემშილით დახოცილ ხალხის ცოდვის ზიდვას ვერც გიორგის დაძახნა უშველის და ვერც თვალთმაცური სახელის შეცვლა. ღმერთი ყველაფრის მხედველია და სიყალბისა და სიმართლისა ზუსტი სასწორი აქვს. თუ სიყალბემ დასძალა, მაშინ მტანჯველად ეშმაკი არ ასცდება, და თუ სიმართლემ დასძალა, მაშინ ღმერთი შენდობას გაიღებს და ცოდვებს თავის თავზე აიღებს. ნათქვამია, „არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაა.“

საღამოს თვითმფრინავით კაიროდან გაფრენილი გოგა, დილით კეიიპტაუნში იყო, იყო, მაგრამ, უცხო ადგილას, რომელსაც მისთვის

ნაცნობი ან ახლობელი რომ არავინ გააჩნია, მხოლოდ ერთი წერილი და გადაუწყრა. კეიპტაუნიდან კაიროში ტელეფონით ერთი დაკავშირება კიდევ სცადა გიორგიმ ასლანასთან, მაგრამ ამაოდ, კვლავ უპასუხოთ დარჩა. დრო მოუთმენლად გარბის და სამსახურები თანამშრომლებით შეიცვალა.

დღის ათი საათი ჯერ კიდევ არ იყო, ისრაელის დროით, რომ კარებზე მომდგარ სტუმრებმა ბატონმა გიორგი მეორემ და მისმა მეუღლემ ქალბატონმა თამარ კეპისმა დააზარეს. ჭიშკრის კარები ქალბატონმა მალქამ გაუღოთ. როგორც ყოველთვის ქალბატონი მალქა ახლაც ადრე ამდგარა და მათ ოვაციურმა შეხვედრამ თითქოს შენობა შეაზანზარა და დღის ტკბილ სიზმრებში შესულნი ყველა გამოაცხიმლა. მოლოდინმა გაამართლა და მომლოდინებმაც თავი ინსტიქტურად იგრძნეს. რადგან გიორგი უმცროსი თავის მეუღლით იყო ამერიკიდან ჩამოსული. ერთი კი მოასწორ ქალბატონმა მალქამ მოსულ სტუმრებს სანამ სასტუმრო თახში შეუძლვებოდათ. ეზოში გამოსული გაბოს დინასტიებმა სუვერენიტეტი მიულოცა, მიუალერსა დიდმა, პატარამ...აღარ ამოასუნთქეს. ისედაც მგზავრობით დალლილები. ლუიზა დილილა, ზილფა, ლამის პერანგით იყვნენ გამოსულები ხან თამარს კოცნიდნენ ხან გიორგის.

— მომილოცავს, ეს რა კარგი გოგო შეგირთავს.

— კარგით, გეყოფათ, წადით ჩაიცვით და ისე გამოდით, სირცე-ვილია.

— რის სირცევილია ქალო, ბიძაშვილები არიან და ესიყვარულებიან.

— გიორგი „გველის ტყაო“, ზილფავ შენიც ბიძაშვილია, პერანგისამარა რო გამოხვედი?

— დედამთილო, ბიძაშვილი არა, მაგრამ მაზლის შვილი ხო არი. კარებთან მისული კუდრაჭა უკან გამოპრუნდა

— ბატონი გიორგი, საჩუქრები ხო ჩამოგვიტანე?

— კი, კუდრაჭა, ისეთი ძვირფასი არა, როგორც მამაჩემია იცის, მაგრამ ჩემი ხელფასის შესაფერისი კი არის

— უჩემოდ არ დაარიგოთ, უნდა ვითამაშოთ

— რა უნდა ითამაშოთ?

— ბატონი გიორგი, მამათქვენმა გიორგი ძიამ, საჩუქრები რომ მოვგიტანა, ფანტიობა ვითამაშეთ, მაგრამ დედაჩემია შარიანია და ჩაგვიშალა. მშობლებმაც რომ მოისიყვარულეს მერე ახალ ცოლ-ქმარს ცალკე ოთახი მიუჩინეს.

ოთხი საათი იყო კოჯორიდან შემოსულმა ლაინერმა თბილისს რომ გადაუარა და დასაჯდომად გამზადებულმა პაერში ნახევარი წრე შემოხაზა და ისე დაემვა დასაჯდომ ბილიკზე. გამოვიდნენ სატრანსპორტო ტრასაზე, ჯერ ცოტასანს ისაუბრეს თუ პური სად ეჭამათ. დავა რა თქმა უნდა გველის ტყავისა და გაბოს შორის იყო. გაბომ



შესთავაზა ვიყიდოთ მშრალი საქმელი და შენთან სახლში ვჭამოთ გამოიტანოთ ამაზე რა თქმა უნდა მალეაც თანახმა იყო, მაგრამ ბატონი გიორგი პრინციპიდან ვერ გადახარშეს. ჯენი და ლონდაც, რომლებსაც ფეხ-მძიმბის გამო მუცლები გადმოვარდნაზე პქონდათ, შინ მისვლას ჩქარობდნენ. ვინც პირველად თბილისში იყო, მათ ფუნიკულიორის ნახვა ძალიან აინტერესებდათ და ასეც მოხდა. გიორგიმ, „გველის ტყავმა“ რესტორანს დაკვეთა მისცა. მეორე სართულზე, ლოჯში გაეწყოთ სუფრა. მერე თავადაც მიემატა. მაყურებლებს მანამდე კითხვებზე გაბო პასუხობდათ. მისვლის უმაღვე მიმართა:

— ქალბატონებო და ბატონებო, აი, ეს არის ჩემი თავისუფალი საქართველო, დედაქალაქი თბილისი, გაღარცულული ჩემი სამშობლო, რომელსაც ჩემად ვერაუერი შევმატე, ან არა და ჩემი აქ არყოფნით რა უნდა შემემეატებინა მე — ესპანეთში მცხოვრებს.

— როგორ გიორგი, ღმერთს რატომ სცოდავ, პატარა საქმეა შენი შვილი ქალაქ ვაშინგტონის მახლობლად ერთ-ერთი ქალაქის გაერთიანებული იურიდიული კონსულტაციის დეპარტამენტის თავმჯდომარეა, შენ კიდევ კარგად იცი რასაც წარმოადგენ, შესანიშნავი კომერციონერი.

— მერე, ჩემი მოგება ვის ბიუჯეტში შედის? მე ჩემ თავს კი არ ვჩივი, სამშობლოს ვერ ვარგე. ჩემი ერთი დამამედებელი ესაა, რომ შვილები ერთი სახეზეა, ორი პერსპექტივაშია. თუ ღმერთმა არ მიმტყუნა და გამიმართლა, მერე ჩამოვალ და აქ ვიცხოვრებ. გაბო ძია, თუ სამშობლოს გვერდით არ უდგეხარ, რაც არ უნდა გული გტკი-ოდეს, შორს მოქნეული მარაო აქ ბუზებს ვერ დააფრთხობს.

— დედა, რა ლამაზი ქალაქია არა?

— ხო შვილო. ამბობდი გიორგი ბატონო “გველის ტყაო”, და ახლა კი ნამდვილად დაგივერეთ, ნამდვილად ჩაძირული ქალაქია.

— დიახ ქალბატონო, ასეთი კარგი სამშობლოს პატრონი, მე იქ, ესპანათში უნდა ვიყო? ქალბატონი თამარ, ჩემო რძალო, თქვენ როგორ მოგწონთ ჩემი სამშობლო, დედა თბილისი?

— კარგია, გადასახედიდან თუ შევამოწმებთ, უფსკრულში ჩაძირული ქალაქია. მაგრამ მთავარია ახლოდან ნახვა, შიგ რა არი. ამ საუბრის დროს მიუხალოვდათ ერთი, ვიღაცას ვერ ვიტყვი, შეიძლება ასე ვთქვა, თავისი სამშობლოს გულშემატკიცარი, ერთ-ერთი ჭირისუფალი.

— მართალი ბრძანდებით ქალბატონო, შორიდან ყველაფერი ლამაზი ჩანს, მთავარი ახლოდან დანახვაა საჭირო. მაგრამ ისიც საკითხავა, ვინ როგორ აღიქვამს, ვინ ჩასწედება მრავალ საუკუნე გამოვლილ საქართველოს, მტრისგან მიყენებულ პირველ ჭრილობის გაშიფვრას. იქიდან უნდა დაიწყოს თუ რა თქმა უნდა ეყო ჭკუა-გონება მის გასაგებად. მერე აქეთ და აქეთ თანდათანობით გაუად-

ვილდება მისი გაგება. ან არადა დეტალური შესწავლისათვის ისტორია უნდა მოიშველიოს. ძველებს ვინ ჩივის შვილო, ახალი მტკვარს სისხლი და ცრემლიც აღელვებს. ცხრა აპრილი, აფხაზეთი, სამაჩაბლო, პარტიებსშორის შუღლი, ძალმომრეობა ძველსა და ახალ მთავრობას შორის, დამარცხებულების დაპატიმრება... ღმერთმა უწყის ვინ მტყუანია და ვინ მართალი. თბილისის ნგრევა-გადაბუგვა, თავისთავად უდანაშაულო მსხვერპლი... 2008 წლის აგვისტოს მოვლენები რა ძნელია სამშობლო გულშემატკიცრებიდან შველას ითხოვდეს, მისი გულშემატკიცვარი მტერს თვალებში უცქერდეს, მაგრამ ამაოდ ვერაფერ შველოდეს რადგან მისი ხელში იყო თანამედროვე ხალხის საულეტი ქვეყნის დამანგრეველი იარაღები მის ხელში იყო. არ ვიცი მომავალი თაობები სისხლიან ფურცლებს რომ გაშიფრავენ ვის გაამართლებენ და ვის გაამტყუნებენ ერთი კი ფაქტია გაძევებული მთავრობის შემდეგ ჩამოვარდა შიმშილობა სიღატაკე ეკონომიკურად დაცემა გრძელდება დღემდე იმიტომ რომ, პური იმ ფულზე ერთი სამად გააძვირეს, ხალხს შენატანი დანაზოგები გაუუქმეს, პენსიები რვა ლარზე დაუყვანეს, თუმცა დღეს დღეობით თორმეტია რა-საც არსაიდან არ აქვს გამართლება. იხოცებიან შიმშილით, ზოგი მათხოვრობს, მაგრამ ყველას ხომ არ შეუძლიან რამდენი ვიცი, რომ თავიანთი ახალგაზრდობა შიმშილის გულისთვის თვითმკვლელობით დაასრულეს. რამდენი ბავშვი შეენირა დასუსტებით, უმკურნალოდ, უფულობის გამო. რამდენი გენოფონდისტები შეენირნენ რუსეთ-საქართველოს აფხაზეთში უაზრო ომს. შიგნით ერთ-ერთი

ზურგიდან მოღალატური მკვლელობით რამდენი დაავადდა და ლუკმა პურისათვის მიღიონ შვიდასი ათასამდე საკუთარ სამშობლოდან წასულია საზღვარგარეთ თუ ვიმსჯელებთ ოცდაერთ წელს საფრანგეთში წასული დემოკრატიული თავრობით ახლანდელი წასულებია იმათსავით გენოფონდს შესწყვეტინ. ჯერ ერთი რომ, აქედან ჩასულს გაშლილ სუფრაზე არავინ დააჯენს. მეორეც ის რომ, ჩვევაა ქართველებისა სხვა ფუძეზე ვერ მრავლდებიან. სხვის ფუძეს კარგათ ეგუებიან მუსურმანები, სომხები, ბერძნები. ისე რომ დღევანდელ ახალგაზრდობას საქორნილო პირობები არ გააჩნიათ, დასანანია ჩვენი ქალები. ამას წინათ უნივერსტეტის წინ ქსეროქსზე ვიყავი მისული იქ შემოვიდა უნივერსიტეტის სამი სტუდენტი გოგო სამივე ერთიმეორეზე უკეთესები მე მიხარიან ჩემი ერის მშვენიერები ქალაქის ქუჩებს რომ აღამაზებენ აღმოსავლური ენების მეხუთე კურსელები იყვნენ ჩემდაუვნებურად შევეკითხე ალბად რო დაამთავრებთ უნივერსიტეტს. საქმროდ შერჩეულ თანაკურსელი ბიჭები გეყოლებათ და გათხოვდებითქმ, მესამემ მიპასუხა ეს ორნი დანიშნულები არიანო ერთი მარკოლიზე მეორე ალჟირელზე უცებ მათი მშვენიერებით მინიჭებული სიხარული სულ გამიფრინდა

ისე, რომ გულს დააჩნდა იარა, წყენა შემატყეს და მესამემ მითხვა  
რა გულდაგნყდა. ბიძაჩემო ნეტა მთხოვნელი მეც გამომჩენოდა  
გავთხოვდებოდი. მეც ხო მინდა ხეთით ნაბოძი შვილების დედა  
ვიყოვო. შევეკითხე განა იმიტომ სწავლობთ რომ სამშობლოს არ  
გამოადგეთქმ ასე მიპასუხა სადაა სამშობლო აქ ცხოვრება ლირსო.  
მარტო ეს ორი კი არა რამდენის მშობლებიდან მსმენია ჩემი შვილი  
გერმანელზე გათხოვდათ ჩემი კი იაპონელმა ნაიყვანაო, უმუშევრო-  
ბამ და ნარკომანიამ გამოიწვია ჩვენი ქალების სხვაზე გათხოვება  
დავადექით გადაშენებას და ეგ არი, ვაი საქართველო საით მიექანე-  
ბი, დავარგული გენო ფონდის აღდგენას ასი წელიც ვეღარ უშველის  
ეს ანდაზა ხალხისგან კარგათ ნათქვამია „კარგი ფხიზელი მწყემსი  
მგელს ცხვარს არ გაატანსო“

— ახლა, როდესაც არჩევნები ახლოვდება მართველი მოქალაქეთა  
პარტია და ოპოზიციური პარტიები განვლილი ოთხ წელინადში შეს-  
რულებული სამუშაოების ბალანს ხალხს აბარებენ, გამოვიდა მიხეილ  
სააკაშვილი და პარლამენტის მოახსენა ბაქო-სუფსის ნავთისადენი გავი-  
ყანეთ, ევრო პარლამენტში გავწევრიანდით, გაეროში განვერიანებაზე  
მიმზადებულია ყოველივე საბუთები ნატოსთან პარტნიორობა, კავკასიის  
შევიდობისათვის და ასე შემდეგ... ეს ყველაფური დღე-ღამე დაძაბული  
მუშაობით არის მოპოვებული, გამოვლენ ოპოზიციური პარტიები, ზოგი  
მართველი პარტიები ავრცელებს ზოგიც შიგ თავის თავს მონაწილეო  
თვლის. ჩემი აზრით კი რვა წელინადია ამათი ზარბაზნებით მოსვლიდან  
და ჯერ რაც დაანგრიეს ისე არ გაუკეთებიათ, უსახლკაროდ დარჩე-  
ნილი ხალხი ზოგი სად არის თავშეფარებული და ზოგიც სად, ბევრმა  
ნუთისიველიც დატოვა. დიახ ვიმეორებ რვა წელია ამათ მოსვლიდან  
და ჩემი აზრით იმ სამუშაო და დაბალი ფენისათვის ეს მთის თუ ბარის  
მოსახლეობას არ აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ საერთოდ გენოფონ-  
დის ბირთვს წარმოადგენდნენ. მათი უმუშევრობას და მოთხოვნილებას  
თორმეტი ლარი პენსია შეავსებს. ამ რიგად რვა წლის განმავლობაში  
თვითოვეული ოჯახისათვის რვა ლარის საქმეც არ აქვთ გაკეთებული,  
ერის გადარჩენას, გენოფონდის შენარჩუნებას ისიც ისეთი ერისა სამი  
ათასი საუკუნის განმავლობაში ეკლიან გზაზეა რომ არის გამოვლილი,  
როგორი მრისხანე მტრებს გაუძელით, გაჭირვების უამს გამოსავალს  
ყოველთვის პოულობდნენ მეფები თუ სარდალმეფენი, მირიანი, ფარ-  
ნავაზი, გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, დიმიტრი თავდადე-  
ბულის მეფეობა, გიორგი ბრწყინვალე, ლუარსაბი, თეიმურაზი, მეფე ერ-  
ეკლე ქეთევან დედოფუალი ნამებული როგორც ქალი ერის სიწმინდე და  
მრავალი სხვანი... და ყოველივე ამათ მონაპოვარის ჩაძირვის უფლება  
ვის აქვს. მე მარტო პიროვნებაზე არ მაქვს ლაპარაკი. საერთოდ რჩეულ-  
თა ხევდრზეა საუბარი, ვინც პოლიტიკაზე თავს ზდებს საქართველო  
დავთისმშობლის ნილზედრია და თუ გვინდა რომ ამ ქვეყნიდან ნასული

ლვანლ მოსილები ზეციურ სამყაროში მოვხვდეთ იქ ღმერთის წინაშე ნარვდებით და სამშობლოს დაცვა ყველას თანაბრად მოგვეთხოვება. ერის შენარჩუნებაა მთავარი, იმპერის დროს თუ მისი დაშლის შემდეგ მთელი ქართველი ერის წინამორბედი თუ მათი მიმდევარი დღევანდელი გულშემატევიარების ქართველი ერის საზრუნავი დემოგრაფიის გაძლიერება იყო. ჩვენ კი უფრო მოვშალეთ, დავესაქსეთ, გავაფანატეთ, ერი ერს აღარა გავს შიმშილით არაქათ გამოცლილებს, ზამთრის სუსტით გაციებულებს და უშუშვართა არმიას და მომუშავეთა არმის რამდენიმე თვეების ხელფას არ მოუცემლობით, იმათგანაც ზოგიერთ მომავლის იმედგაცრუებულებსა, ნაადრევად ღებულობს მიქელგაბრიელი, წლოვანია თუ უწლოვანო ის უარს არცერთზე არ ამბობს. გამოვიდა მართველი პარტიის სახელით ბატონი მიხეილ სააკაშვილი კი მოახსენა ხალხს განვლილი ოთხ წელიწადში რის გაკეთებაც შესძლეს. ასევე რაც ოპოზიციურ პარტიებმა გაკეთეს ყველაფერი ჩემთვინ ნათელია, მაგრამ ლირს კი ზემოთ ჩამოთვლილი ერის უკუსვლის ფასათ. უპირველესი დღეს დღეობით ერის სიმრავლეზე ფიქრი და ზრუნვა თუ ნაადრევია რაც არის საქიროა მისი შენარჩუნება, სხვა ყველაფერი რაც პროექტებით თუ უპირვეტოდ გაკეთებულა და სხვა მრავალი კიდევ პერსპექტივაშია ეს ყველაფერი მეორე, მესამე და მეოთხე ხარისხოვნებია. ღმერთი სულს ერთხელ იძლევა მართალია ეს სიკედილიანობა სისხლიანი ტყვიანაკრავი არაა, მაგრამ ეს შეფარული გენოციდი იმ გახმაურებულ დახვრეტებზე უარესია ნარსული წლები რისი მომსწრეც საქართველოა. ჩვენ და ჩვენ შემდგომ მოვლენილი ადამიანები ამ მინისთვინ სიკედილის შემდეგ ფიზიკურად რას ნარმოვადებენ? წინაპრებივით მხოლოდ მტკვერს. მეტი არაფერი. რჩება, მხოლოდ სულით განათლებულის სახელი იმ პიროვნებისა ვინც სამშობლი-ერის სადიდებლად კეთილი საქმენი აკეთა, გონივრულად თუ ფიზიკურად ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია ზიანს ნუ მოუვუტანთ ღალატის ტოლფას თუ არა, ადრე თუ გვიან ერის საღანძლავები გახდებიან. თუმც აქ რა მოსატანია ერის მოღალატები, ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიქიძე, მათი მსგავსები და მათზე უარესები ნურასდროს გავხვდებით, თუმცა სათქმელია ორჯონიქიძე მიხვდა თავის დააბაულს, თავმოყვარეობამ დაქვევნა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა, ღმერთმა დაგვიფაროს რომ ამათ მსგავსად კიდევ მიმატებოდეს ვინმე მე ჯერ მომავლის იმედი არ დამიკარგია და ღმერთმა არც დამაკარგვინოს მე ვფიქრობ ახლა კარზე მომდგარი არჩევნებია, ქართველი ერი კიდევ ერთხელ მოკურეფას ჭუა-გონებას თავის ჩვეულ სიბრძნეს გამოავლენს და ხმას ლირსეულებს მისცემენ. მე მნამს ის ღორსეულები წინა პარლამენტის ხარვეზებს გამოასწორებენ და სამშობლო-ერის აღორძინებას პირველ საკითხად დააყენებენ და ქვეყნის სამართლიანობასაც ნათელს მოფენენ.

- ჯენი თბილისი მართლა ლამაზი ქალაქი ყოფილა არაა.

— კი ქალბატონო ზილფა, ყველა ქალაქს აქვს სხვა ქალაქებითა განსხვავებული მიმზიდველი ეროვნული კოლორიტი. ახლა ევროპის ქალაქებს ვერ შევადარებთ, მაგრამ ეს რაც შენ მამამთილის გადავლილი ავტედითობის ისტორიული ქრონიკები მომისმენია მიუხედავად ორას წლიანი მონობისა, ცენტრში შეინიშნება ახალი არქიტექტურული შენობები.

— პაპა, პაპა ის რგვალი დიდი შენობა ვაზას რომ გაეს რა არის?

— სტადიონია კულტურაჭავ, ფეხბურთის სათამაშო მოედანი. ქალბატონი მაღქა, ჩვენი ნახელიდან რაც ჩვენ ქალაქი დავტოვეთ ერთი იმდენი მოუმატებიათ. გლდანის, დიდი დილომის და ვარკეთილის მასივები.

— ხო გაბო მართალი ხარ. მაგრამ მთელი ქალაქი მაინც აქედან არ ჩანს.

— როგორ დედამთილო, ქალაქი მთლიანათ არ ჩანს? არა ჩანს შვილო, არა, მასივების გარდა ქალაქს ძეველი განაშენიანობის მრავალი წახნაგები აქვს, რომელიც არა ჩანს თბილისი ათასხუთასი წლის ქალაქია და მცხეთა უფრო მასზე მხცოვანია.

— ესე იგი მაღქა დეიდა თქვენ გინდათ თქვათ ტურისტულად საინტერესო სანახავია ეს ქალაქები.

— ქალბატონო ჯენი ქალაქები კი არა საქართველოს ყოველი კუთხის კუნძულია ტურისტული თვალით სანახავი.

— გიორგი ბატონი, აქედან რო ვუცეკრ თბილისი წმინდა ზღვაში ჩაძირული ქალაქს მაგონებს. ამ დროს დაიძახა გიორგიმ „გველის ტყავმა“ სუფრა გაშლილია და გთხოვთ ამობრძანდითო. სტუმრები ერთიმეორეს უზიარებდნენ ფუნიკულიორიდან დანახულ თბილისის შთაბეჭდილებას, ზოგი ისე ღრმად იყო შეჭრილი ქალაქის შინაარსობრიობაში, რომ გამოსავალს ვერ პოვლობდნენ. პირველად გაბო ავიდა გადავლო სუფრას თვალი და გიორგის „გველის ტყავს“ განაწყენებული თვალით შეხედა.

— გიორგი რატომ გაისარჯე ასე გულუხვად ვინ შესჭამს ამდენს?

— თვითოვეულზე გათვლილია ბიძაჩემო ყოველი ულუფა. ახლა მაღქამ გაიკვირვა.

— შვილო, ამაღამ აქ ხომ არ უნდა დავრჩეთ, მოსვენება ხომ გვინდა. შენს ბინაში ყველა ხომ ვერ მოვთავსდებით?

— რა ვიცი თქვენგან გამიგია ქართველებმა გულუხვი სუფრის გაშლა იციანო. კაცი თავის სამშობლოშია და ახლა ეროვნულ ტრადიციას ხომ ვერ უღალატებს, გიორგის თვალი ჩაუკრა და განაგრძო მე თორმეტი დღე აქ უნდა დავრჩე არ მომამშიოს და თავისი ჯიბეს თავათ თუ არ გაუფრთხილდება ზილფას სუ არ ენაღვლება.

— დამიჯერე გიორგი სასმელი მაინც შევამციროთ? სამი შამპანიური ქალებს ეყოფათ, ოთხი ბოთლი ღვინო ჩვენ სამ კაცს გვეყოფა.

— როგორ მამამთილო იაშას კაცათ არ თვლი?

— არ გადაგაფიქრებინონ მამა. ფული მეც საკმარისად მაქვს. ბავშვი ვიყავ აქედან რო ნავედი ახლა ვნახე სამშობლო ვაჟუაცურ თვალით და ერთი ლიტრიანი ლვინის თასით სამშობლოს სადლე-გრძელო მე უნდა ვთქვა. ხო და გაბო პაპა, ნინაპრებსაც ხო უნდა გახსენება.

— ზუსტად პაპაშენს გევხარ შენ და მამაშენი, ის კიდევ თავის მამას.

— მერე რა არის ცუდი ამაში?

— არაფერი შვილო, მაგრამ რომ არ ვიცით ლამეს სად გავათენებთ.

— რაც მთავარია გაბო ძია, საქართველოში ვართ და კარში არ დავრჩებით.

— ამის შემდეგ ამ საკითხზე კამათი აღარ გავრძელებულა, შემოუსხდნენ სუფრას და ყველამ თავისი პურმარილს უთხრა. ორი სადლე-გრძელო იყო ნათქვამი, რომ გიორგის „გველის ტყავს“ სუფრის გამნყობმა მოახსენა ტელეფონზე გთხოვენო. გიორგიმ თავი ისე დაიჭირა თითქოს გამოძახებას არ ელოდა. ეს გააკეთა იმიტომ, რომ ჯერ ისედაც მოულოდნელობით განცვითორებული მაგიდის წევრები და მისმა უცნაურობა განცვიფრება უფრო გაუდევათ. სუფრის თამადათ პატარა გიორგი იყო, ადლეგრძელა ოთხმოცდა ცხრა წლის ცხრა აპრილს შენირულნი, რუსეთის არა ადამიანური მოქმედებით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, შემდეგი სადლეგრძელო ითქვა საბაგირო გზის ბაგირის განყვეტით დალუპილების სადლეგრძელო დაილია, ამაშიც თითქოს და რუსეთის ხელი ურევია ბაგირი იმ ღამის მტრულათ ჩახერხილი აღმოჩნდა. ამ დროს შემოვიდა გიორგი „გველის ტყავი.“ თითქოს უსამონოთ, თითქოს მხიარულობით მიაპყრო თვალი ლონდას. ადგილებიდან შეეკითხეს რა არი, რა მოხდა? ყველას კითხვა უპასუხოდ დატოვა. ლონდას მაინც არ მოაცილა თვალები. მხოლოდ მაშინ ამოილო ხმა როცა გაბომ ხმამაღლად დაუსვა კითხვა.

— ახლავე გამიმხილე რა მოხდა? ვის ელაპარაკე თუ არა, ფული იმდენი მაქვს, რომ ამ ხალხს ამაღამვე ნავიყვან ისრაელში. მე გამიზრდიხარ და შენს თავზე ჭირია თუ ლხინია მე უნდა ვიცოდე დეტალურად შენი ამბავი. აქედან შვილი გიორგი შეეხმაურა.

— რა მოხდა მამა დედას რატომ უურებ დამცირებულ თვალებით. შეხედე ფეხმძიმე ქალი ტირის შეიძლებაა მაგის წერვიულობა?

— არაფერი გაბო ძია, ისრაელიდან კაიროში ასლანა შინ რო ვერ დავიჭირე მე სულ ვნერვიულობდი, გოგასთან მიცემულ პირობას რომ ვერ ვასრულებდი. ახლა აქ სუფრას რომ ვაშლევინებდი დრო ვიხელთე და რესტორნის დირქეტორის ტელეფონით დავრეცე კაიროში და ის ჩემი ნაცნობი შინ დავიჭირე და ვთხოვე გოგას დახმარებოდა სავაჭრო საქონლის შოვნაში. პირობა მომცა და გამიხარდა ჩემი გულისთვის კაიროდან კეიპტაუნში უნდა ჩავიდეს.

– მერე მაგის გულისთვის ხარ გამწარებული, მაშინ ამ კაცსაზღვაოთან  
დაეძებდი შე დალოცვილო.

– გაბო ბატონო, მაცალე ვთქვა კიდევ ვთხოვე კეიპტაუნის პორ-  
ტის სასტუმროში დამერეკა რომ გოგა დავარაშვილი მოეძებნათ და  
დირექტორის ტელეფონის ამ ნომერზე დამეავშირებოდა. და მართ-  
ლაც დამიკავშირდა და ველაპარაკე მოვიკითხე სავაჭრო საქონელი  
არ მონონებია და არ გამოუტანია და არ გაუგზავნია, ახლა ასლანას  
მეორედ უნდა დავურეკო რომ კეიპტაუნში ალარ ჩავიდეს.

– მერე შე მამაძალლო ის ყურსაღი მე ვერ დამალაპარაკე? მოდი  
აქ უნდა გაკოცო ასეთი ყურადღებიანი რო ხარ. გაბოს შემდეგ  
ყველასთან მივიდა საკოცნელად ზილფამ ლამის კისერზე ჩამოეკიდა  
თან ჩაილაპარაკა

– ახლა ვნახავ რა საჩუქარს ჩამომიტანს.

– შენ სულ საჩუქრები გაინტერესებს, ქმარი რა მდგომარეობაშია  
იმას არ კითხულოდ.

– რაღა უნდა ვიკითხო: შვილები დაზრდილები მყავს, დღეს თუ  
ხვალ შვილიშვილები მეყოლებიან, ქმარი და საჩუქარი მეტი რა უნდა  
ვიკითხო. მამამთალო. თქვენ მითხარით.

– მართალი ხარ შვილო,

– მამა, დედას და ჩემი ამღზდელ ჯენის რატომ არ მოეფერე?

– ხო ეგეც საეჭვოა. რატო არ მოეფერე გიორგი? შენი ხასიათის  
შეცვლის მთავარი მიზეზი აქ ხო არა დევს. თუ არა, რამ შეგიცვალა  
ხასიათი მითხარი არ დამიმალო. გაბო თითქმის მოუხვდა.

– გეტყვით ხო ჯერ ის ამბავი არ დამიმთავრებია, ვიმეორებ  
კაიროში ჩემი დარეკვა ნაგვიანები აღმოჩნდა გოგა ჩასვლის უმ-  
ალვე მისულა საწყობში ვიმეორებ საქონელი დაუთვალიერებია და  
არ მოსწონებია სასტუმროში დაბრუნებულს პური უჭამია და თავი  
ძილისთვის მიუცია, დილით ამდგარა პირი დაუბანია გარეთ გამო-  
სულა სამგზავროთ გამზადებული და აღმინისტრატორთან რომ მი-  
სულა საბუთის ასალებათ პასპორტთან ერთად წერილიც აუღია. მე  
თავათ შევეკითხე ამ ბარათის დამწერს რა ქვიან მეტე მიპასუხა  
გელეჩია. მე სწორედ ამის სახელის გაგონება მაღიზანებს მე მეგო-  
ნა ეს უკვე გასაღებული იყო. კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა „გველის  
ტყავს“ მაგრამ გიორგი გაბომ შეაჩერა.

– გაჩუმდი ახლა ნერვები დაოიკე. თქვა გაბომ და გარეთ გავიდა.

– ჩემს მიმართ ასეთი ეჭვიანია მალეა დეიდავ.

– რა არი, ახლაც ეჭვობს იმ პირქვე დასამარხავზე.

– არა ისევ იმ ძველს განვლილს მიხსენებს.

– რა განვლილს აე მიმტეაცებდი ასეთი რამე არ ყოფილაო.

– ვამტკიცებდი და დღესაც ვამტკიცებ მე და გელეჩის შორის  
არაფერი ყოფილა.

– მაშტაცის გაგიტაცა.

– მიწა რო დავაყარე. იმას ეგონა გიორგი უფროსი მოკვდებოდა რო გადაგაგდო და მე ვითომ ყველაზე ულამაზეს ქალს იქ ვიღაცა გამაუბედურებდა.

– გაჩერდი მამა, მაგის გახსნების დრო წარსულს ჩაბარდა. მე დავრნმუნდი შენი თქმით რომ ის ადრეც კეთილი ყოფილა, მალადეც მის ვაჟკაცობას, რომ ყოველივე ამის შემდეგ დღესაც სიკეთეს ავლენს. თქვა და ხელში ლიტრიანი ხარის ყანნი მოიმარჯვა და გვერდით მჯდომს იაშას სთხოვა ჭიქები შეევსო. ამ მომენტში შემოვიდა გაბო და მისი ბავშვობის მეგობარ თანაცლასელთან ერთად რომელიც იყო, არა მარტო რესტორნის დირექტორი, არამედ მთელი ფუნიკულორის ანუ მთამინდის პარკის ავან ჩავანი. გაბომ თავისი დიდი ხნის უნახავ ამხანაგს თავისი დინასტიური მრევლი ყველა სათითაოდ გააცნო. დასხდნენ ისაუბრეს საჯაროდ თავიანთი ბავშვობის დრო გაიხსენეს დაახასიათეს მასნავლებლები ზოგი შეაქეს. ზოგიც გააქილიკეს. თუმცა მიცვალებულებს აღარაფერი მოეკითხებათ. მეგობრულ სიყვარულმა ყველაფერი ათქმევინათ. მათი საუბარი იყო სევდიანი, იუმორიც. გაბოს ლევანიმ ისიც გაახსენა.

– ხომ არ დაგავიწყდა, რომ ამბობდი მართალია ეროვნებით ებრაელი ვარ საქართველოს მიმართებაში ბევრ ქართველზე უფრო პატრიოტი ვარო და შენ კი ახლა მიატოვე როცა რომ საქართველო მართლა გაჭირვებაშია.

– რა ვთქვა თქვენ ქართველები ერთიმეორეს ხოცავთ და მე ხომ შინაურს საქმეებში ვერ ჩავერცვი, მომხდურ მტერთან ჩემი თავი გენაცვალოთ, როცა გინდათ შემატყობინეთ ჩამოვალ და გითანა-გრძნობთ: თუ არა და ახლა აგერ არა ვარ.

– ახლა განკობილ სუფრას ხომ არ გაგიმნარებთ.

– ბოდიშს მოგიხდით ბატონო გაბო და ბატონო ლევან, თქვენგან ყურადღებას მოვითხოვ თავისუფალ გზაზე დამდგარ საქართველოს სადღეგრძელოს ვამბობ და ომი ღმერთმა გვაშოროს სუფრაზე ვსხედვართ ამ სადღეგრძელოში მაინც მითანაგრძნეთ.

– რას ამბობ გიორგი მეორევ მაგ ყანნს ვინ დასცლის.

– ვინ დასცლის და მე, მამაჩემი, გაბო ბატონი და ბატონო ლევან თქვენ, სიკვდილთან პირისპირ დგომას ამ ყანნის გამოცლა არ სჯობია?

– როგორ არ სჯობია, მაგრამ ის აღარა ვართ დაებერდი წლებს თავისი მიაქვს. და ჩვენც თან მივდევთ.

– წუთის წინ მტრის საპირისპიროდ პატრიოტიზმით თავს იქცებდით და ახლა ლვინით საესე ყანნმა შეგაშინათ და სიბერე მოისველიეთ. გიორგის მათდამი ასეთი სამართლიანი გზის მოჭრამ ზოგიერთ ქალებს ბაგეზე ლიმილი მოჰვარა. ამ ლიმილმა თავმოყვარე

ბატონი ლევანი, თითქოს უსიამონო განწყობაზე დააყენა, მაგრა მას მალე გამოასწორა.

— ნინასნარ სიბერის უამს შეხვედრილ ამ ორ კლასის მეგობრებს შეურანწყოფას რატომ გვაყენებ ბატონო გიორგი, როგორც თამადას ჯერ ხომ თავათ შენც არ დაგილევია, საქართველოს სიყვარულისთვის ექიმმა გია აბესაძემ, დღევანდელი თავისუფლების მოედაზე ერთი ვედრა ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა. და მე საქართველოს სიყვარულისთვის ლვინოს ველარ დაგილევ.

— ლვინით სავსე ამ ყანნით გაუმარჯოს მრავალ ჭირ გამოვლილ თავისუფლებისკენ მიმაგალ საქართველოს, იღიას თამადობით, ნინაპართა იმ სულებს ვინაც მისი კეთილდღეობის ამ წლებს ელოდა, ვინაც თავის სიცოცხლის სამადლობლად სამშობლო ერის ტაძარზე ერთი მძიმე აგური დადო.

უმრავლე დედას შვილთა შვილები —

სამშობლო-ერმა რომ იძლიეროს,

მე მათი ბედით იქაც დავტებები —

მაშ გაუმარჯოს მთელ საქართველოს.

გულში იმდვენი გატარებული —

მამულზე ზრუნვით მიმდევს ფიქრები,

არ გამიმართლა? მიცვალებული —

ამ ქვეყნად მართლა მკვდარი ვიქნები,

თბილისის სტუმრებს მთანმინდის რესტორანში ქეიფობა ისე გაუტებათ, რომც წასულიყვნენ მთვრალები ლამის ორ საათზე საკუთარი სახლის მისამართსაც ვერ გაიგნებდნენ. თავათ გაბოს მეგობარმა რესტორნის დირექტორმა ბექთარ კაჭკაჭიშვილმა ურჩია რესტორნის სასტუმროში ლამე გაეთენებინათ, რადგან რესტუბლიკაში სამოქალაქო ომის სროლები მძვინვარებდა. მართალია კაჭკაჭიშვილის რჩევა მამაკაცებმა არ მიიღეს, დიდი კამათის შემდეგ ქალებმა შესძლეს მათი დაყოლიერა. გიორგის საყვედურობდნენ თუ იცოდი რომ აქ არეულ-დარეულობა იყო რატომ წამოგვიყვანეთ, ქალების საყვედური ისევ გაბომ გაუქარწყლათ.

— არაფერია, სახელმწიფოში სისტემის შეცვლას ყოველთვინ მოსდევს პატარა არეულ-დარეულობა.

— გაბო ბატონი, სწორედ ამ პატარა არეულ-დარეულობაში იცის უდანაშაულო ადამიანის მოყოლვა.

— დედამთილო, გიორგი მიხვდა თავის დანაშაულს და თქვენ დამატება აღარ არის საჭირო. ბოლოს და ბოლოს ერთი საჯარისო ხალხი ვართ. რატომ ვშიშობთ წმინდა გიორგი საქართველოს სახლში ვართ. იგი ერის მფარველია და ჩვენთან კი ორი გიორგია და კუთრებაა. იგი ერის მფარველია და ჩვენთან კი ორი გიორგია და ორივე წმინდანია, ბოროტებას ვერც ერთი ვერ ჩაიდენს.

— ჩემი გიორგი, ჩემი გაზრდილია და იმიტომ არის კარგი თავი

## შეიქმალება

- ის პატარა გიორგიც შენი გაზრდილია?
- მამის გენისაა და რატომ უნდა იყოს ცუდი?
- ქალბატონო მალეა, ესე იგი პატარა გიორგის გამოზრდაში შენი თქმით ჯენის ამაგი არაფერია ხო. ჯენიმ ზილფას თვალი შეავლო და გაულიმა ერთმანეთი გაჭირვით გული რო მოიფხანეს, მერე მიაშურეს საწოლებს და ნაჯეიფურები ტკილ ძილს მიეცნენ.
- კეიპტაუნი საზღვაო პორტის სასტუმროს ბილიარდში რიგი იყო
- თქვენ სათამამოთ რიგში დგეხართ ბიძაჩემო?
- არა.
- ნებართვისთვის შემოსვლის ბილეთი რო აიღე?
- ეს მხოლოდ საყურებლად დრო რო მოვკლა.
- არა გენაცვალე დრო ისე არ უნდა მოკლა, იმ დროში მნიშვნელოვანი საქმე უნდა გააკეთო, რომ შენ იმ დროში, გაეკეთებულ საქმემ შემდგომ გასავლელ სიცოცხლის ნლებში სასიამოვნო მოსაგონრად რომ დაგრჩეს, დროს თუ უშინაარსოდ მოკლამ იმ დროში შენც მევდარი ხარ.
- ქალბატონო, რატომ მაყენებ შეურანყოფას. თქვენ რა დროის ყოველ მონაკვეთში მოგებული ხართ?
- რა თქმა უნდა.
- მაგალითად ახლა ამ ნუტში რას იგებთ?
- ეს სამსახურია ჩემი და ხელფასი მაქვს.
- მასე მეც უყურებ და ვსწავლობ.
- სნავლა თუ გინდა ჩემი ბატონო, შემოსასვლელიდან მარჯვნივ სხვა კარები აქეს იქ რო შეხვალ მიგანიშნებს ისარი თუ სად არის სამოსნავლო ბილიარდი,
- როგორ აქედან მითხოვ ქალბატონო?
- არა, როგორ გეკადრებათ, თქვენ მითხარით რო ვსწავლობო და მეც მიგასწავლეთ აქ კი პროფესიონალები არიან.
- განა ისეა ქალბატონო საქმე რომ სულ არ ვიცოდე, ცოტა კი ვერკვევო.
- მაშინ ბედი მოსინჯე და ითამაშე იქნებ გაგილიმოს,
- კარგი ქალბატონო რახან თქვენ ვსურთ ვითამაშებ, ვითამაშებ, დაეპარექრა გამარჯვებულს, ფილიპინებში ერთერთი ძლიერი ნავთ-საბადოელს კარმენ ქარაფშუტაოლლის, პირველი ხელი ერთიმეორის გაცნობის ხასიათს ატარებდა, კონში ექვსი ათასი დოლარი იყო, თამაში დააბული მიმდინარეობდა. პირველ ხელში უნდა ითქვას რომ გოგას გაუმართლა, მეორე ხელის ხაზინა ათი ათას დოლარს შეადგენდა.
- მართალია მწვავე ხასიათი მიიღო, მეორე ხელშა, მაგრამ ამრიგათ ბედი გოგას მონინააღმდეგის მხარეზე გადაინაცვლა. თითო ხაზინაზე სამხელიანი თამაში იყო. პირველი ხელი გოგამ მოიგო, მეორე ხელი



კარმენ ქარაფშუტაოლლიმ. მესამეც ქარაფშუტაოლლი იგებდა, როცენებული რომ, კარმენი ხუთი შარით წინ იყო გოგას ბედი მაშინ მოუტრისალდა და შვიდით რვა დამთავრდა გოგას სასარგებლოთ. ხაზინა რათქმა უნდა მეორესთან შედარებით გაორმაგებული იყო. ერთი სიტყვით თამაში ღამის სამ საათზე დაამთავრეს. ბოლო მესუთმეტე ტურში ხაზინაში ორასი ათასი დოლარი იდო ხუთმეტიდან მხოლოდ კარმენიმ მარტო მეოთხე ტაქმი მოიგო. მერე და მერე ფსიხოლოგიამ უმტკუნა უკანასკნელი პარტიის შემდეგ ცოტა არევაც შეიტანეს, მაგრამ თავად ხელმძღვანელი ქალმა დააწყნარა გოგას მიულოცა გამარჯვება და ბილიარდის დარბაზი დაკეტა. გოგა შევიდა თავის ოთახში ჯერ შხაპი მიიღო, მერე სამგზავრო ჩანთიდან ორი ბუტერბორტი ამიღოდა და ჭამა დაიწყო. ამ დროს კარგბის ზარი ანკრიალდა გააღო კარები და შემოვიდა მანდილოსანი ჩემი კაზინოდან ღამის გასართობათ ლამაზმანს ხომ არ ისურვებო? თქვენ არ გეგონოთ გაცვეთილი, ისეთია, რომ გასიამონებს და კარგი დროს გაგატარებინებს.

— არა, არ მინდა,

— იცოდე იმ ქალთან გატარებული დროს სასიამონო წუთები შენს მეხსენირებაში სიკედილამდე დაგრჩება და სიცოცხლის განმავლობაში გახსენებით სიამონებას მოგვვრის.

— არ მინდა ქალბატონო, რატომ მაძალებ.

— კიარ გაძალებ, გირჩევთ: სიცოცხლის სასიამონო წუთები უსიამოვნოთ რომ არ გაატაროთ.

— ქალბატონო ძილისთვინ ექვსი საათი დამრჩენია, უნდა დავწვე დავისვენო. ჯერ ისედაც უხასიათოდ ვარ.

— ხო და ხასიათზე მოგიყვანს, წამალია ის შენთვის ჯერ ახალი დამწყებია, და სახე, ტანი, მოყვანილობა შესანიშნავი. მკვრივი, მოუტელავი. გახდილი თეთრი ანგელოზსა გავს, თვრამეტისა ჯერ კიდევ არ არის. თუ არა გვერა წავალ მოგიყვან შენი თვალით სჯობია ნახო თქვა და წავიდა. ორი წუთი არ იყო გასული რომ შემოვიდა და შემოიყვანა კუკლასავით გოგო, მის წინ ქანდაკებასავით დადგა.

— არ მოგწონვარ? კარგად დამაცქერდი, რატომ არ უჯერებ ჩემ უფროს. ქალბატონმა ხო იცის ვინ ყავს ყველაზე ახალგაზრდა და უფრო ლამაზი.

— ეს იგი თქვენ ყველაზე ლამაზი ხართ კაზინოში,

— ჯერჯერობით კი ჩემი ბატონო, ეს ტრაბახში არ ჩამომართვა ხვალ ზეგ შეიძლება ჩემზე ლამაზი მოიყვანონ.

— მაშინ მე იმ ლამაზს მოუცდი გოგამ თქვა და თან ჩაიცინა.

— კარგი ბატონო, თქვენი ნებაა, მოუცადეთ იმ ახალს მანამ მოყვანენ, კარგი დროს გატარებ, წუთისოფლის ლირსება არ გცოდნია, ის იყო უნდა გასულიყო ლამაზისეული რომ გოგა ადგა სკამიდან მიუახლოვდა რახან ვნებები გამიცოცხლე თანახმა ვარ. მოავლო ხელი

გულზე მიიზიდა და ოცი წლის ბიჭივით დაეწება ბაგეზე.

— ხვალ დილით ექვს საათზე მოვალ და წავიყვან,

— ქალბატონო მეც ფულს მაშინ გადაგიხდა. გავიდა ქალბატონი და გახდილებმა ერთობლივი ძალით ეშმაკი დააპეს ღვთისმობელი ახსენეს და სიყვარულში ჩაიძირნენ. სამ საათიან სიყვარულმა გოგაზე დიდი გავლენა მოახდინა, ისე გაუტკბა მასთან ალერსი, რომ დილის შევიდ საათამდე დატოვებას ითხოვდა. ქალბატონმა უარი უთხრა რადგან კაზინოს კანონი ასე ითვალისწინებდა. ლამაზი სხეულის განშორებიდან გოგას კიდევ თრი საათი ეძინა, დილით კიდევ შხაპი მიიღო, ჩაიცვა, გამოეწყო და სასაუზმოთ რესტორანში შევიდა. სიყვარულით ნაომარმა პირველი-მეორე გაორმაგებული კერძები აიღო, რადგან ძალიან მოშეიბული იყო. მიირთვა გემრიელათ და ყოველმხრივ გაჯერებული გოგა გარეთ გავიდა. თუმცა სავაჭრო საქონელი ვერ იშოვა საბედნიეროთ ბილიარდის თამაშმა გაულიმა და ამით მაინც გულდალხენილი იყო ჯერ კიდევ გასასვლელ კარებთან იდგა და მას მიუახლოვდა ერთი ქალი და მოახსენა.

— სასწრაფოდ მიდი საზღვაო პორტში თქვენზე ნება დართულია ყოველგვარი საქონელზე რასაც ისურვებ შეგიძლიან წაიღოთ

— კი მაგრამ მე გუშინ უარი მითხრა.

— არ ვიცი, მე საწყობის გამგემ მითხრა პორტის სასტუმროში ადმინისტრატორთან იკითხე ისრაელიდან ჩამოსული გოგა ჰქვიან სახელად და რომ გიკითხე შემოსნრებულ ქალმა მითხრა გარეთ შემოსასვლელში დგასო. თქვენს სახელზე ნერილია ადმინისტრატორთან, მიბრძანდით და აიღეთ.

— გუშინ ვიყავი მე უარი მითხრა დღეს კი შენ გამოგზავნა და ნერილი გამოგატანა, რაშია საქმე ვერ გამიგია.

— მიბრძანდი საწყობში ჩემო ძმაო და ალბად იქ სრულყოფილად გაიგებ.

ნერილი შემდეგი შინაარსის იყო. ამ ბარათის მომტანს დაეხმარე, გაუხსენი ცენტრალური საწყობი და რაც მოეწონოს ყველაფერი გაატანე თავის ფასში. გელეჩა. საწყობის გამგე შემეჯითხა შენ ამის დამწერს საიდან იცნობო? მე მხრები

ავიჩერე. საწყობის გამგეს გაუკვირდა: მაშ როგორ მოგცა ეს ბარათი? მერე საწყობის გამგემ მითხრა ხვალ ამ ადგილას კი არა, შეიძლება ამ ქვეყნად აღარ ვიყოვო. შევფიქრიანდი და საწყობის გამგეს ვუთხარიუ თუ ასეთი საშიში პიროვნება არის არაფერი არ მინდა შარში არ გავეხვით თქო. მაშინ დამამშვიდა არა ნუ გეშინიან კეთილი კაციაო გაჭირვებული უცხო კაციც რო ნახოს უნდა რომ დაეხმაროს, სხვისთვისაც უნდა, რომ სიკეთე გაკეთოს. მართლაც ათი წუთის შემდეგ გოგა საწყობიდან საქონელს იღებდა. რაკი საწყობში ახალი შემოსული ძვირფასი საქონელი იყო, გოგამ შანსი



ხელიდან არ გაუშვა. მოგებულ ფულმა ხელი დიდად შეუწყო და საქონელი ესპანეთში გიორგის მაღაზიაშიც გაგზავნა ტელეფონით დაუკავშირდა ესპანეთში მაღაზის გამგეს ბატონ ბონდარა კაუს-კის. აუნყა რომელ გემს ატანდა იქ ესპანეთში რომელ პორტში შევა და რომელ დღეს, რომელ სანყობში იქნება გადმოტვირთული. დაღლილი და მთელი დღის მოუცლელობით მოშებული გოგა, გიორგის ნაცნობის სასადილოში კვლავ პურის საჭმელად შევიდა. თავისუფალი მაგიდა რომ ვერ ნახა ვიღაც უცნობს თავისსავე მარტოდ მჯდომს მიუახლოვდა და სთხოვა თუ შეიძლებათ, თანხმობის შემდეგ კერძების მიმტანიც მივიდა ჩანერინა ხარჩო ბივტექსტი და ერთი ბოთლი ფრანგული ლვინო მომსახურემაც უმაღვე მიუტანა, შეავსო ორი ჭიქა და ახლათ გაცნობილს ბოდიშის მოხდით შესთავაზა.

— მაპატიე ჩემი ბატონი რადგან ორი ერთმანეთისთვის უცნობი სხვა და სხვა აზროვნებისანი პურის საჭმელათ ერთ მაგიდაზე მოვხვდით ჩემი კავკასიური, უფრო სწორედ ქართველური სტუმართ-მოყვარეობა მავალდებულებს გაგიცნოთ და თითო ჭიქა ლვინო შევსვათ. შეთავაზება მეორემ გულთბილათ მიიღო.

- კი ჩემი ბატონი და ორივემ ერთდროულად ხელი გაუწიდეს.
- რატომ, შვილო, ცუდად გეპყრობით?
- არა, დეიდა მალქა, მაგაზე არა მაქვს ლაპარაკი,
- მაშ რა გალაპარაკებს შე მამაძალლო.
- ძია გაბო, რა უბედურ დღეზე ვარ დაბადებული,

— პირველი ის, რომ დედა დამეღუპა, მეორე მამაჩემიც გარდა-იცვალა ლუკმა პურის საშოვნელად ნასული, გზაზე მომხდარ უბე-დურებას შეენირა. მაშინ ცხრა ნლისა ვიყავი, საშუალო სკოლის სამი კურსი უკვე გავლილი მქონდა. ძია გაბო, დედა ენა ხომ იცი რა არის, იგი, სულისა და გულის დამაკავშირებელია, ჭყუა-გონ-ების გამღვიძებელი, ადამიანის ზნეობრივად ჩამომყალიბებელი. მე ასე ვიგრძენი ამ პერიოდისათვის ჩემს მიერ განვლილი სიცოცხ-ლის გზაზე, დედის შემდგომ ობლად დარჩენილ შვილზე, მამაჩემა ჩემი მეურვეობის მოკლე დროში ყველაფერზე იზრუნა, რომ ბავშვი წუთისოფლის სწორ გზას დავდგომოდ. უნდა ითქვას, რომ, ზრუნ-ვამ შედეგი გამოილო და იმთავითვე მტერს და მოყვარეს კარგად ვარჩევდი. დედა რომ გარდამეცვალა რვა ნლისა ობლად დავრჩი. სხვამ უფრო მიმიღო. გულშემატკივარი სისხლით ნათესავი არავინ გამაჩინდა. მე ის მინდა ვთქვა, გაბო ძია, რომ მშობლების გარეთად ნათესაობითაც ობოლი აღმოვჩნდი. ერთმა ქართველმა შვილების დედამ კი მითხრა მოდი შვილო, ჩემს შვილებთან ერთად მზრუნველობას შენც გაგინევო. მაგრამ გულმა არ გამწია, მითუმეტეს ისინი თქვენზე უფრო ახლო მეზობლად სახლობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მე მათი გულთბილი მიწვევა არ მივიღე ამ გულისხმიერებისათ-

ვის მე მაინც დღესაც მათი მადლობელი ვარ. იქ სახლობდნენ კიდევ სომხები, ბერძნები, მაგრამ ჩემს მიმართ ხელი არავის გამოუწვდია, ისევ გული თქვენ მიჩვენეთ და თქვენ შვილ გოგასთან ერთად ჩემი მზრუნველობა ითავეთ, რაც ჩემთვის დაუვინყარია, – მერე გულმოსულ გიორგის გოგამ მიმართა.

– შენ ბიჭო გიორგი, რა ძალიან გაახურე, მამაჩემს რისთვის სჭირდება შენი ასეთი ფილოსოფია, თუ გვონია, რომ, მამაჩემ – გაბოს მეგობრობაში შეეშლებოდა რამე? მამაჩემი შენს მზრუნველობაზე უარს ვერ იტყოდა. ჩვენ ხომ თავიდანვე, ერთად ძმებივით შეზრდილები ვართ. ნამდვილი ძმა არც შენ გყავს და არც მე. ორივე დედის ერთები ვართ. ამიტომ ჩვენი ტკბილი ძმობით წუთისოფელში ერთად უნდა ვიყოთ და არა მარტო აქ, არამედ იქ საიქიოშიც. საქართველო ჩვენი სამშობლოა, პატარაა, მაგრამ რაც არის ბაჯალლოა და მის უარყოფას არავინ გვაპატიებს. დროა ერთომეორეს კეთილდღეობისათვის ვიღნვოდეთ და თვითეულის ნაკლის გამოსნორებაც ჩვენი ნილხვედრია. ასე მგონია, გუშინ დავიბადე და დღეს კი ჩვენი სამშობლო ჩვენი თაობის კისერზე დასაყრდნობად ემზადება. ადამიანის სიცოცხლე მზის ერთი დღის შემოვლას წააგავს. იმ ერთ დღეს კი შეიძლება სეტყვაც იყოს, თოვლიც, წარლვაც, კარგი ამინდიც და შეიძლება მზეც დაბნელდეს. ასეთია ადამიანის ბედი სიცოცხლისა, მაგრამ ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი სიკეთე მიცუდეთ წუთისოფელს განმორებამდინ.

– კარგია გოგა, შენც არანაკლები ფილოსიფია წარმოგვიდგინე. ესეიგი ჩვენ არჩევანში არ შევმცდარვართ, შენთვის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შესვლის ზრუნვაში შვილო, ახლა ხომ გამოგადგა. გაბომ შვილი შეაქო.

– ორივე კარგები არიან გაბო, ჩემი თავი ამათ ენაცვალოთ, ამაგი დაგვიფასდება და კარგია, წყალში რომ არ გადაგვიყრია. მალეამ გამოასნორა გაბოს შეცდომა, ესეიგი გიორგის გარეშე ღვიძლი შვილის გოგას შექება გაბოს არ აპატია, გიორგიმ კი თავის საუბარი კვლავ განაახლო.

– მაშინ თოთხმეტი წლისა ტექნიკუმის მეორე კურსზე ვიყავი, დეიდა მალეამ რო გითხრა ვიზა ხო მივიღეთ. მიღებიდან რვა თვე გავიდა და ახლა მაინც წავიდეთ ისრაელშიო. გაბო ძია, კარგად მახსოვეს თქვენი პასუხი მალეა დეიდასადმი. ასეთი იყო: მოიცა ქალო, გიორგის, შუა წყალში ხომ არ დავტოვებთ.

– არა შვილო. მალეა დეიდა გენაცვალოს. შენი აქ დატოვება არ გვიფიქრია, პირიქით ეს თუ მოხდებოდა, ჩვენ მაშინ საბუთს შევქმნიდით და შენც წაგიფანდით.

– ყოჩალ გიორგი, ჭკვიანი კაცი ყოფილხარ, ხედავ მალეა, ცხრა წლიდან დღემდე ჩვენგან მიღებული პატივისცემა გიორგიმ ნინ სულ ერთბაშად გადაგვიშალა. გიორგი! მე და მამაშენი რაფო, სკოლაში ერთად დავდიოდით, ერთ მერხზე ვიჯექით და როგორც შენ და გო-

გას ერთი-მეორეს, ჩვენც ასე გვიყვარდა. ერთად დავიზარდეთ უფრო მარტივი თუ სადმე ნასვლა იყო ერთად მივდიოდით, ერთად ვქეიფობდით, დროს ვატარებდით ქუთაისში, კულაში, ბანძაში. მერე ოჯახებს მოვეკიდეთ, მაგრამ ჩვენი მეგობრობა კი არ ნაშლილა უფრო გაათე-ეცდა, მამაშენი ისეთი მოხერხებული მოჭიდავე იყო, სანამ დავკორ-ნინდებოდით დღეობაში საჭიდაოთ ერთად დავდიოდით. მე რომ საქმე მქონოდა მამაშენი უჩემოდ ფეხს არ გაადგამდა, ამიტომ მეც თან დავკებოდი, მეამაყებოდა მამაშენის მხარდაჭერა, ძლიერი იყო, ძალ-ღონით სავსეს მოხერხებაში ტოლი არავინ ჰყავდა.

ერთხელ, მე და მამაშენი სამებობის დღეობაში ნავედით და ჯიბეში თითოს თითო თუმანი გვქონდა. იქ დღეობაში ცხენების ჯირითი მიმდინარეობდა, მამაშენი დამარცხებულ ცხენის პატრონ-თან მივიდა, ცხენს ახედ-დახედა ტანათ მოენონა, ცხენს მოეფერა და პატრონს უთხრა: მათხოვე მოვსინჯავ აქ ახლოს სამას მეტრზე გავაჯირითებ და თუ მომენონა მერე მოვრიგდეთო. ცხენი ათხოვა და მოსინჯვიდან რომ დაბრუნდა პატრონს შესთავაზა ხუთ მანეთს მოგცემ და ამ ცხენს შენთან მოგებულ ცხენს მე თვითონ მინდა გავაჯიბროვო, პატრონმა უთხრა: ხუთჯერ გავაჯიბრე ასი მანეთი ნავაგე და მე მგონი შენც არაფერი გამოგივაო. თუმანი რომ მოგცე მაშინ რას იტყვი? რაკი არ დაგიშლია თანახმა ვარ, შენ თუ იმისი ჯავრი ამომყარე მე შენგან ფულს არ ავიღებო. პატრონებმა ცხენები დააყენეს გვერდი-გვერდ. ნინ და უკან სვლით, საჯირითო მანძილი ორი კილომეტრი იყო. რომ გაიჭრნენ მართლაც მოხდა სასწაული დამარცხებულმა ცხენმა რევანში აიღო, პატარა შესვენების შემდეგ შეჯიბრზე კიდევ გავიღნენ, კიდევ აჯობა. ერთი სიტყვით, ის წაგე-ბული ფული მამაშენმა სულ უკან დააყრევინა და ხუთი თუმანი ცხ-ენის პატრონს მისცა და დარჩენილი ხუთი თუმნით ცხენის პატრონი ნავიყვანეთ რესტორანში და მაგრათ ვიქეიფეთ.

- მამა ჩხუბი არ მოგდიოდათ
- ვისთან შვილო, ჩვენ ერთმანეთთან?
- არა მამა, შენ და რაფიელი ძიას კი არა, სხვა უცხოსთან.
- არა შვილო, ჩვენ არ ვიტყოდით ისეთ სიტყვას, რომ ჩხუბი გამოეწვია, არც სხვები შეგხვედრიან ჭიჭყინა ხალხი, მხოლოდ ერთხელ თელავში ალავერდობას ჩვენთვის უცნობ ერთეული სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დაქსივნენ და ერთს სამნი სცემდნენ, ეს უსამართლობა მამაშენმა ვერ აიტანა და ერთი კი მითხრა გაბო თუ გამიტირდეს მომებ-მარე და მივარდა პირველს ერთი გაარტყა თუ არა გადავარდა, მეორეს და მესამესაც ასეთი ბედი ეწვია, ნაცემ თავმჯდომარეს ხელი ჩასჭიდა გამოიყენა და თავის მძღოლს მანქანაში ჩაუსვა, თურმე იმ თხერ მძღოლს მაგდროს ეძინა და მერე ნაცემი თავმჯდომარე ჩვენ აღარ მოგვეშა მან-ქანაში ჩაგვსხა და ჩვენც თავის სახლში მიგვიყვანა. სადღესასწაულო

სუფრა გაძლიერი იყო და სტუმრებს ელოდებიდნენ, რამდენიმე წუთში დაბატის უსეული სტუმრებიც მოვიდნენ და მათთან ერთად მაგიდას ჩვენც მოუსხედოთ, ვიქეიფერ, კარგი დრო გავატარეთ. ღვინით სავსე ოც ლიტრიანი ბოცებით მატარებლამდე მიგვაცილეს. მასპინძლები ახალგაზრდა ცოლ-ქარნი იყვნენ და საბას ცემიდან ნლისთავზე პირველი ბავშვი შეეძნათ და ბავშვი მამაშენს გაანათვლინეს, სანყლები იმ ნელინადს ნათლულის მშობლები ორივენი გარდაიცვალნენ. თუ რა მიზეზით გარდაიცვალნენ ასე ახალგაზრდა ცოლქმარნი? ეს მერე შევიტყვეთ. ქმრის დასაფლავებაზე რომ ვიყავით მძლოლის ცოლმზ თქვა, ფილტვების ანთებითო. მიცვალებულის ცოლი აღრე მომკვდარა, მის დაკრძალვაზე ჩვენ არ ვყოფილვართ, ხოდა გორგი ასეთ კარგ მეგობრებს შორის რა არის გასაკირი შენს გაზრდაში მამაშენი რომ ჩემს ადგილზე ყოფილყო ჩემი გოგას მიმართ, ისიც ასე მოიცეოდა, ერთ დღეს დღლით აღრე მნოლიარეს მამაშენი თავზე დამადგა, შევნიშნე, რომ მისი სახის გამომეტყველებაში რაღაც მწუხარება ტრიალებდა. სანამ მე შევეკითხებოდი თავად მითხრა:

— საჩერაოდ ადექტი ჩაიცვი და წავიდეთ ქალაქში, აი ეს წამალი უნდა მაშვინიოვო.

— მე შევეკითხე რა წამალია? მითხარი. ვინ არის ავად მეთქი. არ გამიმხილა, ჯერ ვიშოვოთ და მერე გეტყვით. ვიარეთ აფთიაქებში ვერ ვიშოვეთ, მერე მამაჩემს გავუმხილეთ, მამაჩემი დაფიქრდა და მერე აფთიაქები თავის წაცნობთან წერილი მიგვიწერა იმ კაცთან რომ მივედით, ჯერ შეგვეკითხა თქვენ ვინ ხართო, მეც ვუთხარი შვილი ვარ ამ ბარათის გამომტანის-მეთქი, მოგვცა წამალი და ფული შევაძლიერ, მაგრამ არ აიღო, მერე მამაშენი ქუთაისის მატარებელზე გავაცილე და ახლა არ იტყვით რა მომხდარა. წინა დღეებში რაფო იყო ქუთაისში იქ მგზავრობის დროს ერთ გაჭირვებულ ქალს უთქვია შვილი მიკვდება და ექიმმა წამალი გამომიწერა, მაგრამ ვერ მიშოვნიაო. რაფიელს ჩაუწერია ყველაფერი და აღნიშნული მისამართით საავადყოფოში მიართვა, ექიმს გაკვირვებია, სად და როგორ იშოვეთო? მერე დეპეშით გავიგეთ, რომ იმ წამლის მიღების შემდეგ ბავშვი გამოკეთებულა და მამაშენს მადლობის წერილი გამოუგზავნა. ეგრეა შვილებო სიცოცხლე სიკეთით ფასდება. ან არა და პირუკუ. ასეა ფული ყოველთვის მთავარ როლს არ თამაშოს. მთავარია ადამიანის სიცოცხლეს კეთილი გული დაყვებოდეს.

ძია გაბოს, მეთვალყურეობაში ვიმყოფებოდით და მეცადინეობის შემდეგ ქალაქში გასასეირნებელ დროს გვაძლევდა-ხოლმე.

ჩვენც, მე და გოგა, გავიდოდით ქალაქში, ვნახავდით კლასის ამხანაგებს, ამხანაგებიდან გაცნობილი, ამხანაგებს, ესაუბრობდით და ვჯამბაზობდით, შევდიოდით კინოში, თეატრში, მხოლოდ დღის სეანსებზე, ჩვენთვის საღამოს შესვლა გაბო ძიასგან აკრძალული გვქონდა. ეს იმიტომ, რომ სახლში მისვლა არ დაგვგვიანებოდა,

თუმცა მოცემულ დროს ზოგჯერ გადავაძიჯებდით-

ხოლმე, მხოლოდ ის კი იცოდა, რომ თეატრში შესულები არ ვიქნებოდით და ნამეტანს არ დავავინანებდით, ესეიგი ამ მხრივ ძია გაპოჩვენგან დაზღვეული იყო. ხშირად დეიდა მალეა საყველურიდან გვიცავდა, ეტყოდა-ხოლმე: რა მოხდა ბავშვებს ამხანაგებთან ცოტა საუბარი თუ გაუგრძელდათ, რაც მთავარია სახლში ხომ მშვიდათ მოვიდნენ, მეტი რა მოეთხოვებათ, ბავშვები არიან და მაგათგან სიბრძნეს ნუ თხოულობო. სიბრძნე მაშინ გამოიჩინონ, როცა ოჯახს მოეკიდებიან, თუ დადგაცობა ნილად ხვდათ ერის საჭიროროტო საკითხებიც კისერზე დააწვებათ, ამ იქ უნდა გამოიჩინონ უფრო მეტი სიბრძნე.

მალეა ახლა ბავშვები ვახშმით დააპურე და მერე ყველა თავის საქმეს მიხედავს, დროს ფეხდა-ფეხ თქვენ უნდა მიყვეთ, მაიც, მაიცობით ის არ მოგიცდით. არც შენი აჩქარდებით აჩქარდება, იმას ერთი გზა აქვს და იცის სვლა საიდან და როდის უნდა დაიწყოს. იმისი ნარმართველი ძალა უფალია, მისი სული სხვა არის, მის საიდუმლოებას დღესაც ვერ ვხვდებით. აი ეს არის ჩვენი უსუსურიბა. ხოდა იმას ვამბობდი, დრო თქვენია და უნდა დათესოთ ცოდნა თქვენს გონებაში, თუ არა, რომ დადგებით საზოგადოებრივ კალოზე იქ მიხვდები მოსამეული და მოსალენი, რომ ხელთ არ გექნება, მერე რაც უნდა დიდი მონანიება გამოხატო ის ბედნიერი ნუთები აღარ დაგიბრუნდება. გახსოვდეთ, რომ დასაცლავებული ხორციელის საიქიოდან დაპრუნება არ შეიძლება. ამიტომ უფლის მიერ ერთხელ მოცემული სიცოცხლე მიზანდასახულად უნდა გამოიყენოთ. ნაბიჯი ისე უნდა გადადგა, რომ ნუთისოფლის ქარტეხილმა ვერ ნაშალოს.

- გაძო ძია, მე ტექნიკუმს ერთ წელინადში დავამთავრებ და მჯერა ავილებ წითელ დიპლომს და მერე საბუთებს შევიტან უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, ვისწავლი და თან ვიმუშავებ მიტედავ ჩემს თავს და მე მეტს აღარ შეგანუხებთ, ისრაელში წასვლაზე ჩემგან ხელის შეშლა აღარ გექნებათ. რაც შეეხება ჩემს გამოზრდაზე და სწავლაში ხელის შეწყობაზე დიდ მაღლობას მოგახსენებთ. თუ ბედმა გამილიმა და ფეხზე დავდექი ამავე დროს, ცხოვრების ჩარხიც ისე დამიტრიალდა, რომ წერთისოფელმა ერთურთს შეგვახვედრა, მაშინ ჩემზე განეულ დვანლს შეძლებისდაგვარად გადაგიხდი და თუ ღმერთმა საამისო ბედნიერება არ მაღირსა, მაშინ ღმერთია ყველას შემწე და მისგან მოელოდე შენმიერ ჩემდამი განეულ მაღლის მაგიერს., გიორგიმ დაამთავრა სიტყვა და გული ამოუჯდა. ცრემლებმა სწრაფად გადმოხეთქა თვალებში მყოფი გულის მნუხარების საგუბარიდან, თუმცა სახეზე ორივე ხელი მიიფარა, მაგრამ სიობლით დაპატარავებული გულით თვალებიდან მომსკდარ ცრემლებს გზა ვერსად ვერ გადაუკეტა.

- შვილო გიორგი, ასე ადვილად გვიმეტებ?

— მალქა დეიდა, სათქმელი ხომ უნდა ითქვას. ორიათას ექვსასი წელიწადი სამშობლოს დაეძებდით, ბოლოს იპოვეთ და მე რა უფლება მაქვს გითხრათ, ნუ ნახვალო-მეტე.

— გიორგი, რა გატირებს, ჩვენგან ხომ არაფერი გენყინა? ნასვლაზე ჯერ ჩვენ არაფერი გვიფიქრია და შენ რატო გვაჩქარებ? ზოგნი ღვიძლი ძმანი არ არიან ასე ტკიბილად, როგორც ჩვენ ვართ, დიახ ჩვენი ტკბილი ცხოვრება კვლავაც ასე უნდა გაგრძელდეს. გოგამ — გადახვია ხელი და ერთგულების გამომხატველი სიტყვებით გული საგულეს დაუბრუნა და თვალებზე კი ცრემლები შეუმშრალა.

— ერიშაა გიორგი, მე შენს დაქორწილებაზე ვფიქრობდი და შენ ისევ ბავშვი ყოფილხარ, რა გატირებს კაცი არა ხარ? არ გრცხვენია? შეილო მე არ ნავალ, სანამ შენ არ დაგაბინავებ, ნასვლაზე მე შენი მხრიდან ხელი არ მეშლება, თუ არა და ინსტიტუტი გოგამაც ხო უნდა დაამთავროს, მე რო ნავიდე ხალხი რას იტყვის, ძმათ ნაფიცის შვილი ნყალში მიატოვა და თავად კი გალმა გავიდაო, თავს რატომ მჭრი, ერთხელ ხომ გითხარი, ნასვლა ასეთი ადვილი არ არის. გიორგი, მერცხალი ხომ არა ვარ, გაზაფხული საითაც დაუდგება იქით მიფრინავს. მე ხო უნდა ვიცოდე საიდან მოვდივარ და სად უნდა მივიდე, ან აქ ვის ვტოვებ და ვისთან მივდივარ, არც ბუდის აშლაა ასე ადვილი, ნასულის დაბინავება ბუდის აშლაზე უფრო ძნელია, გული თუ იქით სამშობლოსკენ მიინევს მინა კი თავის გაზდილის ფეხებს თავისკენ ეწევა. არა გიორგი ოცდაექვსი საუკუნე ოცდაექვსი დღე ხომ არ არის. მამაპაპის ძირ-ძველი ძვლები აქ აწყვია, იმათი სულები ციდან დაგვცერიან და ჩვენ კი აქ მიცვალებულების პატრონები ვართ და ჩვენც იმათ სულებზე ვლოცულობთ, რომ ღმერთმა გაანათლოს და დასაფლავებულ გულებს ვუვლით, ველოლიავებით, ნავიდე და სად? ორიათასექვსასი წლიან გაციებულ-გაყინულ მინაზე? აქედან განახლებულ სამშობლოში ჩასული ხალხი არა მარტო მინას, ბალას, ქვას, ფოთოლ-საც კი ეუცხოვება, ეს როგორც სრულიად ახალ აშენებულ ბინაში გადახვიდე ისეა. ჯერ შენ უნდა გაათბო იმ ბინის კედლები და მერე იმან უნდა გაგრძნობინოს სითბო, სიკეთე, სიყვარული, ბედნიერება. არა მარტო ჩვენი დაბინავება კი არ არის საჭირო, არამედ ჩვენი ბედის ვარსკვლავნი, რომელნიც აქ პირდაპირ ქართველების ციდან თავზე რომ დაგვცერიან, იმათაც ბინა უნდა მოუშალოთ და როგორც ქართველებმა იციან მამაპაპათა ძველ ფუძიდან ანგელოზს გაითხოვენ-ხოლმე. ჩვენც საქართველოდან ისე უნდა გავითხოვოთ და მერე უნდა ღმერთს შევთხოვო, რომ ბედნიერება მომანიჭოს. ძნელია, მიატოვო თბილისი, ქუთაისი, ამომავალი მზის ქვეყანა საქართველო სადაც, გული უკვე შეგუებულია, სიხარულშია მისი ფეხევები, მამაპაპის ძვლებთან შედუღაბებულია, როგორია? ახლა აქ



ძველს მოვწყდე გაზაფხულის ყვავილივით და გადავინერგოთ ისრაელის მინაზე. ლის ორიათას ექვსასი ნლის წინ მტრისავან გავერანებულ მინაზე, სადაც მაშინდელი გარდაცვლილი ებრაელების სული ვინ იცის აღარც ცაში ტრიალებს და აღარც ჩვენი წინაპრების ძვლებია მინაში. შეილო, გიორგი, ვთქვათ წავედით, ჩავიტანეთ ფესვებ-მორიდებული ეს გული, იქ რით უნდა გამოვკებო, ვის შევუთავსო. ქართულ სითბოს შეგუებული ორგანიზმი ხო გაცივდება, გაიყინება, სითბო რომ მოაკლდება, თავისიანებს გული რომ ვერ ნახავს, ყრუ მუნჯივით უნდა ვიარო, სანამ მშობლიური ანბანით ენას გავმართავ. აქაური ცის ქვეშ, აქაური მზით გამთბარი აქაური მთვარით მონათლულნი, ქართულ მინასთან შეზრდილები, კულტურით, ისტორიით, უნდა ითქვას, თითქმის ქართული გენისანი ვართ. იმიტომ მიმძიმს წასვლა, რომ სულიც ქართველური მიდგას, აქ რა არის გასაკვირი როცა, რომ ქართული მინის მადლით ვიკვებებით. იმდენი სითბო და სიტყბო მაქვს ქართველებიდან მიღებული, რომ იმის გამოდევნა შეუძლებელია, არადა ხო უნდა გამოვდევნო ჩვენი ისრაელის სიყვარული რომ დავტიო. ესაა, რომ მბოჭავს ქართული ანბანით ვარ გაზრდილი, გოგებაშვილის დედა ენით, ქართული ანბანი ისეთი ჰაეროვანია, რომ მისი ძირფესვიანი შესწავლით არ შეიძლება, რომ ადამიანის სხეულში შინაგანი გარდაქმნა არ მოახდინოს. აი სწორედ ჩემი სულიერი საზრდო საიდან იწყება, ეს მაცოცხლებს, ამით ვსუნთქავ, რომ წავიდე ასე გამოდის, რომ აქაურ გულს მოუსპო საზრდო და იქაურ ნერგზე დავამყნო რაც დიდი ხნის შრომითი ენერგიის ხარჯვას მოითხოვს, ვიცოცხლებ კი მანმადე, არა და როგორია ოცდაექვსი საუკუნის წინათ დაკარგული სამშობლოს ახლა დაბრუნება. ეს ხომ ყოველი ებრაელის წმინდაზე უწმინდესი ვალია. თითოეული ებრაელის ხელმეორედ დაბადებას ნიშნავს. ჩემთვის უსაზღვრო და უდიდესი სიხარულია, შეიძლება ასეც ვთქვათ, რომ საქართველოს დატოვების სინაცვლის ტოლფასია, თანაბარია, მხოლოდ ვალდებულებებით აღემატება და მოვალეც ვარ საკუთარი კისრით ვზიდო ჩემი წილხვედრი. ახლად აღორძინებული სამშობლოს ბედნიერება თუ უბედურება. მე ახლა საქართველოს ჰაერს ვსუნთქავ, ქართული მზით ვთქები და მისი მადლიანი მინის ნაყოფით ვიკვებები, რაც უდაოდ ქართული ხალხის კუთხინილებას წარმოადგენს. ამ მინისათვის შენირული ხალხის გვამები, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთი - მეორეზე დაანყონ მიცვალებულთა გვამების ბოლო მწკრივი ცას მიებჯინება და მისი სიმალლე სულიერ სამყაროში აღმოჩნდება. ქართველი ერის სიძლიერე ადრე უფრო ჩანდა. იარალის აღებას სანამ არავის ეკითხებოდნენ და სანამ ერეკლეს ტრაქტატი დაიდებოდა, თუმცა იმ ტრაქტატს არც მაშინ და არც რევოლუციის შემდეგ მისცემია სამართლიანი მსვლელობა, არც პირდაპირი წაკითხვით და

არც წალმა წაკითხვით გამოულია ურთიერთძმობის შედეგი, მთავარია, რომ ტრაქტატით რუსეთმა გამონახა საქართველოზე ხელმოსაკიდი და ამით შეისრულა ქართველი ერის დამონების დიდი ხნის სურვილი. რომლის უღელიც ორასი წელი გავწიეთ. თუმცა მეფის რუსეთის დამხობის შემდეგ თითქოს თავი დაიხსნეს და შექმნეს საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფო, რესპუბლიკა, მაგრამ ლენინმა და სტალინმა ორჯონიქიძის და კიროვის ხელით, ისეთი საბეჭით დააბეს, რომ დღემდენ გაუწყვეტილი აღმოჩნდა, იმპერიის პერიოდში რამდენი გავტოვებოდით იმდენჯერ თავში ჩაგვარტყამდნენ. საპასუხოდ ერი მხოლოდ დუმილში იყო, ხელი ვერ გავიღეთ. ვშიმობდით საქართველო არ აღეგავა პირისაგან მიწისა. რა თქმა უნდა გაძლიერებული ჭილუყვავები ადვილად კორტნიან დავარდნილ-დაჩარჩანაკებულ, ფრთხებშეკვეცილ არნივს. – წუთისოფელმა ავიც იცის და კარგიც. დედა-მინა ბრუნავს და დრო იცვლება, მზე კი თავის ასავალ-დასავალს არ ივინუბს და არც გზას იცვლის მართალია. საქართველოში საუკუნეებით ქართველების თანამგზავრნი გაეხდით და უფლებებითაც თანაბარნი ვართ. ორივე ერს, ერთი სამშობლო გვერნდა. ახლა მე ორი სამშობლო მაქვს და ორი სამშობლო როგორია? მთელი ჩემი ეეთილი მეგობრების სიყვარული იქაური თუ აქაური ერთ გულში უნდა ჩავტიო, იმ ორის ფეხის ხმას უნდა ავყვე. ორივეს უნდა გაუნანილო ჩემი მოსაზრება, სათქმელი, ორივეს უნდა ვეთაყვანო, ვეფერო, ვეალერსო. ჩემდა წილად ფრთხები უნდა შევასხა, რადგან მე წარმავალი ვარ და საქართველოს მარადიულობა კი მნამს, თვითურები პიროვნება კი ვალდებულია უფლის დამოღვრით საკუთარი თავის გასახსნებლად, წუთისოფელში რამე დატოვოს. როგორია ერთი გულის ორად გაყოფა, სულით შეთვისება, ორ სკამზე ცეკვა-მღერა, მართალია, ორივე ერთი სულიერ სამყაროშია, მაგრამ აქ სულ სხვა არის. აქ ფოთოლიც მღერის, ბალახიც იცინის, აქ თითქოს უენოც ლაპარაკობს. ჩვენს შემეცნებაში ბევრი რამ უენოთ წარმოგვიდგენია, მაგრამ მართალია ბუნებაში არის ერთი ჯიშისანი რომ ერთი მეორესთან ლაპარაკობს. ადამიანის ნიჭი იმაში მდგომარეობს, რომ იმან უნდა გაუგოს მაგალითად: ვენას და ან ხეხილის ბალს რა დროს რა წამალი ესაჭიროება.

– გაბო ძია, ხომ თქვი წუთისოფელი ერთი სულიერი სამყაროა და ერთი მინაა.

– მართალია შვილო, ამას ნინათ გაზეთში ეწერა მფრინავ თეფ-შებზე, დასახელებული იყო მათი დაჯდომის ადგილები, ამაზე ხალხი რამდენს ლაპარაობს.

– ესეიგი სხვა პლანეტაც არსებობს, ადამიანთა სიცოცხლისა?

– ეს მართალია თუ ტყუილია, მე ვერ გეტყვი, მაგრამ ერთი რამ კი მჯერა, იმის მიუხედავად, რომ ხალხის სიცოცხლის გასახ-

ანგრძლივებლად ეზრუნათ, პირიქით მოხდა, ბუნებრივ სიკვდილს აღარ დასჯერდნენ და სხვადასხვა სასიკვდილო იარაღები შექმნეს, ხალხი უფრო აღიგვს შურით, ბოროტებით და ერთი-მეორეს აღარ ინდობენ. ღმერთიმა სინმინდის, რწმენის ლოზუნგი ისროლა, უფლის სახით. ალახმა თავი შეაფარა და გული კი ბოლმით საცხე აქვთ. სარწმუნოების მიხედვით კათოლიკები, ქრისტიანები ანთებენ სანთელს, ლოცულობენ, გალობენ, ეკლესიიდან გამოდიან და მერე მკვლელობაზე უჭირავთ თვალი. მართალია ხალხი წუთისოფელში სიმართლის მსაჯულია, მაგრამ თვითეული თავის თავს არ უნევს კონტროლს და ვერც სჯის, ამიტომ, ღმერთიც თავისი შექმნილ სამყაროს რომ ვერ დაიმორჩილებს მერე წუთისოფლის დაშლას ფიქრობს და ნელ-ნელა უამის ამოქმედებით თავს იჩენს.

— კი მამა, მე ისევ მფრინავი თეფშები მაინტერესებს. ჩვენ პლანეტაზე რომ სხდებიან იმათ რა უნდათ რას ეძებენ?

— ჩვენი სიცოცხლის სამყარო აინტერესებთ შეიღლო. საქართველო, მისი მდებარეობა, ბუნება, მსოფლიოში არსად არ არი, ასეთი ბუმბერაზი, ლამაზი მთები. ხომ ხედავ სულ აქ კავკასიის მთებზე სხდებიან, რომ იცოდნენ ქართველები ბუნებით რას ნარმოაღენენ, რა ერია, ამათი ზნე-ჩვეულება რომ იცოდნენ ალბათ, აქ დარჩებოდნენ და აღარ ნავიდოდნენ. თვალი მხედველობისაა და ის არჩევს კარგსა და ცუდს, თუ რაიმე ლამაზს ნახავს თვალი გაატარებს და გულს ახვედრებს, ისიც აფორიაქდება, ფრინველიც ასეა შვილო, ლამაზ ხეს, ბუჩქს ეტანება. გარემოს სიმშვერიით, ყველა ტკბება. ნათევამია: „ყვავი რომ ვარდზე დაჯდება თავი ბულბული ჰეგინია“. მაგრამ ვერ გრძნობს რომ მისი ყრანტალით ვარდი ჭკნება. საქართველო ღვთისმშობლის ნილხვედრი მინაა და სიზმარშიაც ვერ ნახავ მასზე უკეთესს, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ საქართველო ეჯემია. ერთი სიტყვით უნდა გითხრა სიცოცხლე აქ უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე სხვა რომელიმე მხარეში. ყმამ თქვა დავრდომილიც რომ ვიყო, სიკვდილს არ ვინატრებ, რადგან სამოთხე აგერა მაქვსო. ამიტომაა, რომ ვინც ჩამოვიდა ყველამ აქ საქართველოში დაიდო ბინა.

— კარგი რა მამა, რატომ ამბობ როცა ახეთი არა ხარ?

— არა შვილო, ჯერ ერთი, რომ ჩვენ ებრაელებს მოგვისპეს სამშობლო და ებრაელობა მთელ მსოფლიოში გაიფანტა, ნანილი აქ საქართველოში ჩამოვიდა. ჭირში თუ ლხინში სულ მხარში უდგევართ და ერთად ვიზიაარებთ ქართველის ზნეჩვეულებას, დავუფუძნეთ და ამიტომ მიმდიმს საქართველოსთან განშორება. რამდენია საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოს მცხოვრები სხვა ერები, რომ თავიანთ სამშობლოში ფეხს არ ადგამენ. ქართულ ცას შეაფარა თავი, ქართული მზით თბება, ქართული მინის ნაყოფით კუჭს იძლობენ, იკვებებიან და შეჯიბრების დროს ამ ორ მოსაზღვრე

რესპუბლიკებს შორის ზოგიერთი აქ მაცხოვრებელი სხვა ერის ნარისადამი მომადგენელი მხარს ქართველების მონინააღმდეგეს უჭერენ, ზოგიერთი თავისი მანკიერი ხელით საქართველოს ძირს უთხრის, ავილოთ დღევანდელობის ამბავი, რამდენმა სხვდასხვა ერმა აღმართა ხელი იმ ერზე, რომელსაც სიკეთის მეტი არაფერი უკეთებია, მაგრამ ვერ ისვენებენ, უნდათ, რომ საქართველოს ძირძველი მინა ჩამოაჭრან და თავიანთი სამშობლოს შემატონ. ეს არის უვიცობა, შეუჯნებლობა, არამზადობა, ამით საქართველოს ვერაფერს აკლებენ პირიქით, საკუთარი თავის ავტორიტეტს ილახავენ. ველურობას ამტკიცებენ, ეს იმის ნიშანია, რომ ესა თუ ის ერი სადაც ცხოვრობს იმ ერის ენას, კულტურას, არ სცემენ პატივს. ენინააღმდეგებიან საქართველოს.

— სად დამეკარგე ძმაო. ასე უნდა დავიწყება, რომ თვეში ერთხელ მაინც რომ არ მოხვიდე? სიძე ცოლის ძმა ძმებივით უნდა ვიყვნეთ, შენ კი არ გვადრულობ. მე მგონი ჩვენს შორის კარგობის მეტი არაფერია. მე თუ არ გენატრები, დის ნახვა მაინც არ გინდა, ან დიშვილები არ გენატრება?

- როგორ არ მენატრებით ჩემო გაბო, მაგრამ კახეთში ვიყავი.
- მუშაობა თუ გქონდა?
- კი. არაუშავრა, ხელმოცარული არ დავტრუნებულვარ.
- მგონი შენ ეს ზაფხული სულ იქ გაატარე?
- ხო ჩემი მეგობრისგან ერთი ოთახი მქონდა დათმობილი და ცოლშვილიც იქ დავასვენე.
- თუ ასე მოსვენებით იყავ ჩვენ რაღაც გაგახსენდებოდით.
- ნუ იცი გაბო ასე სიტყვის დაჭრა.
- არა ხარ მართალი ცოლის ძმავ. რომ მოდიხარ ცოლშვილით ვერ მოხვალ? რომ მოგეყვანა იმათი ნახვითაც გავიხარებდით.
- რა გინდა ჩემო დაო, გაბოს შენც მხარი აუბი? გინდა რო ნავიდე.

- რატომ? ეგ ხომ გაბუტვა გამოვა.
- სებია კახეთში ნამყოფ კაცს ღვინის შერჩევა გეცოდინება. მალქა, დოქით ნადი რქანითელი ღვინო შემოიტანე და პურმარილიც გააწყო. რამდენი ხანია ცოლის ძმასთან არ მიქეიფია.
- არა მე ღვინოს ვერ დავლევ.
- როგორ არ დალევ, შე დალოცვილო! მე გამირბიხარ და სხვაგან კარგ სიმღერებსაც შეაწევ ხოლმე.
- არა არ მინდა. ვერ ვარ ხასიათზე.
- ნამდვილად, რომ მოგიხდება სწორედ ეგ არის შენი ნამალი. დალევ და ხასიათზე მოგიყვანს.
- დალიე ჩემო ძმაო, გაბო რაჭაში იყო და კარგი ღვინო აქვს ჩამოტანილი. შეუქმ მალქამ.
- თუ რქანითელს გაურბიხარ, ხვანჭკარას დაგალევინებ და ის

დაგაყენებს კარგ განწყობაზე.

– სულრა განწყობილია! სებია ბევრს ნუ მახველნინებ, მე და ჩემი მეუღლე მალეა საქართველოს ისტორიაში ვიყავით შექრილი და პურის ჭამა დაგვაგვიანდა, გთხოვთ სებია პირში ლუკმას ნუ გავვიმნარებ.

– რახან არ მეშვებით ორ ჭიქა ღვინოს დავლევ, თქვა და მაგიდას მიუვადა.

– სებია, რატომ უნდა შეგეშვათ, სხვა ხომ არა ხარ, შენ თქმაც არ უნდა გჭირდებოდეს. ჩემი სახლი შენთვის ყოველთვის ღიაა. მოვვიანებით სულრას გოგა და გიორგიც მიუსხდნენ. გაბომ ასწია ჭიქა და შესვა საქართველოს სადღეგრძელო და ღვინით შეზარხოშებულ სებიას შეახსენა.

– საწყალმა განსვენებულმა მამაშენმა, როგორ იცოდა ომის ნლებში კლიენტთან მორიგების ღროს ჩასაცმელებს რომ ღებავდა ასე არ ამობობდა: ჩემ სებიას გამრავლებამ ორ ჯამ ნაკლებ არ შევლებამო. ეს რა თქმა უნდა ორი ჯამ ლობიოზეა ნათქვამი. გამოდის, რომ სამი ძმიდან მამაშენისთვის შენ იყავი საფიცარი. ესეიგი მამაშენს შენ უფრო ძალიან ყვარებიხარ.

– რა ვიცი, ეგ მამაჩემის საქმეა, სებიას ამის თქმა არ ესიამოვნა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

– გაბო, გავიგე ვიზა მოგსვლიათ და ისრაელში წასვლას როდის აპირებთ?

– სებია, ჯერ ვერ ნავალთ. ბავშვები სანამ არ დაამთავრებენ. ხომ იცი, რომ წასვლა არ არის ადვილი. ჯერ მარტო მე უნდა ჩავიდე. მოვსინჯო, გავიგო ცხოვრების დონე, შევარჩიო რომელი მხარე ჯობია, ჰაერს როგორ შევეგუებით. სადაც კარგად შევეგუებით, საცხოვრებლად იქ შევარჩევ ადგილს.

– წერილიც ხომ მოგივიდა?

– ყველაფერერი წერილს არ დაეჯერება.

– მიზეზი რატომ მოგყავს? აქედან რამდენი ებრაელები წავიდნენ, ყველა მადლიერია, და რაღა შენთვის იქნება შეუგუებელი.

– სამშობლო შენი ფარია და შენ მისი ყრმა ხარ.

– სებია უარყობ რომ ეს შენი სამშობლოა.

– არა მე არ ვუარყოფ, მაგრამ ის ხომ ნამდვილი სამშობლოა.

– ესეც ნამდვილია და ისიც. უმადური არ უნდა დარჩე, ორი ათას ექვსასი წელია მას შემდეგ, რაც ამათ მიგვიღეს და გული გაგვიხსნეს. ათი და ოცი ხომ არ არის?! ამიტომ არ გვაქვს უფლება, რომ შენ სამშობლოდ არ მიიჩნიო. ქართველმა ერმა გინილადა თავისი არსებობის ნილი და ახლა გინდა გაეყარო. მათ მიერ გაღებული ჯველაფერი მადლო, სიკეთე წყალს გინდა გაატანო, არ დაგავიწყდეს, რომ უზრუნველთა მიწის გამოყოფაზეც ქართველ კაცს აქვს ხელი მოწერილი. ყველგან კი არის ღვთისმშობლის მადლით აღვსილი ტერიტორია. აქ რომ

პურმარილს გემო აქვს, იქ ისეთ გემოს ვერ იგრძნობ. აქაური ვაშლი ეროვნული მუზეუმი, მაინც იმ გემოსი არ მოგეწვენება როგორც აქ. არა მარტო მინაა კარგი, არამედ მზესაც სულ სხვანაირი სხივები და სიმსურვალე აქვს.

— ხო მამა, მართალი ხარ, ნამოიძახა გოგამ, ჩვენი პროფესორი არდა-დეგების დროს ტურისტულ საგზურით უნგრეთში ყოფილა და დილით, როცა დანიშნულ ადგილზე საექსკურსიო ავტობუსს ელოდებოდნენ თხი ქართველი ერთად იდგნენ და საუბრობდნენ. ერთ-ერთ გამელელს რომ დაუნახავს, გაუწერებია მანქანა, გადმოსულა და თხივე ქართველს გა-დაეხვია, გადაკოცნა. თქვენ ჭირიმე ბიჭებო ქართველები ხართ? — ბიჭებს უთქვამთ: ნამდვილად, სულით, გულით ქართველები ვართო. მისულს უცხოს თხივე ქართველი დაუპატიჟია ბუდაპეშტის ერთერთი პირველი კლასის რესტორანში, მაგრამ ბიჭებს უარი უთქვამთ, ჩვენი უფროსი არ გაგვიშვებსო. იმ უცხო პირიგნებას უკითხას: ვინ არის თქვენი უფროსი და მე თავად ვთხოვ თქვენ გაშვებასო. ეს უცხო პიროვნება მიიყვანეს უფროსთან და ასპინძელი უფროსს პირველად შეეკითხა, დღეს რა გაქვთ დასათვარიელებლადო? ხელმძღვანელმა უპასუხა ესა და ეს ადგილებით. იმის დათვარიელებას სულ მცირე სამი საათი მაინც უნდ და გთხოვთ, ეს თხი ქართველი სამი საათით დამიტომ და სამი საათის შემდეგ მე თავად აქ დაგახვედრებო. დიდი თხოვნის შემდეგ დათანხმებია, მაგრამ ორი რუსი მეთვალყურედ გაუყოლებია, რესტორანში შესვლისთანავე მასპინძელს რესტორნის დირექტორისთვის უთქვას: რასაც საშუალოდ დღეში ვაჭრობთ იმ თანხას მე გადაგიხდით, მხოლოდ რესტორანში სხვა არავინ არ შემოუშვათო. სუფრა მუსიკოსების წინ გაუშლიათ, ნასულა ქართული სიმღერები, აქედან ჩასულებიც ისეთები შეხვედრიან, რომ თურმე თოხივეს ეხერხება სიმღერა და ერთი-მეორეს ენაცვლებოდნენ შავლებო, მგზავრული. მაგიდა იყო, რომ იტყვიან რა გინდა სულო და გულო, ჩიტის რძეც კი ჰქონიათ. რუსები ნაადრევად შემთვრალან და მაგიდაზე დასძინებიათ. მასპინძელი მომღერლებს ხმას უწყობდათ და თურმე სიხარულით თან ტიროდა. საუბრის დროს ერთ-ერთი ქართველი შეეკითხა. ახლა შენ აქ ალბათ კარგად ცხოვრობო? ეჲ — ამოიხხრა და პასუხი ისე გაუცია. ორი მაღაზია მაქვს, ერთი სასტუმრო, ფულიც ბევრი მაქვს, მაგრამ რათ მინდა თუ ცხოვრებას გემოს ვერ ჩავატანო. გაფიცებ საქართველოს მაღლიან მინას, ხო აქ მაგიდაზე კველაუერი გვაქვს, რომელიც გინდა მიირთვი, მოსინჯე, თუ რომელიმეს ისეთ გემოს ჩაატან, როგორც საქართველოში, თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, საქართველოს რომელი მხარეც გინდა აიღე. ყველგან კარგი ბუნებაა, ერთი მეორესგან განსხვავებული. ასევე პურმარილია სხვადასხვა მხარეს სხვადასხვანირ, მაგრამ ერთი-მეორეზე უკეთესი. საქართველოს საზღვრებს რომ გასცდები, სხვაგან ისეთ გემოვნებას ვერ იგრძნობ, იცით როგორ მენატრება საქართველოს ნახვა, იქ ქეიფი, პურის ჭამა. რომ

გამახსენდება ქართველების ზნეჩვეულება ხშირად ჩამაფიქრებს-ხოლმეტების ამაზე ცოლშევილიც ხშირად მსაყველურობს, ერთი სიტყვით ტყუილად კი არ არის ნათქვამი საქართველოს ტერიტორია ღვთავსმობლის წილების ვედრიან. მერე უფროსთან რომ დაბრუნებულან ბიჭები სასტუმროში. ნახევარი საათით გვიან მოუყვანია იმ ეპრაელ მსაპინძელს. ის ეპრაელი რომ ნახულა მერე, ეს ქართველი ბიჭები ექსკურსის ხელმძღვანელს ისე გაულანდლია, რომ პურმარილი რამის შხამათ ამოუდენია, უფროსი რომ აღარ გაჩერებულა ბოლოს იმათთა ნაქეფარ რუსებს უთქვიათ, გაჩერდი, გეყოფა იქნებ თქვათ, რომ თქვენც ასეთი პატივისცემით გეპყრობიან სამშობლოს გარეთ.

— ხომ გითხარი შეილო გოგა, სიცოცხლის გემოვნებას აქაურს, სხვას ნუ შეადრი. აქ მთისა და ბუნების ჰაერი სულს ახალისებს და გულს ასულდგმულებს, ჩვენი ორგანიზმი ამ მინასთან შესისხლხორცებულია, ამიტომ ჩვენ თუ ნავედით გული უნდა მოვწყვიტოთ მთასა და პარს და იქ ჩვენს სამშობლოს უნდა შევასისხლხორცოთ, ამას კი დრო სჭირდება. დრო, რომელიც ჩვენს სიცოცხლეს დღითი დღე აკლდება. ნარმავალი ვართ და მე თუ მკითხავ დაფუძნებული ბუდე ისეთ მინაზე სადაც ჩვენი წინაპრების ძვლები ამ მინის პატრონის ძვლებთან შეძვალებულია. ამის გამო ბუდეს მოშლას უარყოფითად მიმართია. არა იმიტომ, რომ მე ჩემ სამშობლოს ვუარყოფ, არა. თუ საჭირო ვარ და ვჭირდები სამშობლოს მზად ვარ მსხვერპლად შევენირ აქაც და იქაც. ჩემთვის ორივე ერთია.

— გაბო, შენი ნებაა... ვერ დაგაძალებ. მე კი ვიზას ველოდები, მომივა თუ არა, იმ კვირაშივე წავალ.

— წახვალ, მაგრამ ხუთი წელი მაინც უნდა იწვალო.  
 — მამა შენ გინდაც წახვიდე მე არ წამოვალ.  
 — ხო გითხარი სებია, ჩვენი ოჯახიდან მარტო ჩემ მეუღლე მალეას უნდა წასვლა.

— არც მე მინდა წასვლა, თუ იქ ქმარი და შეილი არ მეყოლება, მეც აქ დავრჩები. გიორგის და გოგას შეყვარებულები აქა ყავთ და იმათაც ხომ უნდა დავეკითხოთ. ეს წინადადება ნარმოთვა მალეამ.  
 — რას ვიზამ მალეა დეიდა, ხომ იცით, რომ მე უნივერსიტეტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე საბუთები შეტანილი მაქვს. რადგან მე იმ გოგოს სიყვარულმა დამძალა და მისივე რჩევას ვასრულებ. ამიტომ ბედს მე უნდა ბოლომდე დავმორჩილდე.

— ესევიგი შენი თქმით გამოდის, რომ ჭკუას იმ გოგოს რჩევით ამოძრავებ. მიმართა სებიამ.

— ახლა რას ვიზამ ზოგიერთ საკითხში შეყვარებულს ხომ უნდა დაუჯვერი. შეყვარებული ჩემი თვალის ქვეშ ხომ უნდა იყოს. ხშირად უნივერსიტეტში ყოფნისას ჩვენ ერთად ვსაუზმობთ.

— გეტყობა შენ გიორგი ეჭვიანი იქნები? ღიმილით მიუგო სებიამ და თან თვალები ყველას სათითაოდ მოავლო.

– გიორგიმ მორცხვად ჩაიცინა და ისევ გაბომ გამოიყვანა მდგომარეობიდან.

– აქ, რა არის სათავილი. კაცი ცოლის მიმართ ყურადღებით უნდა იყოს, ეს სიყვარულია და არა ეჭვი. სებია დაუფიქრებლივ შეეკითხა და ცოტა უხეშად გამოუვიდა.

– კარგი გოგოა?

– რაც მთავარია მე მიყვარს და მეტი ქება არ არის საჭირო.

– მალადეც, აი კაცი. მე მომენტია შენი პასუხი, ეგ რა შეკითხვა მიეცი სებია ძია, კარგი პასუხი გაგცა, მაგრამ მე უფრო სხვანაირ პასუხს გაგცემდი. მალქამ და გაბომ ერთი-მეორეს შეხედეს. შვილის ამ გამოთქმაში დიდი სიამაყე გამოსჭვიოდა. – სებიამ დისტვილის ნათქვამი შეურანყოფად მიიღო, თუმცა არც გაუმჯდავნებია და არც სახეზე შეიმჩნეოდა რამე. სებია მოულოდნელად წამოდგა, მასპინძელს მადლობა მოახსენა, ყველას ტკბილად დაემშვიდობა და კარისაკენ მშვიდი ნაბიჯებით გაემართა.

– მარინა! ლექციების მერე კინოში წავიდეთ.

– გიორგი შინ მივალ ორ ლექციას წავიკითხავ და მერე წავიდეთ.

– რომელ საათზე მოხვალ?

– არ ვიცი, შენ თქვი და მეც იმ დროზე მოვალ. სვიდანის ხო იცი ბიჭები უნიშნავენ. მარინამ ღიმილით, მაგრამ სიამყის გრძნობით უთხრა. დღის შეიდი საათი იყო, ჯერ კიდევ დასავლეთით ჩამავალი მზე უკან მოტოვებული სხივებით თავს იქცევდა. დანიშნული დრო არც ერთმა არ დააყოვნა. გიორგი და მარინა ორივე ერთდროულად მივიდნენ გამარჯვების ბალში თითქოს და ორივეს აფთიაქის სასწორის სიზუსტით აწყობილი საათი ორივეს ეკეთათ.

– გიორგი! თითო ნაყინი შევჭამოთ და კინოში მერე შევიდეთ.

– კი ჩემი სულის გასაღებო. ოლონდ შენი ნაზი სახის ნათელი ჩემი ცხოვრების დიდ გზას მინათებდეს და შენ თუ მიბრძანებ აი ამ კიპაროსის ხეს მოვალეჯამ და მინაში თავდაყირა ჩავასობ, შენი სიყვარულის დასამტკიცებლად, გაიხუმრა გიორგიმ.

– რას ერჩი ამ ხეს, თავისთვის მშვენივრად დგას.

– მარინა შენ ხუმრობ და მე მართლა გეუბნები.

– ხო დაგივერე წვერის გათლა არ დაგჭირდება.

– დამცინი ხომ.

– არა. არ დაგცინი გიორგი. მე ვიცი, რომ კეთილი ხარ და შენ ასეთი ბოროტება არ გეხერხება.

– გინდა რომ ვიყო ბოროტი?

– არ მინდა და იმიტომ გეუბნები, შენ არ ხარ ისეთი და მეორეც, რაში გჭირდება ჩემს ნინაშე არა რაინდული თავის ქება, რომლის გაკეთებაც შენ არ შეგიძლიან. ბოროტება რად გინდა. მთავარი სიკეთეა.

– ვის არ შეუძლია? მე ასეთი უსუსური მნახე?

- კარგი რა გიორგი, გეყოფა ხუმრობა.
- არა მარინა, არ ვხუმრობ.
- არ ხუმრობ და მიდი და მოგლივე.
- ახლა კი არა, შენს მიმართ. შემცილე რომ გამომიჩნდეს, მაშინ.
- ჩემო რაინდო, ნინასანარ არ ყოფილ საქმეზე რატომ ნერვი-ულობ?
- შენ არ იცი. ამ გულში რა ცეცხლი ტრიალებს...
- მერე მე რა შეუში ვარ. გამოყენახე მეხანძრეს და ჩააქრობს.
- მარინას ასეთმა პასუხმა ორივეს მიმართ სიცილი გამოიწვია.
- გამიგე მარინა, სიცოცხლეს არ დავიშურებ, ვინც არ უნდა იყოს. ან მოველავ და ან თავს შევაკელავ.
- მაშინ, ჩემო რაინდო ამირანი ყოფილხარ.
- კაცი თუ გაბრაზდა ყველა ქართველი ამირანია, უმრავლესობა ამირანზე მეტიც. მაგალითისთვის ავილოთ დავით აღმაშენებელი. მის მიერ მცირედი ჯარით მტრის უმრავლესობასთან, თუნდაც დიდ-გორთან ჩატარებული ომი რას ნიშნავს. ეს ბრწყინვალე გამარჯვება ქართველი ერისათვის. გავიხსენოთ გინდა ერეკლე მეორე და სხვა მრავალი მეფეები.
- დას გავიხსენოთ მეფენი სხვებიც, რომლებიც თავიანთი სამეფო გვირგვინს უფრთხილდებოდნენ და ვალდებულები იყვნენ, რომ ყველას თავისი თავი დაეცვა, მაგრამ იმპერიის ხელი მაინც არ ავაცდა.
- არა მარინა, ისტორია კარგად ვიცი, ლომს გვერდში ვეფხვები. რომ არ ამოდგომოდნენ სისხლზე დაგეშილ მგლის ხროვას როგორ გაუძლებდნენ. მეორე ის, რომ მე მეფის გვირგვინისათვის ვიბრძები, შენ კი დედოფლობისთვის.. კვლავ ორივემ ჩაიცინეს, განსაკუთრებით მარინას კისკისმა თითქოს ხეზე მიძინებული ფოთლები გამოაღვიძა სიცილის დროს ყელიდან წამოსულმა ჰარმონიამ.
- გიორგი ეს მომავალი - ჩვენი ურთიერთ შეთანხმებისა და სიყვარულის ამბავია.
- მარინა, ეს ჩვენი მომავალი კი არა, კარზე მომდგარი მომწიფებული ამბავია.
- გიორგი მე აღარ მეკითხები?
- როგორ არ გეკითხები. ამდენი ხანი ტყუილად გელაპარაკე?
- შენ საქართველოს ისტორიაზე მელაპარაკები, და საკუთარ თავზე კი, არათერს ამბობ. ჯერ კარგადაც არ გაგვიცვნია ერთმანეთი. ერთმანეთის გულში არ ჩაგვიხდია. ვინ რას წარმოვადგენთ. რა შინაარსისანი ვართ. სახლში ვინ გვყავს, იმათი თანხმობაც გვინდა, სიყვარული კარგია, მაგრამ ცხოვრებას თავისი ატრიბუტები გააჩინა.
- მე მაგალითად სახლი მაქს და შიგ მარტო მე ვცხოვრობ. მშობლები არა მყავს, არც და-ძმები.
- ხო და გიორგი გამიგე, მე კიდე მინდა, რომ დედამთილი, მამა-

თილი და მულიც მყავდეს.

– მარინა არა მყავანან და საიდან მოგიყვანო?!

– დაფიქრდი წუთისოფელში ერთხელ მოვედი, ერთხელ უნდა გავთხოვდე და დედამთილ-მამამთილის ალერს არ მინდა რომ მოკლებული ვიყო. ამ ბავშვურ საქციელზე მოუხდათ უთანხმოება და ერთურთს დასცილდნენ. მზემ კი გადაცურა ცის ლავარდები და მოქარბებული ბინდით დამხჩეალმა უკანასკნელი ამოსუნთქვით დღემ სული დალია. ბინდმა გაახსენა ყველა სულიერს თავისი ბუდე. მეორე დღეს, დილით, ერთი ლექციის შემდეგ დეკანმა იხმო მარინა თავის კაბინეტში და ჰქითხა.

– გუშინ რვა საათზე სად ბრძანდებოდი?

– ვაკის პარკში ბატონ გიორგისთან ერთად.

– მერე, ხომ იცი გამოცდები რომ მოახლოებულია და დიდი შრო-მაა საჭირო, რომ წასული წლების საკურსო ხუთიანებს საფუძველი გაუმაგრო და მთელი შენი ცოდნა ერთნაირად მოვარდნილ წყალს არ გაატანო, იმ ზარმაცს რად აყოლილხარ.

– პატივცემულო რატომ აყენებთ შეურაცყოფას გიორგი არ არის ზარმაცი, ის ჩვენს ჯგუფში ნახევარს მაინც სჯობია, ხუთებზე თუ არა ოთხებზე მაინც გადის.

– კი მარინა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მისი ოთხიანები შენს ხუთიანებთან ვერ მოვა, შენი გზა გრძელია და ბედნიერებისაკენ მიდის, იმისი კი მოკლეა.

– პატივცემულო რატომ წყევლი?

– არა მარინა, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მე კი არ ვწყევლი ცოდნის მხრივ ვამბობ. რაც აქ ისწავლა ის შეიძლება პრაქტიკაში დანერგოს, მაგრამ წინ ვერ წაიწევს.

– პატივცემულო პროფესორო ცხოვრებაში პრაქტიკა გვაძლევს ამა თუ იმ გამოგონების რეალურ შესაძლებლობას და მერე იქიდან გადის სახელმწიფო გამოცდაზე.

– მართალი ბრძანდებით ჭეშმარიტებაა.

– პროფესორო თუ ჩავაბარებთ ასპირანტურაში ორივე ერთად. თუ არა და არც ერთი.

– მარინა ეგ რა ლაპარაკია? თავი გინდა დაიღუპო. შეყვარებულები ხომ არა ხართ?

– დიახ ვართ პროფესორო.

– მშობლებმა იციან?

– რომ გავყვები მერე გაიგებენ.

– მომზადებული ხარ. დაფიქრდი, თავი არ დაიღუპო. გიორგის და მარინას ამბავი გახმაურდა. გაიგეს იმ დაინტერესებულმა პირებმა, რომლებსაც თავიანთ საკუთარ თავს არც სარგებლობას მოუტანდა და არც ზიანს. მთავარი ის არის, რომ როგორც პროფესიონ-

მასწავლებლებში, ისე სტუდენტ-მონაფერებში ლექციის შემცვლელში სასაუბრო მიზეზმა აუდიტორიებში იჩინა თავი. მომდევნო ლექციის პროფესორმა მიმართა:

– მარინა ეს ამბავი მართალია რაასაც ამბობენ, გიორგის და შენს შერის? მარინა მორცხვად ადგა და თავჩალუნულმა უპასუხა:

